# საერთო გაზეთი

№14 (198) ● 21-27.III,2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## მიხეილ ცაგარელი:

misi kosmosuri pasportis mixedviT, ivaniSvils aqvs goneba, romelic gvaZlevs nobelis premiis laureatebis 60 procents



## მაია ფანჯიკიძე:

sjobs xelisuflebam Tavi daanebos sxvis jibeSi xelebis faTurs da is gviTxras, sad da raSi daxarja prezidentma 105 milioni?



## პუტინი

ღირსების საკითხად თვლის, რომ იმ საბრალდებო სკამზე, სადაც მილოშევიჩი იჯდა, სააკაშვილიც დაჯდეს...



## გოგი თოფაძე:

vimedovneb, nino burjanaZis potenciali gamoyenebuli iqneba im saqmeSi, rasac `qarTuli ocneba~ akeTebs

## ID-baraTi _ eleqtronuli sakoncentracio banaki!



მარიხუანის ლეგალიზებით, ხელისუფლება საარჩევნოდ ახალგაზრდების ხმების მოზიდვას ცდილობს



ISSN 2233-3983

9 772233 398001

## Tu `wminda mefe~ avadaa, misi xalxic avadaa, anu ramdeni eqimi-fsiqiatri sWirdeba saqarTvelos?



## `ubeduri xasan faSa~ Tu ubeduri saqarTvelo?!

## ალასანია: სამეგრელოში ფორმირებების ჩამოყალიბება ახალაიების კლანს დაავალეს

„სააკაშვილი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოში, აქტიურად ქმნის შეიარაღებულ ფორმირებებს, განსხვავებულად მოაზროვნე პოლიტიკოსების დევნის და საჭიროების შემთხვევაში მათი ფიზიკურად ლიკვიდაციის მიზნით“, - კიდევ ერთხელ განაცხადა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, ეს ჯგუფები არ წარმოადგენენ რეზერვისტებს და მათი შექმნის ერთდერთი მიზანია, არ მისცენ მოქალაქეებს თავისუფალი ნების გამოხატვისა და კონკურენტულ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. „ჩვენ ვცდილობთ საქართველოში გავამყაროთ კულტურა, რომელიც ხელისუფლების ცვლას მხოლოდ არჩევნების გზით უზრუნველყოფს, სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილი არ იზიარებს ამ პრინციპს. სწორედ მისი ბრძანებით, დასავლეთ საქართველოში ყალიბდება შეიარაღებული ფორმირებები. ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა მოუტანა საქართველოს 90-იან წლებში შეიარაღებულმა ფორმირებებმა,“– განაცხადა ირაკლი ალასანიამ. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი განმარტავს, რომ სამეგრელოში აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობს ახალაიების კლანი და სწორედ ისინი ქმნიან შეიარაღებულ ფორმირებებს.



„როლანდ ახალაია, რომელიც არის გენერალური რეგიონის პროკურორი, მისი ვაჟები აკონტროლებენ თავდაცვის სამინისტროსა და შსს-ს შეიარაღებულ ძალებს. სწორედ მათ დაევალა ამგვარი ფორმირებების ჩამოყალიბება. ახალაიებმა თავის მხრივ, კონკრეტული დავალებები მისცეს რომან შამათავას, ნუგზარ ფანგანი, სერგო უბილავას, ფრიდონ შენგელია, თორნიკე მალაზონიას, კობა თოდუას, მამუკა იოზავას, ზაზა ჯანჯალიანს, ზვიად გაგუას, დავით დარსმელიძეს. ეს პიროვნებები წარმოადგენმენ სხვადასხვა სამართლდამცავ სტრუქტურებს და აკონტროლებენ, აიარაღებენ და აფინანსებენ ამ შეიარაღებულ ფორმირებებს“,– განაცხადა ალასანიამ. ირაკლი ალასანიას ინფორმაციის წყარო ადგილობრივი მოსახლეობაა, რომლებიც მისივე თქმით, ფლობენ სრულ და დეტალურ ინფორმაციას სამეგრელოში არსებული დაჯგუფებების დისლოკაციის, შემადგენლობის, შეიარაღების და დაფინანსების შესახებ. „თავისუფალი დემოკრატები“ საფრთხეების გათვალისწინებით, აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავს იკავებენ. და მასალებს, დაუყოვნებლივი რეაგირებისთვის, საქართველოს უშიშროების საბჭოს უგზავნიან. ირაკლი ალასანიამ დღესვე პრეზიდენტსაც მიმართა და აღნიშნა, რომ გაითვალისწინოს ინფორმაცია და არ დაუშვას ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება. „ჩვენი ამოცანაა, არ დავუშვათ სამოქალაქო დაპირისპირება. ჩვენი იარაღია პრევენცია... მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით „ქართულ ოცნებას“ და ჩვენს პოლიტიკურ გუნდს გვაქვს პასუხისმგებლობა სახელმწიფო ინტერესების მიმართ“, – აღნიშნა ალასანიამ.

## „ქართული ოცნების“ გურჯაანის ოფისის ხელმძღვანელი ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებს

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ გურჯაანის ოფისის ხელმძღვანელი აკაკი ბეგაშვილი ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებს. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, მასთან სახლში მივიდა შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომელი შალვა იმერლიშვილი და “თავისი უფროსობის” დანაბარები გადასცა, რომლის მიხედვითაც, ბეგაშვილი “ქართული ოცნების” საქმიანობას უნდა ჩამოშორებოდა.

ბეგაშვილის თქმით, ამ წინადადებაზე უარის მიღების შემდეგ იმერლიშვილმა უთხრა, რომ მასთან ერთი-ერთზე დალაპარაკება სურდა, ხოლო როდესაც ბეგაშვილის მეუღლემ ოთახი დატოვა, კუდის თანამშრომელმა “ვითომ შემთხვევით” მისი შვილები ახსენა.

“მე მას ვუთხარი, კარგად მესმის, რომ ეს არის მუქარა, თუმცა თუ ჩვენ ქვეყნის საქმეს უნდა შევეწიროთ, ამისათვის მზად ვართ. მან დელიკატურად უარყო, რომ ეს მუქარა იყო და თქვა, რომ იგი ძალადობაზე არ საუბრობდა. იმერლიშვილი არ ამბობს თუ ვისი დავალებით მოვიდა ჩემთან”, - აცხადებს ბეგაშვილი. იგი იმერლიშვილს და მის უფროსობას შს სამინისტროდან წამოსვლასა და “ქართულ ოცნებაში გაწევრიანებას სთავაზობს.

ბეგაშვილისვე ინფორმაციით, კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები “ქართული ოცნების” აქტივისტებს ახსნა-განმარტებებისთვის ხელმეორედ, ამჯერად გურჯაანის გამგეობის შემდეგ, თელავში იბარებენ.

`medianiusi~

# biZina ivaniSvilis milocva



მინდა მივესალმო საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვინც ზეიმობს ნოვრუზობას და იმ მრავალრიცხოვან აზერბაიჯანელ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებისთვისაც ეს დღე ეროვნული დღესასწაულიც არის. ყველას გილოცავთ ნოვრუზ ბაირამს!

ნოვრუზობა უძველესი ტრადიციაა, რომელსაც დიდი ისტორია აქვს, მაგრამ ეს დღე არა მარტო ახალი წლის შემობრძანებას აღნიშნავს ისლამური წელთაღრიცხვით, არამედ გაზაფხულის, სიცოცხლის, განახლების სიმბოლოა.

დღეს, ჩვენს ქვეყანას, საქართველოს, ყველაზე მეტად სწორედ განახლების ენერგია სჭირდება და წლევანდელი წელი იქნება იმის საწინდარი, რომ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, განურჩევლად ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა, ერთად ავაშენებთ განახლებულ და ბედნიერ საქართველოს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულს და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

ბიძინა ივანიშვილი

# koalicia `qarTuli ocnebis~ gancxadeba

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საქმიანობის გააქტიურებასთან ერთად სულ უფრო იზრდება ხელისუფლების ზღვარგადასული და გაუგონარი რიტორიკა. ხელისუფლება კარგად ხვდება, რომ მისი ძალაუფლებაში ყოფნა დასასრულს უახლოვდება და აგონიაშია ჩავარდნილი. სხვა რა შეიძლება ეწოდოს მიხეილ სააკაშვილის მხრიდან საქართველოს სტრატეგიული და პარტნიორი ქვეყნების საელჩოების მიმართ გაკეთებულ ყოვლად შეურაცხმყოფელ და უპასუხისმგებლო განცხადებებს, რომლებსაც ახლა უკვე ერთმანეთის მიყოლებით, დიდი მონდომებით აგრძელებენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები და სახელისუფლებო ექსპერტები.

კოალიცია „ქართული ოცნება“ კატეგორიულად აცხადებს, რომ სააკაშვილისა და მისი წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებული მსგავსი შინაარსის განცხადებები უკვე სცილდება მმართველი გუნდის პოლიტიკურ ინტერესს, სახელმწიფოებთან ურთიერთობის ცივილიზებულ ფორმებს და საშიშ ტენდენციას იღებს. ასეთ განცხადებებს არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავმოყვარეობასთან და გამოწვეულია მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის გარდაუვალი დამარცხების შიშით.

**21 მარტს 11 საათზე პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერები საგარეჯოს რაიონის სოფელი იორმუღალოს ეწვევიან და ადგილობრივ მოსახლეობას ნოვრუზობას მიულოცავენ.**

## კონტროლის პალატამ ბიძინა ივანიშვილი 2,5 მილიონზე მეტი ლარით დააჯარიმა



კონტროლის პალატამ ბიძინა ივანიშვილი 2 725 970 ლარით დააჯარიმა

უწყების მიერ დღეს გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს არის ათმაგი ოდენობა იმ თანხისა, რომელიც ფიზიკურმა პირმა ბიძინა ივანიშვილმა უკანონოდ გადარიცხა ააიპ „ქართული ოცნების“ ანგარიშზე.

„საქმის შესწავლისას გამოვლინდა, რომ 272 597 ლარი უკანონოდ იყო გადარიცხული იმ პირების ანგარიშებზე, რომელთა პოლიტიკური აქტივობა დადასტურებული და დაკავშირებული იყო ააიპ „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ და საარჩევნო მიზნებთან“, – ნათქვამია კონტროლის პალატის განცხადებაში.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

*ვესაუბრებით კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეს-სპიკერს* ***მაია ფანჯიკიძეს***



# sjobs xelisuflebam Tavi daanebos sxvis jibeSi xelebis faTurs da isgviTxras, sad da raSi daxarja prezidentma 105 milioni?

**— გასულ კვირას კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურმა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და აქტივისტები ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში დაკითხვაზე დაიბარა. კანონიერია მოგელაძის უწყების მოთხოვნა თუ არა?**

— აბსოლუტურად უკანონოა, რასაც კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახური ახორციელებს "ქართული ოცნების" მიმართ. ამის შესახებ ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, მაგრამ ჩვენი მომხრეების მიმართ განხორციელებული აგრესიული ქმედებები მაინც არ წყდება. ძალიან კარგია, რომ გამოქვეყნდა აშშ-ს ელჩის, ჯონ ბასის კომენტარი, რომელიც გმობს კონტროლის პალატის ამ ქმედებას, ადამიანების უღირს ვითარებაში დაკითხვას.

აქ საინტერესოა ერთი ფაქტი – მომხრეებს მისდით უწყება, რომელიც არ არის დაბეჭდილი კონტროლის პალატის ოფიციალურ ბლანკზე, არ არის მითითებული თარიღი, ნომერი, ხოლო ნათია მოგელაძის მოადგილის, გიორგი ამირანაშვილის ხელმოწერა განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობენ „ქართული ოცნების" მომხრეები. დიპლომატიურ კორპუსს შეხვედრაზე წარვუდგინეთ 3 განსხვავებული უწყება, რომელზეც ერთი და იგივე პირის ხელმოწერა განსხვავებულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს დოკუმენტი არის ყალბი. შესაბამისად, არავინ არ არის ვალდებული, მივიდეს დაკითხვაზე.

**— ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ამ მოქალაქეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას?**

— ეს არის მეორე უკანონობა, რომელიც პირველს ემატება. მიუხედავად ამისა, "ქართული ოცნების" მომხრეები დაშინებულები არ არიან, პირიქით, რამდენიმე მათგანი საჯაროდაც გამოვიდა და მოყვა, თუ რა ვითარებაში მიმდინარეობდა დაკითხვა - ფეხსაცმლის და ტანსაცმლის გახდა, იმის შიშით, რომ ადამიანებს რაიმე სახის ჩანაწერი არ გაეკეთებინათ დაკითხვის მსვლელობისას. ძალიან უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებები.

**— ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ სახალხო დამცველმა პირველივე დღეს ისაუბრა. აღსანიშნავია, რომ "ქართული ოცნების" მხარდამჭერებს დაკითხვაზე მხოლოდ რეგიონებში იბარებენ...**

— დედაქალაქში ამას ჯერჯერობით ვერ ბედავენ. თინა ხიდაშელმა, ზვიად ძიძიგურმა, ირაკლი სესიაშვილმა შეიტანეს სოლიდური თანხები "ქართული ოცნების" სხვადასხვა წევრების და კოალიციის პარტიების ანგარიშებზე, რატომღაც, მათ არ იბარებენ დაკითხვაზე. ალბათ, ჰგონიათ, რომ ჩვეულებრივ, უბრალო ხალხს ადვილად დააშინებენ და პოლიტიკურ ლიდერებთან ეს არ გაუვათ. ამგვარი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ მოწმობს იმაზე, თუ რა უკანონოა ეს ქმედება, რასაც კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახური სჩადის. იმედი მაქვს, რომ ჯონ ბასის განცხადების შემდეგ, მდგომარეობა შეიცვლება, თუმცა ამათ ხელში რამდენად რეალისტურია ეს იმედი, არ ვიცი.



**— კოალიცია "ქართული ოცნების" საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრა ძირითადად ინფორმატიული იყო? რა შედეგს ელოდებით ამ შეხვედრის შემდეგ?**

— ეს შეხვედრა ემსახურებოდა დიპკორპუსის ინფორმირებას, გადავეცით მასალები, თუმცა ბევრი სხვა თემაც გაჟღერდა. ძირითადი თემა ხელისუფლების მხრიდან "ქართული ოცნების" მიმართ განხორციელებული ძალადობა იყო. ინფორმირება აუცილებელია, რადგან ეს შთაბეჭდილებას უქმნით მათ იმის შესახებ, თუ რა საარჩევნო გარემოა ქვეყანაში, რამდენად თავისუფლები არიან პოლიტიკური სუბიექტები. ეს ინფორმაცია მიდის მათ დედაქალაქებამდე და ყალიბდება შეხედულება საქართველოს ხელისუფლების შესახებ. ეს არის აუცილებელი, რაც შედეგს გამოიღებს - მეგობარი ქვეყნები, ეუთოს ეგიდით, ხანგრძლივ დამკვირვებლებს გამოაგზავნიან საქართველოში, არა 2 თვით, არამედ — აპრილიდან. მათი მხრიდან მზაობა გამოცხადებულია. საჭიროა, ხელისუფლების ოფიციალური მოწვევა, თუ ეს ასე არ იქნება, გასაგებია, რომ ხელისუფლება არ არის მონდომებული, ჩატარდეს თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები.

**— ვიდრე უცხოელი დამკვირვებლები ჩამოვლენ, რა პრევენციულ ღონისძიებებს მიმართავს "ქართული ოცნება" მხარდამჭერების მიმართ ფსიქოლოგიური ან სხვა სახის ზეწოლისაგან დასაცავად?**

— ერთადერთი, რაც შეგვიძლია, ჩვენი მომხრეების ადვოკატებით უზრუნველყოფა და მათი უფლებების დაცვაა, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღევანდელ პირობებში. ჩვენ ვაფრთხილებთ და მოვუწოდებთ „ქართული ოცნების“ მომხრეებს, რომ არ შეშინდნენ. მათზე ზეწოლა კიდევ ერთი გამოვლინებაა იმისა, თუ როგორ ეშინია ხელისუფლებას "ქართული ოცნების".

**— რამდენიმე დღის წინ მედიის გარკვეულმა ნაწილმა კონტროლის პალატის მიერ გავრცელებული "ქართული ოცნების" წარმომადგენელთა სახელფასო ანაზღაურების ცხრილი გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი კონკრეტული პირი საკუთარ ფინანსურ რესურსს ხარჯავს, ან ვერ ხარჯავს, რა გავლენას იქონიებს საზოგადოებაზე ეს ინფორმაცია?**

— ხელისუფლებამ თავი უნდა დაანებოს სხვა პირების ჯიბეეში ხელის ფათურს და გვითხრას, სად და რაში დახარჯა პრეზიდენტმა 105 მილიონი ლარი., რომელიც არსად არ არის გაწერილი. ამ სიის გამოქვეყნება არის უზნეობა, რადგან კერძო პირი ხელშეკრულების საფუძველზე სხვადასხვა საქმეზე აყვანილ ადამიანებს გარკვეულ თანხას უხდის. ჩვენი საქმიანობა გამჭვირვალეა. ხედავთ, რომ მე დილიდან ღამემდე ვმუშაობ და ამაში ვიღებ ანაზღაურებას. გავრცელებულ სიაში , ზოგ შემთხვევაში ეს რამდენიმე თვის ანაზღაურება იყო. თუ ფიქრობთ, რომ ეს სოციალურ შურს გამოიწვევს, არა მგონია, რადგან მთავრობის წევრების ხელფასებისაგან დიდად არ განსხვავდება.

**— ქალბატონო მაია, ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი პირდაპირ კავშირშია არჩევნებში მის მონაწილეობასთან. რამდენად არის შესაძლებელი, რომ დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?**

— ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი 5 აპრილს გაირკვევა. იმედი მაქვს, რომ დადებითად გადაწყდება და მას აღუდგენენ მოქალაქეობას, არ არის არც ერთი მიზეზი, რის გამოც შეიძლება ეს არ მოხდეს. რაც შეეხება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენ ყველა სცენარისთვის მზად ვართ. რამდენიმე ხნის წინაც ვთქვით, რომ, რაც უფრო ადრე იქნება ეს, მით უფრო უკეთესია ქვეყნისთვის. თუკი ამ მომენტისათვის ბატონ ბიძინას არ ექნება მოქალაქეობა, ეს არ შეცვლის ძირეულად სურათს, რადგან ყველას ეცოდინება, რომ ეს პოლიტიკური ძალა მასთან არის დაკავშირებული და როგორც კი მოვალთ ხელისუფლებაში, ბატონ ბიძინას 2 კვირაში აღუდგება მოქალაქეობა.

**— საკმაოდ რეზონანსული იყო ბატონი ბიძინას შეხვედრა „სახალხო კრებისა“ და „ქართული აკადემიის“ წარმომადგენლებთან. დღეისათვის საზოგადოებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია „ქართული ოცნებისა" და „სახალხო კრების" ურთიერთობის საკითხი. რა ფორმით არის შესაძლებელი ეს თანამშრომლობა?**

— შეხვედრა მართლაც 2 საათნახევარი გრძელდებოდა. მე არ დავსწრებივარ მას და დეტალები არ ვიცი. ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე ამ შეხვედრის მცირე მიმოხილვითი ნაწილი დაიდო, რადგან ამ ხანგრძლივობის მასალას სოციალურ ქსელში მხოლოდ დაინტერესებული პირები თუ უყურებდნენ. "სახალხო კრებას" გადაეცა ვრცელი ჩანაწერი, არავის უთქვამს, რომ ეს ვიდეომასალა მათ არ გამოეყენებინათ. მათ შეეძლოთ მისი საკუთარ გვერდზე განთავსება ისევე,როგორც ჩვენ.

რაც შეეხება უკმაყოფილებას და საყვედურს, ეს მხოლოდ ფეისბუქის თავისებურებით აიხსნება. სხვა ღრმა აზრი აქ არ ყოფილა. შეხვედრის მონაწილეთა თქმით, თბილი შეხვედრა იყო. ურთიერთობა "ქართულ აკადემისა" და "სახალხო კრებასთან" გაგრძელდება, შეგახსენებთ, რომ ისინი არ არიან პოლიტიკური პარტიები, შესაბამისად ფორმატიც - განსხვავებული იქნება, თუკი ორივე მხარის სურვილი იქნება. ჩვენ ეს სურვილი ნამდვილად გვაქვს.

**— რამდენად ერთიანია კოალიციის პოზიცია აზიზიეს მეჩეთთან დაკავშირებით?**

— აზიზიეს მეჩეთი კომპლექსური და რთული თემაა. ერთიანი პოზიცია რომ არსებობდეს, უნდა იყოს ფაქტები - რა არის დაგეგმილი, რა კეთდება. ერთ რამეში ყველა ვთანხმდებით - ეს არ შეიძლება იყოს ნაჩქარევი და ერთპიროვნული გადაწყვეტილება. საზოგადოებამ, ექსპერტებმა. ეკლესიამ, პოლიტიკურმა სუბიექტებმა უნდა გამოთქვან აზრი, რომელსაც შევაჯერებთ და ჩამოყალიბდება ერთიანი პოზიცია. მთავარია, მოინახოს ის ხელშკრულება, რომელიც თურქულ მხარესთან იდება. ხელისუფლების მხრიდან ბევრი რამ ითქვა - ხან ის, რომ შენდება მეჩეთი, ხან - კულტურის ცენტრი, დაუზუსტებელია ადგილიც. საბოლოოდ რომ გვეცოდინება, ვინ, სად, რას და რის სანაცვლოდ აშენებს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პოზიციის შესახებ საუბარი.

**ნინო ფირცხალავა**

## მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ სომხეთს სეპარატიზმის გაღვივებაში ადანაშაულებს

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ გამგეობის წევრი კონსტანტინე ფორჩხიძე ეხმაურება სომხეთის განათლების მინისტრის არმენ აშოტიანის განცხადებას, რომელიც ამ უკანასკნელმა ჯავახეთიდან და მთიანი ყარაბაღიდან სომხეთში სასწავლებლად მყოფი სტუდენტების ფულადი წახალისების ცერემონიალზე წარმოთქვა.



მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ცნობით, არმენ აშოტიანმა სტუდენტებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: "გააგრძელეთ კარგად სწავლა იმიტომ, რომ განათლება არის მომავალი წარმატებების ერთადერთი პირობა. მოგიწოდებთ თქვენ, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდეთ ჯავახეთში და მთიან ყარაბაღში, რათა ხელი შეუწყოთ ჩვენი ქვეყნის ამ ნაწილების აყვავებას".

„როგორც ვხედავთ, ბოლო პერიოდში სომხეთის მთავრობის წარმომადგენლები უკვე აღარ ერიდებიან სეპარატისტულ განწყობების გაღვივებას სამცხე - ჯავახეთში, რასაც ისინი აქამდე არ აკეთებდნენ .ჯავახეთის სეპარატისტულ მოძრაობებს მხარს უჭერდა რუსული ოფიციოზი, ხოლო სომხეთის მთავრობა თავს იკავებდა ღია მხარდაჭერისაგან .

სომხეთის მთავრობის წარმომადგენლის ეს განცხადება არის სასიგნალო ხასიათის და საჭიროებს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური მოქმედებების განხორციელებას, პირველ რიგში, საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან, რომელსაც არაერთხელ მოუწოდა მოძრაობამ "სამართლიანი საქართველოსთვის" რათა დაეჩქარებინათ და ბოლომდე მიეყვანათ სომხეთთან სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია - დელიმიტიზაციის სამუშაოები, რომელიც საბოლოოდ წერტილს დაუსვამს სომხეთის ტერიტორიულ პრეტენზიებს საქართველოს მიმართ“, — აცხადებს კონსტანტინე ფორჩხიძე.

მოძრაობა „სამართლიანი საქართელოსთვის“ მიმართავს საგარეო საქმეთა მინისტრს, მიმართოს შესაბამის ზომებს სომხეთის მთავრობის მხრიდან მსგავსი სეპარატისტული შინაარსის განცხადებების პრევენციისათვის.

**„მედიანიუსი“**



# misi kosmosuri pasportis mixedviT, ivaniSvils aqvs goneba, romelic gvaZlevs nobelis premiis laureatebis 60 procents

***გასულ წელს ოქტომბრის ბოლოს „საერთო გაზეთმა“ დაიბეჭდა ინტერვიუ ბატონ მიხეილ ცაგარელთან. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილის დაბადების თარიღად 18 მარტი იყო დასახელებული, სინამდვილეში ბატონი ბიძინა 18 თებერვალს ყოფილა დაბადებული.***

**— ბატონო მიხეილ, ბოლოდროინდელ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილის ჰოროსკოპთან დაკავშირებით ჩვენ ვისაუბრეთ თევზების ზოდიაქოს მიხედვით, სინამდვილეში თურმე მერწყული უნდა მიმოგვეხილა. მოდით, ვისაუბროთ თევზებისა და მერწყულის ზოდიაქოს განსხვავებების შესახებ:**

— თევზებზე ჩვენ ტყუილად არ გვისაუბრია. ბიძინა ივანიშვილი დაბადებულია მერწყულის ზოდიაქოს ნიშნის ბოლო გრადუსში, — 18 თებერვალს. ეს რიცხვი ბოლო გრადუსად ითვლება იმიტომ, რომ თევზების ზოდიაქი იწყება 19 თებერვლიდან. შემომავალი ზოდიაქოს ნიშანი (ამ შემთხვევაში თევზები) უფრი დიდ გავლენას ახდენს პიროვნებაზე, ვიდრე გამავალი (ამ შემთხვევაში, მერწყულის ნიშანი). ეს არის პიროვნება-მესაზღვრე და ასეთ მესაზღვრეებში არავის არ აქვს ტიპიურად გამოკვეთილი ზოდიაქოს ნიშანი.

რადგან მერწყული და თევზები ერთობლივად ახდენენ მასზე დიდ ზეგავლენას, დგება შემდეგი თვისებების კომბინაცია: კომუნიკაბელურობა, მაღალი რანგის ლოგიკური აზროვნება, გონებამახვილობა, თავისუფლებისმოყვარეობა. ააფასებს

მეგობრულ ურთიერთობებს და ცდილობს, ეს კონტაქტი ემყარებოდეს უანგარობის და ერთგულების პრინციპებს.

ახლა დავუბრუნდები თევზების ზოდიაქოს: იგი მასში ავითარებს ემოციურობას, გულმოწყალების ელემენტებს, საქველმოქმედო პრინციპებს. პირადი ჰოროსკოპის მიხედვით დაძაბული რიცაა აღმოსავლური ჰათჰა - იოგა ან ჩინური თაი ძი.

ახლა, რაც შეეხება მთვარეს, ის დაბადების მომენტში იმყოფებოდა კუროს ზოდიაქოში, ამიტომ კურო აძლევს ისეთ თვისებებს, როგორიცაა ორგანიზებულობა, შეუპოვრობა, მოთმინების უნარი, ხელს უწყობს ყაირათიანობას, რაც მერწყულის საპირისპირო ნიშანია და ავითარებს სილამაზის აღქმის უნარს. ყურადღებას აქცევს ეთიკურობას, დახვეწილობას, სურნელს. თუ ადამიანი არ მოქმედება უნდა ეყრდნობოდეს ოპტიმიზმს, კეთილშობილებას, მაგრამ მარსი ადამიანს უკრძალავს ქედმაღლობის, ამბიციების გამოვლენას. ეს თვისებები უნდა იყოს მუდმივი თვითკონტროლის ქვეშ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გახდება წარუმატებლობის ერთ-ერთი ფაქტორი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მარსი მშვილდოსნის ნიშანშია. მისი დაბადების მომენტში და მშვილდოსანს მართავს გამარჯვების პლანეტა იუპიტერი, მოშურნე, მის გარშემო იქნება ჭორები და ინტრიგები. ამიტომ, როცა ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ მოდის პოლიტიკაში 2 ან 3 წლით, ეს იდეალურად ჯდება მის კოსმიურ პროგრამაში. მან გარკვეული დროის განმავლობაში უნდა დაალაგოს ურთიერთობები და სიტუაციები სამშობლოსა და უცხოეთთან მიმართებაში და მერე კი, ბატონო, გახდეს ნაცრისფერი კარდინალი. გვერდით გადგეს და გარკვეულწილად აკონტროლოს ეს სფერო.

ასპექტი აქვს მზესა და იუპიტერს შორის, რადგან ამ დიდ პლანეტასა და მნათობს ბრძოლა აქვთ, მაგრამ მათ აქვთ აგრეთვე ჰარმონიული ურთიერთობა მერწყულის პლანეტასთან, — მერკურთან, რომელიც მართავს ქველმოქმედებას. თევზები ავითარებს გამძაფრებულ ინტუიციას, ინტერესს ეზოთერული სფეროსადმი, აინტერესებს ფსიქოანალიზი, ითხოვს საიდუმლოების დაცვას, რაც ერთ-ერთი გარანტიაა წარმატებისა. ამიტომაა, რომ მოსახლეობის 95 პროცენტი სახეზეც არ იცნობდა ივანიშვილს, ყური ჰქონდათ მოკრული, რომ არსებობს ასეთი პიროვნება. თევზები ის ნიშანია, რომელიც ქრისტიანულ რელიგიას მართავს და ატარებს მის პოსტულატებს. ეს ერთადერთი ნიშანია, რომელიც მზად არის დაეხმაროს თავის მტერსაც კი.

**რასაც ახლა ფიქრობს ივანიშვილი, საზოგადოება, შეიძლება, ამის ჭეშმარიტებას ჩასწვდეს რამდენიმე წლის შემდეგ.**

მას აქვს გონება, რომელიც, მსოფლიო სტატისტიკით, გვაძლევს ნობელის პრემიის ლაურეატების 60 პროცენტს. ეს არის გამომგონებელთა, მკვლევართა გონება, მაგრამ ამ გონებას აქვს თავისი პრობლემები, იგი 24 საათის განმავლობაში ჩართულია, ტვინი დღე და ღამე მუშაობს, ამიტომ გამოსავალი არის ხშირი ძილი, დინამიური თამაშ-ვარჯიშები. ამათში შედის — ჩოგბურთი, ბადმინდტონი, ხელბურთი. ასევე ძალიან კარგია სუნთქვითი ვარჯიშები და ისეთი სისტემები, როგო-

მოეწონა, შინაგანი დისკომფორტი ექმნება. ძალიან მნიშვნელოვანია მისთვის ურთიერთობა ბუნებასთან, მიწასთან, მითუმეტეს, თუ მის ახლოს წყალი იქნება, ეს იდეალური გამწმენდი საშუალებაა.

**ბრწყინვალე მებაღე იქნება, მას სახლშიც უნდა ჰქონდეს მცენარეული კუთხეები. სადაც მომენტალურად დამშვიდდება.**

**ასევე, კურო უნერგავს ტრადიციებისადმი პატივისცემას, სტაბილური საოჯახო ურთიერთობა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ქაოსს ეს ნიშანი კატეგორიულად გაურბის.**

ახლა რაც შეეხება საქმიანობის მმართველ პლანეტა მარსს. მისი დაბადების მომენტში ეს პლანეტა მშვილდოსნის ზოდიაქოს 24-ე გრადუსშია, ანუ, როცა ივანიშვილი საქმეს ჰკიდებს ხელს, ავლენს მშვილდოსნის ელემენტებს. არის აქტიური, ენერგიული, ინიციატივიანი. შეუძლია, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. ნებისმიერი მისი

რაც მიუთითებს იმაზე, რომ ივანიშვილისთვის აუცილებელია უცხოეთთან ურთიერთობა. ეს მისი კარმული მისიაა. აუცილებელია უცხოეთთან ურთიერთობის ჰარმონიზება, ეს არის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მიეცემა საშუალება, მიიღოს მეტი ძალაუფლება და ასევე ემოციურ-სულიერი განვითარება. მეტიც, ვიტყვი, რომ უცხოეთი და სამშობლო თანაბარ დონეზეა. ორივეგან უნდა დაასტაბილუროს ურთიერთობები. კონკრეტულად ივანიშვილზეც არ ვამბობ, ჩემთან რომ მოსულიყო უცნობი პიროვნება ასეთი ჰოროსკოპით, იგივეს ვეტყოდი. თუ ადამიანი ამ ურთიერთობებს დაალაგებს სათანადო დონეზე, მიაღწევს წარმატებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ხდება დასჯადი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: თუ კარმული მისია ვერ შეასრულა, მოვლენები უფრო უმტკივნეულოდ ჩაივლის ბიზნესის სფეროში, მაგრამ გაცილებით მტკივნეული იქნება პოლიტიკაში. იმიტომ, რომ პოლიტიკა ამ პიროვნებისთვის არის ძალიან არასასურველი ფაქტორი. ეყოლება ბევრი ფარული მტერი,

**— რაზეც თქვენ ახლა ისაუბრეთ, ამაზე, კონკრეტულად, მისი ზოდიაქო მიანიშნებს?**

— არა, ჩემს მიერ ზემოთ ნათქვამი გახლავთ ივანიშვილის პირადი ასტროლოგიური რუკა, კოსმიური პასპორტი, როგორც მას ჩვენ ვუწოდებთ, მეორენაირად ჰქვია ნათალური, ანუ ინდივიდუალური ჰოროსკოპი, შექმნილი დაბადების მომენტში, ვარსკვლავებისა და პლანეტების განლაგების მიხედვით.



**— ახლა, ორიოდე სიტყვით, აღმოსავლურ ჰოროსკოპსაც შევეხოთ, იგი ხომ მაიმუნის წელიწადშია დაბადებული . . .**

— რადგან ივანიშვილი დაბადებულია მაიმუნის წელიწადში და მაიმუნის ფსიქოტიპი ახლოსაა მშვილდოსანთან, ეს უორმაგებს ენერგიას, აქტიური მოქმედების უნარს, ოპტიმიზმს. აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, მაიმუნი მეგობრობს დრაკონთან და ამიტომ დრაკონის წელში, (ანუ წელს) წარმატებების შანსი გაცილებით მეტი აქვს. აუცილებლად უნდა გამოიყენოს ეს წელი, რადგან შემდეგი წელი ეფექტური არ იქნება.

**თამუნა ქადაგიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ID-baraTi _ eleqtronuli sakoncentracio banaki!

2011 წლის 1 ივნისიდან, საქართველოში ოფიციალურად გამოჩნდა ელექტრონული ბარათი, რის შემდეგაც, საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელსაც გარკვეულ მიზეზთა გამო პირადობის მოწმობის აღება სურს, პირადობის მოწმობის დუბლიკატის ნაცვლად ელექტრონული ბარათის ე. წ ID ბარათის აღება უწევს. რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით, არავინ გაიძულებს მის აღებას, მაგრამ ძველი მოწმობის დუბლიკატი რომ არ გაიცემა, რა ქნას უსაბუთოდ დარჩენილმა მოქალაქემ?

ინგლისის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი: — „პიროვნების საიდენტიფიკაციო რეგისტრაცია, სხვა მრავალი გზით არის შესაძლებელი, თანხები, სჯობს, უფრო მნიშვნელოვან სფეროებზე დაიხარჯოს. ჩვენთან არ საჭიროებს ეს ბარათები. თუ უნდათ ამერიკაში, — იქ გამოიყენონ!“

ბერი პაისი: — „ახალი მოწმობა, ბეჭედი არაა, ეს ბეჭდის შემოტანის წინაპირობაა... რა თქმა უნდა, ისეთნიც არიან, რომლებიც ამბობენ, ეს, მხოლოდ ერთი ბერის აზრია და არა ეკლესიის პოზიცია. თუმცალა, შეხედულება, რომელიც მე გამოვთქვი, არ იყო ჩემი პირადი აზრი, მე მხოლოდ ქრისტეს სიტყვები გამოვთქვი, სახარების სიტყვები... ეკლესიამ სწორი პოზიცია უნდა დაიკავოს, უნდა განუმარტოს მორწმუნეებს, რათა გაიგონ, რომ მათ მიერ ახალი მოწმობის მიღება, ქრისტეს უარყოფის ტოლფასი იქნება.



ნელ-ნელა, მას შემდეგ, რაც ბარათებსა და პირადობის მოწმობებს, შემოიღებენ, ანუ პერსონალური დოსიეების შედგენის შემდეგ, ისინი მზაკვრულად დაიწყებენ ბეჭდის დასმას. ადამიანებს, სხვადასხვა მზაკვრული მეთოდებით დაუწყებენ იძულებას, მიიღონ ბეჭედი შუბლზე ან ხელზე. ისინი სიძნელებს შეუქმნიან მათ, ვისაც არ ექნება ბარათი, ვერც ყიდვას, ვერ გაყიდვას, ვერც სესხის აღებას და ვერც სამუშაოზე მოწყობას ვერ შეძლებენ. ამ სისტემით, ანტიქრისტეს მთელი სამყაროს დამორჩილება სურს!

სამწუხაროდ, ზოგიერთი თანამედროვე გნოსტიკოსი უნანავებს თავის სულიერ შვილებს, ვითარცა ჩვილებს, აქაოდა, არ შეშფოდნენო. „დაიცათ, — გვირჩევენ ისინი, — საშიშში არაფერია, ოღონდ, თქვენ იქონიეთ შინაგანი რწმენა“ ან კიდევ, ასე არიგებენ „ნუ საუბრობთ ამ მოწმობებზე, ბეჭედზე,“ — რომ ადამიანებმა არ იღელვონ. საუბედუროდ, შეიძლება, უამრავი სისულელე მოისმინონ „მე მივიღებ მოწმობას სამი ექვსიანით და მასზე ჯვარს გადავსახავ“, — ისინი ფიქრობენ, რომ ამგვარად იკურთხებიან, მაშინ, როცა ასეთი შეხედულება, უკვე ხიბლია. ტალახი არ განიწმინდება, სუფთა წყალი მადლს ღებულობს და ნაკურთხი ხდება, მაგრამ შარდი ხომ ნაკურთხი წყალი ვერ გახდება... ქვა, სასწაულებრივად, პურად შეიძლება გადაიქცეს, მაგრამ უწმინდურებას არ შეუძლია სიწმინდის მიღება. შესაბამისად, ეშმაკი, ანტიქრისტე, როდესაც თავისი სიმბოლოს სახით დაფიქსირდება ჩვენს მოწმობაში, ჩვენს შუბლსა ან ხელზე, ვერ განიწმინდება თუნდაც მასზე ჯვარი გამოვსახოთ...“

**ცნობილი რეჟისორი, პროდიუსერი, ბიზნესმენი აარონ რუსო:** — „მე ერთხელ, როგორღაც დამირეკა ერთმა ადვოკატმა და მკითხა, მსურდა თუ არა, შევხვედროდი ერთ-ერთ როკფელერს. მე სიამოვნებით დავთანხმდი და ჩვენ გავხდით მეგობრები. იგი მესაუბრებოდა ბევრ რამეზე. ერთხელ მან მითხრა, რომ გეგმავდნენ შეკრებას, სადაც განხილული იქნებოდა გეგმა იმისა, როგორ დავიპყრობდით ავღანეთს, რომ გაგვეყვანა მილსადენი კასპიის ზღვიდან, როგორ დავიპყრობდით ერაყს თავის ნავთობითურთ, რომ შეგვექმნა ბაზა ახლო აღმოსავლეთში. შემდეგ შევიჭრებოდით ვენესუელაში და მოვიშორებდით ჩავესს. პირველი ორი პუნქტი შესრულებულია, ხოლო ჩავესი ჯერ-ჯერობით დგას... შემდეგ მან თქვა, შენ შეხედავ, როგორ დაუწყებენ მთებში ძებნას იმ ხალხს, რომელსაც ვერასოდეს მიაგნებენ... იგი დასცინოდა ტერორიზმთან ბრძოლას, როგორც რეალურად არარსებული მტრის წინააღმდეგ წამოწყებულ ომს. იგი ამბობდა, რომ ტერორიზმთან ომი არასდროს დასრულდებოდა და ვერასდროს მოიგებდნენ იმიტომ, რომ ეს მარადიული ომია და მისი საშუალებით ყოველთვის შეიძლება წაართვათ ადამიანებს თავისუფლება. მე შევეკითხე: — როგორ გინდათ, რომ დაარწმუნოთ ადამიანები ამ ომის რელობაში? მან მიპასუხა: — რა თქმა უნდა, ტელევიზიის საშუალებით. თქვენ გამუდმებით ესაუბრებით ხალხს ამის შესახებ და მათ ეს სჯერათ! თქვენ ხომ იცით, რომ 1913 წელს ასეთი ტყუილებით შექმნეს ფედერალური რეზერვები, ასევე, 11 სექტემბერი, რომლის შემდეგაც დაიწყეს ეს ომი გამოგონილ ტერორიზმთან. შემდეგ შეიჭრნენ ერაყში, ესეც სიცრუეა, ახლა კი, რიგში ირანია და სხვა მრავალი. მე ვკითხე: — რატომ აკეთებთ ამას, რისთვის გჭირდებათ, თქვენ ხომ ისედაც გაქვთ მთელი ფული და ძალაუფლება ამ ქვეყანაზე, თქვენ ხომ ხალხს კლავთ — არ არის კარგი. მან მითხრა: — რაში გენაღვლება ხალხი, შენ, შენს თავზე იფიქრე, შენს ოჯახზე. მე ვკითხე: — თქვენი საბოლოო მიზანი რა არის? მან მითხრა: — ბოლო მიზანია ის, რომ მსოფლიოში ყველას იმპლანტირებული ჰქონდეს რადიოსიხშირიანი საიდენტიფიკაციო ჩიპი და მთელი მათი ფული მიმაგრებული იყოს ამ ჩიპზე. ვინც პროტესტს გამოთქვამს და ჩვენს წინააღმდეგ წავა, ჩიპს გავუთიშავთ...“

აარონ რუსო ამ ინტერვიუს ჩაწერიდან სამი კვირის შემდეგ, 2007 წლის 24 აგვისტოს გარდაიცვალა. მისი ახლობლები თვლიან, რომ იგი საიდუმლო შეთქმულების მსხვერპლი გახდა...

**ამონარიდი რუის-ურბნისის მიტროპოლიტი მეუფე იობის ქადაგებიდან იუსტიციის სახლებსა და ჩიპიან პასპორტებზე.**

„ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ისეთ დროში, რომელზეც ნათქვამი აქვთ წმინდა მამებს, რომ რჩეულნიც კი შეცდებიან, ისეთი დიდი საცდურები იქნებაო. მე კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, რომ არავითარ შემთხვევაში ელექტრონული ბარათების, პირადობის მოწმობების აღება, არ შეიძლება! იქ არის „მხეცის სახელი“ დაფიქსირებული, სამი 6-იანი („666“) და სწორედ იმას, შენი ნებით მიდიხარ და ხელს აწერ, ღებულობ და გულის ჯიბით ატარებ მას. ეს ნიშნავს, რომ უკვე დათანხმდი „მხეცს“, დათანხმდი ბოროტ სულს.

თუ უკვირდებით, ექსპერიმენტი საქართველოში ტარდება. თქვენ მოისმენდით მაღალჩინოსნებისგან, მსგავსი საბუთი მსოფლიოში არ არისო, — იმიტომ, რომ ეს საიდანღაც ხდება.

ჩვენი ქვეყანა არის მართლმადიდებელი, მრავალეროვნული, მრავალკონფესიური ქვეყანა და აი, სწორედ ამის მოდელზე აგებენ და ექსპერიმენტს ატარებენ საქართველოში, — ამის ხელშეწყობა ყველანაირად ხდება. შენობები იდგმება, ტექნოლოგიები ვითარდება და მთელი მსოფლიოდან ხელს უწყობენ, რომ ეს დაინერგოს საქართველოში.

ჩვენ გავუძელით მრავალ განსაცდელს, კომუნისტურ რეჟიმსაც და მე დარწმუნებული ვარ, ამასაც გადავიტანთ! ეს არის ქართველი ერის გამოცდა და ამიტომ, მეტი სიმტკიცე გვმართებს, მეტი მოთმინება და წინდახედულება, რომ არ წამოვეგოთ ეშმაკის ამ გაღმოგდებულ ანკესს! ამის შემდეგ, საღვთო მადლი საბოლოოდ დამკვიდრდება საქართველოში, აი, ამის შემდეგ გაძლიერდება საქართველო, ამის შემდეგ ამოვისუნთქებთ, მხოლოდ, ეს გამოცდა კარგად უნდა ჩავაბაროთ.

იმდენად შემოიჭრა პოლიტიკა ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს ყოფაში, რომ ფაქტიურად, ადამიანიც გარდაიქმნა. ზოგიერთ სასულიერო პირს თავისი თავი პოლიტიკოსი ჰგონია, იმის მაგივრად, რომ სიმართლე თქვას, იმის მაგივრად რომ ამხილოს ვიღაც, თუ დანაშაულს სჩადის, უკვე პოლიტიკურად აზროვნებს, უკვე დიპლომატიას მიმართავს და ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება იმას, როდესაც უფალი გვასწავლის რომ „ ჰო — ჰო და არა — არა, მესამე ეშმაკისაგან არისო., ან „ჰო“ უნდა თქვათ მოვლენაზე, ან „არა!“

ათონის წმინდა მთის წმინდა სინოდის განცხადება ელექტრონულ ბარათებთან დაკავშირებით.

„მოქალაქის ელექტრონული ბარათი ახდენს მოქალაქის პიროვნების იდენტიფიცირებას, რთავს მას რიცხვით სისტემაში და აქცევს თავის ელექტრონულ მფლობელობაში. უფრო მეტიც, ამის შედეგად, ყველა ასეთი ბარათის მქონე მოქალაქე ერთვება კომპიუტერულ სისტემაში, რომელიც მუდმივ კონტროლს გაუწევს ადამიანების ქმედებას და დაამუშავებს მონაცემებს მათი პირადი ცხოვრების შესახებ. ეკონომიური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამუშაო, სოციალურ-ეკონომიური მდომარეობა, ურთიერთობა, რაც, თავისი არსით, ფაქტიურად, აუქმებს ადამიანის მთავარ ღირებულებას, პიროვნულ თავისუფლებას.“

კრებაზე მონაწიელეობას იღებდა ათონის მთის ოცივე მონასტერი.

2011 წლის 5 მაისი.

საბერძნეთსი რამდენიმე მრავალათასიანი საპრტოტესტო მიტინგი გაიმართა მოქალაქეთა ახალი ელექტრონული ბარათების წინააღმდეგ.



2011 წლის 6 თებერვალს არქიმანდრიტმა სარანტეს სარანტოსმა თავის ხალხს მიმართა: „ჩვენ არ გვსურს შევერწყათ ანტიქრისტეს მსოფლიო სახელმწიფოს, რომელიც ჩვენს თვალწინ ყალიბდება; ჩვენ ასევე არ გვსურს ანტიქრისტეს ელექტრონული ბარათი მისივე ბეჭდით; ჩვენ არ გვინდა „666!“ ჩვენ არ გვინდა ანტიქრისტეს ნიშანი! ჩვენ არ გვინდა ანტიქრისტეს ბეჭედი!

ასე, ჩვენ მოგვიწევს საკუთარი შვილებისა და ნათესავების მიტოვება და შემდგომნი თაობები წამსვე იქნებიან ბოროტების ბეჭდით აღბეჭდილნი, რა წამსაც შემოვლენ ცხოვრებისეულ ორომტრიალში. წმინდა სინოდმა მოუწოდა მორწმუნეებს, არ მიეღოთ პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული მოწმობები. მაშინ, ეკლესიის ზეგავლენით, მთავრობამ უკან დაიხია.

დღევანდელი ელექტრონული ბარათები წინანდელზე უარესია, — მიკროჩიპი, რომელსაც შეიცავს მოქალაქის ბარათი, თავის საკმაოდ დიდი მახსოვრობის გარდა, ის დაპროგრამებული იქნება ხელისუფლების მოთხოვნებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. რომელი ხელისუფლების? — ჩვენი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრმა რამდენჯერმე განაცხადა, „ჩვენ სასწრაფოდ გვჭირდება მსოფლიო მთავრობა!“ რას ფიქრობს იგი, ბერძენმა ხალხმა, განა არ აირჩია მთავრობა? არჩევნები, განა არ ატარებდნენ კანონიერ ხასიათს? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ არ იყო გამოხატული ნება ერისა?

ამრიგად, საბერძნეთის მოქალაქის ნებისა და სურვილის გარეშე, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ყოველგვარი არჩევნების გარეშე, ყალიბდება მსოფლიო ელექტრონული სახელმწიფო, რომლის მთავარი იარაღი, მის თითოეულ მოქალაქესთან დაკავშირებით, იქნება მოქალაქის ელექტრონული ბარათი. ჩვენი ხალხისთვის არავის უკითხავს, სურს თუ არა მას ამგვარი დოკუმენტი. ხელფასებისა და დახმარებების შეკვეცით, უმუშევრობის მუქარით, ჩვენს ერს ყელში წაუჭირეს და თავი გააყოფინეს ეკონომიკურ კრიზისში. მიზანი გახლავთ სახალხო პროტესტის მინიმალიზაცია, გონებისა და სინდისის მიძინება, მატერიალიზმისა და ეგოიზმის წაქეზება, — არსებითად ეს იქნება ჩვენი დიდებული ერის მზაკვრული ექსპლუატაცია, რაც მას არ უხილავს მისი 3 000 წლოვანი ისტორიისა და კულტურის განმავლობაში. ის უეცრად აღმოჩნდება მსოფლიო ელექტრონული მმართველობის ხახაში.

ჩვენ ყველას გვესმის ის უდიდესი საფრთხე, რომელიც გველის. აშშ-ის 25 შტატი ეწინააღმდეგება მოქალაქის ბარათის დამკვიდრებას; ინგლისის მოქალაქეებმა, არამარტო შეიგნეს და მიხვდნენ, რომ ამგვარი ელექტრონული დოკუმენტის მიღება მათ მიიყვანს ელექტრონულ საპყრობილემდე, სადაც დარღვეული იქნება ადამიანის ყოველგვარი უფლება და უარი თქვეს მოქალაქის ბარათის მიღებაზე, რაც გამოიხატა შესაბამისი კანონის გაუქმებით. მათ ასევე, საკუთარი მთავრობისგან მოითხოვეს 100 დღის განმავლობაში, მონაცემთა ბაზიდან წაეშალათ ყველა მათი პერსონალური მონაცემი.

გერმანიის მოქალაქეები ეროვნული ტელევიზიით აკვირდებოდნენ ჰაკერებს, რომლებაც სატელევიზიო საინფორმაციო საშუალებით, გატეხეს გერმანელი მოქალაქის ბარათი, აიღეს ორი თითის ანაბეჭდი და ექვსნიშნიანი კოდი, რომელიც თან ერთვის ბარათის მფლობელის ციფრულ ხელმოწერას. ამით ჰაკერებმა დაამტკიცეს ელექტრონუყლი ბარათების არასაიმედობა, მასში პერსონალური მონაცემებისა და ფულადი ანგარიშების შენახვის თვალსაზრისით.

**მოამზადა**
**მაია ჭელიძე**



# didi mavneblobis epoqa qarTuli jandacvis sistemaSi

„საერთო გაზეთის“ მკითხველს უეჭველად ემახსოვრება ჩემი რამდენიმე პუბლიკაცია, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, ჰერეთის, კერძოდ კი ლაგოდეხის რ-ნის პრობლემების შესახებ მქონდა დაწერილი, მაგრამ, რასაც დღეს მოგახსენებთ, მერწმუნეთ, ყველა დანარჩენ პრობლემას დაჩრდილავს და ამ ყველაფერში კი მთავარი დამნაშავე, სააკაშვილის „გენიალური“ რეფორმები და ყბადაღებული 100 საავადმყოფოა!

ლაგოდეხში, მდინარე შრომის ხევის პირას, ზედ სახელმწიფო ნაკრძალის მისასვლელთან, კომუნისტურ ეპოქაში აგებული 3 დიდი შენობაა, სადაც წლების განმავლობაში პოლიკლინიკა, საავადმყოფო და ინფექციური განყოფილება ცალ-ცალკე ფუნქციონირებდა! რა თქმა უნდა, ბავშვთა განყოფილებას ცალკე ფართი ჰქონდა დათმობილი და ამ საავადმყოფოებში, გასული საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, უმაღლესი კატეგორიის მედ.პერსონალი მუშაობდა!

ლაგოდეხის საავადმყოფოში მრავალი უნიკალური ოპერაცია გაკეთებულა მრავალი ახალშობილის სიცოცხლე გადაურჩენიათ, ისევე როგორც შეუნარჩუნებიათ დედის სიცოცხლეც; თუკი გართულებები დაწყებიათ ავადმყოფებს, ლაგოდეხელი ექიმები ზედმეტი ქედმაღლობის გარეშე, მათ თბილისში უშვებდნენ სამკურნალოდ და პირადად მე, ათასგზის მსმენია, რომ იქ, პროვინციაში — ლაგოდეხელი ექიმების ზუსტი დიაგნოზი და მაღალი პროფესიონალიზმით ჩატარებული ოპერაციებით თბილისში მომუშავე პროფესურა არათუ აღტაცებული, გაოცებულიც ბევრჯერ დარჩენილა!

რაღა შორს წავიდე, რამდენიმე წლის წინ ჩემს ერთადერთ ძმას მუცლის ღრუს სრული ატროფია და დიაფრაგმა დაერღვა. საავადმყოფოში ცოცხალ-მკვდარი მიიყვანეს მუცლის აუტანელი ტკივილებით, პირღებინებით და ა.შ. პირველადი დათვალიერების შემდეგ ექიმმა, აწ გარდაცვლილმა გია ნოზაძემ ბრმა ნაწლავის ოპერაციის ჩატარება გადაწყვიტა და ჩემი ძმა საოპერაციო ბლოკში რამდენიმე წუთში შეიყვანეს, მაგრამ სხეულის გაკვეთის შემდეგ აღმოჩნდა, რომ არათუ ბრმა, არამედ სხვა ნაწლავებიც სადღაც გამქრალიყო და ექიმს მუცლის ღრუ, თითქმის ცარიელი დახვდა! დაბნეულმა და გაოგნებულმა, ცხონებულმა, გია ნოზაძემ, სასწრაფოდ გადაურეკა რაიონის იმედს, სუპერ-პროფესიონალ ექიმს, კახეთში „ოქროს ხელები“-თ ცნობილ გია ლობჟანიძეს, რომელიც იმ დროს ქორწილში იმყოფებოდა (შაბათი იყო) და გიაც, რამდენიმე წუთში საოპერაციო ბლოკში გაჩნდა! ოპერაცია 8 თუ 9 საათი მიმდინარეობდა და როგორც იქნა, მოგვიანებით, ყველაფერი სიცოცხლის გამარჯვე-



ბით დასრულდა! მაგრამ ამ ისტორიაში უმთავრესი ის არის, რომ ჩემს ძმას ნაწლავები იღლიასთან დიაფრაგმის ხვრელში ჰქონდა ასული და თითოეული მათგანის „ჩამოწელვას“, მუცლის ღრუში ჩალაგებას ორგანიზმის ბუნებრივ მდგომარეობამდე მიყვანას უმაღლესი კატეგორიის ექიმი-ქირურგის კვალიფიკაცია სჭირდებოდა, რადგან ის დიაგნოზი, რომელიც ჩემს ძმას დაუდგინდა — მილიონ ადამიანში (შეიძლება უფრო მეტშიც) ერთს ემართება და რომ არა გია ლობჟანიძის მაღალი სამედიცინო განსწავლულობა — დღეს ჩემი ძმა უდიდესი ალბათობით, მკვდარი იქნებოდა.

ძვირფასო მკითხველო! ამ წერილს მთელი ლაგოდეხის რაიონის (არა მხოლოდ) სახელით ვწერ და შემდეგ თავად განსაჯეთ იმ მავნებლობის შესახებ, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი და მისი ჯანდაცვის სამინისტრო ერთობლივად ეწევიან ლაგოდეხის რაიონში. კერძოდ:

რამდენიმე თვის წინ, (ისევე როგორც მთელ საქართველოში) პრეზიდენტად წოდებული მავანი, ახალი „საავადმყოფოს“ „არქიმედის“ გასახსნელად ჩაბრძანდა ლაგოდეხში, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ლაგოდეხელების უდიდესმა უმრავლესობამ — ამ საავადმყოფოს გახსნაზე მისვლა არ ისურვა! მიუხედავად ასეთი დახვედრისა, სააკაშვილმა ყოველგვარი რიხის გარეშე, „დაბალ ტონალობაში“ „არქიმედი“ მაინც გახსნა და თავის გზას შეცბუნებულიც გაუყვა, მაგრამ რატომ არ მივიდა ხალხი „რჩეულ“ პრეზიდენტთან, რატომ არ იყვირეს — „მიშა, მიშა“, რატომ არ მიაძახეს — „შენს გამზრდელს ვენაცვალეთო“ და ა.შ. — ამას თავისი მრავალი მიზეზი ჰქონდა და ერთ-ერთი მიზეზთაგანი კი ის იყო, რომ ე.წ. „საავადმყოფო არქიმედი“, სხვა საავადმყოფოს „ჩაძირვის“ წინაპირობით შენდებოდა და ეს „ჩასაძირი“ საავადმყოფო კი შპს „კელაპტარი“ გახლდათ, რომლის მთავარი ექიმიც სწორედ ის გია ლობჟანიძეა, რომელმაც არა მხოლოდ ჩემი, არამედ უამრავი ოჯახი იხსნა სიკვდილისაგან!

ლაგოდეხელთა ეჭვი გამართლდა, ე.წ. ხელისუფლებამ „უმაღლესი სტანდარტებით“ აღჭურვილი საავადმყოფო „არქიმედი“, (ნეტავ რა ფილმშია არქიმედი მედიცინასთან?) „კელაპტარის“ საპირწონედ, ვითომცდა „ჯანსაღი კონკურენციის ეგიდით), მაგრამ ხალხი, ანუ ისინი, ვისაც სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდა, „მიშას საავადმყოფოსკენ“ დღემდე არ იხედებიან და ვისაც მაინც მოუხდა „არქიმედში“ მკურნალობა-თავბედს იწყევლიან, ეს რა შეცდომა დავუშვით, მანდ როგორ მივედით სამკურნალოდო?!!

რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ჯერ ერთი, „არქიმედში“ კატასტროფული ფასებია და მეორეც — მშობიარე, ტრავმირებული, დამწვარი, ონკო-ავადმყოფი, ინფექციებით დაავადებულები, დანეკროზებულ-დაჩირქებული ერთი ფართში არიან თავმოყრილები და მათ ერთმანეთისგან მხოლოდ ე.წ. თანამედროვე „კედელი“ — „გიპსოკარდონის“ თხელი გადაღობვა აშორებთ! ანუ, მშობიარე ქალის კივილი, ფაქტიურად, მის გვერდით მწოლიარე ტრამვირებულს, ბავშვს თუ მოხუცს ერთნაირად ესმით და მეორე —„არქიმედში“ ყველა ოპერაცია თუ ნებისმიერი სამედიცინო მანიპულაცია — ერთ კაბინეტში ხდება!

რამდენიმე დღის წინ, „მიშას საავადმყოფოში“, ლაგოდეხის რ-ნ სოფ. აფენიდან 7 თვის ორსული გოგონა, გვარად გიორგობიანი, მიუყვანიათ, რომელსაც ნაადრევი მშობიარობა დაწყებია. როგორც გარკვეულა, ჩვილი მუცელში მომკვდარა და ოპერაციის ჩატარება გარდაუვალი იყო, ჰოდა, გაუკვეთიათ საკეისრო კვეთით ეს გოგო, მაგრამ დამხმარე ექიმად მაინც გია ლობჟანიძის „კელაპტარიდან“ მოუყვანიათ გინეკოლოგი ქირურგი — და ღვთის მადლით, დედის სიცოცხლეს საფრთხე აღარ დამუქრებია!

თუმცა — გიორგობიანების ოჯახს, „არქიმედის“ მომსახურება 1700 ლარი დაუჯდა და ახლა თავად განსაჯეთ, როგორი „ხელმისაწვდომი“ ფასებია ამგვარ თანამედროვე საავადმყოფოებში!

თავში ქვა და მუცელში სამართებელი უთხრია სააკაშვილსაც და მის მყვარებლებსაც, მაგრამ ლაგოდეხელების, გურჯაანელების, დედოფლისწყაროელების, ყვარლელების, თელაველების, სიღნაღელების, წნორელების და თუ გნებავთ, საგარეჯოელების უკიდურესი აღშფოთების მიზეზი ის გახდა, რომ კახეთის ერთ-ერთი პირველი, პროფესიონალი ექიმის მიერ დაფუძნებულ საავადმყოფო „კელაპტარს“, „არქიმედის“ გახსნიდან მეორე დღესვე — კონტროლის პალატის თანამშრომლები მიუსიეს და აქაოდა, ხალხი უპირატესობას „კელაპტარს“ ანიჭებს, ერთი „მიზეზები გამოვიკვლიოთ, რაშია საქმეო“ — ულტიმატუმებით დაუწყეს ლაპარაკი, როგორც გია ლობჟანიძეს, ასევე მის თანამშრომელ მედ.პერსონალს!

კონტროლის პალატამ „ქექაქექა- და ის გამოქექა, რომ შპს „კელაპტარი“, თურმე, ნუ იტყვით და „თანამედროვე“, ანუ ულტრათანამედროვე აპარატურით არ ყოფილა აღჭურვილი! საავადმყოფოს შენობასაც, თურმე, თანამედროვე დიზაინით ჩასატარებელი რემონტი ესაჭიროება! სამედიცინო ხელსაწყოები, მედიკამენტები, შესახვევ-გადასახვევი საშუალებები და ა.შ. „კომუნისტური“ ეპოქის დროინდელები ჰქონიათ და ვინ მოთვლის, რამდენი „დაუშვებელი“ რამ „აღმოუჩენიათ“, „კელაპტრის“ მესვეურთათვის, მაგრამ ყველაზე დიდი მავნებლობა, რაც კონტროლის პალატას, ექიმ გია ლობჟანიძისთვის, როგორც „რეკომენდაცია“ ისე მიუცია, ის იყო, რომ „კელაპტარს“ სასწრაფოდ უნდა უზრუნველეყო აღნიშნული „დარღვევების“ ლიკვიდაცია თორემ უმოკლეს დროში — საავადმყოფოს დახურავდნენ და დიდ საჯარიმო სანქციებსაც დაუწესებდნენ!

ახლა, ხომ საინტერესოა, რეალურად რა ვითარებაა მთელს კახეთში სახელგანთქმულ „კელაპტარში?“

პირადად მე, არაერთხელ ვყოფილვარ და თუ დამიჯერებთ — როგორც ტექნიკური, ისე სანიტარული თვალსაზრისით — იქ აბსოლუტური წესრიგია! მართალია, გია ექიმის მიერ შეძენილი სამედიცინო აპარატურა, მიშა სააკაშვილის ბრძანებით ჩამოტანილ აპარატურას ვერ შეედრება, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია — ამ აპარატურის მიზეზით არც ადამიანები დახოცილან და არც ექიმებს დაუწყიათ მარჩიელობა — ამ „კნოპკას“ თითი, რომ დავაჭიროთ, რაიმე ცუდი ხომ არ მოხდებაო?“



მთელმა კახეთმა იცის, რომ „კელაპტარში“ პაციენტს, წინასწარ ჯერ ფულს კი არ სძალავენ, როგორც ეს ყველგან ხდება, არამედ სამედიცინო გამოკვლევას გულდაგულ უტარებენ და მხოლოდ ამის შემდეგ ეუბნებიან — რა ღირს, ესა თუ ის მომსახურება! თუ ავადმყოფს მატერიალური შესაძლებლობა არ აქვს, გადასახდელ თანხას უნახევრებენ და მეტიც, ყოფილა უამრავი შემთხვევა, როცა აბსოლუტურად უფასოდ ჩაუტარებიათ „კელაპტრის“ მესვეურებს ესა თუ ის ოპერაცია, ანდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება! ანუ „კელაპტრის“ ხელმძღვანელი გია ლობჟანიძე იმიტომ, რომ ნაღდი ექიმი და ნაღ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

დი ქართველია, ქველმოქმედებასაც უხვად გასცემს და ალბათ სწორედ ამიტომაცაა, რომ — ცანცარა სააკაშვილის და მისი მონა, ჯანდაცვის სამინისტროს სამიზნე გახდა მის მიერ ნალოლიავები საავადმყოფო!

აღსანიშნავია, რომ გია ლობჟანიძემ „ოქროს მედალზე“ დაამთავრა ლაგოდეხის №1 საშუალო სკოლა და ოქროს მედალი, ანდა სამედიცინო ინსტიტუტის „წითელი დიპლომი“ იმიტომ კი არ ჰქონდა, რომ დედ-მამა ჰყავდა რაიკომის მდივნები, არამედ იმიტომ, რომ — წესიერი, შრომისმოყვარე, ბეჯითი და მაღალი ზნეობის მატარებელი ადამიანი იყო! მე მას ბავშვობიდან ვიცნობ და როცა ჩემი ძმის ოპერაციის შემდეგ დაღლილი, დათრგუნული და შეწუხებული გამოვიდა, როცა რამდენიმე საათში სალაროში ფული უნდა გადამეხადა და ჩეკით ზემოთ ავსულიყავი, ასე მითხრა —„ირა, ჯერ ვერაფრის გარანტიას ვერ გაძლევთ, არ ვიცი, ვანო გადარჩება თუ არა, დავიცადოთ რამდენიმე დღე, ვნახოთ ნაწლავების ფუნქცია თუ აღდგება და შემდეგ ვილაპარაკოთ თანხაზე, სადმე გავრბივართ ან მე და ან შენ?“-ო. ახლა დედამიწის ზურგზე, კონკრეტულად კი საქართველოში, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით — ასეთი ექიმები დღეს კიდევ გვგულებათ???

მთელი უბედურება იმაშია, რომ ლაგოდეხის გამგებლიდან დაწყებული, ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატით, საბიუჯეტო თუ კომერციული სტრუქტურების თანამშრომლებით დამთავრებული — ყველა შპს „კელაპტარის“ მხარეზეა და ხმამაღლა ამბობენ, რომ თუკი გია ლობჟანიძემ საავადმყოფო დახურა, თავად კი ლაგოდეხიდან სამუშაოდ სხვაგან, სხვა ქალაქში გადავიდა — მთელ კახეთს „დაერხევა“ იმიტომ, რომ ასეთი ექიმი, ასეთი ადამიანურ-პროფესიული გარემო, სხვა არც ერთ საავადმყოფოში არ იქნება და მეტიც, მოსახლეობა ამბობს რომ, თუკი გია ექიმი ლაგოდეხიდან წავა —„მიშას საავადმყოფო „არქიმედს“ ერთ წუთში დაწვავენ და კუდში მიაყოლებენ იმ დანარჩენებსაც, რომლებიც ახლო-მახლო რაიონებში გახსნა!

მუხანათობის, სიძულვილის, ზიზღის და ხალხის აბუჩად აგდების ნათელი მაგალითია ისიც, რომ სასწრაფო დახმარების მანქანას, „შპს კელაპტარში“ ავადმყოფის მიყვანა აკრძალული აქვს! თუმცა მრავალი დამერწმუნება, რომ „მიშას არქიმედში“ არაერთი ოპერაციის დროს, სასწრაფოდ გია ლობჟანიძე მიუყვანიათ — ემანდ ავადმყოფი არ მოგვიკვდესო!

ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ვამბობ — ექიმმა გია ლობჟანიძემ ათასობით უიმედო ადამიანისთვის შეძლო სიცოცხლის შენარჩუნება და იმიტომ, რომ ნაღდი პროფესიონალია, არც ამჯერად აპირებს სიკვდილთან დანებებას! იმიტომ, რომ ადამიანების სიცოცხლე და პარალელურად მისი ხელმძღვანელობის ქვეშ დაქვემდებარებული საავადმყოფო შეინარჩუნოს, გიამ სასწრაფოდ თანამედროვე სტანდარტებით უნდა აღჭურვოს შპს „კელაპტარი“ და საამისოდ ბანკიდან ძალიან დიდი სესხი გამოიტანეს!

რა თქმა უნდა, ეს ამბავი უმალ მოედო კახეთს და როგორც მიიხრეს, სესხის დაფარვის სურვილით, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც საზღვარგარეთ არიან ლუკმა-პურის საშოვნელად და რომელთა რაოდენობაც მხოლოდ ლაგოდეხიდან ასეულობითაა!

მტრის, სააკაშვილის და კიდევ ბევრი უსაქმურის ჯინაზე სულ მალე „კელაპტარში“ რემონტიც დასრულდება და თანამედროვე აპარატურაც დამონტაჟდება, მაგრამ სამართლიანობისთვის კიდევ ვუბრუნდები „მიშას საავადმყოფოების“ ხარისხს — რა, თქვენს მიერ აშენებული „ახალი“ საავადმყოფოები ჯდება თანამედროვე სტანდარტებში უბედურო „ნაცებო?“

ანდა, რა მორალში, რა ხალხის სიყვარულში ჯდება ის ჯანდაცვის რეფორმა, რომელიც, თუნდაც, ლაგოდეხის რაიონში გაატარეთ და რომლის გამოც 65 ადამიანი, უმუშევარი დატოვეთ?

არახალია, რომ ვინც „მშობლიურ პარტიას“ არ ემონება, იგი „კაცობრიობის“ მტრად მიაჩნია სააკაშვილს, მაგრამ მთელ ლაგოდეხის რაიონს რომ ეზიზღება სააკაშვილი და შენს მიერ გატარებულ რეფორმებსაც „ნიკოლოზის ექსპერიმენტებს“ ეძახის ხალხი (ფილმიდან „უდიპლომო სასიძო“) არ იცი, თუ იცი და თვალებს იბრმავებ?

სააკაშვილო! ხალხმა ლაგოდეხში უკვე ბევრჯერ გაჯობა და ეს ბოლოს გიგი წერეთელთან შეხვედრაზეც კარგად გამოჩნდა, როცა „ბატონ“ გიგის აღშფოთებულმა მოსახლეობამ საავადმყოფო „კელაპტარის“ შესახებ კითხვები დააყარა და ბოლოს ის მუქარებიც გააჟღერა, რომელიც ამ საავადმყოფოს შესაძლო დახურვის შემდეგ იყო მოსალოდნელი!

დაბნეულმა გიგი წერეთელმა — „კი, ბატონო, იყოს „კელაპტარიც“, მე მივესალმები ჯანსაღ კონკურენციასო“ — თქვა, მაგრამ „ნაციონალური ჯანსაღი კონკურენცია“ რასაც გულისხმობს, ხომ ყველას კარგად მოგვეხსენება?

ამიტომ, ფრთხილად, ლაგოდეხელებო!

ერთადერთ კელაპტარს ნუ ჩააქრობინებთ სააკაშვილის ხროვას, თორემ, მერე ველარც „არქიმედი“ გიშველით, ველარც „ჰიპოკრატე“ და ველარც „მედეა“ შვილის, მამის, დედის და მეუღლის გადარჩენაში!

პატივისცემით:
**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S. რამდენიმე დღის წინ კახეთში, დაბა წნორში, მიხეილმა, დიდი ზარზეიმით, ზედ გზის პირას, მთავარ მაგისტრალზე „ახალი საავადმყოფო“ გახსნა! ვინც წნორში ერთხელ მაინც ყოფილა, დამერწმუნება, რომ, რაც კი მსოფლიოში მტვერია, ყველა აქ არის წნორში მოფრენილი და ის ცენტრალური მაგისტრალი, რომელზეც ახალი საავადმყოფო აშენდა, დაბიდან კარგა მოშორებით და მტვრის კორიანტელშია აგებული!**

**აღსანიშნავი და ძალიან სასაცილოა ისიც, რომ ამ საავადმყოფოს გახსნაზე, მთელი კახეთიდან და თბილისიდან მოაგროვეს „კრიკუნები“, ხოლო ის მამაკაცი, რომელიც მიშას ხმამაღლა უყვიროდა — „მიშავ, შენ კი გენაცვალეო“, წნორის ცნობილი გიჟი, ვინმე ვაჟა ყოფილა, რომ აღარაფერი ვთქვა იმ დედაკაცებზე, რომლებიც ოღონდ ტელევიზორში გამოჩენილიყვნენ, ყველაფერზე თანახმა იყვნენ! ერთიცაა, წნორის ახალი საავადმყოფოს მიმდებარე მინდვრები გველით, თაგვით, ვირთხით და ანტისანიტარიით რომ არის გარშემორტყმული — ესეც „რეფორმის“ ერთგვარი ატრიბუტია, „ნაცები“ თუ უბრალოდ, საერთაშორისო სტანდარტებით იყო ნაკარნახევი?**

**როგორც კახელები ამბობენ, ხოლმე.**

**მო.....ნთ რეფორმა „ნაცებო“, თქვენი გაკეთებული საქმეები ვინა თქვა, ოოო?!!!**



facebook

# xa l xis az r iT

ვაშა - ყველაზე ჰუმანურ პოლიციას სამყაროში.

პ.ს. თსუ-ში გუშინდელი ცემა-ტყეპის შემდეგ - აი ასეთი განცხადება გაავრცელა შსს-მ.

ეხლა წარმოიდგინეთ - ამ ბლოგერებს რომ გაელახათ - თვითმმართველობის წევრები - სად იქნებოდნენ ბლოგერები დღეს? - ციხეში. და 3-თვიანი პატიმრობა - სასამართლოს კაი ხნის გამოტანილი ექნებოდა - და ეს ყველაფერი ივანიშვილის სახელთან იქნებოდა დაკავშირებული - ხომ ასე?

ამაზრზენია - ეს ყველაფერი.

როგორც ვხვდები, სააკაშვილის პროპაგანდისტული მედია მალე საქართველოში ანტისემიტიზმის, იუდოფობიის მებაირახტრე გახდება. ალბათ, სასურველია, საერთაშორისო საზოგადოება საქმის კურსში იყოს, თუ რა ბინძურ პოლიტიკურ მეთოდებს იყენებს საქართველოს დღევანდელი მმართველი ძალა, როცა ასევე ბინძური ხერხებით ებრძვის პოლიტიკურ ოპონენტებს. ბატონებო, გონს მოეგეთ! მესმის, რომ ზოოლოგიურად გძულთ ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ არ მესმის, რატომ ებრძვით იუდაიზმს, კაბალას... თქვენს სტატიებში ციტატები საიდანაც არ უნდა მოიყვანოთ, კარგად უნდა გახსოვდეთ, რა შეიძლება ამას მოჰყვეს. ნუ გადააყოლებთ ერთი შიზოიდის ახირებებს ქართველთა და ებრაელთა, მართლაც, უნიკალურ ურთიერთობას!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!

სასიხარულო ინფორმაცია გამოვიდა უნივერსიტეტიდან – შეიცვალა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ბრძანება, რომლის თანახმადაც იურიდიულ ფაკულტეტზე შესრულებულ ყველა სახის სამეცნიერო ნაშრომში მითითებული რუსულენოვანი წყაროები არ უნდა აღემატებოდეს ნაშრომში გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის საერთო ოდენობის ერთ მეხუთედს. ახალი ნორმის მიხედვით, გამოყენებული რუსული ლიტერატურის რაოდენობა გაიზარდა ერთ მეოთხედამდე. ამავე დროს, ნებადართულია ჰემინგუეის ყოველი ხუთი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ჩეხოვის ორი, ან ტოლსტოის ერთი მოთხრობის წაკითხვა.

ეს ჭიაბერაშვილია მულტიფუნქციური თუ კადრებში ჭედავენ ეს ნაცები? ჭიაბერაშვილს დისერტაცია რა თემაზე აქვს დაწერილი?... “მედიცინა ხალხის სამსახურში” და “ეფრემ ვერდი ნაციონალური წარმატების საწინდარი”... ისე მაღალოოო, ლომაია რო დაგენიშნა ჯანდაცვაში, არ ჯობდა? რაც არ უნდა იყოს “სანტეხნიკია” ჰოო და სანტეხნიკი და მედიცინა რამ გაყო... ისევე როგორც პურის მცხობელი და მდგრადი ეკონომიკა. ესაა „კანტროლკა” მომაკვდავ ჯანდაცვის სფეროსთვის!

როგორც ჩანს, ჩვენს საზოგადოებაში მაინც ძალიან მწირია ილიასეული ,საზოგადო ჭირის” შეგრძნება. როგორც დავუკვირდი, ყველაფერი პირადულზე გადააქვთ. თუ ადამიანი იტყვის, რომ საშინელებაა რომ ხალხს შია, მსმენელებს აუცილებლად ჰგონით, რომ პირადად ისაა დამშეული და ამიტომ ამბობს. ან თუ ვინმე წუხს რაიმე უსამართლობაზე, რაღაც ცუდ საქციელზე, გარშემომყოფები აპრიორულად თვლიან, რომ ეს შეწუხებულია სწორედ თვითონ, უშუალოდ უსამართლობის, ან ვინმეს უსაქციელობის მსხვერპლი. მეტიც, ადამიანმა რაზეც არ უნდა ამოიღოს ხმა, თუნდაც კარგზე, მაშინვე მიაბამენ მის ცხოვრებას, მის პირად სივრცეში დაიწყებენ აზრის საფუძვლის ძებნას... ამიტომაა, რომ სულ არის ეჭვი, რომ ყველას ყველაფერი პირადი კეთილდღეობისთვის უნდა, პირადი გამდიდრებისთვის მოქმედებს ყოველთვის და არავინაა „საზოგადო ჭირზე” მოდარდელი. ეს, ჩემი აზრით, ეგოიზმის და საზოგადოების არყოფნის, არარსებობის გამოვლინებაა. იმ საშინელი რეალობის, რომ ამ სამყაროში, ჩვენს სივრცეში, ყველა საკუთარ თავთან მარტო დარჩენილ მტაცებლად ან მსხვერპლად განიხილება და აღარავის სწამს, რომ ადამიანია ადამიანის მხარში მდგომი და პატრონი, თუგინდ მხოლოდ სიტყვითაც იყოს, მაინც.... უანგაროდ!!!! პირადული სარჩულების გარეშე!!! ნეტა ოდესმე ეს იქნება ჩვენს ირგვლივ?

ზოგს ჰგონია ევროპას და საერთოდ აზროვნებას,ცივილიზაციას მოკლე გზით დაეწევა. მოდით, ავტომანქანებით,კომპიუტერებით... (საერთოდ გარეგნულად) ეს ყველაფერი მზად მივიღეთ...მაგრამ მთავარი ჩვენ თვითონ უნდა გავიაროთ და ვისწავლოთ მოქალაქეობრივი შეგნება, პასუხისმგებლობა, სხვისი აზრის პატივისცემისა და მოსმენის უნარი, თანაგრძნობა...

უნივერსიტეტი არის სასწავლო დაწესებულება, ანუ სტუდენტების დაწესებულება, ამიტომ სწორედ მათი მონაწილეობით და მათი აზრის, საჭიროებების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს რეფორმები. ეს კი ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. კვიტაშვილს რაღა დაეჯერება მას შემდეგ, რაც სწავლის დაწყების პირველ დღეს საპროტესტო აქციაზე გამოსული სტუდენტების მარგინალიზება მოახდინა?

არა რა, მაინც ვერ ვისწავლე ჭკუა და ვერ ვითმენ, ერთი კითხვა მაქვს: - ”რუსთავი2” ყველა საინფორმაციოში ბიძინა ივანიშვილს იხსენიებს როგორც ”ოლიგარქი”.

მაგალითად: ”ოლიგარქის განცხადებით”, ”ოლიგარქის მხარდამჭერები” ”ოლიგარქის გარემოცვა” და ასე შემდეგ...

ტერმინი ”ოლიგარქია” ნიშნავს ქვეყნის მმართველ, სახელისუფლებო წრეებზე გავლენის მომხდენ მდიდარ ადამიანთა ჯგუფს.

შესაბამისად, „ოლიგარქი” ნიშნავს ადამიანს, რომელსაც აქვს ბევრი ფული და გავლენას ახდენს ქვეყნის მმართველ, სახელისუფლებო წრეებზე.

ოპოზიციონერი ოლიგარქი – ეს, უბრალოდ, არარსებული მოვლენაა.

აქედან გამომდინარე:

1. ”რუსთავი2”, ტერმინ „ოლიგარქის” ასე ხშირად გამოყენებით, ფაქტობრივად აღიარებს, რომ დღეს საქართველოში ხელისუფლებას ოლიგარქები მართავენ.

2. ”რუსთავი2”-ის ჟურნალისტები და საინფორმაციო სამსახურის შეფები, უბრალოდ, დებილები არიან და არ იციან, რას ნიშნავს სიტყვა ”ოლიგარქი”.

თქვენ რომელი ვარიანტი გგონიათ?

# roca kanoni usamarTloa, igi Segnebulad unda daarRvio, amas erovnuli daumorCilebloba hqvia

გვესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი
**გელა ნიკოლაიშვილი**

**— ბატონო გელა, 26 მაისს ყინწვისში დაკავებულ პირთა შესახებ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახლახან კონფერენცია გამართეს. რა ხდება ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით?**

— ყინწვისის ფაქტთან დაკავშირებით 24 პიროვნება დააპატიმრეს, რამდენიმე დღეში კი მათ კიდევ ერთი — კეშელავა მიემატა. კეშელავას და გოგუაძეს — 6 და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. დანარჩენებთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, რაც დანაშაულის აღიარებას ითვალისწინებს. მათ, საშუალოდ, 4-5 წელი და პლუს პირობითი 5 წელი მიუსაჯეს. რამდენად რეალური იყო მათი აღიარებები, ამის თქმა ძნელია,



თუმცა ვფიქრობ, რომ მათ დანაშაული დაიბრალეს. მოგეხსენებათ, საპროცესო შეთანხმების დროს არავინ არკვევს, რა მტკიცებულებებია, არამედ მთავარია, აღიარება, პროკურატურის თანხმობა ამ ვაჭრობაზე. სწორედ საპროცესო შეთანხმების ეს უარყოფითი მხარე კარგად გამოიყენეს ამ შემთხვევაში. ყინწვისში სალოცავად წასული ადამიანები, რომელთაც სახელმწიფო გადატრიალებასთან საერთო არაფერი ჰქონიათ და იქ სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ, დამნაშავეებად გამოცხადდნენ. იმის გამო, რომ მათ შედარებით მსუბუქი სასჯელი მიეღოთ, იძულებულნი გახდნენ დანაშაული დაებრალებინათ, რადგან არ ჰქონდათ იმედი, რომ სასამართლოზე საკუთარ სიმართლეს დაამტკიცებდნენ. სამწუხაროდ, ეს საქართველოს სამართალწარმოების ისტორიაში დამკვიდრებული პრაქტიკაა, მართლმსაჯულება დამოუკიდებელი არ არის და ამიტომ ადამიანებს სიმართლის დამტკიცების იმედი არ აქვთ, იძულებულნი ხდებიან სრულიად უდანაშაულოებმა საპროცესო შეთანხმება გააფორმონ და დაიბრალონ დანაშაული. ყიწვისში მომხდარი ფაქტიც სწორედ ეს შემთხვევაა — იქ მყოფი ადამიანების დიდი ნაწილი უდანაშაულო იყო — ზოგი სალოცავად, ზოგი ცხვრის დასაკლავად, ზოგიც ღამის გასათენებლად იყო წასული. თუ გოგუაძე მართლა დამნაშავე იყო და ტელეფონით ვინმეს ელაპარაკებოდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეს ამბავი სხვებსაც უნდა სცოდნოდათ.

**— როგორც ცნობილია, მათ სახელმწიფო გადატრიალებაში ედებოდათ ბრალი.**

— დიახ, მათ ბრალი დაედოთ იმაში, თითქოს, სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდნენ შეიარაღებული ამბოხის გზით. პირველი ნაწილი 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს 1 წელი ან სულაც გათავისუფლების ნაცვლად, 4-5 წელი შეუფარდეს, ისინი მაინც დათანხმდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. როგორც წესი, ბრალდებული იხვეწება — შენი ჭირიმე, საპროცესო გამიფორმეთო, თუმცა და ზოგ შემთხვევაში პროკურატურა ამაზე თავს იკავებს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩემი ინფორმაციით, პირიქით, პროკურატურა ზოგს თხოვნით, ზოგს ძალით, ზოგს მუქარით აიძულებდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, თანაც არც ერთი მათგანისთვის ჯარიმა არ გადაუხდევინებიათ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ პროკურატურას სათანადო მტკიცებულებები არ ჰქონდა. ამიტომ მიაღწიეს მათ აღიარებით ჩვენებებს, რათა თეთრზე შავის თქმა „უსაფუძვლოდ“ არ მომხდარიყო. დღემდე სასჯელს 25 ადამიანი იხდის. გოგუაძეს და კეშელავას დანაშაული აღიარებული არ აქვთ, ამიტომაც შეუფარდეს 12 და 6 წელი. დანარჩენებს, ვისაც საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ, როგორც მოგახსენეთ, აღიარებული აქვთ დანაშაული, მაგრამ მათგან ვინ იყო რეალურად საქმის კურსში და ვინ შემთხვევით მოხვდა იქ, ამის დადგენა ძნელია. თუმცა, გარედან როგორც ჩანს, ზოგი ამხანაგს წაჰყვა, ზოგმა მძღოლობა გასწია, ზოგი სალოცავად იყო, ზოგიც საქეიფოდ და .შ.

**— საუბარია იმაზეც, რომ ბევრი მათგანი ნაწამებია. რა რეაგირებას ახდენენ ამ კუთხით არასამთავრობო ორგანიზაციები?**

— საქმე ის გახლავთ, რომ თუ პირს სურვილი არ აქვს, რომ მის მიმართ განხორციელებული წამების ფაქტი გახმაურდეს და გამოკვლეულ იქნას, არასამთავრობო ორგანიზაციები ვერაფერს შეძლებენ. ამ ადამიანებმა საპროცესო შეთანხმებებს მოაწერეს ხელი და ზოგი იმდენად არის დაშინებული, წინააღმდეგიც კი არის, რომ მათ პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიენიჭოს. აქედან გამომდინარე, ადამიანთა უფლებების დამცველთა მცდელობას რეალური შედეგი ვერ მოჰყვება. ამის დამტკიცება უპერსპექტივო საქმეა.

**— რა ნივთმტკიცებებია საქმიდან ამოღებული?**

— მხოლოდ სატელეფონო საუბრები და მოწმეების ჩვენებები. ასევე, აღიარებითი ჩვენებები. რაც შეეხება, ნივთმტკიცებებს, არაფერი არ არის, აღმოჩენილი არც იარაღი. უბრალოდ, ითქვა ის, რომ ამ ტერიტორიიდან უნდა შემოსულიყო 200 ქართულად მოლაპარაკე ჯარისკაცი, საქართველოს სამხედრო ფორმაში ჩაცმული. ხან 200 ჯარისკაცს ასახელებდნენ, ხან 2000, რომლებიც თითქოს ტანკებს უნდა წამოსძღოლოდნენ წინ და თბილისის მიმართულებით დაძრულიყვნენ. ეს ზოგადი ფორმულირებებია, მაგრამ კონკრეტული მტკიცებულებები არ არსებობს.

**— დაკავება 26 მაისს მოხდა, მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტთან „სახალხო კრების“ აქციები იმართებოდა. თუ არის გამოკვეთილი ამ მოვლენების რაიმე კავშირი ერთმანეთთან?**

— როგორც გამოირკვა, ხელისუფლებას სურდა, ეს ხალხი 26 მაისის ორგანიზატორებთან დაეკავშირებინა. თავად გოგუაძე რამდენჯერმე იყო მიტინგზე მისული და აქციაზე გამოსვლის მცდელობაც ჰქონდა. ასევე, შეხვედრა უნდოდა ბადრი ბიწაძესთან, მას წერილიც გადასცა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ბიწაძემ და სხვა ორგანიზატორებმა გოგუაძე არ გაიკარეს, შეიძლება ეჭვი შეეპარათ რაიმეში. ამიტომ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ამ საქმის 26 მაისზე მიბმა.

**— თუ არის ცნობილი, ვინ არიან, რას საქმიანობდნენ ეს ადამიანები, ვინც დააკავეს? თუ იცნობდნენ ისინი ერთმანეთს დაკავებამდე?**

— ესენი სრულიად შემთხვევითი პირები არიან — ერთი მხატვარია, ერთი მძღოლია, ერთიც ყოფილი ვეტერანი. გოგუაძე უცხოეთში განათლებამიღებული და ნამუშევარია. ისინი ერთმანეთთან არა პოლიტიკური, არამედ პირადი ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებული. ყველა ერთმანეთს არ იცნობდა. არ გამოვრიცხავ, რომ ერთი-ორ ადამიანს მართლაც ჰქონოდა კავშირი თემურ ხაჩიშვილთან და გენერალ რომან დუმბაძესთან და რაღაც გეგმებიც ყოფილიყო დასახული, მაგრამ ტანკების შემოყვანა, 2000 კაცის შემოსვლა, ეს ფანტაზიის ნაყოფია. არანაირად არ მტკიცდება ის, რომ ეს ხალხი ყინწვისში ერთობლივად სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მიზნით წავიდნენ. დაპატიმრების მიზანი სწორედ ის იყო, რომ ხელისუფლებას ეს საქმე 26 მაისთან დაეკავშირებინა.

**— ადრე ცენტრი მოსკოვი იყო, სამართლის საძებრად იქ გავრბოდით. ახლა რა ვითარებაა, სად ვიპოვოთ სამართალი — ვაშინგტონში, ბრიუსელში თუ სად?**

— ადრე ცეკა იყო მოსკოვში, ახლა ამან ვაშინგტონში და ბრიუსელში გადაინაცვლა. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ როგორც თავისი სატელიტი მთავრობების მიმართ იყო მაშინ მოსკოვი ლოიალური და ქართველი კომუნისტების დანაშაულებებზე თვალს ხუჭავდა, ახლა ვაშინგტონი და ბრიუსელი ცდილობენ ფაქტები შეარბილონ და საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებებზე ადეკვატური რეაგირება არ მოახდინონ.

**— განსაკუთრებულ შემთხვევებზე სტრასბურგში გავრბივართ, მაგრამ ვთქვათ, უსამართლოდ პანღურს რომ ამოგარტყამენ, ამისთვის ხომ ვერ წახვალ იქ.**

— დიახ, თანაც იქ 6-7 წელი გჭირდება საბოლოო ვერდიქტამდე. გამოსავალი ერთადერთია — შიშის გრძნობა ყველამ გადალახოს, არ დაექვემდებარონ ხელისუფლებისგან მოსყიდვას. რასაც ბოლო დროს კონტროლის პალატა აკეთებს, ამის გამო ადამიანები არ უნდა დაშინდნენ, არამედ თქვან, —

**დიახ, ჩვენ პოლიტიკური მიზნები გვამოძრავებს, პოლიტიკურად მოტივირებულები ვართ, რომ ეს ხელისუფლება შევცვალოთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს კანონის ფარგლებში განვახორციელოთ. ადამიანები უნდა გამოვიდნენ და ხელისუფლებას, კონტროლის პალატას უთხრან, — დიახ, გამოვალთ, გაზეთსაც დავარიგებთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რაც საჭირო იქნება, თქვენი არ გვეშინია.**

ერთი-ორი ადამიანის მიმართ განხორციელებულ კანონდარღვევაზე, რომელთაც ფეხსაცმელს, ტანსაცმელს ხდიან, კი არ უნდა შეშინდნენ პირიქით, მათი მოთხოვნა უნდა იყოს — დიახ, სწორედაც მინდა ჩავიწერო დიქტოფონზე ის, რასაც თქვენ აკეთებთ, რამეთუ ამას კანონი არ მიკრძალავს. როდესაც მეკითხები, რა შემოსავალი მაქვს და რატომ ვარ კონკრეტული ადამიანის მხარეს, ეს მათი მხრიდან დარღვევაა. აი, ასეთი პოზიციები უნდა დაიკავონ ადამიანებმა. თუ შიში დავძლიეთ, მაშინ ხელისუფლება ველარ მოგვექცევა ასე.

**— თუმცა, ამ ეტაპზე ხელისუფლება კანონებს საკუთარ თარგზე ჭრის.**

**— როცა კანონი უსამართლოა, იგი შეგნებულად უნდა დაარღვიო. ამას ეროვნული დაუმორჩილებლობა ჰქვია.**

ინდოეთში მაჰათმა განდი შეგნებულად არღვევინებდა კანონებს. როცა ინდოელებს ეუბნებოდნენ, მარილი



თქვენ კი არა ინგლისელებმა უნდა მოიპოვონო, სპეციალურად მიდიოდა ათასობით ადამიანი, ამ კანონს არღვევდნენ და ამით აჩვენებდნენ იმ ხელისუფლებას, რომ არ დაემორჩილებოდნენ ამ კანონს, რადგან იგი უსამართლო იყო. რომ გვითხრან ხელებშეკრულებმა, ბორკილებდადებულებმა უნდა იაროთ ქუჩაში, ეს კანონიაო, სამართლიანი იქნება? ორი დღის წინ წავიკითხე ინტერნეტში, შავნაბადას მონასტრის მღვდელი მრევლს მოუწოდებდა — ვისაც ჩვენი პრეზიდენტი არ უყვარს, იგი ეშმაკია და აქ არ დავინახო შემოსულიო. შეიძლება ასეთი კანონიც მიიღონ — ვინც ამ ხელისუფლების მომხრე არაა, ის ბოროტმოქმედია და ციხეში უნდა იჯდესო. ამას უნდა დაემორჩილო და შენი ნებით წახვიდე ციხეში ჩასაჯდომად, რადგან გითხრეს, რომ ეს კანონიაო, თუ უნდა დაარღვიო იგი?! ასე დგას საკითხი.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ საერთაშორისო სამართალი ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს, ამიტომაც საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვენთან მომხდარ უკანონობებს მხოლოდ შეშფოთებით ხვდებიან. ამ დროს კი ნახევარი საქართველო ციხეშია. ამ შეშფოთებით ხელისუფლებაც გათამამებულია და ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციას, მაგალითად, „ჰუმან რაითს ვოჩს“ არაავტორიზირებულსაც კი უწოდებს.**

— რა თქმა უნდა, შეშფოთება საკმარისი არ არის, მათი მხრიდან გამოხმაურებები არაადეკვატურია, ხშირად მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით. მაგალითად,

**ეგვიპტის მოსახლეობა მუბარაქის დიქტატურას 30 წელი ითმენდა. იგი საერთაშორისო საზოგადოების და აშშ-ს პრეზიდენტების ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე იყო. ეს იყო მანამ, სანამ ხალხი ამას ითმენდა.**

როდესაც ხალხმა თავისი განწყობა მასობრივად გამოხატა და თქვა — არა, ჩვენ ამ უკანონობას, უსამართლობას აღარ შევეგუებით, აშშ-ს პრეზიდენტმაც კეთილი ინება, მთელმა დასავლურმა სამყარომაც და მუბარაქი გაწირეს. ამის იმპულსი ხალხის ნების გამოხატვა იყო. ჩვენთან ხალხის ასეთი ნება არ არსებობს, ხალხი ვერ ბედავს საკუთარი განწყობის მასობრივად გამომჟღავნებას. როცა ამას გავბედავთ და უსამართლობას, უკანონობას, მოსყიდვას, შიშს არას ვეტყვით, ხელისუფლებაც უკან დაიხევს და საერთაშორისო თანამეგობრობაც გვერდით დაგვიდგება ისე, როგორც საჭიროა.

**— ბატონო გელა, ფაქტია, რომ ჩვენთან კანონი შერჩევითია. თუ საააკაშვილს გაუმარჯოს — დაძახება სავალდებულოდ ითვლება, სამაგიეროდ, ბიძინას გაუმარჯოს — დასჯადია. ეს იმის განმაპირობებელია, რომ საპატიმროები უკანონო პატიმრებს ველარ იტევს.**

— დამორჩილების, დათრგუნვის, დაშინების მეთოდები ცნობილია, არადემოკრატიული ხელისუფლებები ყოველთვის ასე მართავენ. მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ პენიტენციარული სისტემის, პატიმრობის ინდუსტრია შექმნეს, სადაც

**პატიმართა რაოდენობის მიხედვით ევროპაში პირველ ადგილზე ვართ, ასევე, მსოფლიოშიც, მხოლოდ აშშ-ს ჩამოვრჩებით, ისიც იმიტომ, რომ მონაცემები აღებულია 4,5 მილიონი მაცხოვრებლიდან და არა 3 მილიონიდან, რაც რეალურად არის საქართველოში. აქედან გამომდინარე, პატიმრები, ფაქტობრივად, მძევლების მდგომარეობაში არიან და არა მხოლოდ ისინი, არამედ მათი ოჯახის წევრებიც.**

ამას ემატება პრობაციონერები და ჯამში ნახევარ მილიონ ადამიანზე მეტი ხელისუფლების მძევალია. მძევლობის სანაცვლოდ ჩადენილი ქმედება — იქნება ეს ვინმეს ჩაშვება, არჩევნებში ხმების მიცემა, თუ მიშას გაუმარჯოს ძახილი, ერთობლივად ხელისუფლების ნოუ-ჰაუს წარმოშობს, რომელიც ვერც ფაშისტებმა, ვერც ბოლშევიკებმა და ვერანაირმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ვერ მოიგონა. ეს შესძლო მხოლოდ ამ ხელისუფლებამ, რომ პატიმრობაში მყოფი პირის მდგომარეობა მძევლად მყოფისას გაუთანაბრა. ისევ ვიმეორებ, გამოსავალი ერთია — თითოეულმა ადამიანმა საკუთარ თავში შიში გადალახოს, მასობრივად გამოხატოს პროტესტი. მთავარია, ადამიანი თავის თავს მოერიოს, საკუთარი მეს ყმობისგან გათავისუფლდეს და როცა თავისუფალი იქნება, აღარ დაუშვებს, რომ სხვამ დაიმონოს.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

*„ქართულ ოცნებას" კიდევ ერთი ბიზნესმენი და პოლიტიკაში გამოცდილი ადამიანი, საზოგადოებრივი მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ლიდერი გოგი თოფაძე შეუერთდა. რატომ გადაწყვიტა ბიზნესმენმა ივანიშვილთან ურთიერთობა და რას ფიქრობს ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე? „საერთო გაზეთს" **გოგი თოფაძე** ესაუბრა.*



# gogi TofaZe:

# vimedovneb, nino burjanaZis potenciali gamoyenebuli iqneba im saqmeSi, rasac `qarTulo ocneba~ akeTebs

**— ბატონო გოგი, როგორ შეაფასებთ, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. როგორ ფიქრობთ, რა შეცვალა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ?**

— ბოლო პერიოდში პოლიტიკური სპექტრი იმდენად დისკრედიტებული და ამღვრეული იყო, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად ახალი ძალა უნდა გამოჩენილიყო. საარჩევნო გარემოს შესაცვლელად ოპოზიციას რომ არანაირი შანსი, რესურსი და პერსპექტივა არ ჰქონდა, ცალსახა იყო. ზოგმა დაირქვა ოპოზიციონერი და მოხვდა პარლამენტში, ზოგიც, რეალური ოპოზიციონერი, საკანონმდებლო ორგანოს მიღმა აღმოჩნდა. ამიტომ ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ დროულად შემოვიდა პოლიტიკაში, არა მხოლოდ მძლავრი ფინანსური რესურსით, არამედ თავისი საქმიანობითა და მოღვაწეობით. შესაბამისად, პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენამ ხალხში უკეთესობის იმედი გააჩინა. რაც არ უნდა დააბრალონ ივანიშვილს, იგივე რუსული ფულით მანიპულირება, მას და მის ოჯახს საკმაოდ კარგად ვიცნობ და ვიცი, მათ საკუთარი ქვეყნისთვის სიკეთის გარდა, არაფერი უნდათ. ნეტავ, ის ფული, რაც ქართველებს რუსეთში აქვთ, საქართველოში ჩაიდოს და ყველაფერი გაცილებით კარგად იქნებოდა, მაგრამ ბევრი მიზეზის გამო ამის შესაძლებლობა არ ეძლევათ. დღეს გაჩნდა იმედი, რომ არჩევნები ისეთი მასშტაბებით არ გაყალბდება, როგორც ეს 1995 წლიდან მოყოლებული ხდებოდა. საარჩევნო პროცესი ხელისუფლების მხრიდან მთლიანად მართვადი იყო. ახლა უკვე ამ კუთხით გარკვეული პრობლემები შეექმნათ. ბიზნესმენის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ, ხელისუფლებას აღელვება, ისტერიკები უკვე დაეტყო. დაინახეს, რომ გამოჩნდა რეალური კანდიდატი, ვისაც ხალხი მხარს დაუჭერს. იციან, რომ ბიძინა ივანიშვილის სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ. ამიტომ ებრძვის ვანდალური მეთოდებით მმართველი ძალა ახალ პოლიტიკურ გუნდს. მათ ივანიშვილს წაართვეს მოქალაქეობა, დაუყადაღეს ბანკის ფული. დღეს რასაც ხელისუფლება აკეთებს, ეს უკვე ტოტალიტარიზმი კი არა ტირანიაა. ხელისუფლებას, რომელსაც დემოკრატიულ სახელმწიფოში ვირჩევთ, ვალდებულებები, პასუხისმგებლობა გააჩნია საკუთარი ხალხის წინაშე. თუმცა დღეს, ყველაფერი პირიქითაა. ხელისუფლებას სრულებით არ აინტერესებს ხალხის აზრი. მას სურს, შიშით და ძალადობით დაიმორჩილოს საზოგადოება.

**— ბატონო გოგი, საკმაოდ დიდი დრო დაგჭირდათ იმისთვის, რომ „ქართულ ოცნებაში" გაწევრიანების გადაწყვეტილება მიგეღოთ. რა იყო ამის მიზეზი?**

— შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენისთანავე გაჩნდა ახალი იმედები და დავაფიქსირე ჩემი პოზიცია, რომ მზად ვიყავი მასთან სათანამშრომლოდ. იმას, რასაც, დაახლოებით, 15 წელია ვქადაგებთ „მრეწველები" და ჩემი გარემოცვა, რომ ქვეყნის წინსვლისთვის აუცილებელია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარება, ბიძინა ივანიშვილსაც იგივე კურსი აქვს არჩეული, ოღონდ უფრო მასშტაბური. ამიტომ, ამ ფაქტორმა ჩემი გადაწყვეტილების მიღებაზე, ცხადია, იმოქმედა. მინდა გითხრათ, რომ თავად ბიძინა ივანიშვილიც გამიფრთხილდა, რადგან იცოდა, ხელისუფლებას ჩემი მისამართით, შესაძლოა, სერიოზული რეპრესიები დაეწყო. ჩემს უკან 4 500 კაცი დგას — „ყაზბეგის" მომსახურე პერსონალი, ქარხნები, სასტუმროები და ბუნებრივია, რომ ვიცი, მოქმედების რა მეთოდებს იყენებს ხელისუფლება, მით უფრო, ჩვენს კომპანიას ხელისუფლებასთან მაინც და მაინც თბილი ურთიერთობა არ გვაქვს და ბევრი უსიამოვნებაც გადაგვხდა ჩვენი პოზიციის გამო, თავს ამიტომ ვიკავებდი.

**— ბატონო გოგი, რა ფორმით მოხდება პარტიაში თქვენი გაწევრიანება, პარტიულად თუ ინდივიდუალურად?**

— ეს საკმაოდ რთული საკითხია. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაა, როგორ, რა ფორმით ვითანამშრომლებთ ბიძინა ივანიშვილთან. თუმცა მის გვერდით რომ ვიქნები და მასთან ერთად გავაგრძელებ მუშაობას, ცალსახაა. ვფიქრობ, ჩვენ არავისზე ნაკლები ძალა არ ვართ, ვიყოთ ბიძინა ივანიშვილის გუნდის წევრები. ამიტომ ეს პოლიტიკური ნიუანსები და დეტალები რამდენიმე დღეში გაირკვევა და გამოცხადდება.

**— ის მეთოდები, რასაც დღეს ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ იყენებს, ერთ დროს ყთქვენი მისამართითაც გამოიყენა.აარ გეშინიათ, რომ იგივე განმეორდეს და ხელისუფლებამ თქვენი მისამართით კვლავ რეპრესიული მანქანა აამუშაოს?**



— დღევანდელ სიტუაციაში ხალხი ძალიან დაშინებულია, მაგრამ „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა". ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება და საკუთარ ნაჭუჭში ჯდომა დიდ სისულელედ მიმაჩნია. დღეს ყველას საკუთარი პოზიცია უნდა ჰქონდეს და იყოს ან აქ, ან — იქ. ამიტომ ეს შანსი ქართველმა ხალხმა აუცილებლად უნდა გამოიყენოს, რადგან ეს შესაძლებლობა, შეიძლება, აღარ მოგვეცეს. ივანიშვილი იოლად წასაქცევი კაცი არაა. თქვენ ნახეთ, როგორ მიიღო დიპლომატიურმა კორპუსმა ივანიშვილი, რაც ნიშნავს იმას, რომ დასავლეთმა კარგად იცის, რა ხდება საქართველოში. ხელისუფლების ილუზიების, დემოკრატიული ფასეულობისა და პრინციპების შესახებ დღეს უკვე აღარავის სჯერა. ცოტა ხნის წინ პარლამენტში „პადოშა" გამოვიდა და დაგვმოძღვრა თუ რა საოცარი სამზარეულო აქვს ციხეს და როგორი საჭმელი შედის იქ, თუმცა ეს ყველაფერი რომ არარეალობაა, ყველამ კარგად იცის.

**— ოპოზიცია დასავლეთის მხრიდან უფრო მეტ აქტიურობას ითხოვს, იგივე საარჩევნო საკითხების დარეგულირებასა და ხელისუფლების ქმედებებთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, რა შეუძლია, პრაქტიკულად, დიპკორპუსს და რა მოლოდინი გაქვთ მათი მხრიდან?**

— ხელისუფლებას დასავლეთის მხრიდან გარკვეული სახის შენიშვნები მიღებული აქვს. იმისთვის, რომ მათი მოთხოვნები დააკმაყოფილონ, ხელისუფლებამ გარკვეული სახის პრინციპებზე უარი უნდა თქვას, რაზეც არ წავა. ევროპა ყველაფერს კარგად ხედავს, რა ხდება საქართველოში, ამიტომ სააკაშვილის ზღაპრების აღარავის სჯერა.

**— ბატონო გოგი, რას ფიქრობთ, კონტროლის პალატის ბოლოდროინდელ ქმედებებზე, რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევთ იმას, რასაც კონტროლის პალატა ახორციელებს?**

— კონტროლის პალატას არ აქვს უფლება, კერძო პირები შეამოწმოს. მას მხოლოდ სახელისუფლებო სტრუქტურების შემოწმება ევალება, ამიტომ, რასაც ის აკეთებს, ამით სასაცილო მდგომარეობაში იყენებს თავს. სამწუხაროდ, ხელისუფლება ყველაფერს იყენებს იმისათვის, რომ ბიძინა ივანიშვილი შეზღუდოს და თავიდან ჩამოიცილოს.

**— დღემდე ნინო ბურჯანაძესა და ბიძინა ივანიშვილს შორის კოორდინირება ვერ მოხერხდა. თქვენი აზრით, რა არის მიზეზი და შესაძლოა, მომავალში მათი გაერთიანება მოხერხდეს?**

— ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს დიდ პატივს ვცემ, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, მაგრამ არ ვიცი, რატომ ვერ მოხერხდა ივანიშვილსა და ბურჯანაძეს შორის კოორდინირება. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ საბოლოო ჯამში, ნინო ბურჯანაძის პოტენციალი გამოყენებული იქნება იმ საქმეში, რასაც „ქართული ოცნება"აკეთებს.

„ქართული ოცნების" მუშაობაში რაც უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება, იქნება ეს პოლიტიკური პარტიის წარმომადგენილი თუ საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პედაგოგი, სპორტსმენი, იურისტი, უკეთესი იქნება.„კოალიციის მუშაობას, ფუნქციონირებასა და შანსებს რაც შეეხება, აქ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი გადამწყვეტი იქნება. ვფიქრობ, ძალიან მალე „ქართული ოცნების" ირგვლივ ბევრი ახალი სახე გამოჩნდება, ვისაც აღარ ექნება შიში და ექნება სურვილი დემოკრატიული, თავისუფალი, ლიბერალური სახელმწიფოს შექმნის.

**— ბატონო გოგი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლებამ რუსეთიდან-საქართველოში ვალერი გელბახიანი ბიძინა ივანიშვილთან დასაპირისპირებლად ჩამოიყვანა. რამდენად დამაჯერებლად მიგაჩნიათ ეს ინფორმაცია?**

— ვალერი გელბახიანი არაა ისეთი პერსონა, რომ დაუპირისპირდეს ბიძინა ივანიშვილს. თუ ეს სიმართლეა და ხელისუფლებას ივანიშვილთან დასაპირისპირებლად სხვა სათანადო ბერკეტი არ გააჩნია, მაგათი საქმე მართლაც ცუდად ყოფილა.

**მირანდა ნაბახტეველი**


იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი


## „ქართუ ბანკის" სათავო ოფისთან „ქართული ოცნების" მხარდამჭერი აქცია გაიმართა



გუშინ თბილისში, „ქართუ ბანკის" სათავო ოფისთან „ქართული ოცნების" მხარდამჭერი აქცია გაიმართა. აქციაზე საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის 100-მდე წარმომადგენლი და მოქალაქე იყო შეკრებილი. აქციის ორგანიზება სოციალური ქსელის „ფეისბუქის" მეშვეობით განხორციელდა. აქციის მონაწილეებმა „ქართუ ბანკში" საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებას" სიმბოლური თანხა ჩაურიცხეს და კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ბოლოდროინდელი ქმედებები გააპროტესტეს. „კონტროლის პალატა, როგორც ძროხებს ისე წველის „ქართუ ბანკს", საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებას" და მასთან დაკავშირებულ პირებს, რაც არის არასწორი. მოვედით, რომ გამოგვეხატა მხარდაჭერა და სიმბოლური თანხით შევეწიოთ ამ ორგანიზაციებს, რომ არ მოხდეს „ბანკი ქართუს" დახურვა და იყოს ძლიერი," — განაცხადეს აქციის მონაწილეებმა. ისინი ვარაუდობენ, რომ რეგიონებში „ქართული ოცნების" აქტივისტების მსგავსად კონტროლის პალატაში მათაც დაიბარებენ და აცხადებენ, რომ კონტროლის პალატის არ ეშინიათ და მათ ნებისმიერ კითხვას უპასუხებენ. როგორც აქციაზე შეკრებილებმა განაცხადეს, ისინი მომავალში კრეატიული აქციების ჩატარებას გეგმავენ.

**„მედიანიუსი"**

# `ubeduri xasan faSa~ Tu ubeduri saqarTvelo?!

# amitom `gaaTavisufla~ miSam aWara?

ვიყოთ კარგად ინფორმირებული ოპტიმისტები („პესიმისტი კარგად ინფორმირებული ოპტიმისტია“) და არ დავხუჭოთ თვალი სააკაშვილის პროპაგანდისტულ ნიციზაციაზე, სინგაპურიზაცია, არმენიზაციაზე და ბოლო პერიოდში უფრო მეტად მოძალებულ პანთურქიზმზე, რომელმაც განსაკუთრებით თავხედურად (თურქული ხასიათის მიხედვით) მას შემდეგ შემოამტვრია კარი, რაც „აჭარის ლომად“ წოდებული ასლან აბაშიძე განდევნეს იქედან.

ეს სხვა ამბავია და ამაზე ლაპარაკს ახლა არ ვაპირებ. თუმცა, იქნებ, ზუსტად აქედან უნდა დამეწყო, — დიდი მემედ-ბეგ აბაშიძის შთამომავლის ბათუმიდან გაძევება „ვარდების რევოლუციის“ კიდევ ერთი „მონაპოვარი“ რომ იყო. „ენას ძვალი არა აქვს“, არც ფანტაზიას აქვს საზღვარი და ახლა ბევრი რამ შეიძლება იფიქრო, თუ რატომ შეიჭრა დუჟმორეული სააკაშვილი აჭარაში და რატომ ყვიროდა — „აჭარა თავისუფალია, ჩვენ ის დავიბრუნეთო“.

მას შემდეგ გაფორმდა უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულება თურქეთთან, თავისუფალი ვაჭრობის ლეგალიზაცია — ქართველი ქალები ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პუტანკები გახდნენ თურქულ ბორდელებსა თუ ჰარამხარებში და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, როგორც ერთმა მეგობარმა მითხრა — ქუჩაში რომ გაიარო — შეგრცხვება, ქართველი მამაკაცებიც ძალიან მოთხოვნადი ობიექტები არიან, თურმე, სექსუალური მომსახურებისთვის.

ამას ჰქვია — ქართველს კარგი თურქული „ხმალი“ ტ...ში...

სულთან აზიზიეს სახელობის მეჩეთის ბათუმში აშენებაზე ჩვენ მხოლოდ რამდენიმე დღეა გავიგეთ, არადა, ამაზე ლაპარაკი ხელისუფლებასა და თურქულ მხარეს შორის, თურმე, ორი წელიწადია მიმდინარეობს.

მიუხედავად ქართველი ხალხის და თვით მუსულმანი ქართველების დაჟინებული მოთხოვნებისა, ნაციონალები აცხადებენ, რომ ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის საკითხი უკვე გადაწყვეტილია და გასჯას აღარ ექვემდებარება.

ლაპარაკია თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების რესტავრაციაზე აზიზიეს მეჩეთის საპირწონედ, მაგრამ ეს თვით ამ ფაქტის შესაფუთად მოგონილი ამბავი მგონია და ამაზე ყურადღების გამახვილება და ამით გულის დამშვიდება ღლავის დასაჭერად ანკესზე წამოგებულ სატყუარას მაგონებს...

ამას წინათ ერთი ჩემი არაქართველი და არაქრისტიანი ნაცნობი მიმტკიცებდა, რომ დიდი მეჩეთის მშენებლობა ბათუმში რელიგიური საკითხია და ნუ გიყვართ ქართველებს ბუზის სპილოდ გადაქცევაო.

მიუხედავად იმისა, რომ საქვეყნოდ ვაცხადებ, შემწყნარებელი ვარ ყველა რელიგიური აღმსარებლობის, ქრისტიანობა ჩემთვის ჭეშმარიტი და უპირველესი სულიერი მდგომარეობაა და აზიზიეს მეჩეთის მშენებლობაზე ლაპარაკი წმინდა წყლის პოლიტიკური საკითხი.



სულთანი აბდულა აზიზი
(1830–1876)

**თურქული მხარის მიერ ბათუმის ცენტრში — გოგებაშვილისა და გამსახურდიას ქუჩების გადაკვეთაზე მეჩეთის მშენებლობის სურვილის განხორციელება პირდაპირ უკავშირდება ივლისში მოღალატურად მიღებულ კანონს რელიგიური აღმსარებლობების შემწყნარებლობის შესახებ,**

და ეჭვის ძაფს თუ მივყვებით, ბოლნისის გრიგორიანული ეპარქიის დაფუძნების საკითხიც და მუსულმანური ჯუმა-მეჩეთების მშენებლობის ამბებიც, შესაძლოა, წინასწარ ჩაფიქრებული და გამყიდველური მოლაპარაკებებით მიღწეული შეთანხმება უნდა იყოს, რომელზეც მრავალი მართლმადიდებელი ქრისტიანის გულწრფელად ნაამბორევი ხელი მოაწერა ჩვენი ეკლესიის მამებმა, ზოგმა ნებსით, ზოგმა — უნებლიეთ...

გთხოვთ ნუ გაგეცინებათ და გასულ ზაფხულს ვიყავი პირველად სტამბულში. იქაურ შთაბეჭდილებებზე თქვენთვის არ მომიყოლია, მაგრამ შთაბეჭდილებები ჯერ კიდევ არ გამნელებია და უახლოეს ხანებში მოგიყვებით, რაც იქ ვნახე. ახლა იმის თქმა მინდა, რომ თურქეთი დღეს აღარ არის ჩამორჩენილი, განუვითარებელი ქვეყანა, მისმა ეკონომიკამ ბოლო წლებში მკვეთრი ზრდა განიცადა და დიდი თურანის საოცნებო იდეა უფრო და უფრო გაღვივდა თურქულ სულში.

ეს არცაა გასაკვირი, საინტერესო ისაა, ამ ფაქტს რატომ ვერ ან არ აცნობიერებს ქართული მხარე, მით უფრო, რომ ჩვენს გარშემო რკალი თანდათან ვიწროვდება?!

თუკი ჩვენ ხასიათის გამოსაკვეთებლად ხშირად ვიმეორებთ, საქართველო გადაშლილი იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, რატომ გვგონია, რომ იგივე მიზნები სხვებს არ აქვთ?

თავის დროზე, როცა ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე, რუსეთ-თურქეთს შორის შეთანხმება დაიდო და აჭარა რუსებს „გადმოეცა“ (მართალია, შემდეგ სააკაშვილმა „გაათავისუფლა“), აჭარის მოსახლეობა გადაურჩა გათურქებას, ენის, სარწმუნოების დაკარგვას.

ვინც უნდა, იმან ჩამთვალოს „რუსეთის აგენტად“ (რუსეთში ნამყოფიც არ ვარ, ერთ რუსს ვიცნობ მხოლოდ — ოლეგ პასტუხოვს, რომელიც ბავშვობაში ჩემი თაყვანისმცემელი იყო და კარგა 25 წელიწადია იმის „დუხიც“ აღარ მინახავს), მაგრამ აჭარას




ბათუმი, XX საუკუნის 30-იანი წლები

რუსეთის „ხელში გადაცემით“ ენა, აღმსარებლობა და ჰაბიტუსი შეუნარჩუნდა, ხოლო თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ლაზები, ბედის უკუღმართობის გამო, ვერც მშობლიურ ქართულს იხსენებენ, და მათთვის „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია მოციქული მათი“.

ვაცხადებ — თუ ამას ნიშნავს რუსეთის აგენტობა, მაინც ვიტყვი, რომ გამუსლიმებულ, სახედაკარგულ აჭარას, დაღუპულ აჭარას ერთმორწმუნე რუსეთმა უშველა მაშინ...

მაგრამ ეს იყო მაშინ...

დღეს მსოფლიოს ყურადღება რამდენადმე მოქცეულია თურქეთის სახელმწიფოსკენ, რომელმაც ბოლო წლებში მკვეთრი ნახტომი გააკეთა და გლობალურ პოლიტიკაში თანდათან იკვეთება სერიოზულ და ანგარიშგასაწევ მოთამაშედ. შეიცვალა მისი მიდგომა ევროკავშირისა და ნატოსადმი, ხოლო საქართველო აცხადებს — თურქეთი ჩემი მეგობარია. ეს იმას ჰგავს, დაახლოებით, ამას წინათ ვაგზლის მოედანზე ბოგანო ლოთი რომ გაჰყვიროდა — „მიშა მაგარია, მიშა ჩემი მეგობარია“.

დღეს საქართველოს მეგობარი თურქეთია, ხოლო მიშას მეგობარი რეჯებ თაიფ ერდოგანი, რომელიც მსოფლიოში უკვე ცნობილია, როგორც ნეოოსმანიზმის იდეით გაჯერებული მმართველი.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ დაუთოღლუ კი მიიჩნევს, რომ დღევანდელი თურქეთი განისაზღვრება ისტორიული წარსულით, ანუ ის უნდა არსებობდეს იმ ფარგლებში, როგორც ადრე ოტომანთა იმპერია.

**თურქეთს თამამი პრეტენზია აქვს და არის კიდევაც აღმოსავლეთდასავლეთ გზაჯვარედინზე სწრაფად განვითარებადი სახელმწიფო.**

კავკასიაში მცხოვრები მუსლიმანებიც, მიუხედავად შიიტური და სუნიტური განსხვავებულობისა, თურქეთის სახელმწიფოს თვლიან ტრადიციულ ისლამურ ღირებულებებზე დაყრდნობილ ქვეყნად, რომელიც ისლამის და არა მხოლოდ ისლამის, სხვა სარწმუნოებების შემწყნარებლობითაც გამოირჩევა.

აზერბაიჯანელი მუსლიმანებიც კი, რომლებიც, ძირითადად, შიიტური მიმდინარეობის მაჰმადიანები არიან, თურქეთის სახელმწიფოსადმი აგრესიულად არ არიან განწყობილნი, ხოლო ჩრდილოკავკასიელი მუსულმანები პირდაპირ „ძმებად“ თვლიან თურქებს.

**რაც შეეხება კონკრეტულად აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას, არსებობს მოსაზრება, რომ აშშ-ს სურს საქართველო „გადასცეს“ თურქეთს თავისი მეთვალყურეობის ქვეშ, რაც თურქულ ინტერესებისთვისაც ხელსაყრელია, მაგრამ სხვა ვერსიით, რუსეთსა და თურქეთს აქვთ განზრახული ევროკავშირის მსგავსი გაერთიანების შექმნა.**

ერთი სიტყვით, სანამ აქ კინკლაობა (სწორადაც რომ კინკლაობა) მიდის პოზიციას და ოპოზიციას შორის — როგორ მოიპოვონ საქართველოზე ბატონობის უფლება, ხახადაღებული იმპერიული ძალები აქაურობის გადაყლაპვას ლამობენ.

**თუკი გასული საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიის ნაწილად ყოფნას თავგანწირული უარი ვუთხარით და ამერიკის მკლავებში ავფართხალდით, ახლა ოსმანთა იმპერია აპირებს ამ პატარა, დაუძლურებული და ფულის გულისთვის ყველაფერზე წამსვლელი ხელისუფლების ხელში მყოფი საქართველოს ჩასვენებას მუსულმანურ კალთაში.**

ამ „კალთაში“ უკვე ნებივრობს ქართული ეკონომიკა. როგორც ზემოთ გითხარით, სქესობრივი ცხოვრების მრავალფეროვნების გამოცდილებას ღებულობენ ჩვენი ქალები და მამაკაცები, ბოლოს და ბოლოს, სააკაშვილის დედის — გიული ალასანიას ერთი ქმარი თურქი გახლდათ...

**დღეს აჭარაში 160 მეჩეთი უკვე არსებობს და როგორც ამბობენ, თურქები ამ ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების მშენებლობების სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი მხარს უჭერენ თურქი-მესხების ჩამოსახლების საკითხს საქართველოში, რაც კი-**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**დევ უფრო გაზრდის მუსულმანური მრევლის რაოდენობას საქართველოში და შესაბამისად, საჭირო იქნება მეტი მეჩეთისა და მედრესეს აშენება...**

1863 წელს სულთან აბდულ აზიზს უბრძანებია: „ტრაპიზონის ვილაიეთის ვალიმ, ვეზირმა ესედ მეჰმედ ამინ მეხლის ფაშამ... დასვა საკითხი ბათუმის ნავსადგურის ჩრდ.დასავლეთ ნაწილში ახალი ქალაქის აშენების შესახებ, რომელიც იქნება ლაზისტანის საფაშოს ცენტრი“ (ლაზისტანი და ლაზიკა, ხომ არ გენიშნათ რაიმე, მკითხველო?).

მაგრამ ვინ იყო თვითონ აბდულ აზიზი, რომლის სახელიც 21-ე საუკუნეში კვლავ საფრთხისშემცველ ექოდ ისმის მუდმივად ევროპისკენ მსწრაფ ქრისტიანულ საქართველოში?

აზიზი, ზოგიერთი მოსაზრებით, სულთანი აბდულა აზიზი გახლავთ, იგი 1861-1876 წლებში რომლებიც აცხადებენ, რომ მეჩეთების მშენებლობა ვერ მოახდენს არსებით გავლენას აქ მაცხოვრებელთა აღმსარებლობაზე და ეს ფაქტი სულაც არ არის საფრთხის შემცველი, მაგრამ სტატისტიკა მოწმობს, რომ მას შემდეგ, რაც თურქული გავლენა თვალშისაცემი გახდა, გაიხსნა საზღვარი, თავისუფალი გახდა მიმოსვლა, 500-ზე მეტმა აჭარელმა ახალგაზრდამ გაიარა ყურანის შემსწავლელი კურსები თურქულ მედრესებში.

თუ არ მიწყენთ, ბაბუაჩემს აბესალომ კალანდაძეს გავიხსენებ, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომში იბრძოდა თურქების წინააღმდეგ და მედლებიც ჰქონდა მიღებული. ბოლო წლებში, ღრმად მოხუცებული, ოდის ყურეში ჩამოჯდებოდა ხოლმე და ღიღინებდა „ხასანბეგურას“ — „უბედური ხასან ფაშა თავმოჭრილი დევინახეო“...

ბაბუაჩემმა კი დაინახა ბევრი ურჯულო თურქი „თავმოჭრილი“, მაგრამ ჩვენ რას დავინახავთ, თუკი ბათუმში და საქართველოს ნე-



ძველი აზიზიეს მეჩეთის სასულიერო პირები (პროკუდინ გორსკის ფოტო)

მართავდა ოსმალთა იმპერიას, მის სახელს უკავშირდება პირველი რკინიგზის გაყვანა თურქეთში. სულთან აზიზიეს პირველი და უსაყვარლესი ცოლი ბათუმელი ქართველი დურუნევ კადინ ეფენდი ყოფილა. მეჩეთი ბათუმში სწორედ სულთნის ცოლის საპატივცემულოდ აუგიათ.

სხვა ვერსიით, აზიზიეს ჯამე თურქეთის ჯარისთვის აუშენებია სულთან აზიზიეს დედას — ვალიდე ხანუმს. ეს ტერიტორია მუდამ ხალხმრავალი და ქალაქის ცენტრალური ადგილია. მოედანს, რომელსაც დღეს ზვიად გამსახურდიას მოედანი ერქვა, ადრე აზიზიეს მოედანი რქმევია.

მეჩეთი მე-20-ე ს-ის 30-იან წლებში ბოლშევიკებს დაუნგრევიათ.

აზიზიეს მეჩეთი ბათუმში პირველი სალოცავი სახლი არ ყოფილა. ქალაქში პირველი მეჩეთი აჰმედ-ფაშას ჯამე იყო, და ახმედიეს მეჩეთის სახელით იყო ცნობილი. მაშინდელი ცნობებით „... ლაზისტანის მუთასაფარის (გუბერნატორის) მოადგილის „მუსლიმის“ თანამდებობა ეკავა ახმედ ფაშა ხიმშიაშვილს, რომელიც იჯდა ბათუმში... ეს მეჩეთი XVIII-ს-ის 90-იან წლებში დაიწვა და XIX ს-ის მიჯნაზე მის ადგილას აიგო ქვის ახალი მეჩეთი, რომელსაც ორთა ჯამე ეწოდა, რაც შუა ჯამეს ნიშნავს, ვინაიდან იგი მოქცეული იყო აზიზიესა და მუფტიეს მეჩეთებს შორის“.

დღეს ბევრი ამბობს და მათ შორის უმეტესობა მუსულმანია, ბისმიერ ნაწილში საუკეთესო ტერიტორიები უკვე გაყიდული აქვს ჩვენს ხელისუფლებას წითელ თუმნიანებზედა?

**ჩვენ „ქვირფასი“ ხელისუფლება ჩუმად, კონსპირაციულად ყიდის და აჩუქებს საქართველოს მიწას და წყალს ყველაზე, ვინც მსურველი გამოჩნდება. ყიდის რუსებზე, ჩინელებზე, თურქებზე, ბურებზე და კიდევ ვისზე, არავინ იცის. ხომ გახსოვთ, ამას წინათ თურქეთის მოწადინება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთვის მტკვრის კალაპოტის შეცვლასთან დაკავშირებით?! როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, მსოფლიოს მალე დაუდგება ელექტროენერგიის პრობლემა და წინდახედული თურქები ამ პრობლემის მოგვარებას წინასწარ ცდილობენ.**

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ასევე კონსპირაციულად, საქართველოს ხელისუფლებას თურქეთისთვის გადაუცია მთელი შავიზღვისპირეთის ზოლის კონტროლის უფლება.

ის, რაც სისხლის ფასად შეინარჩუნეს ჩვენმა წინაპრებმა, ვის ვჩუქნით და რაში ვცვლით? პასუხს ვინ და როდის აღირსებს ქართველ საზოგადოებას?...

**ირანდა კალანდაძე**

# facebook

# xa l xis az r iT

ისრაელმა მიშა მორიგ ტყუილში ამხილა... არავითარ ჯვრის მონასტრის დაბრუნებაზე არ არის საუბარი... უბრალოდ, დავით ჯოკონდა ბაქრაძემ, თურმე, საქმის კურსში ჩააყენა ქნესეთი და იქაური მთავრობა... ფუუუუუუუ· ეს გულის ამრევი ნაციონალები... რა ამაზრზენები არიან... თქვენ ჯვრის მონასტერს კი არა, გულზე დასაკიდებელ ჯვარს არ განდობთ არავინ, თქვე მათხოვრებო თქვენა !!!

უიმე მაღალოოო ეს რა გავიგეეეე... ეს რა მიჩურჩულეს სააგენტოებმა... “ჩემ მაღალსო.. გვიდომ, გიდო გაუკეთაოო”... ნწ..ნწ...ნწ... აბა, ეხლა უსუფაშვილთან და ალასანიასთან შეხვედრა იქნებოდა? თანაც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის გატკაცუნებულ სილას, რავარია უპასუხო შენებური ფრაზით “ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოსო” ა?ასე უთქვამს გვიდოს.... შენი აშენებული დემოკრატიისა რაცხა დიდად არა მჯერაო და პირადად უნდა შევხვდეო ალასანიასაოოო და კიდევ უსუფაშვილსაო.

ჭიაბერაშვილმა პირველი დავალება მიიღო, მიშამ უთხრაო, ახლა გადმოსცა მიშავიზიამ, პირველი, რაც უნდა გააკეთო, კბილები ჩაუსვი ხალხსაო... პენსიონერებს ანუ... ეხ, გურჯაანო, გურჯაანოოო... ღვინიაშვილს კბილებიანი ბებრები რომ დაეხვედრებინა მიშასთვის, არ შეიძლებოდა ვითააამ? რა ვიცი....ესაო, ისაო... რომელ ძეგლსაც ხელში რა უჭირავსო...სულ”ის”მელანდებაო...ასეთი კაცი კბილთან და პირის ღრუსთან მიიშვება ვითომ?

მიშას ჯერ საკუთარი ეკონომიკით უნდა შეეძლოს პენსიების დარიგება და მერე მეყოლებოდა დიდ გულზე. დასავლეთის გაბუტვა ნიშნავს, დამშეული ხალხის ქუჩაში გამოსვლას, საიდანაც ჩაუშესკუს აღსასრულამდე ერთი ნაბიჯია.

ჩემთვის აზროვნება ჰქვია იმ მინიმუმს, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება, რომელიც უწიგნურ ქალს ეკონომიკის მინისტრად დასვამს და ააყვავა ქვეყანაო, იძახებს, მაშინ, როცა ხალხს კუჭი ახმება, არის დამპალი და შესაცვლელი, დანარჩენს სასამართლო გადაწყვეტს.

სცენარი შალვასთვის, მასტერ ი მარგარიტა –ს მოტივებზე: პუტინის ჯიბიდან იღებს ბიძინა რუსულ რუბლებს და ხალხს აყრის. მიშა ყვირის გალიორკიდან: ხალხს აინტერესებს მაგ ფულის წარმომავლობა. ხალხი კრიბავს და მიშას ასძახიან: არ გვაინტერესებს რა შ---ციო. ბიძინა მიშას: შენ ჯობია, ის გვითხრა, ბიუჯეტის ფულს სად ხარჯავ. სპექტაკლის შემდეგ ეს ფულები თელასის ქვითრებად გადაიქცევა, ხოლო ნამდვილ ფულს მიშა და პუტინი ჩუმად იყოფენ იმ გალიორკაში. ფინალი: წეროვანის დასახლება. სანდრა ტაშტით იჩითება და მიშას სარეცხს ფენს. ბოკერია ჯართს ეძებს. უგულავა კომბოსტოს თესავს სახლის წინ ბოსტანში. ჩორგოლეიშვილი ნანუკას თხოვს სამი ლარი გვასესხეო.....

მე, როგორც დილეტანტი, ვფიქრობ, რომ მიშას მიერ ისრაელში მივლენილი ვაშაძე და შემდგომ ბაქრაძე, მზაკვრულ მისიას ასრულებდნენ... ალბათ, შეატყვეთ, რა დამტკბარი იყო ისრაელის მთავრობა, რომელიც აშს-ს გარეშე აპირებს ირანის დაბომბვას, რისთვის, ჩემი დაუსაბუთებელი ეჭვებით, საქართველოს ტერიტორიას გამოიყენებას... აი, ეს არის მიშას გეგმა უახლოეს მომავალში.... მიშას წყალივით და ჰაერივით ჭირდება არეულობა ჩვენს უბედურ ქვეყანაში ... ისრაელი ყველაფერს დაუთმობს ჩვენი ტერიტორიის ამ მიზნით გამოყენების სანაცვლოდ... ფრთხილად !!!

“ფორტე”, “ქართული ხმები”, “თბილისი”, მაია ჯაბუა, ზურაბ დოიჯაშვილი, ლიზი ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე თავიანთი სამშობლოს ჭირისუფლები არიან!!! დუტას, შორენას, ვანო ჯავახიშვილის, გია ჯაჯანიძის, ნანუკა ჟორჟოლიანის, როსტოს, ნანუკას ძალლისა და სოსო ცინცაძის ადგილი კი ქვეყნის ამომგდებთა ნაგავსაყრელზეა!!! მალე ვნახავთ სიმართლისა და სამართლის ზეიმს, მალე დადგება ყველაფერი თავის ადგილზე, მტერს არაფერს აღარ შევარჩენთ, არც მის მლოკავებს!!!

ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გაზაფხულზე მოამთავროს საქმე. გათვლა ძალიან მარტივია. ახლა უნდა გამოიყენონ დრო, მერე ზაფხული მოდის, ევროპის ჩემპიონატია, სხვადასხვა თამაშები. ა რ ჩევნებს, ალბათ, აგვისტოში და გვინიშნავენ და ამისთვის არავის ეცლება. ამიტომ სიტუაციის გადატეხა და დაშინების მანქანის ამუშავება ყველაზე მნიშვნელოვანი გაზაფხულზეა.

ვიცით რუსული გეგმები, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, ნაც.-ები იყვნენ ცხოვრების ყველა სფეროს დაპატრონებულნი და ჭამდნენ, სვამდნენ, ილხენდნენ, გვძარცვავდნენ და ჩვენ — “რუსი მოდის, რუსი მოდის” — ძახილით გვამუნათებდნენ?! რუსი რომ მოდიოდა, ამიტომ ცხოვრობდნენ უზენაესი საბჭო და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ყოველგვარი პრივილეგიებისა და ბიზნესწილების გარეშე.

ძალიან მაინტერესებს, კონტროლის პალატა “, დღევანდელ თამაშზე, ქართული ოცნების” მიერ “ორგანიზებულად” შეძენილ ბილეთებში გადახდილ ფულს მიიჩნევს თუ არა “საეჭვო გარიგებად” და დაიწყებს თუ არა სტადიონზე შეკრებილი ათიათასობით ადამიანის დაბარებას......:დ

დღეს, გადაცემის დასრულების შემდეგ, მითხრა ლაშა ნაცვლიშვილმა და თქვენც უნდა გაგიზიაროთ: პაატა ზაქარეიშვილს უთქვამს, - სტალინი ვერ იტანდა დემოკრატიას,

მაგრამ დემოკრატიას უნდა აეტანა სტალინის ძეგლიო. მეც ასე ვფიქრობ: სანამ გორის მოსახლეობა არ გადაწყვეტდა, რომ აღარ სურდა მათ ქალაქში მდგარიყო სტალინის ძეგლი, არავის ჰქონდა ერთპიროვნულად მისი აღების უფლება.

ეს არის დემოკრატია!

ახლა დაველოდები, მიშისტები როდის დაიწყებენ, “საქართველოს დირექტორები არ ჰყავსოს” ხაზის გამაგრებას და როდის იტყვიან, რომ ამერიკელების აზრი არაა გადამწყვეტი. ეგ დროც მოვა. არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ თუ ეს მოხდა, ქვეყანა სერიოზულ იზოლაციაში აღმოჩნდება, ჩვენ კი არ გვაქვს ისეთი ბუნებრივი რესურსები, რომ ეს დიდხანს ავიტანოთ, ხელისუფლება ჩამოკიდებულია უცხოურ დონორებზე. ასეთ შემთხვევაში ერთი გზა რჩება ხელისუფლებას - სწორება ირანისკენ, აი მერე კი მართლა ორი აგური უნდა დავიჭიროთ ყველამ ხელში

მოგელაძე როდის იბარებს ჯონ ბასს “გასაუბრებაზე” ... თასმებიანი ფეხსაცმელი არ ჩაიცვას... გახდაზე გაწვალდება!



*1071 წელს, იერუსალიმის აღებისას თურქ-სელჯუკებმა დაარბიეს წმინდა მიწაზე ტაძარი — ჯვრის მონასტერი, იავარჰყვეს ქართული სიწმინდეები და ასე გრძელდებოდა ჟამიდან-ჟამზე XIX საუკუნემდე, ვიდრე ბერძნებმა საბოლოოდ არ წარიტაცეს იგი. ქართული ფრესკები საგანგებოდ შეათეთრეს, რათა წარეშალათ ქართული კვალი და ტაძარში ბერძნული სემინარია გახსნეს.*



# ugzoukvlod mimofantuli freskebi da ocneba jvris monastris dabrunebisa

### იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

იერუსალიმში ჯვრის მონასტერი დააარსა ქართველმა რელიგიურმა მოღვაწემ — **გიორგი-პროხორე შავთელმა** საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით XI საუკუნის 30-50 წლებში.

გადმოცემით, მონასტრის ადგილას მოჭრილი ხისაგან გააკეთეს ჯვარი — რომელზედაც შემდგომში იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. 1071 წლის დარბევის შემდგომ, დავით აღმაშენებლის მხარდაჭერით აღადგინეს იგი, განაახლეს და მოხატეს. თამარის მეფობის დროს კი ჯვრის მონასტერი კვლავ აღორძინდა.

1273 წელს ჯვრის მონასტერი ქართველებს ჩამოერთვათ და მეჩეთად გადაკეთდა. შემდგომში, XVII საუკუნიდან, კვლავ მიეპყრო ქართველთა ყურადღება მონასტერს და შეკეთდა მთავარი ტაძარი, მოახატვინეს კედლები (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა).

1855 წელს აქ ბერძნული სასულიერო სემინარია გაიხსნა, რომელიც ფუნქციონირებდა 1908 წლამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ბერძნული სამღვდელოება შეგნებულად მალავდა ჯვრის მონასტრის კავშირს, ქართულ კულტურასთან ამიტომ მათ კედლები საგანგებოდ შეათეთრეს და წაშალეს ქართული კვალი.

1948-58 წლებში, მონასტრის ტერიტორიაზე ისრაელის ჯარი იდგა.

**... ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი მოღვაწენი და მწიგნობარნი: გიორგი-პროხორე წინამძღვარი, მიქაელ დვალი, იოანე დვალი, შავი იოანე, გაბრიელ საყვარელი, არსენ იყალთოელი... და სულმნათი შოთა რუსთაველი,** რომლის ფრესკული პორტრეტი (XII ს – XIII ს მიჯნა) შემონახულია მთავარ ტაძარში სვეტზე.



1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ პალესტინაში მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია (ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი), რომლის წევრებიც უდიდესი სიამაყით აღნიშნავდნენ მონასტრის შესახებ და ქართველთა შორის პატრიოტიზმის გრძნობა უკვე სხვა კუთხით წარიმართა — გონიერების გზით, მომავლის რწმენისა და ადრე თუ გვიან საქართველოს გაბრწყინების გზით.

1908 წელს, როდესაც ჯვრის მონასტერში დაიხურა იქ მოქმედი ბერძნული თეოლოგიური სკოლა და მონასტერი, მიტოვებულ სავანეში ყველაფერი გავერანდა და მისგან ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი გაქრა. დაიკარგა ხატები და ჯვრები. ფრესკები კი ჩამოჭრილ იქნა კედლებიდან.

ასეთ ვითარებაში საქსონიის პრინცმა **იოანე-გეორგიმ** ისარგებლა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული ფრესკები შეიძინა და ევროპაში გაიტანა — რითაც თითქმის გადაარჩინა ისინი.

1951 წელს, მისი გარდაცვალების შემდგომ, მემკვიდრეებმა პრინცის კოლექციის დიდი ნაწილი გაყიდეს და დაიკარგა ჩვენი ფრესკების კვალი.

XX საუკუნის 90-იან წლებში ამერიკის ხელოვნების სამ მუზეუმში (ბოსტონში, სან-ფრანცისკოსა და ვილიავსტაუნში) აღმოჩნდა 3 ფრესკული მედალიონი, რომლებიც ამ მუზეუმებში ეგვიპტური ფაიამის სახელით გამოიფინა. ისინი შეუმჩნეველი არ დარჩენია ისრაელელ მეცნიერს, ხელოვნებათმცოდნე პროფესორ **გუსტავ კოუჰნელს,** რომელიც 30 წელია ჯვრის მონასტრის მოხატულობაზე მუშაობს და ეგვიპტური ფაიამის სახელი — ქართულით შეაცვლევინა!

პრაქტიკულად, ჯვრის მონასტრის ხატები თუ ფრესკები უგზოუკვლოდ იქნენ მიმოფანტულნი. თუმცა, ზოგიერთი მათგანი მიკვლეული იქნა.

1999 წლის მაისში, იერუსალიმში, სამეცნიერო-კონფერენციაზე ყოფნის დროს ქართველ მეცნიერს, პროფესორ **თამილა მგალობლიშვილს** დაუკავშირდა კონფერენციის მონაწილე, გერმანელი მეცნიერი და კოლექციონერი — **დოქტორი ქრისტიან შმიდტი,** რომელმაც მას რამოდენიმე ფრესკული სურათი აჩვენა და სთხოვა, მათზე საკუთარი აზრის გამოთქმა.

ქალბატონი თამილა ადგილზე გაშეშდა. ეს იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან საუკუნის დასაწყისში გატანილი განძი, — ფრესკები და ხატი — „ღვთისმშობელი ყრმით".

... უცნობი ხატმწერის მიერ XV საუკუნეში შესრულებული ხატი ერთი ბელგიელი კოლექციონერის სასტუმრო ოთახში ეკიდა, ვითარცა კედლის სამშვენისი ერთერთთაგანი. და იყო ხატი იგი მოწყენილი, ლოცვისა და სანთლის გარეშე...

1999 წლის 14 ოქტომბერს, მოსკოვის მაშინდელმა ვიცე მერმა, ბატონმა სოსო ორჯონიკიძემ, საქართველოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის უმორჩილესი თხოვნა შეასრულა და ლონდონიდან თავად ჩამოიტანა კანადაში კერძო კოლექციაში დაცული და შეძენილი ფრესკა იერუსალმის ჯვრის მონასტრისა **„ელიას ამაღლება",** რომელიც მან სვეტიცხოვლობის დღეს დაუბრუნა ერს.

ეს იყო უდიდესი სიკეთე და მართლმადიდებლური საქციელი მისი მხრიდან.

2001 წელს ოქტომბერში კი „ელიასა და ელისეს წინასწარმეტყველის" ფრესკა და ხატი „ღვთისმშობელი ყრმით" ქართველ ხალხს დაუბრუნდა, როგორც იმედი, დღევანდელი ძნელბედობის ჟამს.

საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით **პროფესორ ვაჟა ლორთქიფანიძეს, რომელიც თავად გახლდათ ფრესკისა და ხატის ჩამომტანი ბელგიიდან და რომელსაც ლომის წილი მიუძღვის ამ საქმეში.**



**— ბატონო ვაჟა, რას იტყვით დღეს ჯვრის მონასტრის საქართველოსთვის ქვის მონასტრის გადმოცემის თაობაზე?**

— თავად საკითხი ჯვრის მონასტრისა, მეტად მტკივნეული საქმეა და ქართველთა არა ერთ თაობას აღელვებდა ის. ყველასათვის ცნობილია, რომ თანხის გადაუხდელობის გამო დაახლოებით, 400 წლის წინ დავკარგეთ და დღეს ის ბერძნებისაა.

დაახლოებით მეორე საუკუნის 80-იან წლებში, უწმინდესმა და უნეტარესმა, კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ, მის დასაბრუნებლად კვლავ წამოიწყო საუბარი. მაშინდელმა საქართველოს პირველმა პირმაც, ჯუმბერ პატიაშვილმაც დიდი მონდომება გამოიჩინა ამ საქმეში. ასევე, იყო მხარდაჭერა მაშინდელი საკავშირო საგარეო საქმეთა მინისტრის **ედუარდ შევარდნაძის** მხრიდანაც. სწორედ ამისათვის საქართველოში ჩამოვიდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის საკონსულოს უფროსი ისრაელში, და გაიმართა მასთან მოლაპარაკება, რომ ის დაგვხმარებოდა. მართლაც, მან გადაიღო ერთსაათიანი დოკუმენტური ფილმი ჯვრის მონასტერზე (ქართველებს ტაძარში არ გვიშვებდნენ), რომელიც შემდეგ ქართველმა საზოგადოებამ იხილა, ასევე, ის წარმვუდგინეთ მაშინ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს. ასევე, ამ საქმეში ჩართულ იყვნენ ბატონი **ირაკლი აბაშიძე,** როგორც 1960 წელს მოვლენილი სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილე, და ბატონი **რეზო თაბუკაშვილი,** დიდი ეროვნული კაცი და რეჟისორი. იმ დროს შედგა გარკვეული გეგმა, პატრიარქთან ერთად, თუ როგორ შეიძლებოდა ჯვრის მონასტრის დაბრუნების საქმეზე გვეფიქრა და მოგვეხერხებინა. გეტყვით, რომ ეს ძალიან ფაქიზი საკითხია, ეს ის თემაა, რომელზედაც ხმამაღლა ყვირილი და საუბარი არ შეიძლება, რადგანაც ამან შეიძლება საქმეს დიდი ზიანი მოუტანოს.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ ჩვენს მიერ დასახული გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა, რადგანაც ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა, ტრაგედიები გადაიტანა საქართველომ და ბუნებრივია, ამ საკითხისთვის არ ეცალათ. შემდგომში, 1996 წელს, როდესაც მე საქართველოს ელჩი გახლდით რუსეთში, მოსკოვში ჩამობრძანდა ჩვენი პატრიარქი ილია II-ე ოფიციალურ ვიზიტად რუსეთის პატრიარქ ალექსი-II-სთან; მანამდე კი წინ უძღოდა მისი ვიზიტი თბილისში. იყო სექტემბრის თვე სწორედ ამ დროს მე გავაცანი ილია მეორეს მოსკოვში მყოფი ქართველი ბიზნესმენი — ბადრი პატარკაციშვილი. არ შემიძლია არ გავიხსენო ის, რომ როდესაც პატრიარქს პატარკაციშვილზე ვუთხარი და მასთან შეხვედრაზე, მითხრა, მე მას შევხვდები თუ ის მოგვეხმარება ჯვრის მონასტრის საკითხის მოგვარებაშიო. ეს შეხვედრა შედგა, და ეს იყო ბატონი ბადრის გაცნობა პატრიარქთან.



პატრიარქმა პატარკაციშვილი ამ საქმეში იმიტომ ჩართო, რომ იცოდა, მას ამ ქვეყანასთნ კარგი კავშირები ჰქონდა, იქ პატივს სცემდნენ, და ჰქონდა შესაბამისი ფინანსებიც, რაც ამ საქმეში აუცილებელი გახლდათ. მართლაც, სწორედ განჭვრიტა ეს ყოველივე მისმა უწმინდესობამ, და ეს მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავ გაგრძელდა.

დიდი ძალისხმევითა და ქალბატონ თამილა მგალობლიშვილის დახმარებით, მიკვლეული ფრესკები ბელგიიდან გერმანიაში ჩავიდა და იქიდან კი ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოვაბრძანეთ თბილისში 2001 წელს იანვარში და ნოემბერში. ერთი ფრესკა საქართველოს დაუბრუნა ბატონმა სოსო ორჯონიკიძემ, დანარჩენი კი მე თავად ჩამოვიტანე. უდიდესია წვლილი ამ საქმეში **აწ განსვენებული, ბადრი პატარკაციშვილისა, რადგანაც ხატისადა ფრესკების გამოსიდვის სოლიდური თანხა — მან გადაიხადა!** ბატონი როინ მეტრეველის მხარდაჭერით, ახლად ჩამობრძანებული ფრესკები და ხატი პირველად ქართული სულიერების ცენტრში — ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივაბრძანეთ, შემდგომში კი ის გადაბრძანებულ იქნა სიონში. სიმბოლური იყო მათი მიბრძანება უნივერსიტეტში იმიტომ, რომ დღევანდელი განათლების ცენტრი გახლავთ სწორედ ეს სასწავლებელი და მაშინდელი ჯვრის მონასტერიც, სწორედაც რომ კულტურისა რელიგიისა და მეცნიერების ცენტრი გახლდათ.

მადლი იყო რომ სტუდენტობა და ახალგაზრდობა მიახლებოდა ხატსა და ფრესკებს.

ასე მოხდა ამ სიწმინდეების დაბრუნება დედა ეკლესიისათვის, შემდგომში ქალბატონ თამილა მგალობლიშვილის სამეცნიერო ექსპედიციები ამ კუთხით იერუსალიმში გაგრძელდა.

შემდეგ ბადრი პატარკაციშვილი გარდაიცვალა, მეც გარკვეულწილად ჩამოვცილდი ამ პროცესს. თუმცა, გამოცდილებამ და იმდროინდელმა შეხვედრებმა ისრაელის სახელმწიფო მოღვაწეებთან გვიჩვენა, რომ **ჯვრის მონასტრის დაბრუნებისა და საქართველოსათვის გადმოცემის საქმე, ისრაელის საქმე არ გახლავთ, ეს არის ბერძნული მართლმადიდებლური სამღვდელოებისა და მათი საპატრიარქოს გადასაწყვეტი და არა ხელისუფლების** — ვიმეორებ ეს ტაძარი დღეს ეკუთვნის ბერძნულ ეკლესიას.

ვფიქრობ, ძალიან რთულად უყურებენ ბერძნები ამ საკითხს, ეჭვითაც კი და ეს ბუნებრივიც არის, ეს ტაძარი ხომ უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს, დასთმობენ კი ისინი ამ სიწმინდეს?! მისი გადაცემა ასე იოლად არ ხდება.

**— ისრაელის ხელისუფალთაგან ბევრთან გქონიათ პირადად თქვენ ამ საკითხზე საუბარი, საბერძნეთის პირველ პირთანაც, თუმცა, ჯერჯერობით საკითხი დღემდე გადაუჭრელია, იქნებ უფრო გართულდა კიდეც...**

— დიახ, როდესაც ნეთანიაჰუ იმყოფებოდა თბილისში, მაშინაც შევახსენეთ ამ საქმის შესახებ მას, მე პირადად მქონდა მოლაპარაკება არიელ შარონთანაც, მოშე კაცავთან, საბერძნეთის პრემიერ მინისტრთან კოსტა კარამანლისთან, ასე რომ ისრაელის პირველ პირებთან ამაზე საუბარი არ ახალია, ეს რამდენიმე საუკუნოვანი ოცნებაა ქართველებისა, მფლობელი ჯვრის მონასტრისა დღეს არის ბერძნული ეკლესია, ხელისუფალთ მხოლოდ ხელშემწყობი როლი შეიძლება ითამაშონ, გადამწყვეტი არა, **ძირითად გადაწყვეტილებას მიიღებენ ბერძენი სასულიერო პირები — ეს კი ძალიან საეჭვოა.**

ისიც წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ ამ საქმეში ჩვენი სასულიერო პირების მონაწილეობა უგულებელყოფილია და მათი როლი იგნორირებული დღევანდელ ეტაპზე. მე მომხრე ვარ იმისა, რომ პატრიარქის უშუალო ჩარევითა და მისი რჩევით უნდა მოხდეს ამ საქმის შემდგომში გაირკვევა, სხვანაირად წარმოუდგენელია.

**ეთერ კასრელიშვილი**

# putini Rirsebis sakiTxad Tvlis, rom im sabraldebo skamze, sadac miloSeviCi ijda, saakaSvilic dajdes...



**გვესაუბრება „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა:**

**— კახა, ბოლო დროს ნატოს გენერალური მდივანი კატეგორიულად აცხადებს, რომ საქართველოს ნატოში იღებენ. რას ნიშნავს ეს განცხადება, როგორ გვიღებენ ნატოში მაშინ, როცა ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარი დგას?**

— საქართველო დღეს უფრო დაშორდა ნატოს, ვიდრე 2008 წლამდე. ამ პერიოდამდე საქართველოს საკითხი ნატოს სამიტების დღის წესრიგში იყო. შემდეგ 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხიც განიხილეს. ეს იყო ბოლო სამიტი, როდესაც საქართველოს საკითხი განიხილეს, მას შემდეგ ასეთი რამ აღარ მომხდარა. ერთადერთი, პრეს-რელიზში, რომელსაც ჟურნალისტებისთვის ამზადებენ და არავითარი იურიდიული ძალა არ აქვს, იქ, უბრალოდ, ერთი წინადადებით იწერება, რომ საქართველოსთვის კარი ღიაა. საქართველოს ხელისუფლება ხშირად აღნიშნავს, რომ მთავარი დაბრკოლება რუსეთია. რა თქმა უნდა, ეს სიმართლეა, ოღონდ ეს არის ნახევრად სიმართლე. იმიტომ, რომ მეორე დაბრკოლება, რაც საქართველოსთვის არსებობს, დემოკრატიული სტანდარტებია, რაზეც არაერთხელ მიუთითა ნატოს ხელმძღვანელობამ. ნატოს პოლიტიკური ნება რომ არსებობდეს, საქართველოს ნატოში მიიღებდნენ რუსეთის ნების წინააღმდეგაც და დემოკრატიული სტანდარტების გარეშეც. ასეთი პრეცენდენტები მსოფლიოში არსებობდა. თურქეთი მაშინ კი არა დღესაც არ აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს დემოკრატიის კუთხით, მაგრამ თურქეთი სწორედ ის შემთხვევა იყო, რომელიც მაშინ ნატოს სჭირდებოდა. ცივი ომის დროს, როდესაც აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის გლობალურ დაპირისპირებაზე, მათ თვალი დახუჭეს. დღეს, ამ კუთხით, რუსეთი არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. ნატოსთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ისლამური ტერორიზმი, ჩინური საფრთხე და წყნარი ოკეანის ზონა, ნარკოტრანზიტის საკითხები. რუსეთს, როგორც საფრთხეს არავინ აღიქვამს. გამორიცხულია, რომ ნატოში საქართველოს მიღების საკითხი ექსკლუზიურად გადაწყდეს. გარდა ამისა, საქართველოში დემოკრატიული სტანდარტები დაცული რომ ყოფილიყო, გვქონდა შანსი, მაპი მაინც მიგვეღო. ბუქარესტის სამიტზე პრეზიდენტი ბუში პირადად ურეკავდა ევროპელ ლიდერებს და მაპის გადაწყვეტილებისთვის მხარდაჭერას სთხოვდა. გვარწმუნებენ, თითქოს, ევროპელი ლიდერები პუტინმა აიძულა, რათა უარი ეთქვათ ნატოში საქართველოს ინტეგრაციაზე. მე ეს არ მჯერა. რა თქმა უნდა, მათ იცოდნენ პუტინის პოზიცია, რომ იგი წინააღმდეგი იყო. ევროპელი ლიდერები პუტინს ანგარიშს უწევენ, მაგრამ კრემლი დავალებას ვერ მისცემს საფრანგეთის და გერმანიის მთავრობებს. რომ არ მომხდარიყო 7 ნოემბერი და არ გაყალბებულიყო საპრეზიდენტო არჩევნები, საფრანგეთი და გერმანია საქართველოს წევრობის წინააღმდეგ არ მისცემდნენ ხმას. სააკაშვილმა ძალიან კარგი არგუმენტი მისცა საფრანგეთის და გერმანიის მთავრობებს. ამას თან დაერთო აგვისტოს ომი, რამაც, საერთოდ ამოთხარა დღის წესრიგიდან საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი. ამიტომ მინდა გითხრათ, რომ ნატოს გენერალური მდივნის განცხადებები, თავისი პოლიტიკური და იურიდიული მნიშვნელობით, პრეს-რელიზის დონეს არ სცილდება. რეალურად, არანაირი ფორმით საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი არ განიხილება.

**— ნატოში ჩვენი გაწევრიანების საკითხი, ბუნებრივია, ვერ განიხილება იმიტომ, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენი გვაქვს, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის გარეშე როგორ შევალთ ნატოში? მაგრამ ის, რომ ნატოში ჩვენი გაწევრიანების თაობაზე განცხადებები გვესმის, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ გვეუბნებიან, ამ პრობლემის მოსაგვარებლად აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობა ვცნოთ?**

— მინდა გითხრათ, რომ ახლა არა, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს საკითხი აუცილებლად დადგება. რატომ არ უკავშირდება დღეს აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის საკითხი ნატოში ინტეგრაციას? — იმიტომ, რომ რეალურად, დღეს განიხილება არა ნატოში საქართველოს წევრობის საკითხი, არამედ ყველაზე იდეალურ შემთხვევაში საუბარია მაპზე. მაპს — სამხედრო თანამშრომლობას სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის სტატუსი ხელს არ უშლის. თუმცა, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის საკითხი მაშინვე დადგება, როგორც კი ჯერი ნატოში საქართველოს გაწევრიანებაზე მიდგება. ამით იმის თქმა მინდა, რომ დღეს ნატოში საქართველოს გაწევრიანებას სერიოზულად არავინ განიხილავს და იმიტომაც არ დგას აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის საკითხი. თუმცა გეთანხმებით, სამომავლოდ ეს ზეწოლა აუცილებლად იქნება. საქმე ისაა, რომ თუ საქართველომ პრო-ამერიკული კურსი შეინარჩუნა, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას აუცილებლად აიძულებენ, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობა სცნოს. ამერიკელებისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ფორ-პოსტის საზღვარი ფსოუზე გავა თუ ენგურზე. მათთვის ის ტერიტორია, რასაც დღეს საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებს, აბსოლუტურად საკმარისია საკუთარი სტრატეგიული მიზნების დასაკმაყოფილებლად. აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი აშშ-სთვის ზედმეტი პრობლემაა, რომელიც მას იმ ტიპის თავის ტკივილს უჩენს, რაც არაფერში სჭირდება. ამიტომ იმისთვის, რომ მაკკეინის და სააკაშვილის ოცნება შედგეს და საქართველო, როგორც სინგაპური, ანუ ამ რეგიონში ამერიკული ანკლავი ჩამოყალიბდეს, რა თქმა უნდა, აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი მათთვის ზედმეტი ბარგია. სხვათა შორის, ეს ნაბიჯები სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდანაც გადაიდგა. ალბათ, ამჩნევთ, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, იგი საერთოდ აღარ ახსენებს აფხაზეთს და სამხრეთ-ოსეთს. ეს იგნორირების პოლიტიკა რამდენიმე წელს გაგრძელდება, რის შემდეგაც საზოგადოებრივი აზრის ზონდაჟი დაიწყება — გვეტყვიან, ხომ არ სჯობს აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობა ვცნოთო?! ეს აუცილებლად მოხდება, თუ ამერიკული ხელისუფლება დარჩა საქართველოში, ეს გარდაუვალია.

**— გარდა ამისა, საქართველოდან სულ რაღაც 50 კმ-ში რუსის ჯარი დგას, ანუ ფაქტობრივად, პუტინი და მასთან ერთად როგორ შევალთ ნატოში? აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობაზე საქართველოშიც გაკეთდა ცოტა ხნის წინ განცხადებები. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ გარიგება უკვე შედგა?**



— პუტინის გინება საქართველოში მოდაშია, მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, აფხაზეთის დამოუკიდებლობის მთავარი მოწინააღმდეგე შეიძლება სწორედ პუტინი იყოს. როგორც აღვნიშნე, ამერიკისთვის დღეს არსებული საქართველოს საზღვრები აბსოლუტურად საკმარისია, ზუსტად იგივე მიზეზის გამო პუტინისთვისაც არანაირ ინტერესს არ წარმოადგენს აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი. ცალკე აღებულ აფხაზეთს და სამხრეთ-ოსეთს არანაირი ფასეულობა არ აქვს. ზოგიერთი ჩვენი სულელი ექსპერტი გამოდის და ამბობს, — ოჩამჩირეში ბაზა უნდათო. ოჩამჩირეში არანაირი საზღვაო ბაზა არ არსებობს. რუსეთის ბაზა შავ ზღვაზე ყოველთვის სევასტოპოლი და ნოვოროსიისკი იყო. ამ უზარმაზარ ბაზებს ოჩამჩირეში არავინ გადმოიტანს, ეს დებილობაა. თუ იქ რაიმე მშენებლობა მიმდინარეობს, ეს აფხაზეთში არსებული ინფრასტრუქტურისთვისაა საჭირო. მით უფრო არ სჭირდებათ სამხრეთ-ოსეთი. ამ რეგიონებში არ არის არც ბუნებრივი რესურსი. ერთადერთი ინტერესი, რაც ამ რეგიონებს რუსეთისთვის აქვთ, არის ის, რომ გამოიყენოს ისინი, როგორც ბერკეტი დანარჩენ საქართველოზე ზემოქმედებისთვის. ამაზე პუტინი მინიშნებებით საუბრობს, მაგრამ მასთან დაახლოებული ექსპერტები, მაგალითად, ლეონტიევი ღიად ამბობს, რომ რუსეთმა აგვისტოს ომი წააგო, იმიტომ, რომ ამერიკელებმა და სააკაშვილმა ის მიიღეს, რაც უნდოდათო — დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე სრული სამხედრო ფორ-პოსტი.

**— რუსეთმა უკვე აღიარა აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობა. რამდენად მომგებიანია ჩვენთვის ამერიკის ინტერესების მიხედვით ხელმძღვანელობა...**

— კარგად უნდა გვესმოდეს, რომ გეოპოლიტიკური რეალიები 2-3 წელიწადში არ იცვლება. რუსეთი ამ რეგიონის ლიდერი, მინიმუმ 100-200 წელი იქნება. ანუ მოლოდინები, რაც სააკაშვილს აქვს და რაზეც თელავში ღნაოდა — რუსეთი გადისო, ობიექტურად, რომ შევხედოთ, ეს ერთ წელიწადში არ ხდება. რუსეთი აქ არის უკვე 500 წელია და რაც ამ დროის მანძილზე უშენებია, სააკაშვილის ჭკუაზე 2 წელიწადში ვერ გადაწყდება. ამიტომ, როცა ეროვნული უსაფრთხოების საგარეო-პოლიტიკის კონცეფციას ვადგენთ, უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთი ამ რეგიონში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა. პირველი პრიორიტეტი, რუსეთია. საკითხავია, ვინ არის მეორე — ამერიკა, თურქეთი თუ ვინ. ამერიკა დროებითი მოვლენაა, რომელიც რეგიონში შემოვიდა, სტრატეგიული ინტერესები არ აქვს და შეიძლება გავიდეს. ასევე, დღითიდღე იზრდება ირანის როლი, რომელიც უახლეს წლებში, ალბათ ბირთვული სახელმწიფო გახდება, რაც მთლიანად შეცვლის რეგიონში სამხედრო ბალანსს. ჩვენ ეს მხედველობაში უნდა მივიღოთ და არა ის, რომ მაკკეინის ჩამოსვლის გამო უკანა თათებზე დავდგეთ მთელი საქართველო.

აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტია მანამდე, ვიდრე ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. თუ საქართველო აღიარებს აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობას, მაშინ რუსეთი კარგავს ამ ბერკეტს, სწორედ ამიტომ არის ეს ამერიკის ინტერესი. სანამ ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არაა, ჩვენ ყოველთვის ვიტყვით, რომ მთავარია არა ნატოში ინტეგრაცია, არამედ აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის რეინტეგრაცია. ამერიკამ ეს იცის და ამიტომაც მისთვის მნიშვნელოვანია ამ ბერკეტის გამორთმევა რუსეთისთვის დროულად მოხდეს. რუსეთმაც იცის ეს და ამიტომაც აკეთებენ მინიშნებებს, რომ სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის საკითხი დახურული არ არის. ყველა იმპერიას აქვს მისწრაფება — თავის ირგვლივ მეზობლები, ამა თუ იმ ფორმით, გააკონტროლოს. რუსეთს კავკასიის კონტროლის მისწრაფებას ვერავინ აუკრძალავს, ისე როგორც ამერიკა აკონტროლებს კანადას, მექსიკას. ჩვენ შეგვიძლია, რუსეთს შევთავაზოთ თავისი ინტერესების დაკმაყოფილების სხვადასხვა მოდელი. სააკაშვილმა შესთავაზა ასეთი პოლიტიკა — მოდი, ვიომოთო. „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკაა რუსეთს შევთავაზოთ ასეთი კომპრომისი — ნუ დამიყენებ წითელ დროშას თბილისში და მე არ დავაყენებ ამერიკის ჯარს, ნეიტრალური ვიქნები. ეს საქართველოს და რუსეთის ინტერესებში შედის. რუსეთის და საქართველოს ინტერესები, პრინციპში ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. ერთმანეთს ეწინააღმდეგება რუსეთისა და ამერიკის ინტერესები ამ რეგიონში. ამერიკის ინტერესებს კი რატომღაც ჩვენ ვაცხადებთ, როგორც ჩვენს ეროვნულ ინტერესებს. თუ გავყოფთ ამას და დავინახავთ, სად არის ამერიკის და სად საქართველოს ინტერესები, ვნახავთ, რომ საქართველოს ინტერესები რუსეთისას არ ეწინააღმდეგება. რუსეთს სჭირდება, რომ კავკასია მისი გავლენის ზონა იყოს, საქართველოს კი, სჭირდება ის, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს. რუსეთისთვის სტრატეგიული მოკავშირე საქართველო უფროა, ვიდრე აფხაზეთი. აფხაზურ-რუსული კავშირი ცოტა კომიკური თემაა.

**— ბოლო დროს სააკაშვილი უჩვეულოდ ღელავს. მან კახეთში გამოსვლისას კონტროლი დაკარგა და პუტინს შემოდგომაზე პაემანიც კი დაუნიშნა. რით არის ეს განპირობებული?**

— სააკაშვილი დღეს უკვე პოლიტიკური გვამია. იგი ამერიკული სამხედრო მანქანის მოხელეა, რომელიც აქ დანიშნულია საქართველოს ტერიტორიის საკონტროლებლად. თეორიულად, რომ წარმოვიდგინოთ, საქართველოში თავისუფალი არჩევნების ჩატარება სააკაშვილი ბარიერს ვერ გადალახავს. დღეს მას უზარმაზარი რეპრესიის და ფინანსების გამოყოფა სჭირდება იმისათვის, რომ 100 კაცი ქალაქის ცენტრში გამორეკოს, ეს სრული დევალვაციაა, ამიტომაც ჰყეფს იგი, ასე განწირულად. მას, რა თქმა უნდა, ძალაუფლებაში დარჩენა აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ 2013 წელს, როგორი კონფიგურაციაც არ უნდა გააკეთოს, ამ წლის შემდეგ ყოველი დღე სააკაშვილისთვის პრობლემა იქნება იმიტომ, რომ იგი იქნება არალეგიტიმური. 2013 წლის შემდეგ პრემიერი ერქმევა მას თუ პარლამენტის თავმჯდომარე, ყოველი დღე ყველასთვის იქნება განსჯის საგანი — როდის მიდის, როგორ მოვიშოროთ. მან იცის, რომ არანაირი გარანტიები არ აქვს. ბევრი ვარიანტი შეიძლება განხორციელდეს მის წინააღმდეგ შეიძლება, მოკლან, როგორც კარდაფი. ეს ძალიან რეალური ვარიანტია. საქართველოში მოხდება არეულობა, ქუჩის შეტაკებები, შეიჭრება ხალხი რეზიდენციაში, გამოათრევენ ზუსტად ისე, როგორც კადაფს და საკუთარი რეზიდენციის ეზოში გაუსწორდებიან. შეიძლება სამართალდამცავებმა მისი დაპატიმრება მოასწრონ. შეიძლება გაქცევა მოასწროს, თუმცა არ მეგულება ქვეყანა, რომელიც მას დიდი ხალისით მიიღებს. ასეთ შემთხვევაში, როგორც პინოჩეტს ერთი ქვეყნიდან მეორეში მოუწევს გადასვლა. დღეს სააკაშვილს პუტინის ეშინია იმიტომ, რომ როცა კოსოვო აღიარეს, მან თქვა, ამის პასუხს აფხაზეთში მიიღებთო. მილოშევიჩის დაპატიმრების მერე, პუტინი ღირსების საკითხად თვლის, რომ ამ სკამზე სააკაშვილიც უნდა იჯდეს.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

teleNEWS




**ლევან ბერძენიშვილი:** ხშირად უყვართ მაგალითების მოყვანა, რომ დანიაში ან საფრანგეთში ესეა და საქართველოშიც ესე უნდა იყოს, ან უკეთესად. მინდა გითხრათ, რომ საქართველო არის ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა დემოკრატიისა და საზოგადოებრივი მშენებლობის თვალსაზრისით. ყველაზე ობიექტური ინდექსით, ის არის 103-ე ადგილზე 150 გასინჯული ქვეყნიდან. არის კიდევ ქვეყნები, რომელიც არ ისინჯება. არა მგონია, მაინცა და მაინც, ბირმასთან და ჩინეთთან უნდა შევიდეთ კონკურენციაში, მაგრამ ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი ქვეყნების ასეულში საქართველო ვერ მოხვდა და ვერც მოხვდება კიდევ რმდენიმე წლის განმავლობაში, თუ ის გაგრძელდა, არც ხდებოდა აქამდე. ვთქვათ, რა არის საქართველოს პრობლემები დემოკრატიისა და პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით: პირველი, ეს არის ჩართულობა, რამდენად არის მოქალაქე ჩართული თავისი ქვეყნის ცხოვრებაში. ბევრ ჩვენ მოქალაქეს ჰგონია, რომ იგი ჩართულია, თუ არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას და ჩვენ მისი უაღრესად მადლიერი ვართ, რადგან გვყავს მოქალაქეები, საკმაოდ ბლომად, დაახლოებით 1/3, რომელიც არჩევნებზეც არ მოვა, რამდენიც არ უნდა ველაპარაკოთ. ეს მოქალაქე, პატიოსნად რომ ვთქვათ, უბრალოდ, მაცხოვრებელია და მეტი არაფერი. ადამიანი, რომელიც თავისი ქვეყნის ბედით არ არის დაინტერესებული, არჩევნებზე არ მიდის



და ამით ტრაბახობს, ამბობს, რომ არცერთი პარტიის წევრი არ არის, გლეხი კაცისთვის მაინც არავინ არაფერს აკეთებს და აშ. ეს ფაქტი მახსენებს, ილია ჭავჭავაძე რომ დაგვცინოდა ისეთ ბრძნული ანდაზებისთვის, როგორიცაა „დათვი ხეზე როგორ გავა, იავნანინაო“ და ა.შ. დაახლოებით ასეთი ტიპის ხალხი გვყავს თითქმის 1/3. მოქალაქე, რომელსაც ჰგონია, რომ არჩევნებზე მისვლით ის ძალიან დიდ სამსახურს უწევს თავის ქვეყანას, არ არის მართალი, რადგან ქვეყანას სჭირდება დახმარება და უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს. ასე რომ მოქალაქეების აქტივობა საჭიროა ყოველდღე. დღეს, მაგალითად მიმდინარეობს კვაზიპოლიტიკური (რადგან არასამთავრობოები ხელმძღვანელობენ) აქცია „ეს შენც გეხება“. ეს არის პირდაპირი გამოწვევა და თუ ამის წევრი არ არის 100%, საქართველოს რ ჰყავს 100% მოქალაქეობა. აქ ცხოვრობენ ადამიანები, ხოლო მოქალაქეები არიან ისინი, ვინც ამ მოძრაობაში მონაწილეობს. დღეს თუ ამ მოძრაობაში არ მონაწილეობ, ან მისი დამთრგუნველი ხარ ანუ ხელისუფლება ხარ და ხელისუფლების მოქალაქე ხარ ან უყურებ შენს მეზობლებს, ახალგაზრდებს, რესპუბლიკურ ინსტიტუტებს, რომლებიც იჩაგრებიან. სხვათა შორის მე ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვარ და იგი ერთადერთი რეპრესირებული არასამთვრობო ორგანიზაციაა ჯერ-ჯერობით და იმედი მაქვს, რომ ეს რიგი ჩვენზე შეჩერდება. ჩვენი მოქალაქეების ეს პოზიცია ძალიან ჰგავს მოლოდინს, რომ მის გასაკეთებელს სხვა ვინმე გააკეთებს და ეს ვიღაც სხვა ყოველთვის მოიძებნა. ძალიან ხშირად, როცა ეთერში გვირეკავენ, პირველი პეტენზია არის - რას უყურებს აშშ და რატომ არ ამხობს საქართველოს ხელისუფლებასო. პოლიტიკური კულტურის პირველი ნიშანი არის ის, რომ დაიჯერო, ჩვენი პოლიტიკა წყდება საქართველოშივე. როცა გჯერა, რომ პოლიტიკა რუსეთში, ამერიკაში თუ ჩინეთში წყდება, ასეც რომ იყოს, ეს ნიშნავს, შენ სრულყოფილ მოქალაქეობაზე უარს ამბობ. მამარდაშვილმა ერთხელ თქვა ძალიან მძიმე სიტყვები: საზოგადოებასთან შეწყობა, საზოგადოების წევრობა ნიშნავს რიგში დგომას და შენ იცავ რიგის წესებს. რას ნიშანვს ახლა ეს წესი, თუ არ გათავდა საგანი, იგი რიგში მდგომს ყველას ეკუთვნის. თუმცა აქვე თქვა მამარდაშვილმა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ შენ არაფრით არ გამოირჩევი. ანუ თუ ამ რიგში დგეხარ და არაფრით არ გამოირჩევი, ბოლოს რაღაც სიკეთე მოგიწევს. მაგრამ თუ რაიმეთი გამოირჩევი, მაგალითად, წიგნი გაქვს წაკითხული ან გამომეტყველება გაქვს ჭკვიანური, შენ არაფერი არ გეკუთვნის. და დღეს საქართველო ძალიან ჰგავს იმ საზოგადოებას, რომელსაც ძალიან უნდა რიგში ჩადგეს და ამ რიგით მოუწიოს სიკეთე, დემოკრატია 20 თუ არა 25 წლის შემდეგ მაინც ხომ მოგვიწევსო. დემოკრატია 400 წელიც არ მოგვიწევს რიგში ჩადგომით და არგამორჩევით. ანუ ხმა არ ამოვიღოთ.

დღეს ყველა ხვდება, რასაც აკეთებს საქართველოს ხელისუფლება, რასაც აკეთებს ქ-ნი მოგელაძე, კონტროლის პალატა. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ კონტროლის პალატა უნდა ამოწმებდეს სახელმწიფოს, როგორ დახარჯა მან ბიუჯეტი, ან პოლიტიკურ პარტიებს, თუ როგორ დახარჯეს მათ სახელმწიფოს მიერ მათთვის მიცემული თანხები. კონტროლის პალატას ბიუჯეტი არ შეუმოწმებია დღიდან დაარსებისა, უკანასკნელ წლებში საერთოდ უფუნქციო იყო და არაფერს წარმოადგენდა და დღეს მას პოლიციური ფუნქცია მიანიჭეს. დაინიშნა პროკურორი ქ-ნი მოგელაძე და კონტროლის პალატა დღეს მოქალაქეებს ტანსაცმელს ხდის, ფეხსცმელს ხდის და მტელი საქართველო უყურებს, რას იტყვის ახლა აშშ. სახელმწიფოს მოქალაქეებისადმი შიში უნდათ გადააქციონ მოქალაქეების შიშად სახელმწიფოს მიმართ. მთელი საქართველო ამას უყურებს და კონტროლის პალატის თანამშრომლებს მეზობლები ჯერ კიდევ გამარჯობას ეუბნებიან. ეს ქვეყანა არ არის და ეს არ არის საზოგადოება. უცხოეთში ამას ვერ გაბედავს ლევან ბეჟაშვილი, ასეთი აღვირახსნილი საქციელის შემდეგ მას ძმა და ბიძაშვილი არ ეტყვის გამარჯობას. მაგრამ ლევან ბეჟაშვილს ჰგონია, რომ ეს ქვეყანა ასე არის მოწყობილი, დღეს უფროსი არის სააკაშვილი და რა ხუშტურიც ექნება სააკაშვილს, ის უნდა შეასრულოს ბეჟაშვილმა. ეს კაცი, პარლამენტში რომ შევედით რევოლუციურად, იქ დაგვხვდა, შევარდნაძის დეპუტატი იყო, მაგრამ ამის არ შერცხვენია, თუმცა არც ბაქრაძეს შერცხვენია და არც ბევრ სხვას. ეს ხალხი მერე სააკაშვილს გამოადგა. ბეჟაშვილი არის იურისტი, მაღალი კვალიფიკაციის, მაგრამ კაცი, რომელსაც კაცური ნაბიჯი ცხოვრებაში არ გადაუდგამს. ასეთი პიროვნებების დანიშვნა თანამდებობაზე, ნიშნავს, რომ საზოგადოებაში პრობლემებია. რადგან ეს არის სწორედ ის არაფრითგამორჩეული, ის შევარდნაძის დროს შევარდნაძისტი იქნება, მიშას დროს — მიშისტი და როცა სააკშვილი აღარ იქნება ხელისუფლებაში, ბეჟაშვილი კიდევ დააპირებს სადღაც ყოფნას, მაგრამ, უბრალოდ, მოგელაძესთან მეგობრობამ, მას შეიძლება ხელი შეუშალოს. და ალბათ, დღეს არის ძალიან უბედური, რადგან უნდოდა, რომ წყნარად ყოფილიყო და მაწონი ეჭამა. მინდა გითხრათ, რომ ეს ადამიანები ყოველ წუთს შეურაცხყოფას აყენებენ საზოგადოებას, მაშინ, როცა მათ ეს არ ეკისრებათ, მაგალითად, წერილებს უგზავნიან მოქალაქეებს, რომელსაც არც ბეჭედი აქვს, არც აღრიცხვის თრიღი... მიხეილ სააკაშვილს რომ წიგნები ჰყვარებოდა და კაფკას „პროცესი“ წაეკითხა (მეეჭვება რომ წაკითხული ჰქონდეს, რადგან რთულად წასაკითხი წიგნია და ის ასეთ წიგნებს არ ეკარება), ეცოდინებოდა აბსურდული ბრალდებები უკვე აღწერილია მსოფლიო ლიტერატურაში. ის რასაც ახლა აკეთებს კონტროლის პალატა რეგიონებში, ეს ყველაფერი აღწერილია უკვე თავის ტანსაცმელ-ფეხსაცმელგახდიანა. კონტროლის პალატა, იმის ნაცვლად რომ სახელმწიფოს ამოწმებდეს, ხალხის დაბარებითა და ივანიშვილის ფინანსებით არის დაკავებული. საზოგადოებ რომ ვარგოდეს, თუმცა ყველაზე არ მაქვს საუბარი, ჩვენ რომ მართლა პოლიტიკური კულტურის საზოგადოება ვიყოთ, ეს ადამიანები უბრალოდ ვერ იარსებებდნენ ამ საზოგადოებაში. ანუ მათ საზოგადოებრივი გაკიცხვა სხვა ადგილას შეხვდებოდათ: ქორწილში არ დაპატიჟებდნენ და დაკრძალვაზე ჭირისუფალი ზურგს შეაქცევდა, ამ დონეს რომ მიაღწიო, 20 წელი არ არის საკმარისი. მე მახსოვს საქართველოში ჩამოსული იყო მარგარეტ ტეტჩერი; მან გვითხრა, — თქვენ გინდათ 20 წელიწადში მიიღოთ ის, რასაც ჩვენ 400 წელი ვაშენებდით და არ გამოგივათო. და მაშინ ეს ძალიან გვეწყინა. 20 წელი ძალიან დიდი დრო არის. ახლა მრავალი ვთქვათ, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხები შეიძლება 20 წელიწადში დავიწყოთ-თქო, ხომ ჩამქოლავენ ეგრევე. კარგად მახსოვს, როცა ჩემმა ძმამ პარლამენტში თქვა, რომ აფხაზეთის საკითხი 2 წელიწადში ვერ გადაწყდებაო, ჩაქოლეს იქ. არადა ბევრი წელი გავიდა მას შემდეგ. ჩვენი ბრძნული მოქმედების შედეგად, 98-ში აფხზებმა დამოუკიდებლობაც გამოაცხადეს, მანამდე გველოდებოდნენ, მოგებული ომის შემდეგ გველოდებოდნენ, რას შევთავაზებდით. მაგრამ ყველა შეთავაზება, ყველა პოლიტიკურ-კულტურული ნაბიჯი, ვთქვათ, რესპუბლიკური თუ სხვა პარტიების აღქმული იყო, როგორც საქართველოს ხელისუფლების დამარცხება. ისე ისტერიულად ღრიალებდა საქართველოს პრეზიდენტი, როგორ თუ ვინმეს ქართველებმა ბოდიში უნდა მოვუხადოთო, ისე მოადგა დუჟი, რომ პირველად შემეპარა ეჭვი მართალი ხომ არ არის ხმები მის ჯანმრთელობაზე -მეთქი, რადგან აშკარად არ ჰგავდა ჯანსაღ, გაწონასწორებულ პოლიტიკოსს. ჩვენ სხვა გაცხარებული პოლიტიკოსებიც გვინახავს, აგერ ატირებული პუტინიც კი ვნახეთ, მაგრამ რასაც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს, კეთდება იმიტომ, რომ საქართველოში საზოგადოება ამის საშულებას იძლევა, რადაგან პოლიტიკური კულტურა დაბალია. და ვერ დავაბრალებთ ვერავის. რადგან პოლიტიკა საბჭოთა ქვეყანაში არ არსებობდა, როგორც არ არსებობდა „ბაუნტი“ და როგორ უნდა მოგენატროს „ბაუნტი“, როცა ცხოვრებაში მისი გემო არ გაგისინჯავს?! როგორ უნდა მოგვნატრებოდა ჩვენ პოლიტიკა ან სად უნდა გაგვეზარდა პოლიტიკოსები?! იცით რა მახსენდება, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ თვის ბიოგრაფიაში ჩაწერა პოლიტიკოსი და ძალიან დიდი ამბავი ატყდა ამაზე, როგორ გაბედა პარლამენტის თვმჯდომარემ და თავის თვს უწოდა პოლიტიკოსი. იმიტომ რომ პოლიტიკოსი ჰგონიათ პროფესია, დაახლოებით ისეთი, როგორიც არის ფილოლოგი. ანუ უნდა იყოს ფაკულტეტის, სადანაც გამოდიან პოლიტიკოსები. ჩვენ არასოდეს მოგვიმზადებია ეს ხალხი და ვერც ვერასოდეს მოვამზადებთ სპეცფაკულტეტებზე, არდა პოლიტოლოგად შეიძლება ვინმე მოვამზადოთ, მაგრამ პოლიტიკოსად მან არ ივარგოს. ამ დროს, შეიძლება კაცი იყოს მსახიობი, როგორც რეიგანი, და გამოდგეს მსოფლიო დონის პოლიტიკოსი. ან იყოს სემინარიამიტოვებული, როგორც სტალინი, რომელიც ნაკითხი კაცი გახლდათ და ისეთი დონის პოლიტიკოსებთან შეხვედრისას, როგორიცაა ჩერჩილი და რუზველტი მას სხვა პრობლემა ჰქონდა, ციტატები მოჰყავდა ნაწარმოებებიდან და ვერ მიახვედრა მათ და წუხდა ამაზე.

მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრ ადამიანს, საზოგადოებას და ნაციას აქვს მოთხოვნილება, იყოს მნიშვნელოვანი. მათ შორის ქართველებსაც აქვს ეს მოთხოვნა, რომ არ იყოს უმნიშვნელო ჭანჭიკი, ჩაკარგული მსოფლიო პოლიტიკაში. ეს არის ძალიან სახიფათო თემა, რომელთან თამაშმაც პირველად სად მიგვიყვანა, კარგად ვიცით. საქართველოში საბჭოთ ხელისუფლება შეიცვალა არა ლიბერალური იდეების გამო, არამედ ნაციონალური იდეებით, რომელიც ეყრდნობოდა ნაციის ბუნებრივ სურვილს - იყოს მნიშვნელოვანი. ერთმა პიროვნებამ, რომელიც დღეს გამოცდილი პოლიტიკოსია და ამას აღარ გაიმეორებს, მიტინგზე თქვა: ნებისმიერი თქვენგანი უკეთესად ერკვევით პოლიტიკაში, ვიდრე ტეტჩერი, კოლი ან მიტერანიო. გაოგნებული ვიყავი მაშინ, მაგრამ ეს იმის დასტურია, თუ როგორ შეიძლება გაგიტაცოს ნაციონალურმა იდეამ ისე, რომ მსგავსი სისულელე გათქმევინოს. ეს არის ის სიტყვები, რომლითაც მრავალი წელია მუშაობს მიხეილ სააკაშვილი. ნახეთ, როგორ ამბობს: თქვენ ხართ კოლხები, ძველი ევროპელები, ისინი კი მონღოლოიდური რასა, ანუ ძველი კოლხები უფრო მაღლა დგანან. აბა, ასეთი ლაპარაკი როგორ შეიძლება. აქ ჩანს 511-ე სკოლის სირცხვილი, ჩვენ ასეთი უწიგნური პრეზიდენტი ჯერ არ გვყოლია და არც გვეყოლება, ვერ გვეყოლება. კაცი, რომელსაც არცერთი ლიტერატურიული სახე არ მოუხმია, ლაპარაკობს მხოლოდ ამერიკული დაბალი ხარისხის ფილმების გავლენით; და ბოლო ხანებში მან გამოავლინა კიდეც ეს მიდრეკილება, როცა მუმიაზე და მუმია 2-ზე გადავიდა, სხვათა შორის თქვა კიდეც, ძალიან მიყვარდა ეს ფილმი, 18-ჯერ მაქვს ნანახიო. მინდა გითხრათ, რომ ადამიანი, რომელსაც 18-ჯერ აქვს ნანახი ფილმი „მუმია“, სპეციფიკური ადამიანია. მასთნ „ეხო მასკვის“ ჟურნალისტები იყვენენ სტუმრად და იცით რა უთხრა, მე რუსული პოეზია ძალიან მიყვარს და რომ მეცალოს, სამი საათი ვილაპარაკებდი ამაზეო. რომელი რუსული და ქართული პოეზია, ეს კაცი ხომ ცნობილია იმით, რომ მან კაკალაშვილის ლექსი დაასახელა ბარათაშვილის საქართველოში, მოქალაქე კაკალაშვილი დაასახელა პოეტად რუსთაველის საქართველოში. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, კაკალაშვილმა წეროს ლექსები, რა არის ამაში ცუდი, მაგრამ პრეზიდენტი სააკაშვილი რომ ამაზე იხარჯება, ესაა ცუდი. მოდით გავიხსენოთ პრეზიდენტ სააკაშვილის ლექსიკა: თქვენ ხართ კოლხები, ხართ სხვებზე უკეთესები, მათ შორის, სხვა ქართველებზე უკეთესებიც. ნათელია ახლა სამეგრელო, ის თვლის, რომ ეს საუბარი ჭრის. ულამაზესი ხალხი უწოდა მაღალმთიან აჭარას, ჩვენ ქართველები საერთოდ, ლამაზი ხალხი ვართ, მაგრამ რატომ გამოირჩევა აჭარა სხვა ბართან შედარებით ამ ფენომენით, ჩემთვის უცნობია. მიხეილ სააკაშვილი აღვივებს მუდმივად თემას: თქვენ ხართ კარგები, მე ვარ კარგი; საქართველო არის მსოფლიოს ეპიცენტრი, ჭიპი; ქართული რეფორმისთვის ხალხი ჩამოდის და ჩვენ ამ რეფორმას ვყიდით. ჩვენ ყველი და ღვინო ვერ გავყიდეთ, მაგრამ იდეებს ვყიდით. ჩვენ, რომელთაც გამოვუშვით ქართული ნოუთბუქი, რომელიც ღირს 7-ჯერ უფრო ძვირი და ფუჭდება 1000-ჯერ უფრო სწრაფად, რადგან კლავიშები არ უვარგა. ჩვენ ხომ მსოფლიოსთვის არაფერი მიგვიცია სტალინის გარდა. ანუ სატრაბახო - გენიალური მხატვრები და პოეტები ვერ წაიღო მსოფლიომ. ანუ გაიარა მსოფლიო მატარებელმა და ამ დროს ამტკიცო, რომ ჭიპი ხარ, შემოგყურებს მსოფლიო და საქართველო-რუსეთის ომი, ეს არის სიკეთესა და ბოროტებას შორის ომი, ეს არ არის სამართლიანი, ეს არ ეკადრება საქართველოს. მაგრამ პირველი არ არის სააკაშვილი, ამაშია უბედურება. უცხოელმა რომ დაწერა საქართველოს ლიტერატურის ისტორია, ჩაქოლეს საქართველოში, განსაკუთრებით ლიტერატურის ინსტიტუტში, იმიტომ რომ ჩვენ უნდა დაგვეწერა, მაგრამ გვეზარება. ჩვენ ხომ ერთადერთი ნაცია ვართ, რომელსაც ეტიმოლოგიური ლექსიკონი არა აქვს. დაწერა კაცმა ჩვენი ლიტერატურის ისტორია, სადაც თქვა, ქართველები მდ. თერგს განიხილავენ როგორც ბერძნები მდ. სტიგს და აქერონს, ანუ ჯოჯოხეთის მდინარე, ნუ იმის იქით ჯოჯოხეთია. ასე რომ, თერგის იქით ჩვენთვის პირველად კი არ არის ბოროტება და ბოროტების იმპერია. და მე ამაზე არ ვდავობ, რუსეთი, საბჭოთა კავშირი იყო და გარკვეულწილად რჩება ბოროტების იმპერიად, უბრალოდ საქართველოს ვერ ვხედავ იმ რაინდად, რომელიც ამ ბოროტებას ებრძვის. სააკაშვილის რაინდობის შესახებ ყველამ ვიცით და მის ვაჟკაცობას რუსთავი-2 და იმედიც ვერ დაამტკიცებს. ძირითდად საქართველო ხომ ის ქვეყანაა, სადაც მხდალი თავის სიგულადეზე ლაპარაკობ, მდიდარი - სიღარიბეზე, რომ ორი პერანგის და არაჟნის ფული არ აქვთ, უწიგნურები კი - გენიოსობას იბრალებენ. თუმცა ზოგიერთმა გაბედა და თქვა ძალიან მდიდარი ვარ და ამასთან სულიერადაცო. ეს ყველაფერი რომ შევაჯამოთ, გამოდის, რომ საქართველოში უპირველესი გადასაწყვეტი არის პოლიტიკური კულტურის დამკვიდრების საკითხი, არც ერთ დღეში არ მოხდება. როდესაც პოლიტპარტიები თავიანთ აქტივისტებს ასაქმებენ, ისინი ირებენ ამ წრთობას. სჯობს პარტიაში ყოფნით დაიმკვიდროს ადამიანმა ადგილი, ვიდრე ბიძაშვილ-მამიდაშვილობით და უმეცრებით. ასე რომ, პარტიული კარიერა არსებობს. და როდესაც ხალხს აშინებენ, ნახეთ ის ამ თუ იმ პარტიაშია და რა სირცხვილიაო, ჩემის აზრით, სირცხვილი არის უპარტიობა. ძველ საბერძნეთში, სამოქალაქო ომის შემდეგ სოლომონმა შეარიგა მონაწილენი და დასაჯა ყველა ის ვინც არ მონაწილეობდა, იმიტომ რომ არმონაწილეობა, გულგრილობა უშანსოდ ტოვებს ქვეყანას.

დღეს ძალიან მოდაშია გამონათქვამი - ურეიტინგო. მართლაც არ ჰქონდა ოპოზიციურ პარტიებს მაღალი რეიტინგი, მაგრამ ახლა შეიქმნა კოალიცია, რომელსაც საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს. დღეს ისე უზომავენ რესპუბლიკურ პარტიას რეიტინგს, გეგონება, დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში. მინდა გითხრათ, რომ დღეს რესპუბლიკური პარტიის დაბალი რეიტინგი არის საქართველოს დაბალი რეიტინგი. როცა ჩვენ მაღალი რეიტინგი გვექნება, არც ჩემი ქვეყანა იქნება 103-ე ადგილზე. იმიტომ კი არა, რომ ეს ერთადერთი პარტიაა, არამედ იმიტომ, რომ იგი ცდილობს პარტიული წესრიგით იცხოვროს. და როცა გაირკვევა, რომ პარტილული ცხოვრება სირცხვილი არ არის, პარტიის მხარდამჭერობა გოიმობა და გორსალობა კი არ არის, არამედ შენი შინაგანი მოთხოვნილებაა, რადგან ეს შენი ქვეყანაა, მაშინ გამოსწორდება სიტუაცია. ბაზარში რომ მიდიხარ ქათმის საყიდლად და არც ერთი არ მოგწონს, არჩევ მათ შორის და მაინც ყიდულობ აუცილებლობის გამო, სწორედ ასეა პოლიტიკურ პარტიებშიც. შეიძლება თქვენ არცერთი არ მოგწონდეთ, მაგრამ ირჩევთ იმას, რომელიც სხვებზე უფრო უკეთესი გგონიათ. ამ დროს პატიოსნება და გონიერება არის საჭირო. მე რომ მეკითხები, რამდენი კაცი დაასაქმე შენ დირესო, მე, ლევან ბერძენიშვილმა, შეიძლება, ჩემი სტუდენტები დავასაქმე, რამე ისწავლეს ჩემგან იმით. თუმცა ჩემს შემთხვევაში, პირიქითაა, ვინც ისწავლა დაუსაქმებელია და ვინც არ სწავლობდა, ისეთ თანამდებობებზეა, რომ დავასახელო, შეიძლება ხალხი ჩაეწეროს ჩემთან, რათა მერე არ ისწავლონ და მაინც დასაქმდნენ. თუმცა, ალბათ, ესეც შეიცვლება მალე, ვინც ბევრს იმუშავებს საკუთარ თავზე, მეტ ინვესტიციას ჩადებს საკუთრ თავში, უფრო დაფასებული იქნება. სამწუხაროდ, დღეს ეს ასე არ არის. ის ადამიანები, რომლებიც დღეს მუმიებსა და საფრთხობელებზე ლაპარაკობენ, ვერც კი ხვდებიან, რომ საკუთარი თავის პროექციას ახდენენ.

ისევ კონტროლის პალატის და ბეჟაშვილის თემას დავუბრუნდეთ. ძალიან მაინტერესებს, ხვალ იგი როგორ შეხედავს ხალხს თვალებში, რას აღწევდა იგი, როცა ფეხზე ხდიდა მოქალაქეებს?!

**„მაესტრო“**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Tu `wminda mefe~ avadaa, misi xalxic avadaa, anu ramdeni eqimi-fsiqiatri sWirdeba saqarTvelos

„ვარდების რევოლუციამდე“, საქართველოს ჰყავდა საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის დიდი იმედი, ქარიზმატული ოპოზიციონერი, ლიდერი მიშა სააკაშვილი; „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ჰყავდა ახალგაზრდა, მაღალი, რამდენიმე ენაზე მოსაუბრე, დემოკრატიული ღირებულებებისკენ დაუოკებელი სწრაფვით ატაცებული პრეზიდენტი მიშა სააკაშვილი; შემდეგ კი, მის მოიმედეთა გასაოცრად, პრეზიდენტობისთვის უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი „საპირველკაცო ღირსებით“ შემკული კაცი, თვალსა და ხელშუა გარდაიქმნა და დღეს საქართველოს ჰყავს, თითქმის, ყველანაირი უღირსი ეპითეტით შემკული პრეზიდენტი, იგივე მიშა სააკაშვილი.

„ვარდების რევოლუციამდე“ დააცხრა თავს მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ბატონი თემურ მირიანაშვილი ყმაწვილ სააკაშვილს, ოფიციალური გიჟი ხართო, მაგრამ ვერავინ გაიგო, რა თქვა „ბრალმდებელმა“. მიუხედავად იმისა, რომ „ახალგაზრდა რეფორმატორების“ მიერ უკვე კონტროლირებადმა ტელევიზიამაც კი, რამდენჯერმე გაიმეორა ეს კადრი, არავის მოსვლია აზრად, სიტყვად მაინც ეკითხა, რა იგულისხმა ამ კაცმა „ოფიციალურ გიჟობაშიო“, უარყოფით კონტექსტში ნათქვამ ხატოვან გამონათქვამად ჩაუთვალეს ვითომ? — რა თქმა უნდა, არა, რადგან ყველა ოდნავ თავწამოყოფილის ბიოგრაფიული მონაცემები ყოველთვის იდო და დევს „სადაც საჭიროა“. კონკრეტულად, ბატონმა მირიანაშვილმა, საკუთარი დასკვნის საფუძველზე, მიახალა მომავალ პრეზიდენტს ამგვარი რამ, თუ ხელთ ჰქონდა პირის შეურაცხადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ახლა, ამის გარკვევა, ყოვლად ზედმეტია, მაგრამ ფაქტი მოხდა და ჩაიარა ისე, როგორც შევარდნაძის ერთ-ერთი მრჩეველის ემოციურმა გამოხტომამ.

მას შემდეგ მცირე დრო გავიდა და მეორე, მესამე, მეათე და მეათასე კაცი, ქალი თუ ბავშვი გადმოდგა სხვადასხვა ტრიბუნიდან, მეფე მხოლოდ შიშველი კი არა, გიჟიცააო. ტყუილიაო, — არ იჯერებდნენ მისი მოიმედეები.

ვისაც გვჯერა, გაგვატარეთო, — ძალს იყვნენ დანარჩენები და აფრიალდა მსოფლიოს შვიდი ფსიქიატრიული კლინიკის დადებული დასკვნა.

კლინიკური ფსიქოლოგიის დეპარტამენტის (ამსტერდამის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები), ტონსბერგის ფსიქიატრიული ცენტრის (ორსნესალი, ნორვეგია), ფსიქიატრიის დეპარტამენტის (ფინეთი), საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის (ოსლო, ნორვეგია), ფსიქიატრიის დეპარტამენტის (ჟენევის უნივერსიტეტი, შვეიცარია), ფსიქოანალიზისა და ფსიქოთერაპიის დეპარტამენტისა (ვენის სამედიცინო სკოლის უნივერსიტეტი, ავსტრია) და ნერვული დაავადების ცენტრის (კიოლნი, გერმანია) სპეციალისტებმა ერთხმად დაასკვნეს, რომ საქართველოს პრეზიდენტს ფსიქიური აშლილობები აქვს.

არა და არაო, — არ გატყდნენ მოიმედეები.

ცხადია, ხმებმა გიჟად შერაცხულ მიშამდეც მიაღწია და „დიახ, ქვეყნის ნომერ პირველი გიჟი ვარ სიმართლისთვის ბრძოლაშიო“ — იყვირა ტრიბუნიდან.

ცუდად დასჩემდა იმთავითვე ტრიბუნიდან ყვირილი მიშას, იმდენად ცუდად, რომ გასულ კვირას, თელავში, ყოფილი რაიკომის შენობისა და „კარაპეტას მაღაზიის“ შუაში გამართული ტრიბუნა ისევ თვითონ რომ არ ჰქონოდა ჩაბღუჯული, ექსტაზში შესულს, ამოუყირავდებოდა და კიდევ ერთხელ დაჰკრავდა ცხირს მიწას...

საგულისხმო რამ ხდება — მცირედ, მაგრამ მაინც, ცალკეულ პირებს, ისეთებს, რომელთაც კარგად არ შესობიათ ვარდის ეკალი, ან ზედმეტად რომანტიულები არიან, ადამიანური სიბრალული გაუჩნდათ ავადმყოფი კაცის, ამ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.

ზოგიერთ ველურ ხალხს აქვს „წმინდა მეფის“ სოციალური ინსტიტუტი. „წმინდა მეფე“ იმდენად მმართველი არ არის, რამდენადაც სიმბოლოა. თუ იგი ჯანმრთელად არის, მისი ხალხიც ჯანმრთელია



და მხიარულობს. იმ შემთხვევაში, თუ „წმინდა მეფე“ ავადაა, მისი ხალხიც ავადაა. თუ „მეფე“ მამაკაცურ ძალას დაკარგავს, კლავენ და ახალს ირჩევენ.

ყოველი თანამედროვე მმართველი თავისებური „წმინდა მეფეა“ და როგორც-კი მამაკაცურ ძალას (სექსუალურ ძალაზე არაა საუბარი) კარგავენ, ხალხს ქვეცნობიერად მისი მოკვლის სურვილი უჩნდება. როდესაც ეს სურვილი ცნობიერდება, იწყება სამოქალაქო დაპირისპირება. ამ შემთხვევაში, მოსახლეობის გონებაც საღი უნდა იყოს და არა მკვახე ხილივით ნაადრევად ძალით ჩამობერტყილი და მერე ნახერხში დამწიფებული, — ასეთია ფსიქოლოგთა ზოგადი შეფასება.

დღევანდელი საქართველოს შემთხვევაში რა გამოდის, ან ყველა ფსიქომკვლევარი ცდება, ან საქართველოს მოსახლეობის გონება არ არის საღი, „მეფე-მიხეილი“ ჯანმრთელია და ჩვენც, შესაბამისად, ვმხიარულობთ. არა, რას ვმხიარულობთ, ისე, სიტყვას მოვაყოლე...

გასაგებია, საქართველოს აღტკინებული და მიშას მოიმედე მოსახლეობა „მიშა, მიშას“ ყვირილით უკან დასდევდა 2003 წლის ნოემბრამდე მიშას, ლექსებს უძღვნიდნენ, უმღეროდნენ, კოცნიდნენ, უჩოქებდნენ და აირჩიეს კიდეც პრეზიდენტად. 2003 წლიდან დღემდე გავიდა დრო, გამოჩნდა აბანოში თეთრი უკანალიცა და შავიც. თუ ის ადამიანები მანამდე საღ გონებაზე იყვნენ, უბრალოდ, მოვლენების სწრაფი განვითარების გამო დაბნეულები იყვნენ, ან ამ ყველაფერს უკეთესის მოლოდინით ქვეცნობიერად აკეთებდნენ, ახლა უკვე სხვებსაც და დღესაც, რაღა სჭირთ?

ფაქტი დევს, საქართველოს პრეზიდენტის მოქმედებანი და გამოსვლები არაადექვატურია იმ ვითარებისა, რა რეალობაშიც საქართველო იმყოფება; დახვავებულია უამრავი დანაშაული და დანაშაულებრივი ელემენტების შემცველი, კიდევ უფრო უამრავი შემთხვევა, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილს ჩადენილი აქვს სხვადასხვა არამდგრად მდგომარეობაში, იქნება ეს მისი უძილობის შემოტევა, უეცარი აფექტის მდგომარეობა, აღგზნებადობის მოჭარბება თუ კიდევ სხვა რამ.

აი, ამ არაჯანსაღ ფონზე, პარტიული განაყოფები, ე.წ ოპოზიციური სპექტრი, რალაცის არჩევნებზე საუბრობს და აქტიურად ემზადება კიდეც მის ჩასატარებლად. თუ ქვეყნის მეთაური ავადაა, მაშასადამე, ავადაა ის ფონიც, რასაც ის მეთაურობს — მაშ, რაში ეჯიბრები, ავადობაში? — გამოდის, შენც ავად ყოფილხარ...

ნათქვამია, თევზი თავიდან ყროლდებაო — თუ მთელი პოლიტიკური სპექტრი ავად არაა, რატომ ვერ ხვდებიან, რომ თევზის თავი კარგა ხანია ძლიერ ყარს?

ბებიაშენისამ! — გაიფიქრებს ვიღაც. სწორედ ბებიაჩემმა თქვა, ბეჩა, თუ ყველა გლახათ არაა, შეიკრიბონ ჯანმრთელად დარჩენილები, უწამლონ ამ ერთ ავადმყოფს და მერე აირჩიონ ახალი თავკაცი, მარა ჯანმრთელიიო.



არ მახსოვს, ვინ თქვა, — მიშას, შეიძლება მარჯვენა ჯიბეში „გიჟის ცნობა“ ედოს და ისე გველაპარაკებაო. რა კარგია? ამოაფრიალებს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ერის მიერ მოწყობილ სასამართლო პროცესზე და შეურაცხადი კაცი პასუხს აღარ აგებს არანაირ ჩადენილ დანაშაულზე? — ასეთი პირი უჩანს საქმეს.

ფსიქიატრიული კლინიკების დასკვნა ვახსენე — ხსენებული კლინიკების არც ერთ წარმომადგენელს პირადად არ უნახავს მიშა-პრეზიდენტი, პირადად არ ჩაუტარებია მისთვის უმარტივესი ფსიქოტესტი და ა.შ, მაგრამ დასკვნა დადეს.

ვისაც თავი მხოლოდ ბალიშზე დასადებად არ აქვს, იმდენს მაინც ხომ უნდა მიხვდეს, რას ნიშნავს ეს დასკვნა, ე.ი რამდენად გამოხატულია მის ხასიათში, ქცევებსა და მიმიკებში ის ყველაფერი, რაც არ უნდა ჰქონდეს ქვეყნის მეთაურს და რაოდენ საშიშია ძალაუფლება ამგვარი კაცის ხელში.

მხოლოდ პოლიტიკურ ოპოზიციაზე ხომ არ არის საუბარი, მთელ პოლიტიკურ სპექტრს ეხება საქართველოს მომავალი. ერთ კაცს, არაერთი მიზეზის გამო, გასაგებია, რომ ცალ ფეხზეც კი არ ეკიდოს ქვეყნის ბედ-იღბალი, მაგრამ ასე ყველას ერთად?

მიშა-პრეზიდენტზე დადებული დასკვნის მოკლე შინაარსი ამგვარია: — „იგი ჩამოყალიბდა ნეგატიურ და აგრესიულ პიროვნებად. იგი ატარებს შინაგანი დაძაბულობის, ნერვიულობის, ეჭვიანობისა და ემოციური დაუცველობის ყველა ნიშანთვისებას. მისი ჟესტიკულაცია, ჰაერის ჭრის მსგავსი ხელების მოძრაობა, ხელის მტევნების გამუდმებული სპაზმური მოძრაობები და მისი ეს „ჩაკეტილი“ მოდელი არ იცვლება ვერბალური კომუნიკაციის მთელი პერიოდის განმავლობაში, მაშინაც კი, როცა საკომუნიკაციო გარემო დადებითი და მისთვის სასიამოვნოა.. დგომის მანერა, პოზა და მოუქნელი სხეული კონტექსტიდან ამოვარდნილია.

როცა გრძნობს, რომ საკმარისად არ მიაგებენ პატივს, იწყებს ფოკუსირებას საკუთარ სიამაყესა და ღირსებაზე. მისი ეგოცენტრიზმი პრივალირებს ალტრუისტულ ტენდენციებსა და საჯარო ინტერესებზე, რომელთა დემონსტრირებას საჯაროდ ახდენს. ეს განსაზღვრავს მის უუნარობას, ადექვატურად გააკონტროლოს საკუთარი შინაგანი უკმაყოფილების აფეთქება. ასეთი აფეთქება, შესაძლოა, მოხდეს მაშინაც, როცა იგი შეგნებულად და გულწრფელად აპირებს გამოხატოს საკუთარი ლოიალობა, მზადყოფნა ოპონენტებთან თანამშრომლობისა. მისთვის ძნელია, თავი მოუყაროს და ორგანიზება გაუკეთოს საკუთარ სათქმელს, როცა მას მოულოდნელ, რთულ და პერსონალურად უსიამოვნო კითხვებს უსვამენ. იმის მიუხედავად, რომ ზოგადად, კარგი ვერბალური უნარ-ჩვევები აქვს, ზემოაღნიშნული გარემოებებისას იბნევა და საქმესთან დაკავშირებული პასუხების თავიდან აცილების მიზნით, იყენებს გრძელ და ცარიელ ფრაზებს.

სააკაშვილი, საკუთარი უკიდურესი ეგოცენტრიზმის დამალვას მჭევრმეტყველებითა და უკიდურესად დამაჯერებელი მანერით ცდილობს.

მიუხედავად მისი გადაჭარბებული, თეატრალიზებული განწყობისა, აშკარად წინასწარგანზრახული ინდივიდუალური სტილისა, ახასიათებს სპონტანური, თავისუფალი ქცევისა და შოუმენის თვისებები, რაც ასე დამახასიათებელია სხვა ისტეროიდული ტიპაჟებისთვისაც.

სააკაშვილი გახსნილია მხოლოდ ისეთი ინფორმაციისთვის, რომლის კონცეპტუალურ სტრუქტურასაც ეთანხმება და მთლიანად გამორიცხავს იმას, რაც ამ სტრუქტურის მიღმაა. მსგავსი მიდგომის უკიდურეს გამწვავებას, შესაძლოა, მოჰყვეს მეგალომანიაში გადავარდნა (განდიდების მანია), აკვიატებული ან მანიაკური სინდრომი, რაც პერსონალური რწმენით ხასიათდება, რომ არის რჩეული.

სუბიექტის აქტიურობის ზოგადი დონე მომატებულია, — ამბიცია, ამაოება, უპირატესობის შეგრძნება, უკიდურესი კონკურენცია და დომინანტობის სურვილი. საკუთარი თავის პატივისცემის, მისი ღირსების დაბალმა დონემ და არასრულფასოვნების კომპლექსმა გამოიწვია მისი ასეთი ლტოლვა ძალაუფლებისკენ. იგი ზოგჯერ სრულიად კარგავს რეალობის შეგრძნებას, ადექვატური ქცევისა და რეალობის აღქმის უნარს. სააკაშვილის ემოციური აღზნებადობა საშუალოზე მაღალია. იგი ძალზედ აქტიურია, შესაძლოა, იყოს შურიანიც, ენერგიული და მიზანმიმართულია პირადი მიზნების მისაღწევად. იგი ძლიერი ეგოცენტრისტია. (ლათ. ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის გამოვლენის უკიდურესი ფორმა; საკუთარი თავით გატაცება, წარმოდგენა, რომ იგი ქვეყნიერების ცენტრია. მ.ჭ) იგი იმდენად შეპყრობილია შინაგანი ვნებით, დაიმკვიდროს თავი, რომ არ შესწევს უნარი, მიიღოს საზოგადოების ფასეულობები. მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, რომ ძალაუფლებისადმი სწრაფვაში, მას ადვილად შეუძლია დაკარგოს საფრთხის შეგრძნება და საკუთარი გადაწყვეტილებების, შედეგების ბუნებრივი შიში, რამაც, შეიძლება გააკეთებინოს სერიოზული პრობლემების პროვოცირება პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტების ჩათვლით.“

ფსიქიატრიული კლინიკების გაცემული გასათვალისწინებელი დასკვნა დაახლებით 7 წლის წინანდელია, ჯერ კიდევ მაშინ, როცა არც „აგვისტოს ომი“ იყო მომხდარი და არც ბევრი სხვა რამ...

დაახლოებით იმავე პერიოდში, (2006წ) ბატონი სააკაშვილის ფსიქოპორტრეტი მეტაფიზიკოსმა მალხაზ გველუკაშვილმაც დაგვიხატა: — „მიხეილ სააკაშვილის ყველა გამოსვლა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს და არის მტკიცება იმისა, რომ მთელი სამყარო მის გარშემო ტრიალებს, რომ ის არის სამყაროს ცენტრი. მისი ყოველი გამოსვლა განდიდების მანიით შეპყ-

16 gv.

# biznesmenebs meTvalyureebi miuCines, gafuWebuli produqcia zogjer axalze Zvirad fasobs

ხელისუფლებამ, რომელიც ბიზნესგარემოს მიმზიდველობით ამაყობს, ამ სფეროში მოღვაწეებს ახალი მაკონტროლებლები დაუწესა. პარლამენტის გადაწყვეტილებით, ბიზნესმენებს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს მიამაგრებენ, რომელიც მის ნებისმიერ საქმიანობას თვალ-ყურს მიადევნებს. მაკონტროლებელი მართალია, ბიზნესმენს ვერ დააჯარიმებს, მაგრამ მისი ამოცანა იქნება, თავის ხელმძღვანელობას სისტემატიურად მიაწოდოს ინფორმაცია დადებული ხელშეკრულებებისა და ა.შ. შესახებ. კანონში ეს ცვლილება, ბიზნესმონიტორინგადაა მოხსენიებული. მას ფინანსთა მინისტრი თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს. მიზეზად კი გადასახადი გადამხდელის მხრიდან გადასახადების დამალვის შესაძლო რისკებია დასახელებული. გამკაცრდა კონტროლის ზომები ბიზნესის დათვალიერებისაც. საგადასახადოსათვის ადრე მინიჭებულ ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების დათვალიერებას მიემატა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ-სასაქონლო ფინანსური ბაზის დათვალიერების უფლებაც.

ექსპერტი ირაკლი შავიშვილი შემოწმების ამგვარ ფორმას ერთი შეხედვით, უწყინარად თვლის, მაგრამ მისი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გამოყენება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი.

### „საზოგადოების ჩართვით" შეფუთული კონტროლი

„ნაცებმა" გაიზიარეს საზოგადოების მოთხოვნა, ბიზნესზე ხალხის კონტროლის გაზრდის შესახებ" და საქმეში ჩართეს საგადასახადო კერძო ინსპექტორთა ინსტიტუტი. ვარდოსნებს არ დაავიწყდათ იდეაში ჩაედოთ – დასაქმების ზრდის ხელშეწყობა. კერძო ინსპექტორის შემოღებას უმალ მოჰყვა მასობრივი შემცირებები შემოსავლების სამსახურში.



ახლად შექმნილი სამსახურის თანამშრომლები ბიუჯეტიდან ხელფასებს არ მიიღებენ. ისინი თვითდაფინანსებაზე იქნებიან. მოკლედ, გადასახდელის გადამხდელის „გამოჭერაზე" დასპეციალიზდებიან. მაგ. თუ კერძო ინსპექტორი ბიზნესმენს სალარო აპარატის გაუმართაობაში, ან უქონლობაში „ჩააგდებს", ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული 500 ლარიანი ჯარიმიდან, თვითონ 100 ლარს მიიღებს.

კიდევ ერთი თვითდაფინანსებაზე მყოფი ორგანო კერძო აუდიტია. კანონის მიხედვით, თუ შესამოწმებელი ობიექტი შემოსავლების სამსახურში ლიცენზირებული აუდიტის დასკვნას წარადგენს, მას აღარ შეამოწმებენ. აუდიტორულ ან საკონსტიტუციო კომპანიებს ლიცენზია მხოლოდ შემოსავლების სამსახურში უნდა ჰქონდეთ მიღებული.

ბიზნესის ხელშეწყობის იდეით შეფუთული ეს სიახლე მეწარმეს 80 ათასი ლარიდან დაწყებული დაუჯდება. ექსპერტი დავით ნარმანია იდეას იწონებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ სიახლე საკანონმდებლო ბაზით უნდა დარეგულირდეს. ასევე, კანონით, ნათლად უნდა გაიწეროს აუდიტორული კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი.

### ჩამოწერილი რისხულზე ძვირი უჯდებათ

მეწარმეებმა თავიდან გაიხარეს, რომ მთავრობამ დათმო და მათ ვადაგასული, გაფუჭებული საქონლის ჩამოწერის უფლება მისცათ, ვინაიდან მანამდე ხარჯში უფიქსირდებოდათ. მაგრამ სიხარული მალე შეაშრათ სახეზე, როდესაც შეიტყვეს, რომ ვადაგასულისა და გაფუჭებულის ჩამოწერა საგადასახადო ინსპექტორის თანდასწრებით უნდა განადგურდეს. მისი მომსახურების მინიმალური გადასახადი კი 300 ლარიდან იწყება. გამოდის, რომ 100 ლარიანი საქონლის ჩამოწერა მეწარმეს 300 და მეტი ლარი დაუჯდება.

### „ჩარეცხილები" არჩევნების წინ და მხოლოდ არჩევნებამდე გაიხსნება

„ჩასარეცხად" განწირული 40 და მეტი წლოვანების ადამიანები სააკაშვილს კიდევ ერთხელ გაახსენდა, ამჯერად დადებით კონტექსტში. პრეზიდენტის მითითებით, 40-60 წლამდე ადამიანებს, მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში, საშემოსავლო აღარ დაექვითებათ. მხოლოდ ერთი ნიუანსის გათვალისწინებით – ეს შეეხება იმ კატეგორიის ამ პიროვნებებს, რომლებმაც მუშაობა ა.წ. 1 იანვრიდან – 1 ივნისამდე პერიოდში დაიწყეს. ეს კანონი არ შეეხება იმ პირებს, ვინც სამუშაოზე მხოლოდ დროებით ან ჩანაცვლებით არიან დასაქმებულნი.

### მოსახლეობას საგადასახადო მარწუხებს სულ უფრო უჭერენ

სრულიად მოულოდნელად მთავრობამ მიიღო დადგენილება რომ „112"-ის გადამხდელები იქნებიან ფიქსირებული და მობილური სატელეფონო ქსელების აბონენტები. ფიზიკური პირები 20 თეთრს გადაიხდიან, იურიდიულები კი 50 თეთრს. მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ სააბონენტო ნომერზე ერთი თვის განმავლობაში საბოლოო ჯამში 5 ლარზე მეტი ღირებულების მომსახურების შეძენა მოხდა.

რაც შეეხება სასწრაფო, სახანძრო, სამაშველო სამსახურებისა და წყლის, გაზის, აგრეთვე სხვა სერვისების ერთ სისტემაში გაერთიანებას, ამას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. მათი გაერთიანების პირველი მცდელობა 2010 წელს დაფიქსირდა. გააერთიანეს სასწრაფო, სახანძრო, სამაშველო სამსახურები. დასახელდა მიზანი – დასახელებულ უწყებათა ოპერატიულობის გაუმჯობესება. ყველა უწყებას თავისი გამოსაძახებელი ნომერი დაუტოვეს. მათ საერთო ხელმძღვანელად თემურ გიორგაძე დაუნიშნეს.

ეს ერთობა მალე დაიშალა. ცოტა ხანში ისინი გააერთიანეს და შეიქმნა შსს საჯარო იურიდიული პირი – 112 ადრე უფასო გამოძახების დამოუკიდებელი სამსახურები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მოექცნენ. მათი გამოძახება „112"-ით კერძო პირისთვის 20 თეთრი ღირს. სპეციალისტთა გაანგარიშებით, საჯარო იურიდიული პირისაგან სამინისტრო ყოველწლიურად 10 მლნ ლარს მიიღებს. ექსპერტები უწყებათა ამგვარ შერწყმაში ხედავენ. ხელი-




სუფლების სწრაფვას შექმნას პოლიციური სახელმწიფო ზოგიერთი ვარდოსანთა შორს მიმავალ გეგმებზეც ალაპარაკდა. ფაქტი კი სახეზეა – სასწრაფოს ექიმები, გაზოვშიკები, წყლის მომარაგების სამსახურისა და სხვა სერვისის მომსახურე თანამშრომლები პოლიციელები გახდნენ.

**ზაზა ბილიხოძე**

15 gv.

# Tu `wminda mefe~ avadaa, misi xalxic avadaa, anu ramdeni eqimi-fsiqiatri sWirdeba saqarTvelos

რობილი ადამიანის სიტყვაა, მაგრამ სიტყვებზე მეტად, მნიშვნელოვანია მისი ჟესტიკულაცია.

მიხეილ სააკაშვილი საუბრის დროს ხშირად იყენებს ხელებს და ყოველთვის საკუთარი თავისკენ აქვს მიმართული, – ის თავის ბუნებას მალავს, მაგრამ ხელები რეალურ ბუნებას აჩვენებენ. მისი ხელები, ისევე როგორც მისი მოქმედება, შებოჭილია, დაძაბული. ეს იმაზე მიუთითებს, სერიოზული პრობლემები აქვს თავის ტვინის ორივე ნახევარსფეროში. თავის ტვინის ამ ადგილებში, კეფის ზემოთ, თვითჩაღრმავების პროცესი მიმდინარეობს, სააკაშვილი კი ის ადამიანია, რომელსაც მთელი აზროვნება ზედაპირზე აქვს.

მას საუბრის დროს თითები ძლიერ დაჭიმული აქვს, – თითებში გადის ნერვული დაბოლოებები, ანუ ეს სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემის მაჩვენებელია. ამ დაჭიმულობისაგან მის სახეზე გამომეტყველებაზე ნათლად ისახება დაძაბულება. მისი გამომეტყველება ძალიან ხშირად გამოხატავს შიშს, რომელიც მკვეთრად ისახება პირის მიდამოებსა და თვალებში. იგი მაქსიმალურად ცდილობს ითამაშოს, რასაც ისტერიულ მდგომარეობამდე მიჰყავს, – ყოველგვარი გარეგანი ზემოქმედების გარეშე ვარდება ისტერიკაში.

რომელიმე თითის მეორე თითთან მიტანით, შეიძლება, დაიკმაყოფილო რომელიმე ფსიქომოტორული ფუნქცია, მაგრამ როცა ყველა თითი ერთად არის შეკრული, ეს ნიშნავს, რომ სერიოზული პრობლემები აქვს ადამიანს და ქვეცნობიერად ცდილობს დაეხმაროს საკუთარ თავს.

ბატონი მიხეილი ხშირად გვიქნევს საჩვენებელ თითს (სხვათაშორის, მას საჩვენებელი თითი უფრო გრძელი აქვს, ვიდრე არათითი), რაც გამოხატავს მის ამბიციას, მისწრაფებას კარიერისკენ. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია ადგილი, სადაც იმყოფება, ვიდრე, რას წარმოადგენს სინამდვილეში თვით. მას, სულიერება, პრაქტიკულად, არ გააჩნია.



სააკაშვილის ხელი ხშირად გამოხატავს მდგომარეობას, – დაჭიმული ცერა თითი მუშტზე. ამ მომენტში მას აბსოლუტურად გაწყვეტილი აქვს ურთიერთობა საზოგადოებასთან და გარშემომყოფებში ხედავს მხოლოდ მისდამი მტრულად განწყობილ სამყაროს.

მისი საუბრის შინაარსიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, რომელიც ბავშვობიდან მოდის და დაუკმაყოფილებლობის გრძნობით არის გამოწვეული მისი აგრესია. როგორც ჩანს, იგი იზრდებოდა ისეთ გარემოში, სადაც არავინ არაფრად აგდებდა, ამიტომ ჩამოუყალიბდა არასრულფასოვნების კომპლექსი და სურვილი, რომ საკუთარი ძალაუფლება აგრძნობინოს თითოეულ ადამიანს. დღეს, ამას ნეობოლშევიზმს უწოდებენ, თუმცა, ეს ნეობოლშევიზმი კი არა, წმინდა ავადმყოფური ფსიქიკაა."

თუ მიშა-პრეზიდენტის სულიერი მდგომარეობის შემფასებელი ევროპის კომპეტენტური ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების დასკვნა ეჭვს იწვევს იმ პოლიტიკურ სპექტრში, რომელთაგან, ნაწილს მასთან ერთად აქვს „ჩატარებული" არაერთი „გიჟობა", მეორე ნაწილი კი მასთან ერთად აპირებს რაღაც შეჯიბრში მონაწილეობის მიღებას, იმავე კომპეტენტური სპეციალისტების უპირობო შესაფასებლები ყოფილან ისინიც. ამ შემთხვევაში ნათელია, რატომ მიექანება საქართველო შავ სიცარიელეში, მაგრამ საშველი? საიდან გამოვიწეროთ ამდენი ექიმი?

პეტრე მამრაძე (პარლამენტარი. „საერთო გაზეთი" №13): – „ვინც სააკაშვილს ახლოს იცნობს, ყველამ იცის, რომ ის არის პიროვნება, რომელსაც ნერვიული დაძაბულობის დროს შეიძლება დაემართოს ნებისმიერი ფსიქოფიზიოლოგიური რეაქცია. მე მერიდება ჩამოვთვალო ის, რა იგულისხმება ამაში."

ფსიქიატრის კომენტარი: – „წაკითხული მაქვს იმ შვიდი კლინიკის დასკვნა და აბსოლუტურად ვეთანხმები, მაგრამ მაქვს შეკითხვა ყველა იმ ე.წ კომპეტენტურ პირთან, რომლებმაც ხელისუფლების სათავეში მოიყვანეს ბატონი სააკაშვილი, – ის, რომ მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი, მსუბუქად ვიტყვი, ფსიქიურად გაუწონასწორებელი ინდივიდი იყო, ხომ ცნობილი იყო იმთავითვე, რა იმალებოდა მათი ამ განზრახვის შესრულების მიღმა? პირადად ჩემთვის და ალბათ, ყველა მოაზროვნე ადამიანისთვის უკვე ყველაფერი ნათელია – საქართველოს და ქართველი ერის, როგორც ერის გათქვეფა, ანულირება...

რაც შეეხება ბატონი სააკაშვილის ფსიქოფიზიოლოგიურ რეაქციას – სახიფათო სიტუაციაში განგაშის შეგრძნება, ორგანიზმის აბსოლუტურად ნორმალური რეაქციაა. ამ დროს ხდება ორგანიზმის ფუნქციონალური რეზერვების მაქსიმალური გააქტიურება, მაგრამ არის „პათოლოგიური განგაშიც", რომელსაც საფუძველი არ აქვს და მომდინარეობს მხოლოდ შენაგანი დაძაბულობიდან, რაც პირის არაადექვატური მოქმედებებით ვლინდება. ბატონი მიხეილის შემთხვევაში ამის კლინიკური ფაქტები სახეზეა. როდესაც ვნახე 2008 წლის კადრები, რასაც დღემდე სამარცხვინოს უწოდებენ, ნათელი გახდა, რომ პრეზიდენტი სიკვდილს გადაურჩა. როგორც ცალკე აღებული ინდივიდი, რიგითი მოქალაქე, ის შესაცოდია, რადგან, ძლიერი შიშის შემთხვევაში (არა მხოლოდ კონკრეტულად შიშის, ზოგადად, სტრესის), შეიძლება გარდაიცვალოს. ცნობისათვის, თანამედროვე საზოგადოებაში ძალზე გახშირდა და გაფართოვდა ამგვარი „განგაშები".

ზოგადად, გამოვყოფთ „განგაშის" ათ პირობას და ვეჭვობ, ათივე ერთად არის მოქცეული ამ ერთ კონკრეტულ ადამიანში. ბატონი პრეზიდენტის „გაქცევები", მაყურებელთა შეფასებით, სიმხდალედ კვალიფიცირდება, მაგრამ ეს მისი შინაგანი რეაქციაა, რომელიც შიგნიდან მოდის იმისგან, რაზეც ნაფიქრი აქვს. გარბოდა გორში, იმიტომ, რომ იცოდა ომის შესახებ, საჰაერო დაბომბვის შესახებ და ა. შ გია ცაგარეიშვილისა და ჯონდი ბაღათურიას გამოსვლამ „გააქცია", იმიტომ, რომ იცოდა და იცის მათზე კარგად იმ ჩამონათვალი „ცოდვების" გარდა და ა.შ

პათოლოგიური განგაშის დემონსტრირების პირველი შემთხვევაა აღწერილი ხორეზმის შაჰის მამუნ II-ის კარზე. ერთ გალიაში მოათავსეს კრავი, მეორეში – მგელი. მუდმივი შიშის ფონზე კრავს განუვითარდა, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, დეპრესია, მოეშალა გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემა, რის შედეგადაც კრავი ძალიან მალე მოკვდა.

**მაია ჭელიძე**

# `saakaSvilma bevri siurprizi SeiZleba mogviwyos, magram mzad unda viyoT...~

**„საერთო გაზეთს“ ესაუბრება „ამომრჩეველთა სიების დაზუსტებისა და უზრუნველყოფის კომისიის წევრი“, არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი არჩევანის„ თავმჯდომარე- ქალბატონი მანანა ბიწაძე-მიქელაძე.**

**— ქალბატონო მანანა, დავიწყოთ იმ დრაკონული საარჩევნო კანონით, რომელიც "ნაციონალურმა ხელისუფლებამ" თავისი ძალაუფლების გასახანგრძლივებლად მიიღო. სააკაშვილი თავის გამოსვლებში უკვე ისე გვიყვირის და ღრიალებს, რომ ეს თუ ღმერთმა არა ჰქნას და კიდევ დარჩა, დემოკრატიაზე და ადამიანებად ცხოვრებაზე საუბარი გართულდება.**

— ყველაფერი იქედან დაიწყო, რომ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებული ცნობილი აგვისტოს მოვლენები და შემდგომი პერიოდი "ახალი საარჩევნო პერიოდის დასაწყისი" იყო. ოპოზიციამაც და საერთაშორისო ორგანიზაციებმაც ხელისუფლებისგან საარჩევნო გარემოს გაჯანსაღება მოითხოვეს. ეს გახლდათ ოპოზიციის წამყვანი ძალების ხელისუფლებასთან მოლაპარაკების მაგიდასთან, ე.წ "რვიანის ფორმატში" დასხდომის მიზეზიც. ორმა პოლიტიკურმა ძალამ გააგრძელა ხელისუფლებასთან ურთიერთობა. დარჩა "ექვსიანი". შემდეგ ისიც დაიშალა.

**— ეს მოლაპარაკება საზოგადოების დიდმა ნაწილმა „ხელისუფლებასთან ვაჭრობის ფორმატად“ აღიქვა, რის საფუძველზეც რამოდენიმე სუბიექტმა სოლიდური თანხებიც მიიღო.**

— რაც არ მინახავს, ვერაფერს ვიტყვი, თუმცა ამის თაობაზე მოარული ხმები დადის. ფაქტი ერთია, რომ ის თორმეტი პუნქტი, რაზეც რვიანიდან გამოყოფილი იმ ორის და შემდეგ პარლამენტიდან ოპოზიციურად მოაზრებული სუბიექტების დამატებით მიღებულ იქნა 12–პუნქტიანი შეთანხმება, რომელშიც სიების საკითხიც შედიოდა. პრეზიდენტის 729 ბრძანებულებით, კომისიაც შეიქმნა. მე ამ ფორმატის დამკვირვებელი გახლდით და თავიდან ბოლომდე ვიყავი ყველა პერიპეტიის მოწმე. როდესაც ივნისის ბოლოს მოლაპარაკება დასრულდა და პარლამენტი აგვისტოს არდადეგების შემდეგ დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ მთელი აგვისტოს განმავლობაში გოგორიშვილის კაბინეტში ჩუმად მსხდარან და სექტემბერში, სრულიად ახალი, განსხვავებული საარჩევნო კოდექსი დადეს.

**— ეს კომისიისა და ქართული საზოგადოების ზურგს უკან მოხდა?**

— რა თქმა უნდა, ეს ხომ მათი ჩვეული სტილია. ყველაფერი ჩუმად და მალულად 7 ოქტომბრამდე გაკეთდა, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიცია სისტემის შეცვლასთან დაკავშირებულ პრობლემების განხილვას ითხოვდა- უნდა დარჩენილიყო თუ არა ისევ 150-კაციანი პარლამენტი და ისევ რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყვეტილიყო თუ არა ეს. **თავხელიძე, რომელიც დღეს იურიდიული პირისგან დაფინანსების ასეთი წინააღმდეგია, იმასაც კი ამბობდა: "რად უნდა საერთოდ იურიდიულ პირს "ზედა ჭერი", ვისაც რამდენი შეუძლია, იმდენი უნდა გადარიცხოს, რაზეა საერთოდ, საუბარი და რატომ ვაწესებთ ზედა და ქვედა ზღვრებსო".** 7 ნოემბრის შემდეგ, როდესაც პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის სახით, ძალიან დიდი ავრტორიტეტი და რესურსი შემოვიდა, ყველაფერი შეიცვალა. 2007 წლის შემდეგ ოპოზიციამ "ისეთი პიკირება" განიცადა, მისი რეიტინგი ისე იყო დაცემული, რომ 2011 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პრაქტიკულად, "გასწორებულიერთპოლუსიანი პოლიტიკური ველი გვქონდა".

**— დავუბრუნდეთ სიებს, რომლის თემაც არა თუ ახალია, ეწ. "ვარდების რევოლუციის" მიზეზადაც სწორედ სიების გაყალბება სახელდებოდა. "სიებიდან ამოიყარა" ამორჩევლი და რევოლუციის მაშინდელი მომხრეებიც საუბრობენ უკვე (სოსო ცისკარიშვილმაც მიანიშნა), რომ "კიწმარიშვილის კანტორაში" ჩატარებული ამ მანიპულაციებისას, სიების კომპიუტერული ვერსიის გაყალბებასაც სწორედ სახელისუფლებო გუნდიდან ჰქონდა ადგილი. თუმცა რევოლუციის შემდეგ არავინ დასჯილა და მეტიც 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები სწორედ ამ სიებით ჩატარდა და ბარამიძემ ისიც კი განაცხადა: "ასეთი კარგი სიები აქამდე არ ყოფილაო".**

— თავისთავად ცხადია, გვახსოვს ეს პერიოდი, თუმცაღა სიებთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ კიდევ 95 წლებიდან არსებობს.

**— იმიტომ რომ 95 წლიდან მოყოლებული ერთი ჯგუფი ახდენს არჩევნების გაყალბებას. მაშინ რა გარანტიებია, დღესაც იგივე რომ არ მოხდეს, რადგანაც "გამყალბებელთა ეს კოჰორტა" ისევ ადგილზეა?**

— სიების დაზუსტებაზე პასუხისმგებელი თავისთავად ეს ჩვენი კომისიაა, რომელშიც, როგორც კაციტაძე ამბობს, "სამი მდგენელია": ხელისუფლების შვიდი წარმომადგენელი, შვიდი ოპოზიციური პარტიისა და შვიდი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ეს კომისია, ამ ეტაპზე, 21– კაციანია და ოთხი თვეა კომისია მუშაობს. ვიცით, რომ სარჩევნო კოდექსის მიხედვით, წელიწადში ოთხჯერ ცესკო სხვადასხვა უწყებებიდან იღებდა სიებს: რეესტრიდან, შსს-დან, საგარეო საქმეთა და ლტოლვითა და განსახლების სამინისტროდან და ახდენდა ამ სიების ფორმირება-დალაგებას.

მაგრამ ჩვენ არ გვაქვს გარანტია და არ ვიცით, რა სიები იქნება კენჭისყრის დღეს რეგისტრატორის მაგიდაზე- ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ეს არის. ამ შემთხვევაში, ისევ კომისიამ კანონმდებლობით დაიტოვა იმის საშუალება, რომ მუდმივი მონიტორინგი აწარმოოს სიებზე. **აღმოჩნდა, რომ თურმე, კანონქვემდებარე აქტის საშუალებით თბილისის რეესტრში ერთ-ერთი მინისტრის ბრძანებით დაიშვა იმის უფლება, რომ ადამიანები, რომლებიც ბინებს აქირავებდნენ, მოიჯარეებს არ წერდნენ თავის ბინაში. იმ საბაბით, რომ მოიჯარეს ხმის მიცემის უფლება ფაქტიური ბინის მისამართზე არ დაეკარგა, ამ მინისტრის ბრძანებით, დაიშვა ნებართვა, რითაც სახლის პატრონის წინააღმდეგობის შემთხვევაშიც მოიჯარეს ორი მოწმის მოყვანით გაქირავებულ ფართზე მიწერის უფლებას აძლევს.** ახლაც, როდესაც ოთხივე უწყებიდან მოვიდა სიები და თებერვლის სიები შეჯერდა, სიებში სერიოზული დარღვევები იყო. სიები მოდის სასამართლოდანაც ქმედუუნარო ადამიანებზე და პატიმრებზეც. თუმცა ახლა დაიშვა, რომ მცირე სასჯელმისჯილი პატიმრებიც ღებულობენ მონაწილეობას. მართალია, იმის განცდა, რომ მათ თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ექნებათ — არავის აქვს.

**— საარჩევნო სისტემაში ხელისუფლებამ "ახალი მოთამაშე" —კონტროლის პალატა შემოიყვანა.**

— როდესაც გიყვებოდით, 7 ნოემბრამდე რეგულაციების დაკმაყოფილების ასე ხელგაშლილ კოდექსზე, მაშინ ხელისუფლებაც ოპოზიციას, ფაქტიურად ბავშვივით ეთამაშებოდა:"აი, ამ საკითხზე ასე შევთანხმდით და იმაზე ასეო." სწორედ ამ დროს მოხდა ბიძინა ივანიშვილის "პოლიტიკაში შემოვარდნა", რაც პოლიტიკურ მოედანზე დიდი ავტორიტეტისა და რესურსის შემოვარდნას ნიშნავდა.



კანონი, რომელიც მიღებული იქნა, ჩემი აზრით, საზოგადოების ზურგს უკან მიიღეს, რა დროსაც არასამთავრობოები და ოპოზიციური პარტიები და ძირითადად, არასამთავრობოები მუშაობდნენ ამაზე. არასამთავრობოებს "ანგარიშს უწევენ ხოლმე". ასე ღიად და გახსნილად რომ ეთამაშათ, აქამდე არ მახსოვს. **ოქტომბრამდე, როდესაც ვითომ არასამთავრობოებთან მიდიოდა საუბარი, თურმე ზურგს უკან, ამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ჩუმად, რადგან ივანიშვილის გამოჩენით მართლა ფორსმაჟორი შეექმნათ, სასწრაფო წესით, ჩუმად ადგენდნენ კანონს. გადააგზავნეს ვენეციის კომისიაში და ჩვენთვის წარდგენა მხოლოდ დაბრუნების შემდეგ მოხდა.** "ვენეციის კომისის" რეკომენდაციები აქვს ზოგადი პრინციპის დონეზეა. მათ არ უთქვამთ, რომ საქართველოში გინდა თუ არა ეს გააკეთეო.

ამ სიჩქარემ და ფორსმაჟორმა გამოიწვია ის, რომ ყველაფერი მიიღეს სასწრაფო წესით, აჩქარებული ტემპებით. ის ყველაზე საკამათო, 26-ე პრიმა მუხლიც შემდეგ დაემატა. უარესს გეტყვით, კანონი საერთოდ, დეკემბრის პირველ დეკადაში, დეკემბრის ბოლოს შემოიტანეს და ისეთი სისწრაფით გადიოდა პარლამენტში და ისეთი სისწრაფით იღებდნენ მოსმენებზე, რომ დეკემბრის ბოლოს კანონი პრაქტიკულად, მიღებული იყო. **მესამე მოსმენის წინ, როდესაც კუბლაშვილთან სარედაქციო საკითხებზე ვმსჯელობდით, , გვიან, როდესაც სხდომა უკვე მთავრდებოდა, ძალიან აჩქარებული ნაბიჯებით შემოვიდა კობა ხაბაზი, რომელსაც დაახვედრეს მაგიდაზე გამზადებული დაწერილი ტექსტი. ისიც კი წესიერად ვერ წაიკითხა. ისე ეშლებოდა, რომ მინაშვილი ადგა და მან წაიკითხა. ეს იყო სწორედ ის ბოლო პუნქტი, რომელმაც გადაავსო მოთმინების ყველანაირი ფიალა. როგორც მერე ვიკითხე და მითხრეს, კანონის უკუქმედების მიმნიჭებელი მსგავსი პუნქტი, ერთი "საბჭოთა კავშირის", მეორე კი რომის იმპერიის დროს ყოფილა მიღებული.**

რისი ეშინიათ? ეშინიათ, უპირველესად, ავტორიტეტის და მერე ფულადი რესურსის.

**— ბევრი აღიარებს იმას, რომ არანაკლები ფინანსური რესურსი, აქვს ხელისუფლებას, იმიტომ რომ ამათ ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს, სწორედ "შევარდნაძის სახეებად" დაიწყეს ფულის კეთება.**

— რა თქმა უნდა, ნებისმიერ ხელისუფლებას სჭირდება ლეგიტიმაცია. დღევანდელი ხელისუფლების ლეგიტიმაციის ხარისხი ძალიან დაბალია. აქედან გამომდინარე, მათ სჭირდებოდათ ისეთივე ოპოზიციური ველი, როგორიც ოქტომბრამდე იყო. პლუს ის დიდი რესურსი, რომლითაც ამ ველის გადაფარვას მოახერხებდნენ. დღეს ამას ველარ მოახერხებენ. აქეთ(ივანიშვილის მხრიდან ბ.ა.) უკვე შემოვიდა დიდი რესურსი- ავტორიტეტიც და ფულიც. ანუ ოპოზიციურ ფრთასაც არჩევნების მოგების საკმარისი რესურსი გაუჩნდა. ამ დიდი ფულის შესაჩერებლად ყველანაირ გასამართლებელ არგუმენტს პოულობენ. მეღიმება, როდესაც ოპოზიციის ზოგიერთი არაკოალიციის წევრი, მეუბნება: **"აბა, რა უნდა ექნა ხელისუფლებას, როდესაც ივანიშვილის ეს ამხელა ფული ქვეყანაში ინფლაციას გამოიწვევდაო?" მინდა ვკითხო: "როდესაც ბიძინა ივანიშვილი ქველმოქმედებდა, თეატრებს, სკოლებს, ატრაქციონების მშენებლობებს, ტაძრების რესტავრაციებს, ფაქტიურად, ხელისუფლების ყველა "პიარ წარმატებას" აფინანსებდა— მაშინ არ იწვევდა ეს დიდი ფული ინფლაციას?**

კონტროლის პალატა შემოყვანილია ისეთ მოთამაშედ, რომელის რეგლამენტი აქამდე არა თუ პოლიტიკურ მოთამაშედ ჩართვას, არამედ განსაზღვრულ ფუნქციას ითვალისწინებდა და ეს მხოლოდ საბიუჯეტო სახსრების კონტროლი იყო. დღეს კონტროლის პალატა ჩართეს პოლიტიკურ თამაშში და ის აბსოლუტურად პოლიტიზებულია. მეჩვენება, რომ კონტროლის პალატამ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის პასუხისმგებლობა მოიხსნა და თავის მოვალეობას საერთოდ აღარ ახორციელებს. **ფაქტიურად, კონტროლის პალატა ივანიშვილის სახსრების კოტროლითაა დაკავებული და არა იმით, რითიც უნდა იყოს დაკავებული.** იმ დროს, რა დროსაც ხელისუფლება ასე უპასუხისმგებლოდ ხარჯავს ბიუჯეტის სახსრებს, კონტროლის პალატა ივნიშვილის ფულს კი არ უნდა დასდევდეს, როგორც (ყოფილი პროკურორის) ქალბატონი მოგელაძის გამოსვლებით ვხედავთ, არამედ იმათ, ვინც ამ ფულს ასე ხარჯავს. ყოველ ჯერზეც რა დროსაც პრეზიდენტს გაახსენდება, რომ მოხუცებულებს კბილები აქვთ ჩასამელი, ვიღაცას კი "შესაძლოა, კანალიზაცია აქვს გასაყვანი". იმით უნდა ინტერესდებოდეს, დევს თუ არა ეს საბიუჯეტო თანხებში და ასე უპასუხისმგებლოდ ფული რატომ იხარჯება?

ესენი არჩევნებს არჩევნებამდე იგებენ. მოსყიდვებით, რომელსაც მოსყიდვა კი არ ჰქვია, არამედ ბიუჯეტი და სახელმწიფო დაფინანსება. **დაფინანსებას, რომელიც წინა წლის ბიუჯეტში არ დევს- ეს უკვე მოსყიდვაა.** ამათგან კიდევ ბევრ სიურპრიზს უნდა ველოდოთ. ნახეთ, რა გააკეთეს. სხვებთან ერთად ამ რეგულაციებში თავი ვითომ "ნაციონალურმა პარტიამაც" მოიქცია და ორი არასამთავრობო რომ შეამოწმეს, ერთი, ყველამ იცის, მათი რომაა. აშშ-მა და საერთაშორისო საზოგადოებამ სწორედაც ცვლილება მოითხოვა, საიდანაც მთავარი სწორედ გარემოს გაუმჯობესება იყო. ვინ რას და როგორ აღიქვამს, ეს მისი პრობლემაა. "მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო". სააკაშვილს აღარ უნდა იმ კეთილდღეობის დათმობა.

**— ქალბატონო მანანა, ეგ თავგასული ბავშვივით თამაშობს, "მისი სათამაშო" კი ჩვენი სამშობლოა.**

— ის ითამაშებს მანამდე, სანამ ჩვენი სამშობლოთი თამაშის უფლებას ჩვენ მივცემთ. ბავშვმა —" გამდის და ვტირივარო", ასეა სააკაშვილის საქმეც. ამან თავისი რესურსები ამოწურა. 26 მაისზე მეტს ველარ იზამს. მოკლა ხალხი — მეტი რაღა უნდა ქნას?! ახლა ნერონივით თბილისს თუ გადაწვავს. . . იქ დამთავრდება მაგისი ამბავიც. შეიძლება ბევრი სიურპრიზიც მოგვიწყოს და მზად უნდა ვიყოთ. სიურპრიზი არა, მაგრამ სასიამოვნო სანახავი იყო, ბაღათურიასგან პატარა ბიჭივით რომ გაიქცა.

**ბაია ამაშუკელი**

# biZina ivaniSvili biZina ivaniSvilis winaaRmdeg

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #13

ზოგიერთი შეცდომად უთვლის ბიძინა ივანიშვილს, რომ ის თავის დროზე აქტიურად ეხმარებოდა სააკაშვილს და მის გუნდს, თუმცა როგორც თავად ივანიშვილი აცხადებს, ის ეხმარებოდა არა სააკაშვილს, არა ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულ ხელისუფლებას, არამედ ეხმარებოდა კრიზისულ, უფრო ზუსტად კატასტროფულ სიტუაციაში აღმოჩენილ საქართველოს.

ივანიშვილი იმ დროისთვის მტკიცედ იცავდა საკუთარი თავისთვის მიცემულ სიტყვას და არანაირი ფორმით არ ერეოდა პოლიტიკაში.

ივანიშვილს არც ვარდების რევოლუციაში მიუღია მონაწილეობა, არც ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორების მოჯანყე გუნდი დაუფინანსებია, არც „კმარასთვის“, არც „რუსთავი-2“-სთვის ჩაუკუჭია ზოგიერთებივით მილიონები, ის აკეთებდა თავის საქმეს — ეწეოდა ქველმოქმედებას, აფინანსებდა თეატრებს, აშენებდა სკოლებს, რესტავრაციას უკეთებდა ეკლესია-მონასტრებს და, რაც მთავარია, აშენებდა „თავის სვეტიცხოველს“ — გრანდიოზულ სამების ტაძარს.

**უამრავი ეროვნული საქმისთვის ხელის წამშველებელი კაცი, სამების ტაძრის ქტიტორი ბიძინა ივანიშვილი 2003-2004 წელს, როგორც იტყვიან, ფაქტის წინაშე დადგა, ან უნდა დახმარებოდა ხაზინაგამოცარიელებულ ქართულ სახელმწიფოს, ან სასწორზე უნდა შეეგდო ამ სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი და შორიდან ეცქირა მოვლენათა ტრაგიკული განვითარებისთვის.**

ბიძინა ივანიშვილმა მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მისი ყაიდის ადამიანს უნდა მიეღო — ბოლომდე ებრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად.

იმაში, რომ საქართველომ და მისმა მოსახლეობამ ხელისუფლების ცვლის შემდგომი პერიოდისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური სიძნელეები და სხვადასხვა ტიპის პრობლემები შედარებით მშვიდად და უმტკივნეულოდ გადაიტანა, ბიძინა ივანიშვილის დიდი დამსახურებაა, ხოლო მისი დადანაშაულება იმაში, რომ ვარდებით ხელში მოსული ხელისუფლება დროთა განმავლობაში ურჩხულად იქცა, აბსოლუტური უსამართლობაა.





**ბიძინა ივანიშვილი: „წასვლა მინდოდა აქედან და ჩემს გადაწყვეტილებას იმით ვხსნიდი, რომ პოლიტიკაში მოსვლით მე თვითონვე ვანგრევდი ჩემს მიერვე სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმას, რომ მე არასოდეს მოვალ პოლიტიკაში და არ გადავუხვევ იმ მსოფლმხედველობას, რომელიც ავირჩიე.“**

ბიძინა ივანიშვილს არ შეიძლებოდა წინასწარ სცოდნოდა, რომ ეს ახალგაზრდები, რომლებიც დემოკრატიული და ზოგადკაცობრიული ფასეულობების მხარდამჭერებად ასაღებდნენ თავს, სულ მცირე ხანში ნეობოლშევიკებად მოგვევლინებოდნენ და სახელმწიფოს მართვისთვის გასული საუკუნის 30-იანი წლების მეთოდებს გამოიყენებდნენ.

თუ კარგად დავაკვირდებით ჩვენს დღევანდელ რეალობას, მასში ძალზე ცოტაა, ან საერთოდ არ არის დემოკრატიის ნიშნები.

ეს არის ფარსი დემოკრატიის თემაზე, ეს არის უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი, რომლის მთავარი პერსონაჟები ძვირფას კოსტუმებში გამოწკეპილნი, ლამაზ და ფერადოვან ფრაზებს ისვრიან მაყურებელთა გასაგონად, მაგრამ კულისებში ზუსტად ისე იქცევიან, როგორც მათი წინაპრები Í ÊÂÄ-დან.



**ეს ახალგაზრდები მოვიდნენ ვითომ ახლის შენების ენთუზიაზმით შეპყრობილნი, სინამდვილეში კი ისინი ნგრევის მანიაკალური ექსტაზით არიან გათანგულნი.**

**ისინი აშენებენ გზებს, ხიდებს, სასტუმროებს, მაგრამ ანგრევენ ქართულ სახელმწიფოებრიობას, ანგრევენ მის საძირკველს, მის ფუნდამენტს, ამიტომაც ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, თითქოს ჰაერშია გამოკიდული.**

აქედან მოდის უწონადობის, არასტაბილურობის შეგრძნება, რომელსაც საქართველოს თითოეული მოქალაქე გრძნობს.

ბიძინა ივანიშვილი აბსოლუტურად საპირისპირო მოვლენაა ქართულ სინამდვილეში.

შემთხვევითი არაა, რომ ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს, ეკლესია-მონასტრების რესტავრაციას და არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ ის მოგვევლინა სამების გრანდიოზული ტაძრის ქტიტორად.

ეს უკვე კონცეფციაა, იდეოლოგიაა, რომელიც სახელმწიფოს მშენებლობის უმთავრეს პრიორიტეტად სულიერებას, სულიერ ფასეულობებს და ადამიანში ამ ფასეულობების განმტკიცება-გაძლიერებას მიიჩნევს.

ღმერთის „საკონტროლო პუნქტებით“ — ეკლესია-მონასტრებით, დაფარულ ქვეყანაში, როცა ამ ქვეყნის მოქალაქეებს ყველა მხრიდან ღმერთის თვალი უყურებს და აკონტროლებს, ბოროტების დათრგუნვის და სიკეთის ქმნისთვის ფართო ასპარეზი იშლება.

**საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას საქართველო წარმოუდგენია, როგო-**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



**...რც სურსათ-სანოვაგით სავსე სუპერმარკეტი, ბიძინა ივანიშვილს როგორც ტაძარი, სადაც შენი ცხოვრება ერთ უსასრულო ლოცვას უნდა ჰგავდეს.**

ეს ხელისუფლებაც იმაშიც საოცრად ჰგავს თავის წინაპრებს, ბოლშევიკებს, რომ ისინიც მატერიალისტები არიან, ულმერთო, უფესვო, უწარსულო, კოსმოპოლიტი მატერიალისტები, რომლებიც ბიბლიაზე კი არა მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებზე გაიზარდნენ.

**ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს, — თქვა ბიძინა ივანიშვილმა და ზოგიერთმა ირონიულად ჩაიცინა — ეს რა მარტივი და უბრალო რამ თქვა ივანიშვილმა, ბავშვი დედამ რომ უნდა გაზარდოს, ყველამ იცისო.**

არა, არ იცის ეს ყველამ და მითუმეტეს, ძალიან ცოტამ იცის, რა იგულისხმება ამ ერთი შეხედვით, საყოველთაოდ ცნობილი აქსიომის მიღმა.

**ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს, დედა კი მხოლოდ ბიოლოგიური მშობელი არ არის, ქართველი კაცისთვის ის არის პრებითი სახელი — დედა არის სამშობლო, დედა არის მთელი სამყარო, ანუ დედამიწა, დედა არის ღმერთი, დედა არის საწყისი და სათავე ყოვლისა და ყველაფრისა.**

— მე არ დავბადებულვარ ადამიანად, მე ადამიანად კომუნისტურმა პარტიამ შემქმნა, — ეს სიტყვები გასული საუკუნის 30-იან წლებში ითქვა.

კომუნისტები ახალი ყაიდის, ახალი ცნობიერების, ახალი ჯიშის ადამიანის შექმნას ცდილობდნენ.

იგივეს ცდილობენ თანამედროვე ქართველი ბოლშევიკები ამხანაგ სააკაშვილის მეთაურობით — ახალი ადამიანი, ახალი ქართველები უნდა გამოვძერწოთო — იქადნებიან.

ღმერთის ჩანაცვლების ყოველი ასეთი შიზოიდური მცდელობა კატასტროფით, დიდი ტრაგედიით და დიდი მსხვერპლით მთავრდება.

საბოლოო ჯამში, ადამიანები ყოველთვის ამარცხებდნენ მათი გადაკეთება-რეკონსტრუქციის მოსურნეებს და თავიანთ ადამიანურ სახეს იბრუნებდნენ.

ადრე თუ გვიან ასე მოხდება საქართველოშიც და ბიძინა ივანიშვილი სწორედ ამ მიზნის განხორციელებისთვის, ანუ ადამიანებისთვის ღირსების დაბრუნებისთვის იბრძვის.

**ამ ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობისთვის უცხო და გაუგებარია დედააზრი იმ სიტყვებისა, რომლითაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მისი მოსვლის მიზეზები ახსნა — ვხედავდი, რომ სამშობლო მეკარგებოდა და ამიტომ გადავწყვიტე, პოლიტიკაში მოსვლაო.**

გაუგებარია ეს მათთვის, რადგან ისინი სამშობლოს უყურებენ, როგორც გასაყიდ ობიექტს, საიდანაც შეიძლება დიდი სარგებელი ნახო, ბიძინა ივანიშვილისთვის სამშობლო ტაძარია, რომელსაც უშურველად უნდა შესწირო ყველაფერი და თუ საჭირო გახდა, საკუთარი მრწამსის და პრინციპების წინააღმდეგაც უნდა წახვიდე.

**სააკაშვილი და მისი გუნდი სამშობლოს ყმასავით იმსახურებენ, ივანიშვილი სამშობლოს ემსახურება.**

* * *

**— ბიძინა ივანიშვილს უფრო დიდი ქველმოქმედება, ვიდრე მისი პოლიტიკაში მოსვლაა, არ ჩაუდენია, — თქვა ერთმა პოლიტიკოსმა.**

საინტერესო შეფასებაა და კიდევ უფრო საინტერესოა ის ქვეტექსტი, რომელიც იმ შეფასების მიღმა იგულისხმება.

თუ აქამდე ივანიშვილის მიერ გაწეული ქველმოქმედება მეტწილად ფინანსური ხასიათისა იყო, პოლიტიკაში მოსვლა საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გაღების და ყოფნა-არყოფნის სასწორზე შეგდების ტოლფასი „ქველმოქმედებაა".

ჩვენი ეგოისტური ბუნების საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც უფრო მისაღები და ბუნებრივი ფორმაა — წართმევა, წაგლეჯა და არა გაცემა, ბიძინა ივანიშვილის ფინანსური სახის ქველმოქმედებაც კი, რალაცნაირად საეჭვო და საყოყმანო იყო, ხოლო სამშობლოსთვის, ქვეყნისთვის, ხალხის კეთილდღეობისთვის სიცოცხლის სასწორზე შეგდება მთლად დაუჯერებელი ამბავია.

ალბათ, ბევრი ფიქრობს ასე: — ეს როგორ, კაცს მილიარდები ჰქონდეს, ბედნიერად და უზრუნველყოფილად ცხოვრობდეს და თავი გაწიროს?

მშიერი, არასმქონე, ღატაკი რომ წირავს თავს, კიდევ გასაგებია, მაგრამ მილიარდერს რატომ უნდა გაუჩნდეს ასეთი სურვილი? — დარწმუნებული ვარ, ბევრი ფიქრობს ასე საქართველოში.

**— რა არის ის ზღვარი, რომელიც გაგაჩერებს? — უკითხავს გუბაზ სანიკიძეს ივანიშვილისთვის.**

**— მხოლოდ სიკვდილი! — უპასუხნია ბატონ ბიძინას.**

სიკვდილი ღმერთმა აშოროს ბიძინა ივანიშვილს, თუმცა მან კარგად იცის, რომ ქართული პოლიტიკის ჯუნგლებში, სადაც მგლებად ქცეული ადამიანები ერთმანეთს ყელებს ღადრავენ და ერთმანეთს ჭამენ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, მათ შორის სიკვდილისთვისაც.

**ბიძინა ივანიშვილმა იცის, რა ძალა უპირისპირდება, იცის, ამ ძალის მუხანათური და ვერაგული ხასიათი და მაინც არ აპირებს უკან დახევას.**

**ეს უკვე თავგანწირვისთვის მზადყოფნაა და ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ქვეყნისთვის მართლაც თავდადებულ ადამიანს შეუძლია.**

* * *

— საქართველოს დღეს პოლიტიკაზე მეტად თავდადებული გმირი სჭირდება — მიმტკიცებდა ერთი მეგობარი.

ამ მოსაზრებას მხოლოდ გარკვეული კორექტივებით თუ დავეთანხმები.

საქართველოს დღეს ისეთი პოლიტიკოსი სჭირდება, რომელიც მზად არის გმირობისთვის, ასეთ გამორჩეულ პერსონად კი ბიძინა ივანიშვილი მესახება.



მან უკვე ჩაიდინა მოქალაქეობრივი გმირობა, რაც შეეხება პოლიტიკას, ის, როგორც უაღრესად გონიერი და ნიჭიერი ადამიანი, პოლიტიკურ ლაბირინთებშიც უცებ გაერკვა და უცებ აითვისა პოლიტიკის ბილინგვური ენა.

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე შემდგარი პოლიტიკოსია. რის სწავლასაც სხვები 5 წელს ანდომებენ, მან 5 თვეში აითვისა.**

მან ღირსეულად გაუძლო უღირსთა უღირს შემოტევებს და მიუხედავად ათასგვარი ბინძური ცილისწამებისა, ერთხელაც არ დაუკარგავს წონასწორობა, ერთხელაც არ აუწევია ხმისთვის და ზოგიერთებივით არც ხალხისთვის დაუძახია, მიშველეთო.

**ის შესაშური სტოიციზმით, აუმღვრევლად, მტკიცედ და ურყევად მიდის დასახული მიზნისკენ, ისე მიდის, თითქოს მძიმე ჯვარი მიჰქონდეს.**

თავისი ნებით წამოიკიდა მან ეს ჯვარი, თავისი ნებით შეუდგა ამ ნარ-ეკლიან აღმართს და რადგან ეს გადაწყვეტილება მიიღო, ბოლომდე აივლის ამ აღმართს.

**ბევრი უნამუსობა და უსინდისობა მსმენია, მაგრამ არ მსმენია უფრო დიდი უსინდისობა, ვიდრე ბიძინა ივანიშვილისთვის უცხოური, გნებავთ, რუსული, გნებავთ, ამერიკული პროექტის დაძახებაა.**

**უმადურია, უთავმოყვაროა საზოგადოება, რომელიც ამას ითმენს.**

ვინ ვინ და ქართველმა საზოგადოებამ ხომ ზუსტად იცის, რა გაუკეთებია ამ კაცს მთელი საქართველოსთვის და თვითოეული ქართველისთვის, ყოველივე ამის შემდეგ, როგორ უნდა ბედავდეს ვინმე მისთვის ჩირქის მოცხებას?

არადა, ბედავენ, ქართველი საზოგადოება კი გულგრილად უსმენს და უყურებს ამ შემზარავ სანახაობას, თითქოს ეს ამბავი მას არ ეხებოდეს.

რაც ქართველებს გვჭირს, ჩვენი თავით გვჭირს...

ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი თანამედროვე გმირები, ჩვენ არ გვიყვარს ჩვენთვის თავდადებული თანამედროვეები, ჩვენ გვიჭირს, სიცოცხლეშივე პატივი ვცეთ მათ, სათანადოდ დავაფასოთ, გვერდით დავუდგეთ და მივბაძოთ მათ თავდადებას.

სამაგიეროდ, სიკვდილის შემდეგ ვიცით დიდი ვაი-ვიში და ქვით-ქვითი, თითქოს ჩვენ არ მოგვეკლას ჩვენი სათაყვანებელი რჩეული ჩვენივე გულგრილობით და უმადურობით.

20 gv.

# biZina ivaniSvili biZina ivaniSvilis winaaRmdeg

19 gv.

* * *

**„მე მჭირდება რეალური შეფასება და კრიტიკა, რომ შეცდომა არ დავუშვა მომავალში“, — წერს ბიძინა ივანიშვილი თავის დღიურებში.**

ბიძინა ივანიშვილი მისი პოლიტიკური საქმიანობის და მისი, როგორც პოლიტიკოსის, რეალურ შეფასებას და კრიტიკულ მოსაზრებებს ითხოვს, რომ მომავალში შეცდომები არ დაუშვას.

რა არ მომწონს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობის ამ ხანმოკლე, ხუთთვიან პერიოდში და რა, კონკრეტულად, პოლიტიკოს ბიძინა ივანიშვილში, ვიმეორებ, პოლიტიკოს ბიძინა ივანიშვილში?

ჩემი აზრით, შეცდომაა, როცა ის ძალიან დაჟინებით ცდილობს პოლიტიკოსის „სტატუსის“ მოპოვებას.

**პოლიტიკოსი ბიძინა ივანიშვილი, ვფიქრობ, ვერაფრით ვერ იქნება უფრო აღმატებული, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოსვლამდე.**

**როგორც ზემოთ ვთქვით, ის იყო (და არის) კაცი — სახელმწიფო, რომელმაც ერთმა, მარტო კაცმა, დამოუკიდებლად სცადა ამ ქვეყნის გადარჩენა და მოახერხა კიდეც.**

აი, ასეთი პიროვნების „ჩამოპოლიტიკოსება“ და პოლიტიკურ მარაქაში გარევა, რაღაცით აუბრალოებს და აკნინებს იმ იმედს, რაც ივანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

**როცა ხარ ბიძინა ივანიშვილი, არ არის საჭირო პოლიტიკური სუბიექტების დონეზე ჩამოპოლიტიკოსდე.**

ბიძინა ივანიშვილი ხშირად იმეორებს, რომ ის ახალბედაა პოლიტიკაში, რაც მის პოლიტიკურ პარტნიორებს, „ვეტერან“ პოლიტიკოსებს, უფლებას აძლევს, თავი მოძღვრის და მასწავლებლის როლში წარმოიდგინონ და „შეგირდს“ პოლიტიკური გაკვეთილები ჩაუტარონ.



სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური სპექტრი ფრიად ღარიბია პროფესიონალი „კადრებით“ და უმრავლესობას პოლიტიკა მეტრო „რუსთაველიდან“ „თავისუფლების მოედნამდე“ აღმა-დაღმა სიარულში აქვს ნასწავლი.

მათ რა უნდა ასწავლონ ბიძინა ივანიშვილს, ან რა უნდა ურჩიონ ისეთი, რაც ივანიშვილმა არ იცის და ამათ იციან?

როცა ერთ საქმეს ბევრი აკეთებს ერთად, ის საქმე ან ძალზე უხარისხოდ კეთდება, ან საერთოდ ვერ კეთდება, რადგან ბევრნი ერთად ერთმანეთის კონკურენტები ხდებიან და ერთმანეთს უშლიან ხელს.

არსებობს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური კოალიცია, თუმცა, ჯერჯერობით, არ არსებობს თავად ივანიშვილის პოლიტიკური პარტია.

**რამდენად არის ტაქტიკურად და სტრატეგიულად გამართლებული პარტიული სტრუქტურის მშენებლობის თვალსაზრისით ის ფაქტი, რომ ჯერ ფუძნდება კოალიცია, შემდეგ კი გზადაგზა იწყება ამ კოალიციის მთავარი სუბიექტის — ივანიშვილის პოლიტიკური ორგანიზაციის მშენებლობა, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოალიციაში შემავალი პარტიების წარმომადგენლები?**



საკითხავია, რამდენად მყარი და საიმედო იქნება ის პოლიტიკური სახლი, სხვადასხვა პარტიები თავიანთი კოალიციის ლიდერს უშენებენ?

საერთოდ ხომ არ სჯობდა, ჯერ თავისი პოლიტიკური სახლი აეშენებინა ბიძინა ივანიშვილს, აეშენებინა თვითონ, საკუთარი „კალატოზების“ და „დურგლების“ მეშვეობით და არა მოწვეული „სამშენებლო ბრიგადის“ დახმარებით?

**„ფინაჩობა“ სჩვევიაში მოწვეულ ხელოსნებს, „ფინაჩობა“ და ცუღლუტობა — რომ გგონია, შენს სახლს აშენებენ, ამ დროს საკუთარი სახლის კედლებს ამატებენ სამშენებლო მოედნიდან მოპარულ აგურს და არმატურას.**

რას იზამ, ასეთია ადამიანის ბუნება და პოლიტიკოსებიც ხომ ადამიანები არიან, თანაც ისეთი ტიპის ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებული ამბიციები და საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის უკომპრომისო ბრძოლა ახასიათებთ?

კვლავ უმწვავეს პრობლემად რჩება ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების საკითხი.

ივანიშვილს მისი იურისტები და პოლიტიკოსები დაბეჯითებით არწმუნებენ, რომ აპრილის დასაწყისში ხელისუფლება მას აუცილებლად დაუბრუნებს მოქალაქეობას, როგორც ნატურალურ ქართველს.

— ხელისუფლება იძულებული იქნება ასე მოიქცეს, მას სხვა გზა არა აქვსო — არწმუნებენ ივანიშვილსაც და დანარჩენ საქართველოსაც მისი მრჩევლები და პოლიტმეგობრები და, როგორც ვთქვით, მთავარ არგუმენტად ნატურალიზაციას ასახელებენ.

— კი, მაგრამ, ივანიშვილი ნატურალური ქართველი არ იყო, როცა მოქალაქეობა შეუჩერეს?

რაც შეეხება საბაბს, საბაბს ყოველთვის გამოძებნის ვერაგობით და უტიფრობით გამორჩეული ეს ხელისუფლება.

**მაშინ რატომ გვარწმუნებს ასე დაბეჯითებით, ასე კატეგორიულად ივანიშვილის პოლიტიკური გარემოცვა, ივანიშვილს საქართველოს მოქალაქის სტატუსის აღდგენა გარანტირებული აქვსო?**

პერსონალურად და კონკრეტულად არავის არ ვადანაშაულებ და არავის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ შემაქვს, უბრალოდ, პრაგმატულად, ცივი გონებით რომ ავწონ-დავწონოთ, კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს ხელს აძლევთ, რომ ივანიშვილს მოქალაქეობა არ დაუბრუნონ და მისი პარტიაც სუსტი და უღიმღამო იყოს.

მათ ხელს აძლევთ ასეთი სიტუაცია, რადგან ამ დროს ბიძინა ივანიშვილი უფრო მეტად იქნება დამოკიდებული მათზე, ვიდრე ისინი ივანიშვილზე. ბრჭყალებს კი ეს პარტიები არჩევნების მოახლოებისას გამოაჩენენ და თავიანთ ამბიციურ პირობებსაც აუცილებლად წამოაყენებენ.

რატომ შეიძლება ეს მოხდეს?

ყოველ შემთხვევაში, არა იმიტომ, რომ ეს პარტიები ცუდები და ბოროტები არიან, არამედ იმიტომ, რომ ასეთია პოლიტიკური ცხოვრების ლოგიკა.

**სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა პარაზიტული, უფრო ზუსტად, ტკიპოლოგიურ-წურბელოლოგიური ბუნებისაა და ახლად გამოჩენილი მსხვერპლისგან სისხლის გამოწოვა ფრიად ემარჯვებათ და ეხერხებათ.**

ამ ოცი წლის განმავლობაში უამრავი პოლიტიკური გაერთიანება, კავშირი, საბჭო, ფრონტი, კოალიცია თუ ცენტრი შექმნილა. შექმნილა, მაგრამ დროის მცირე მონაკვეთში უსახელოდ გამქრალა.

რატომ ვერ ხერხდებოდა ამ გაერთიანების ერთიანობის შენარჩუნება, რატომ ქრებოდნენ ისინი ასე უკვალოდ — თითქოს ფორმალინის ხსნარი გადაასხესო?

იმიტომ რომ მათ აერთიანებდათ რაღაც მცირე მასშტაბის ლოკალური პარტიული ინტერესი და არა სამშობლოს ხსნის და გადარჩენის მიზანი.

**სამშობლო — დავიწყებული დიადი სიტყვა, რომელიც ბატონმა ბიძინამ გაგვახსენა...**

(გაგრძელება იქნება)

*გვესაუბრება ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის მთავრობის წევრი, ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ძველი წარმომადგენელი* ***მათე ციხესაშვილი***



# `me ar vambob, rom gelbaxianma tyuili Tqva, magram daasaxelos konkretuli pirebi...~

**— ბატონო მათე, ახლახან ვალერი გელბახიანმა, რომელიც, მოგეხსენებათ, ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის უფროსი გახლდათ, ასეთი განცხადება გააკეთა: „ბადრი პატარკაციშვილმა 2007 წლის დასაწყისში ჩანაწერი გამაცნო, სადაც რუსულ ენაზე ქართველი ჩეჩენ ბოევიკს ესაუბრებოდა. ეს ქართველი ჩეჩენს პატარკაციშვილის ლიკვიდაციას უკვეთავდა და თუ ამას გააკეთებდა, გარანტიებს მიიღებდა, რასაც დაჰპირდნენ. ეს ჩანაწერი პატარკაციშვილმა ჩეჩნებთან მოიპოვა, რაშიც დიდძალი ფული გადაიხადაო“. რას იტყვით ამის შესახებ?**

— ამ განცხადებამ საქართველოში მაცხოვრებელ ვაინახ მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც წესი, რატომღაც, ჩეჩნებს საქართველოში ეჭვის თვალით უყურებენ. ახლა ამას დაემატა გელბახიანის განცხადებაც და მორჩა, ჩეჩნებს მკვლელებად გამოაცხადებენ. არ მესმის, როცა დასჭირდებათ, მაშინ რატომ იშვერენ თითს ჩეჩნებისკენ, ამ ხალხმა ომი და სისხლისღვრა გამოიარა. მიმაჩნია, საქართველო და ქართველები უფრო მეტად სოლიდარულნი უნდა იყვნენ ჩეჩნების მიმართ. გელბახიანს თავი თუ პოლიტიკოსად მოაქვს, პოლიტიკოსი წინდახედული უნდა იყოს, როცა საკითხი ნაციას ეხება. არ შეიძლება ერის შეურაცხყოფა.

ჩემი აზრით, ამ საქმეში ჩეჩნების გარევა გადაჭარბებულია. ეს ისეთივე ჰიპოთეზაა, როგორც, მაგალითად, ის, რომ ჩეჩნებმა აფხაზეთში ქართველი ბიჭების თავებით ფეხბურთი ითამაშეს, ჩეჩნების დახმარებით დაიკარგა აფხაზეთი და ა.შ. გელბახიანის განცხადება ანტიჩეჩნური კამპანიის ნაწილია, შევარდნაძის და მისი ხროვის მიერ რომ მიმდინარეობდა წლების განმავლობაში. ყოველივე ეს კი მიზანმიმართულად წარმოებდა რუსული მხარის მიერ, თითქოს ჩეჩნები იყვნენ სისხლისმსმელები, ტერორისტები და ა.შ.

**— თქვენ თუ გერწმუნებით, გამოდის, რომ ვალერი გელბახიანს ტყუილი უთქვამს.**

— მე არ ვამბობ, რომ გელბახიანმა ტყუილი თქვა, მაგრამ დაასახელოს კონკრეტული ადამიანები და გვიამბოს მათი კავშირების შესახებ ჩეჩნებთან. მე დარწმუნებული ვარ, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობაში არც ერთი ჩეჩენი არ მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ არც არაფერს გამოვრიცხავ, რადგან ყველგან შეიძლება იყოს ერთიორი ნაძირალა. კიდევ ვიმეორებ, არ მგონია, რომ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებაში წვლილი ჩეჩნური წარმოშობის ადამიანს შეეტანოს, ამიტომ ამ უპასუხისმგებლო განცხადების გამო ჩეჩნები, როცა იქნება, მაშინ მოსთხოვენ პასუხს გელბახიანს, ან მის შთამომავლობას მაინც. მით უმეტეს, რომ ბატონი ვალერი ზვიადის დროს იყო გროზნოში და იცის ჩეჩენი ხალხის მენტალიტეტის შესახებ. როგორც ჩანს, ამ განცხადებით ვალერი გელბახიანს სურს, ქულები ჩაიწეროს და საკუთარი თავის რეაბილიტაცია მოახდინოს ქართულ საზოგადოებაში.

**— ბატონო მათე, თქვენ ისე წარმოაჩენთ, თითქოს არც აფხაზეთში იბრძოდნენ ჩეჩენი ბოევიკები და არც პანკისის ხეობა იყო წლების განმავლობაში ნარკოტრანზიტის ბუდე.**

— აფხაზეთის თემას მე არაერთხელ შევეხე ქართულ საინფორმაციო საშუალებებში და ეს საკითხი, ჩემი მხრიდან, გარკვეული მგონია. რა თქმა უნდა, საზოგადოებაში იყო მსგავსი ტიპის ინფორმაციები. ბოლო წლებში განსაკუთრებით პანკისის ხეობაზე იყო აქცენტი გაკეთებული. ეს ხეობა ყველა უბედურების ბუდედ ითვლებოდა. ის კი არა, რუსეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანოვმა ისიც კი განაცხადა: პანკისის ხეობაში ბენ ლადენი იმყოფებაო. საფრანგეთის მაშინდელმა შს მინისტრმა ნიკოლა სარკოზიმ თქვა, რომ პანკისში არის ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის წარმოების ლაბორატორიები და ბოევიკები იქიდან აპირებენ ევროპაზე თავდასხმას. ეს ნიშნავს დასავლეთში დიდ აურზაურს, მაგრამ ეს აურზაური ხომ აბსურდია?

ნარკობიზნესი პანკისში, როგორც გითხარით, გაშლილი ჰქონდა შევარდნაძეს და მის ხროვას შს მინისტრ კახა თარგამაძის მეთაურობით. ეს ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის. არც ის წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, რომ ნაცმოძრაობის დღევანდელი ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი პანკისის ხეობაში იყო დაჭერილი ნარკობარიგობის გამო. მერე ეს ადამიანი გახდა გუბერნატორი, მინისტრი, დეპუტატი, ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელი. ასეთი ხალხი მართავს დღეს საქართველოს. სხვათა შორის, საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას ბევრი მომხრე ბრძანდება.



მიმაჩნია, რომ მათ უღალატეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეას და ამას ყოველთვის ვიტყვი.

**— ბატონო მათე, თქვენ საქართველოს ყოფილი მოქალაქე ხართ, აქ დაბადებული და გაზრდილი. რას ფიქრობთ, ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის შესახებ?**

— მე საქართველოს ყოფილი მოქალაქე არ გახლავართ. მე ვარ საქართველოს მოქალაქე! სულით და გულით ვარ როგორც ჩემი ერის შვილი, ასევე ვარ ქართველიც. ამიტომ მინდა გითხრათ, რომ ყველაფერი, რაც საქართველოს ეხება, მეც მეხება და საქართველოს სიყვარულში ნებისმიერს შევეჯიბრები. რაც შეეხება რელიგიას, იგი სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი რამ არის. კონსტიტუციაშიცაა ეს აღნიშნული. თუკი ლაპარაკია ბათუმში მეჩეთის მშენებლობაზე, გამოდის, რომ სახელმწიფო საკუთრება, ანუ მიწა გაუყიდია ვიღაცას, ხოლო მყიდველმა გადაწყვიტა იქ მეჩეთის აშენება.

თურქეთი დღეს ევროპული დონის სახელმწიფოა, მას აქვს დიასპორები მსოფლიოს დიდ ქვეყნებში და პატრონობს ყველას ყველგან, სადაც ხელი მიუწვდება.

**— რამდენადაც ცნობილია, ჩეჩნები თავს თურქების ახლობლად მიიჩნევთ. მით უფრო, რომ ერთნაირი აღმსარებლობის — სუნიტური მაჰმადიანობის მიმდევარნი ბრძანდებით. ცნობილია, რომ თქვენ ერთმანეთთან მჭიდროდ დასაახლოებელ გზებს ეძებთ.**

— მართალია, თურქეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი ჩეჩნური დიასპორა არსებობს, რადგან მე-20-ე საუკუნის ომების პერიოდში ხალხის უმრავლესობა თურქეთში გაიხიზნა, მაგრამ ჩვენ იბერო-კავკასიელები ვართ და თურქებისგან მკვეთრად განვსხვავდებით, თუნდაც ანთროპოლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ ყოველგვარი ეჭვები ამის შესახებ გაზვიადებულია.

მოგეხსენებათ, მე პოლიტიკურ ემიგრაციაში ვიმყოფები საფრანგეთში. ამას წინათ ერთ თურქს — მეჰმედს შევხვდი, რომელიც საფრანგეთში თურქული კულტურის წარმომადგენელია. ჩამოვარდა ლაპარაკი ბათუმში მეჩეთის მშენებლობაზე. მან თქვა: თუ ხელისუფლებას არ სურს, ნუ მისცემენ ქართველები თანხმობას მეჩეთის მშენებლობაზე. თურქები მოძალადეები არ არიანო.

ქართველები, რომლებიც თითქოსდა სხვა ერებისა და სარწმუნოების შემწყნარებლები ხართ, ტოლერანტობას ხშირად ვერ ამჟღავნებთ. 9 აპრილის წლისთავზე აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა 352 ადამიანი იქაური „სახალხო ფრონტიდან“ ქართველებისადმი სოლიდარობის გამოსაცხადებლად, ზუსტად იმდენი აზერბაიჯანელი, რამდენიც ბაქოს ტრაგედიის დროს დაიღუპა და მთავრობის სახლის წინ მიტინგზე გამოცხადდნენ. მიტინგი თურმე ირაკლი წერეთელს მიჰყავდა. როცა აზერბაიჯანელები დაუნახავს, უთქვამს: რა ხდება, გაივსო თათრებით აქაურობაო?! ქალებს გადაუხარხარიათ, ჰგონებიათ, აზერბაიჯანელებში არავინ არ იცოდა ქართული. სინამდვილეში, მათ გაუგიათ, რაც თქვა ირაკლი წერეთელმა და ნაწყენი გაბრუნებულან უკან. რამდენიმე წლის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მერე აზერბაიჯანის ხელისუფლებაში მინისტრი გახდა, შემხვდა და მომიყვა ამის შესახებ. ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, პრობლემას შექმნის საქართველოსთვის. ამიტომ ხელისუფლება ფრთხილად უნდა მოეკიდოს მეჩეთის მშენებლობის საკითხს, თორემ თავისთავად მუსულმანური სალოცავის აშენება, მგონი, არ უნდა იყოს დიდი ტრაგედია. რა საფრთხეებზე ლაპარაკობთ, არ მესმის. მიწა არის სახელმწიფოს საკუთრება და ბათუმის მერიამ, როგორც ჩანს, ის ადგილი, სადაც იუნკრები არიან დასაფლავებულნი — გაყიდა. რა შუაშია თურქეთი? თუ ვინმე ამბობს — მთავრობა ცუდია, ვისი ბრალია ეს? ვინ მოახდინა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა, ომი აფხაზეთში, შიდა ქართლში, რად გვიყვარს ჩვენი დანაშაულის სხვისთვის გადაბრალება და ჩვენი უბედურების სხვისთვის მიწერა?! კანონიერების აღდგენიდან უნდა დაიწყოს ახალი საქართველოს მშენებლობა, სხვა გამოსავალი, ჩემი აზრით, არ არსებობს.

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# cezar CoCe l s boco wik l au r iT Caanacv l eben?

როგორც „საერთო გაზეთს“ სარწმუნო წყარომ აცნობა, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელს მალე სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე ვიხილავთ. რა თანამდებობას დაიკავებს დღევანდელი მინისტრი, პროფესიით ექიმი ზაზა გოროზია, ჯერჯერობით უცნობია. რაც შეეხება ჩოჩელის შემცვლელს, ეს, სავარაუდოდ, ნუგზარ წიკლაური იქნება. ჩოჩელი ვანო მერაბიშვილის კაცად ითვლება. მათ უამრავი საერთო ბიზნესი ჰქონიათ, თუნდაც სარეცხი ფხვნილების მწარმოებელი ფირმა „ბერტა“, ნატახტარის სასაკლაო, საგურამოში ახლადაშენებული ლუდის ქარხანა, რომელიც დღედღეზე წარმოებაში გაეშვება, იქ წარმოებულ ლუდს „ზედაზენი“ ერქმევა. ჩოჩელს, თურმე, მისი ოფიციალური სამსახური აღარც ახსოვს, დღე და ღამე ამ ქარხანაშია. აქ მერაბიშვილიც ხშირი სტუმარი ყოფილა და იქაურებს თავად მიხეილ სააკაშვილისა და დავით ბაქრაძის „ვიზიტებიც“ არაერთხელ დაუფიქსირებიათ. ჩოჩელი რომ მართლაც ვანოს კაცია, ამას კობა დავითაშვილის ცნობილი განცხადებაც გვაფიქრებინებს, როცა სააკაშვილის კარის ბიზნესმენებს ხელშეუხებლობას დაპირდა და „შეწყალებულთა“ სიაში პირველ ნომრად სწორედ ცეზარ ჩოჩელი დაასახელა. ისე ეს „კეთილგანწყობა“ რომ მერაბიშვილს ძვირი დაუჯდა და სააკაშვილის კარზე მისი გავლენები მნიშვნელოვნად შემცირდა, ამის შესახებ „საერთო გაზეთი“ უკვე წერდა. სხვათა შორის, მერაბიშვილი არც სააკაშვილის ბოლო საპარლამენტო ვიზიტს ესწრებოდა, ისევე როგორც მანამდე სამთავრობო და უშიშროების საბჭოს სხდომებს. იგი პარლამენტში მიშას ცნობილი გაქცევა-მობრუნების შემდეგღა გამოჩნდა. თუ სააკაშვილ-მერაბიშვილს შორის მართლაც არის უთანხმოება, მაშინ გასაკვირია ვანოს კაცის დაწინაურება. ჩვენს წყაროს თუ ვენდობით ჩოჩელის სავარაუდო გამინისტრებას სულ სხვა საფუძველი აქვს, მან არჩევნების დროს „ნაციონალებს“ სასურველი რაოდენობის ხმები ვერ შეუგროვა, ამიტომ ესოდენ მნიშვნელოვანი არჩევნების დროს, რა თქმა უნდა ბიძინა ივანიშვილის პერსონას თუ გავითვალისწინებთ, ჩოჩელს ველარ ენდობიან და უფრო სანდო პიროვნებით უპირებენ ჩანაცვლებას, რომელიც უკან არაფერზე დაიხევსო. ასეთი ფიგურად კი თურმე ბოცო-ნუგზარ წიკლაურს მოიაზრებენ.

„საერთო გაზეთმა“ ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა მოძრაობა „არას“ ლიდერ ლევან ჩიტაძეს. მისი განცხადებით, ჩოჩელის გამინისტრებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფერი სმენია, თუმცა თუ ასე მოხდა ძალზე საინტერესო იქნება ძალთა გადანაწილების კუთხით ხელისუფლებაში არსებული ვითარებაო.

**ლევან ჩიტაძე**: „თუ სააკაშვილსა და მერაბიშვილს შორის მართლაც არსებობს რაიმე დაპირისპირება, ამას ნაწილობრივ შეიძლება აბათილებდეს სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ვანო ისეთივე გაღლეტილია, როგორიც გამინისტრებამდე იყო. მაგრამ არ არის გამორიცხული ყველაფერი შემობრუნდეს და თუკი სააკაშვილს დასჭირდა მერაბიშვილის დისკრედიტაცია და პოლიტიკურად განადგურება, პირიქით თქვას, მე მეგონა გაღლეტილი იყო, ამას კი, თურმე, რამხელა ქონება ჰქონიაო. ასე რომ, სააკაშვილის ეს განცხადება ორნაირად შეგვიძლია შევაფასოთ და მისი მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ, რეალურად რა ურთიერთობა აქვს მას მერაბიშვილთან. ივანიშვილის ცნობილი განცხადების მერე მერაბიშვილს გარკვეული პრობლემები რომ აქვს სააკაშვილთან და ნაცმოძრაობასთან, ეს ინფორმაცია მართლაც არსებობს. იმ ვითარებაში, როცა ვრცელდება ხმები, რომ მერაბიშვილს ეჭვის თვალით უყურებენ, ჩოჩელის სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე გადაყვანა შეიძლება ნიშნავდეს ერთადერთ რამეს – გაწყვიტონ მასსა და მერაბიშვილს შორის არსებული ურთიერთობები, იქნება ეს მეგობრული თუ ბიზნესპარტნიორული, რისთვისაც ჩოჩელი შესაბამისად დაჯილდოვდება. მე არ მგონია, ჩოჩელის გამინისტრება მერაბიშვილის გაძლიერებას ემსახურებოდეს. თუ სააკაშვილმა მერაბიშვილი მოიძულა, ამ უკანასკნელს ჩოჩელის დაწინაურება ნამდვილად ვერ უშველის. ვანოს გარიყვის შემთხვევაში ჩოჩელიც და ვანოს ყველა სხვა „კაცი“ სააკაშვილის მხარეს დაიკავებს.

არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება არასამთავრობო სექტორის, ოპოზიციური პარტიებისა და საერთაშორისო მისიების მიერ, რომლებიც გულდასმით აკვირდებიან საქართველოში მიმდინარე რეფორმებს, რომ რაღაცეები არასწორად კეთდება. ყველა თანხმდება, რომ შსს-ს დღევანდელი სტრუქტურით არსებობა არის არასწორი და აუცილებლად უნდა გაცალკევდეს. რეალური და გარეგნული განცალკევება არ მომხდარა, თუმცა შიდა დაყოფა მოხდა, სოდი და კუდი ისე აღარ ემორჩილება მერაბიშვილს, როგორც ადრე ემორჩილებოდა. ასე რომ, თუნდაც ამ კუთხით, გამორიცხულია ამ ეტაპზე რომელიმე მინისტრის ძალა გაიზარდოს, მითუმეტეს, თუ ის ისედაც ძლიერია. ისე სააკაშვილისთვის უფრო უპრიანი შეიძლება იყოს მაღალ თანამდებობებზე პოლიტიკურად უფრო სუსტი სახეების დანიშვნა, ისეთის როგორიცაა თუნდაც ჩოჩელი“.

**– რატომ?**

აქ ძალზე ბევრი მომენტი მოქმედებს. ის მაღალჩინოსანი ან პოლიტიკური ფიგურა, რომელიც საკუთარ თავზე ზრუნავს და არ უნდა სააკაშვილის ქმედებებს შეეწიროს, მითუმეტეს, თუ მას მეტნაკლებად სუფთა სახელი აქვს და ოპოზიციაში გადასვლის ან სხვა პოლიტიკური განცხადების გაკეთების შემთხვევაში ხალხი დიდი ალბათობით მიიღებს, ის რა თქმა უნდა, ძალზე დიდი საფრთხის მატარებელია სააკაშვილისთვის. ჩოჩელისთვის კი ყველა კარი დაკეტილია. ყველამ იცის, რომ იგი კორუმპირებულია, სახელმწიფოს ხარჯზე მოიწყო ცხოვრება, ძალზე ბევრ დანაშაულში აქვს მონაწილეობა მიღებული და შეიძლება, მის მიმართ სს-ის საქმეც აღიძრას თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და გულგრილობის ბრალდებით. აქედან გამომდინარე, ნაცმოძრაობის გარეთ რეალურად მისი ადგილი არ არსებობს. მას არავინ მიიღებს, ამიტომაც უფრო სანდოა სააკაშვილისთვის. ჩოჩელი თვითონაც ეცდება, რომ უფრო ახლოს იყოს სააკაშვილთან, რადგან მის გარეშე დაიღუპება, უკანონოდ შეძენილ ქონებასაც წაართმევენ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აუცილებლად გამოჩნდება ის ხალხიც, რომლებსაც უკანონოდ წაართვეს ქონება და სამართლიანი სასამართლოს პირობებში ამ ქონებას დაიბრუნებენ. აქედან გამომდინარე, ჩოჩელისა და მსგავსი ფიგურებისთვის სააკაშვილი გაცილებით სანდო პარტნიორია და იქნება, ვიდრე ნებისმიერი სხვა, თუნდაც მერაბიშვილი, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს შეუძლია თქვას, არცერთ დანაშაულში უშუალო მონაწილეობა არ მიმიღიაო. მერაბიშვილს დღესდღეობით გააჩნია იმის პოლიტიკური პოტენციალი, რომ დისტანცირება მოახდინოს სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებებიდან და მეტნაკლებად თავისი სახელი ასე ვთქვათ, გაისუფთაოს. აქედან გამომდინარე, მერაბიშვილი რა თქმა უნდა, საფრთხეა სააკაშვილისთვის და მსგავსი საფრთხე შეიძლება გიგი უგულავაც იყოს.

ხელისუფლება თვითონ ჩოჩელის მოთაფვლას ხომ არ ცდილობს მინისტრის პოსტით, რომ ის ივანიშვილთან არ წავიდეს? მსგავსი ფაქტები უკვე ყოფილა, როცა ივანიშვილთან მისვლის მსურველებს ხელისუფლება მსუყე გასამრჯელოს დაპირებია ამ სურვილზე უარის თქმის სანაცვლოდ.

მე არ მგონია ჩოჩელს ვინმე სერიოზულ, ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად აღიქვამდეს. ეს არის ერთი გაუნათლებელი, მეტნაკლებად კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანი, რომელიც შავი სამუშაოების შესასრულებლად დაჭირდათ და იმიტომაც დაიყენა სააკაშვილის რეჟიმმა გვერდით. ხელისუფლებამ მას ბიზნესები შეაქმნევინა, დიდი ფული აშოვნინა და მათთვის ხელის მოთბობის საშუალებაა, ანუ ყულაბა. ჩოჩელი რომ ოპოზიციისთვის რაიმე სახით საინტერესო იყოს, ამას პრაქტიკულად გამოვრიცხავ.

**ანი გოგაშვილი**





## კახეთში ცხვარი იხოცება

საქართველოში ცხვრის სიკვდილიანობამ ბოლო ერთი თვის მანძილზე კატასტროფულად იმატა, ტენდენცია განსაკუთრებით კახეთში შეინიშნება, – წერს ინტერნეტგაზეთი „ქიზიყი“.



საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარის ბექა გონაშვილის თქმით, წვრილფეხა პირუტყვის დაცემის ასეთი მაღალი მაჩვენებელი მერვე წელია არ დაფიქსირებულა.

მეცხვარეთა ასოციაცია პირუტყვის სიკვდილიანობის მატების მიზეზად სხვადასხვა დაავადებებთან ერთად ცივი და ხანგრძლივი ზამთრის არსებობას ასახელებს და აღნიშნავს, რომ მეცხვარეთა დიდმა ნაწილმა გამოსაზამთრებლად საკმარისი საკვების მომარაგება ვერ შეძლო.

„მკაცრმა და გრძელმა ზამთარმა, ასევე ფერმერების მიერ საკვების არასაკმარისი რაოდენობით მომარაგებამ საქართველოში ცხვრის დაახლოებით 15-20% გაანადგურა. გასულ წელსაც იხოცებოდა, მაგრამ ამჟამად რომ იმატა, ასეთი მაჩვენებელი მრავალი წელია აღარ ყოფილა. უამინდობამ და საკვების სიმცირემ პირუტყვის დაცემა გამოიწვია. შეინიშნება ასევე ავადმყოფობა – ბრაძოტი, ანუ ენტეროტექსომია,“ – განუცხადა „ქიზიყს“ ბექა გონაშვილმა.

მისი თქმით, ზარალის ანაზღაურების, ან სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის დახმარების პერსპექტივა ამ ეტაპზე არ ჩანს.

## შიდსით ოთხი ადამიანი გარდაიცვალა



საქართველოში შიდსით ოთხი ადამიანი გარდაიცვალა, მათგან ორი ქალია.

ექიმები გარდაცვალების მიზეზად შიდსთან ერთად სიცოცხლესთან შეუთავსებელ სხვადასხვა დაავადებას ასახელებენ.

„ბოლო ხუთი დღის განმავლობაში გარდაიცვალა ოთხი ადამიანი. მარტში სულ გარდაცვლილია ცხრა ავადმყოფი. წლის დასაწყისიდან კი 30 ავადმყოფი. თუ გავითვალსიწინებთ, რომ შარშან მთელი წლის განმავლობაში სულ 116 ადამიანი გარდაიცვალა, წელს საბედნიეროდ, მატება არ არის“, – განაცხადა შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ.

წელს საქართველოში შიდსით 30 ადამიანი გარდაიცვალა, 100 კი დაინფიცირდა.

**„მედიანიუსი“**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

ჯემალ დავლიანიძის „მწარე გაკვეთილები“ სალაღობოდ დაწერილი წიგნი არ გახლავთ, მკითხველს, ვისაც ნაკლებად აინტერესებს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის მუხთალი დრო, ვის გულთანაც ახლოს არ მისულა ქვეყნის გასაჭირი და სამშობლოს მიმართ უზრუნველი ხასიათით დააჯილდოვა ბუნებამ, შეუძლია წყნარად იყოს, შეუძლია ყურადღებაც არ მიაქციოს ამ ერთიან გოდებას ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ, იმ წარსულისა, რომლის მონაწილენი და შემცნობელნი ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, ჯერ კიდევ არ მოგვრჩენია უსაზღვროდ ტკივილიანი ჭრილობები, ჯერ კიდევ ვერ დაგვიჯერებია თუ როგორ შეიძლება ადამიანი იყოს ასეთი მტერი თავისი სამშობლოსი და მოყვარული თავისი ინტერესებისა და საქმის. ჯემალ დავლიანიძის „მწარე გაკვეთილები“ ჩვენთვის დაწერილი წიგნია. სამწუხაროდ, მას არ წაიკითხავს არცერთი ადამიანი, ვისაც იგი ეხება. მათ უკვე იციან ვინაა ჯემალ დავლიანიძე, ეს ხომ პირველი წიგნი არ გახლავთ იმ არეული დროის შესახებ, რომლის ყველა უბედურება მის თავზეც მოიწია. მან როგორც მონაწილემ და დამკვირვებელმა თავისი სხეულითა და გონებით გადაიტანა ყველაფერი. დაინახა, ის რასაც თავად უცქერდა და ისიც რის დანახვასაც უკრძალავდნენ და უმალავდნენ მთელ საქართველოს. ჯემალ დავლიანიძე ამ წიგნით კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ჩვენი ახალი ისტორიის ავანსცენაზე გათამაშებული ტრაგედიის გმირებს, მისი კალამი დაუნდობელი სინამდვილით აღწერს ატმოსფეროს, რომელშიც დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს მოუხდა მოღვაწეობა, როგორც შინ ისე გარეთ. აღწერს ე.წ. დემოკრატიის შემმუსვრელ ბუნებას, რომლის ძალით ყოველთვის ახერხებენ ბორკილები დაადონ, როგორც პიროვნულ ასევე ეროვნულ თავისუფლებას.

ვფიქრობ, სრულიად ზედმეტია რაიმე ვთქვა ნაშრომის მხატვრულ ღირსებაზე, მისი ავტორი პროფესიონალი მწერალია და თემას, რომელსაც ისედაც არ აკლია სიმძაფრე, დიდი რეალისტური განზოგადებით ასხამს ხორცს. ეს წიგნი განწირული კაცის ყვირილია, რომლის ხმა უნდა ესმოდეს მთელ საქართველოს, ესმოდეს და ეგულისხმებოდეს, რათა ძველი შეცდომების გათვალისწინებით შეგეძლებოდეს უკეთესი მერმისის დამკვიდრება.

**ელდარ ნადირაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

### ამერიკული კუბო... ამერიკული სული?

კუბოების საამქროში ხმაურია. გულმოდგინედ საქმიანობენ. ხერხავენ, აშალაშინებენ, ლურსმავენ, ჰღებავენ და ამზადებენ. ხალხი ჩვეულებისამებრ, როგორც უწინ, როგორც საუკუნეთა მიღმა, ისევისე იხოცება. კუბო კაცობრიობის განუყრელი ატრიბუტია. კუბო ჩვენი, არცთუ საყვარელი, მაგრამ აუცილებელი ნივთია. ვიცით მისი გარეგნობა. ვიცით, შევეჩვიეთ მის ფორმას, ფერსაც... თუმც საუკუნე დასრულდა. ახალი ერა დადგაო, - იყვირეს და კუბოებიც თანდათან შეიცვალნენ... ძმაო, თქვენ როგორი კუბო გნებავთ? ტრადიციული? იქნებ იტალიური? იქნებ ექვსი სახელურით? ანდა თორმეტს ხომ არ ინებებთ? ააა! უკანაც მივარტყათ ხელის მოსაკიდი? ქრისტიანები ვართ და ჯვარიც გენდომებათ... ააა! უჯვაროდ?

საამქრო ანუ ცეხი ჩემთვის ნაცნობია, რადგანაც აქ ხშირად ვიმყოფები. მეგობრები მუშაობენ. ვიცი, სად რომელი და როგორი კუბოები ალაგია. შევდივარ წყნარად და აუჰ! რაღაც უცნაური რამ ძევს! გლუვი, როგორც რკინის ვეებერთელა მილის ნახევარი. უფრო სწორად — წყლის მსხვილი მილი რომ გასჭრა ჰორიზონტალურად და ცალკე დადო... მეგობარს ვეკითხები: ეს რაღაა, ძველი რკინიგზის მოსაცდელი სადგურები მომაგონდა, დიდი, შავი, მაღალი ღუმელები, ნახშირით რომ ათბობდნენ... რა უბედურებაა, ღუმელს ხისგან რატომ აკეთებთ? ჩემი მეგობარი იღიმება. სახეზე ოდნავი ნაღველი დასთამაშებს: კუბოა, კუბო, რას იზამ! რანაირი კუბოა, ჯვარი სადღა უნდა დააკრათ? ასეთი შეგვიკვეთეს — ამერიკული ყოფილა. მე კი მეგონა თქვენ თვითონ მოიგონეთ ამგვარი ფორმა... არა, ჩვენ არა... შეკვეთაა, იტალიური აღარ უნდათ... ოო! ბიჭოს! როგორ ჩამოვრჩენილვარ ამ ცხოვრებას — ევროპულ კუბოში ხომ ჩავწექით ქართველობა. კარგა ხანს ვიმარხებით რომაელთა შთამომავლების კუბოებით... ახლა ოკეანესგაღმელი „ჩვენი მეგობრების“ კუბო მოგვწონებია და...

ჩამესმის მიტინგზე გამოსული, აღშფოთებული პოლიტიკური ლიდერის ხმა: მეგობრებო, დრო იცვლება! მეგობრები იცვლებიან. ამიერიდან ქართველები უკვე ამერიკული კუბოებით დავიმარხებით! კი ბატონო, გეთანხმებით ჩემო მომიტინგეებო, მართლაც ძვირია; ხუთჯერ, იქნებ ათჯერაც ძვირია, მაგრამ ჭირისუფალს რაც სურს, როგორც სურს, ისე მოიქცევა... სხვათა შორის კატაფალკებიც გვყავს ჩამოყვანილი. ისიც ძვირია, მაგრამ.... რაო, რაო? ააა! რა მარკაა! აქაც, გვყავს „მერსედესი“, „ვოლვო“, „ოპელი“, „ფორდი“, მაგრამ არის სპეცავტომობილი ე.წ. „კადილაკი“, გაწყობილი იმგვარად, როგორც გარდაცვლილ ქართველს ეკადრება! აბა, დიახ! რა თქმა უნდა, ისიც ამერიკიდანაა. დიახთ! ძვირფასია, ძვირიცაა ორჯერ, სამჯერ მეტს გადაიხდი, სამაგიეროდ საპატიოა იმიტომ, რომ ამერიკიდანაა! ამერიკულია! სულ რაღაც 10 000 კილომეტრი აქვს გავლილ-გარბენილი, მოტორი, რაღა თქმა უნდა, ზეთს არ გეახლებათ, კაბინაში, შიგნით ახალთ-ახალი ავტომანქანის სალონის სურნელი ტრიალებს. დიახ! ისეთი სუნია, მკვდარსაც კი ესიამოვნება! შეიძინეთ მეგობრებო ამერიკული კუბოები და მოგვეცით „ზაკაზი“ ამერიკული კატაფალკისა! აბა, ყურადღება! ცოცხლად! ყოჩაღად მოიქეცით!

წამოვიმართოთ ქართველობა და გავარკვიოთ, ეს მეტიჩარა ამერიკული სული რა არის, როგორია და საიდან მოემართება... აქვე, ერთიც უნდა შევნიშნო — ამ ვირიშვილმა მარადიულმა რევოლუციონერებმა ისე დამაკომპლექსეს, რომ მიტინგები, მანიფესტაციები, გაფიცვები მელანდება. ბღავილში, ღრიალში, მოწოდებებში, მუქარაში, მუშტის ქნევაში იზრდებიან ჩვენი შვილებიც, შვილიშვილებიც... მაგალითი? კი ბატონო! აგერ, თქვენს წინ არა ვარ? რამდენიმე წლის წინ ჩავედი რუსეთში, ქალაქ ტამბოვში, ჩემს ვაჟიშვილებთან. მეოთხე სართულზე მიმიჩინეს ბინა. რამდენიმე დღე გავივაღვიძებ უფროს ვაჟიშვილს: შვილო, ადექი ჩქარა, აბა ჩავიცვათ, წავიდეთ, ხალხს არ ჩამოვრჩეთ... გაოცებული შემომცქერის: მამა, რა მოგივიდა, რა ხდება. მძინარე თვალებით გადახედა ეზოს და შეშინებული მეკითხება: მამა, კარგად ხარ? უჰ, შე მამაძაღლო, ჩემს ჯანმრთელობაში ეჭვი შეგეპარა? მაშ არ გსურს დიდ, გრანდიოზულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა? მარტოდ წავალ, მე თქვენი! შვილის გაკვირვებას სიმწუხარე შეეპარა. როგორც ჩანს მიმიხვდა, ხელი ჩაიქნია და წყნარად მითხრა: მამა, ადამიანები სამსახურში მიდიან, დაწყნარდი, აქ არაფერი მანიფესტაცია არ არის...



ესეც თქვენი ამერიკული კუბო გარდაცვლილი ქართველით ამოვსებულ-შევსებული! და, არა მხოლოდ ამერიკული კუბოა დღეს მოდაში! თბილისის შემოსასვლელში, ავტომაგისტრალზე, დავით აღმაშენებლის ხეივანში, ამაყად მეფეთება ვეებერთელა რეკლამა ფერად-ჭრელა ციმციმით: „შეიგრძენ ამერიკული სული!“ ამას მეუბნება ვიღაც! ნეტავ ვინ ჩამძახის? ნეტავ ვინ ჩაგვძახის საქართველოს დედაქალაქში დაბრუნებულ, შემოსულ მძღოლებს თუ მგზავრებს — შეიგრძენი ამერიკული სულიო? ბიჭოს! ეს, ვგონებ ბრძანებასაც წააგავს! მიყვირის! ვიღაც უხილავი ჩამძახის — შეიგრძენ, შეიგრძენ ამერიკული სული!

სდექ! აბა, ერთი წუთით აზრი მოვიკრიფოთ, ამერიკული კუბოდან და, აკლიმატიზაციის შემდგომ, აივანზე გამოვედი. დავიწყე სუნთქვითი ვარჯიში. სისხამი დილის ჰაერი მესიამოვნა. გავიდა მცირე ხანი და გარშემოჯარული საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოებიდან იწყო დენა ადამიანთა ნაკადმა. მოჰქრიან, მორბიან, მიეშურებიან, ეჩქარებათ. შევცბი. როგორ, მე რატომ არ ვიცი რა ხდება? სად არის მეგაფონი? ვატყობ გამომრჩა. გვიან გავიღვიძე. მიტინგის დრო გამოაცხადეს, მაგრამ მე ვერ მოვისმინე. ისე, ცოტა უცნაურია — ამ დილაადრიანად, რა საჭიროა? მიტინგი შუა დღით, საღამოთი სჯობს, მაგრამ მესვეურებმა, მეგაფონისტებმა, რევოლუციონერებმა უკეთესად იციან... მაშასადამე რაღაც უცაბედი ხდება. ახლავე ბიჭებო, ახლავე! შევრბივარ ოთახში, ვშეშდები. მივხვდი, ფეხები მომიდუნდა. ღმერთო, უკვე აღარც მახსოვს, რომ ადამიანებს ოდეს-ღაც სამსახური ჰქონდათ ჩემს ქვეყანაში, საქართველო-ში! მართლა მე იმისი დედა ვატირე, ვინც აქამდე მიმიყვანა და... განა მხოლოდ ჩემი თავი მედარდება?

წეღან რა გითხარით? სდექმეთქი? კი ბატონო, ვჩერდები, ოღონდ არ დაგავიწყდეთ ამერიკული სული, რომელიც ამ ბოლო წლებში მოედო ჩემს მიწა-წყალს... უნდა გავარკვიო, ვალდებული ვარ შევიმეცნო, რა არის ამერიკული სული! რაიმე განსხვავებული რამაა თუ იმ სულზეა ლაპარაკი, რომელიც ჩვენში, ადამიანებშია და, რომელიც ღმერთისგან მოდის! მით უმეტეს, ეს ამერიკული სული, ის ამერიკული კუბო, მხოლოდ ჩვენი, ქართველების პრობლემა არ გახლავთ. იგი მრავალი სხვა ქვეყნის მაცხოვრებელთა პრობლემაცაა. რატომ? ააა! თქვენ მეკითხებით, რატომაო? იმიტომაო, რომაო, ამერიკას გააჩნია გეოპოლიტიკური ინტერესები! რა ტერმინია? ეს, ჩემო ძმებო, საქვეყნოდ ცნობილმა ე.წ. „ამერიკულმა ხმამ“ და ე.წ. „თავისუფლებამ“ ჩამჩურჩულა. ვინ არიან? ჩვენი ძველი ნაცნობებია! რადიოსადგურებია ძველის-ძველი. ბალღობიდანვე მახსოვს. განა მხოლოდ ეს მახსოვს? სხვაცა და ბევრიცა. მამაჩემი, ბიძაჩემები მახსენდება, რადიომიმღებებთან მიკუნტული და ყურმიდებული... სიტყვათა ნაწყვეტები: „დემოკრატია“, „ცივი ომი“, „ერთა თავისუფლება“, „რკინის ფარდა“, „პოლიტპატიმრები“, „ადამიანის უფლებათა დაცვა“...

სდექ!! დიახ! ვდგები ერთ ადგილზე. თან ვაზროვნებ, თანაც ვარკვევ: მაინც, რა არის ამერიკული სული? ვინ ჩამყვირის, რომ იგი შევიგრძნო? რაო, ჩემი სული უკვე ამომაცალეს? უკვე ამომართვეს? ააა! ცოტას უკვე მივხვდი — ჩამყვირის ხელისუფლება! ჩემი ქვეყნის ხელისუფლება მომიწოდებს... ჰი, ჰი, ჰი! მეღიმება... რა თქმა უნდა, ირონიულად მეღიმება. ყველაფერი გამიგია, მაგრამ სულის აგიტაცია-პროპაგანდაში გახვევა? რადგან ხელისუფლება ვერ და არ ამიხსნის, რა არის ამერიკული სული, მაშინ იძულებული ვარ, ტვინი გავანძრიო და თვითონვე ამოვხსნა...

პირველ რიგში, ვფიქრობ — ეს უშველებელი პლაკატ-მოწოდება სიგარეტის რეკლამა ხომ არ არის? ნუთუ სიგარეტის კვამლის მეოხებით უნდა შევიყვანო ჩემს ორგანიზმში ამერიკული სული? ვითომ ამგვარად, ასე ეშმაკურად არიგებენ ამერიკელები სულებს? საინტერესოა, თითოეულ ღერ სიგარეტში, რანაირად ათავსებენ და რეზერვუარი, ანდა საწყობი სულებისთვის სად, რომელ შტატში აქვთ? არა, არა! გამორიცხულია! არ მგონია სიგარეტის რეკლამა იყოს... აქ სულ სხვაა... უფრო კი უმეცრებასთან გვაქვს საქმე. ჩემი მიწა-წყლის კაცი, ვიღაც პროპაგანდისტი ცდილობს რაღაც ბნელი დავალება შეასრულოს და ტვინში ჩამიჭედოს, რომ გარდა სხვა სულებისა, ამერიკული სულიც არსებობს, რომელიც ყველაზე უკეთე-

24 gv.

23 gv.

სია. ესე იგი, უნდა მოვიშორო ჩემი ინდივიდუალური სული, უნდა მოვიშორო ჩემი სამშობლოს სულიერება და მივიღო ამერიკული. აუჰ! უკვე ახლოს მივედი ჭეშმარიტებასთან! ვიღაც მამაძაღლი, ფულით გასიებული, სპეციალურად დაპროგრამებული, მოგზავნილი არსებითი სახელი ასრულებს დავალებას და ზომბირებას მიწევს! ტვინში მიშხაპუნებს ამერიკულ სულს... ახლა, ამ ვინ გინდა რას, ანუ ვიგინდარას, უნდა ავუხსნა, რა არის სულიერება და განვუმარტო სულის რაობა, რომ სხვა დროს დედის მისისა აღარ მიირთვას!

ვიგინდარა იქით იყოს, რა თქმა უნდა, მის გასაგონადაც ვამბობ, მაგრამ ჩემი სათქმელი უფრო ბევრმა უნდა მოისმინოს, გაიგოს, გაითავისოს! მაინც, ვინა? ვინა და, იმ ქვეყნებმა, იმ სახელმწიფოებმა, იმ ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, იმ ეროვნებებმა, რომლებამდეც ჯერ არ მისულა ამერიკული სული, ვისთანაც არ მისულა ე.წ. გლობალიზაცია, დასავლური, ყბადაღებული დემოკრატია... ჯერ-ჯერობით მხოლოდ რადიოზე და ტელევიზიაზე მიშტერებულმა, შორიდან სიტყვით მო-თაფლულმა კაცმა გაიმახვილოს ყურადღება, ჯერ კარგად დააკვირდეს თავის ყოფას, აწონ-დაწონოს, თორემ... როცა ქართველებივით „დასავლურ ფასეულობებისთვის“ ბრძოლას დაიწყებ, როცა ყველაფერს, რაც აქამდე გაგაჩნდა, გადახაზავ, როცა წაშლი, როცა შენს სახლს დაანგრევ, რომ ახალი ააშენო სხვების ჩაძახებით, როცა ძველ მეზობლებს მოიძულებ, როცა ვალებში გაიბლანდები, როცა გადაგვარებას დაგიწყებენ... მაშინ გვიან იქნება შეძახილი: „ვაიმე“.

უფრო მეტს გეტყვით – ჩემი ქვეყანა, საქართველო ბრწყინვალე მაგალითია იმ მსოფლიო ჭლექისა, იმ უბედურებისა, რაც სხვებსაც ელოდებათ! თუმც, უნდა შევჩერდე. ამერიკული სულის შესახებ ვსაუბრობდით. დავასრულოთ და მერე სალაპარაკო უამრავი გამაჩნია. კლდეზე გადასაჩეხად გამზადებულებს უნდა შევძახო, რომ გადავარჩინო. იქნებ ყურად იღონ და არ ჩაეშვან იმ უფსკრულში, რომელშიც ახლა მე ვიმყოფები!

ვიგინდარებს და მათ უხილავ უფროსებს ანუ ურწმუნო დემონთა შვილებს უნდა განვუმარტო, რომ: „ადამიანის სული ღმერთს ეკუთვნის. მან ის

თავისთვის შექმნა. ადამიანის სული – ეს ღვთაებრივი სიყვარულის ობიექტია, მთელს სამყაროში ერთადერთი ძვირფასეულობაა, რომლის თავისად ქონა სურს უფალს“ (არქიმანდრიტი რაფაელი... კარელინი).

„... სული აკავშირებს ადამიანს შემოქმედთან და მის ირგვლივ არსებულ ზეციურ, სულიერ სამყაროსთან. ესაა მცირე ალი, მსგავსი მარადიული ღვთიური ალისა... ამ ალით ის ზეცასა და მარადისობას უკავშირდება“ (წმ. მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი... ველიმიროვიჩი).

„არ არსებობს ქვეყანაზე ადამიანის სულზე უფრო ძვირფასი საგანძური. ზუსტად ამ განძმა უნდა გვიხსნას დაღუპვისაგან და სიკვდილისაგან. ყველაფერი დანარჩენი, რასაც ადამიანი აფასებს და უფრთხილდება, უცილობლად კვდება და იღუპება. ადამიანის სული უფლის თვალში მთელს მატერიალურ სამყაროზე ძვირფასია...

არ შეიძლება არსებობდეს საზრუნავი ადამიანისა უფრო ღირსეული, ვიდრე – ზრუნვა სულის გადასარჩენად“ (წმ. მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი... ველიმიროვიჩი).

„თუ სულზე არ ვზრუნავთ, სხეულსაც ვანგრევთ... ვინც ზრუნავს სულზე, ის, სულსაც იცავს და სხეულსაც“ (წმიდა იოანე ოქროპირი).

„სხეულს სული ანიჭებს სიცოცხლეს, სულს კი – ღმერთი. მაშასადამე, ჭეშმარიტი ცხოვრებით მხოლოდ ის სული ცხოვრობს, რომელშიც სულიერად მკვიდრობს შემოქმედი ღმერთის მადლის მიერ“ (ნეტარი ავგუსტინი).

ეს გახლავთ ქრისტიანული ეკლესიის მამათა გამონათქვამები, რომელიც მოცემულია „ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლურ ენციკლოპედია“-ში.

ახლა ვაჩვენოთ ამერიკული სულის პატრონებს, მესვეურებს და გულშემატკივრებს, რას გვასწავლის სულის შესახებ აღმოსავლური სიბრძნე:

„როგორც მზის შუქი არსებობას უნარჩუნებს სამყაროს, ასევე სულის სინათლე არსებობას უნარჩუნებს მატერიალურ სხეულს.



როგორც კი სული მატერიალური სხეულიდან გამოდის, სხეული რღვევას იწყებს. მხოლოდ სული უნარჩუნებს მას არსებობას“.

„სულისთვის არასოდეს არსებობს დაბადება ან სიკვდილი. იგი არც გაჩენილა, არც ჩნდება და არც გაჩნდება. იგი არის არშობილი, მარადიული, მუდამ არსებული და თავდაპირველი. იგი არ კვდება სხეულის სიკვდილთან ერთად“.

„სხეული ვითარდება სულის თანდასწრების გამო“.

„არსებობს ორი სახის სული – უმცირესი ნაწილაკობრივი სული და ზესული... ინდივიდუალური ატომარული სულის სხვა სხეულში გადასვლა ზესულის წყალობით ხდება...“

„სულის ზომები იმდენად მცირეა ჩვენი მატერიალური ანგარიშისათვის, რომ მისი დანახვა ყველაზე მძლავრი მიკროსკოპითაც კი შეუძლებელია. ამიტომ იგი უხილავია. მტერს არ ძალუძს მისი დანახვაც კი, მოკვლაზე რომ არაფერი ვთქვათ“.

„სული იმყოფება გულში და მისი გავლენა ხორცშესხმულ ცოცხალ არსებათა მთელ სხეულზე ვრცელდება“.

„სული ზომით თმის წვერის ერთი მეათიათასედია. თუ თმის წვერს დავყოფთ ას ნაწილად და თითოეულ ასეთ ნაწილს კვლავ ას ნაწილად დავანაწევრებთ, ყოველ ნაწილს სულის ზომა ექნება“.

ყოველივე ეს ცოდნა სულის შესახებ მოცემულია ძველ ინდურ სწავლებაში, კერძოდ „ბჰაგავად-გიტა“-ში.

და, ვინც ამერიკულ სულზე ჩამყვირის ყურში, რა დონის ადამიანი იქნება? ვითომ სწამს ღმერთი იმ ჩიტირეკიას? ანდა, იქნებ ბრმად ემსახურება ბნელეთის მოციქულებს? მისთვის მთავარი ხომ ძღომაა! იგი ხომ აქციეს ვეებერთელა კუჭად და ნაწლავებად... იგი ხომ ცხოვრობს მხოლოდ იმიტომ, რომ კოღოსავით გამრავლდეს, ჭამოს, სვას და გონებაგამშრალი წავიდეს იმ ქვეყნად.

არადა, ნაღდად ვგრძნობ, რომ საშინლად მომატყუეს. სხვებმა მომატყუეს.... თუმც ისინი თავადაც მწარედ შეცდნენ... მაინც რა შეცდომაზეა ლაპარაკი? ვგონებ, შეცდომა არა და... უფრო იმას ვდარდობ, უარეს დღეში რომ ჩავვარდი.

უჰ და ვაჰ!

ახლა, ამდენს რომ ვლაპარაკობ, მკითხველს ხომ უნდა ვუთხრა: ვინ ვარ, სადაური ვარ, როგორ ვიცხოვრე! რატომ ვარ განაწყენებული. მაინც, რომელმა ხელისუფლებამ მატკინა გული... ვითომ არ გახლავთ საინტერესო? მართლაც, ახლა, ევროპელი თუ ამერიკელი რომ ნახავს ამ წიგნის სათაურს: „ევროპულამერიკული მწარე გაკვეთილები საქართველო“-შიო, განა არ იკითხავს: რა დაემართა ამ კაცს, რა დავუშავეთო?

დასტური მითქვამს – იკითხავენ! უნდა დაინტერესდნენ აუცილებლად, რადგან ჩემს თავს, როგორც მრავალი სხვა აქაური, არ მივიჩნევ არც ევროპელად და არც აზიელად!

ისევ: უჰ და ვაჰ!

დარწმუნებული ვარ, ახლა უკვე არა მხოლოდ ევროპელ-ამერიკელები დაინტერესდნენ ჩემით, არამედ საქართველოში მცხოვრებნიც, ისინიც, ვისაც თავი ქართველად მოაქვს. რაო, რაო! როგორ თუ არა ხარ ევროპელიო, - დამძახეს. – ამის გამო, უფრო სწორად, იმის გამო, რომ კავკასიელობა არ გვეღიარებინა ქართველებს (და არა მხოლოდ ქართველებს!) ამხელა ფული, ამდენი ტყვია, ამდენი ენერგია დაიხარჯა და... როგორ ბატონო? თვითონვე, თავისით დაიხარჯა უამრავი ფული? და, მხოლოდ ფული იყო? სისხლის ნიაღვრები კი არ იყო? კავკასიელთა გაერთიანების გაგონებაზე ხომ თმა ღორის ჯაგარივით ყალყზე უდგებათ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუნდაც „კმარას“, რომელიც ამ წამს უკვე მიყვირის: კმარა, თორემ გადაგცემთ სათანადო ორგანოებს და ნარკოტიკის მომხმარებლად გაქცევთო! მემუქრებიან: უარესსაც გიზამთო! რა არის უარესი? უარესი ყოფილა ცივი ან ცხელი იარაღის უნებართვოდ ტარება-შენახვა!

## სინანული და... მოჭრილი თავი

მართლაც რაოდენი სინანული მომიზღვავდა. ყველაფერი იმის ბრალია, რომ უკეთესისათვის ვიბრძოდი მთელი ცხოვრება, უარესი კი დამემართა! ჩემზეა ვითომ ლაპარაკი? არა და არა! ვლაპარაკობ ჩემს ქვეყანაზე, საქართველოზე. გამოგიტყდებით, ჩუმად თუ ცხადლივ, მაგრად ვიბრძოლე. ჩემი კალამი გახლდათ იარაღი და ადრე – საბჭოთა კავშირის დროს საბჭოთა იმპერიას ვეომებოდი. ძირითადად ქვეტექსტებით, მინიშნებებით! მხოლოდ ერთი კაცი კი არ ვიყავი. ბევრი არა, მაგრამ, მცირეოდენი ჩემი მეგობრები, კოლეგები, როგორც შეგვეძლო ვიბრძოდით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ! მერე და მერე კი თანამებრძოლების რიცხვი თანდათან შეთხელდა და ოთხმოცდაათიან წლებში მთლად ავბორგდით... დამოუკიდებლობა, თავისუფლება, მიტინგები, გაფიცვები... შუაგულ-ში ვტრიალებდი... ზვიად გამსახურდიას ვუდექი მხარში... მერეც, ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგაც, დიდი წინააღმდეგობა გავწიე და... მხოლოდ 2003 წლის შემდეგ ასი პროცენტით ამეხილა თვალი, რადგან ჭეშმარიტი მტერი შევიცანი. მივხვდი, როგორც იქნა. თუმც, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ხელისუფლების დამხობის შემდეგვე შემეპარა ეჭვის ჭია: მხოლოდ საბჭოთა კავშირია უბედურება ჩვენთვის თუ?..

აქვე, ახლავე უნდა ვუთხრა მკითხველს, რომ იმპერიული სახელმწიფოების შესახებ საუბრისას, არასოდეს არსად არ ვგულისხმობ ამა თუ იმ ქვეყნის ხალხს. პირდაპირ, ღიად ვაცხადებ: ჩემთვის არ არსებობს საძულველი ხალხი. ყველა ქვეყნის ხალხის წინაშე ვიხრი ქედს, ძალიან მიყვარან, განვიცდი მათთან ერთად ყოველივე გასაჭირს თუ უბედურებას. უნდა გამიგოს ყველამ, რომ ხალხებს შორის ყოველი გაუგებრობა, ქვეყნების აგრესორებად ქცევა, ომები და სისხლისღვრა გახლავთ პოლიტიკოსებად წოდებული ადამიანების ბრალი!

კინაღამ მთელი თაობა აღვზარდეთ ამერიკა-ევროპის ძახილში! ამ ბარიკადებზე მეც ვიდექი. მეც ვუსმენდი თავის დროზე „ამერიკის ხმას“, „რადიო თავისუფლებას“, ვავრცელებდით წერილებს საბჭოთა იმპერიის საწინააღმდეგოდ. ვებრძოდით კრემლს! ვაქებდით თითქმის ყველაფერ საზღვარგარეთულს?

ვითომ მხარი გვექცა? გზა ხომ არ გავიმრუდე? იქნებ გზა ამებნა და უფრო მეტი ჩემი ქვეყნის ყოველმხრივ თავისუფლებაზე უნდა მეზრუნა?

ოჰ, ეს სინანული! სამოცს გადავაბიჯე უკვე... ბევრ რამეში დღეს ამეხილა თვალი, ბევრი რამ უკვე ოცი წლის წინ ვიგრძენი... კიდევ არ მჯეროდა, მაგრამ ასეა თუ ისე, საბჭოთა იმპერიის საქციელი (და არა ხალხისა!) მაიძულებდა სხვაგან მეძებნა საყრდენი. ეს „სხვაგან“ კი წითელფოჩიან კამფეტებს მპირდებოდა... დემოკრატია... თავისუფლება... ადამიანის უფლებები... სადღეისოდ, მე კი საბოლოოდ გავიგე ყოველივე, მაგრამ ეს უბედურება სხვებსაც ელოდებათ! მრავალი ეროვნებაა ამჟამად ჩემსავით გზააბნეული და იქ, სადაც ცხოვრობს, გაუსაძლისობა ეჩვენება, სხვაგან კი სამოთხე. თუმცა, რაღა შორს მივდივარ, აქვე, ჩემს გვერდით, ჩემი ჯიში და ჯილაგი ძველებურად უბერავს და მიჰქრის ალტაცებით სიცარიელისაკენ, ქართა ველებისაკენ, რომელთა ბოლოში ხაფანგია დაგებული... რა ხაფანგია? ამის შესახებ კი უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

ერთადერთი, რაც ამ ისტორიის დაწყებამდე უნდა ვაღიარო – ჩემი საქმიანობით, ჩემი ბრძოლით, რომელიც თითქმის ბავშვობიდან მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სხვისი საქმე მიკეთებია! კერძოდ – ევროპულ-ამერიკული საქმე ყოფილა ის, რაც საქართველოს თავისუფლებისა თუ დამოუკიდებლობისათვის გამიკეთებია. ყოველ შემთხვევაში, – შედეგი დღევანდელი საქართველოა, რომელიც სიდუხჭირე სიღატაკეშია ჩაძირული და მხოლოდ ტერიტორიები კი არ დაგვიკარგავს, არამედ ტერიტორიების კარგვის პროცესში ვართ გახირული. ზუსტად ისე მომივიდა – მოჭრილი თავი რომ მოგორავდა და მღეროდა – უარესს ველოდებიო. მგზავრი შემოხვდა მოჭრილ თავს და ჰკითხა: შე უბედურო, რა გამღერებს, რაღა უარესს ელოდები, მოჭრილი ხარო. თავმა კი იგორა, იგორა, გახურებულ საკირეში ჩავარდა და მთლად დაიწვა...

მეც ასე მომივიდა. ვლანძღე კომუნიზმი, ვაგინე საბჭოთა იმპერიას და ბოლოს დავინახე, რომ დაუნდობლად გამომიყენეს: რაღაც შავი საქმე მაკეთებინეს. საქართველოს თავისუფლება გვინდოდა, საამისოდ თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება შევწირეთ და... ბიჭოს! სინამდვილეში ამერიკა-ევროპის მიერ დანიშნულ შევარდნაძესააკაშვილისთვის გვიომია! მცირე ხნით გვაცალეს. ვითომ კიდეც გაგვამარჯვებინეს. ხელისუფლებაშიც მოვედით ეროვნული ძალები და... როგორც კი შეგვატყვეს, - ესენი აღარ ხუმრობენო, ერთობლივად დაგვცხეს... დასავლეთი გაისუსა... საბჭოთა იმპერიას სრული უფლება მისცა დაემხო ეროვნული ხელისუფლება. გარეგნულად საბჭოეთმა დაგვამხო, სინამდვილეში, ბოლოს და ბოლოს, მოგებული ამერიკა-ევროპა გამოვიდა!

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# marixuanis legalizebiT, xelisufleba saarCevnod axalgazrdebis xmebis mozidvas cdilobs

*გასული წლის ოქტომბერში „ბი-ბი-სიმ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მაასტრიხტში (ნიდერლანდები) ტურისტებისთვის მარიხუანის მიყიდვა აკრძალეს და შესაძლოა, მთელ ნიდერლანდებზე გავრცელდეს, რასაც მხარს უჭერს ევროკავშირი; რამდენიმე თვის წინ, კალიფორნიის შტატის მოსახლეობამ უარყოფითი დასკვნა მისცა მარიხუანას ლეგალიზაციას, საქართველოში კი, ახლა დაიწყო იმაზე მსჯელობა, უნდა მოხდეს თუ არა, მარიხუანას დეკრიმინალიზაცია. იმ ფონზე, როდესაც მსოფლიო სხვა ნარკოტიკებთან ერთად განიხილავს და ებრძვის მარიხუანას, როგორც აღმოჩნდა, საქართველოში, საზოგადოების ერთი ნაწილისთვის იგი „მსუბუქი“ ნარკოტიკია, მეორე ნაწილისთვის „ბუნებრივი ანტიდეპრესანტი“, მესამესთვის — საერთოდ გაუგებარია, ვისი რა საქმეა რას მოწევს ესა თუ ის ადამიანი და აშ.*

სიტყვა „მარიხუანა“ ნიშნავს „მომწამვლელს“, რაც პირდაპირ მიუთითებს მის რაობაზე.

დიდი დოზებით სისტემატური მიღება იწვევს ქრონიკულ ფსიქოზს. „ტჰკ“ გროვდება ცხიმოვან უჯრედებსა და ორგანოებში: ტვინში, ელენთაში, ღვიძლში, თირკმელებში, საკვერცხეებსა და სათესლე ჯირკვლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მოხმარების შეწყვეტის შემდეგაც ხანრძლივი დროით გრძელდება მისი მოქმედება ორგანიზმზე. მარიხუანას შედეგებია: იმუნიტეტის დაქვეითება, სიმაღლეში ზრდის შეჩერება, მამაკაცის სასქესო ჰორმონების შემცველობის შემცირება, სექსუალური პოტენციის დაქვეითება, ფილტვის ქსოვილის დაზიანება, ახალი ინფორმაციის ათვისების უნარის დაქვეითება-დაკარგვა, პიროვნული თვისებების შეცვლა, გარემოს აღქმის გაუკუღმართება, მეხსიერების დაქვეითება, თავის ტვინის შეუქცევადი დაზიანება (ჭკუასუსტობა).

გასული წლის გაზაფხულზე, გაეროს ეგიდით მოქმედმა კომისიამ, რომელიც ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ მუშაობდა და მასში შედიოდნენ კოფი ანანი, მექსიკის, ბრაზილიისა და კოლუმბიის ლიდერები, ოცამდე ადამიანი, სწორედ ის ჰქონდათ გადასაწყვეტი, რა ზომებისთვის მიემართათ. მათ ამგვარი ვერსია გამოთქვეს, იქნებ, ზოგ სახელმწიფოში ვცადოთ მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია, ვცადოთ ექსპერიმენტიო. „ნარკოტიკების წინააღმდეგ ომის მოგება, თითქმის შეუძლებელია. (1998 წლიდან 2008 წლამდე კოკაინის ბრუნვა 27%-ით გაიზარდა, მარიხუანასი 8,5%-ით) სწორედ ამიტომ, კომისია ნარკოტიკული საშუალებების დეკრიმინალიზაციის რეკომენდაციით გამოდის“, — აღნიშნულია ანგარიშში. ამაზე შესანიშნავი პასუხი გასცა აშშ-ის შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, კარლიკოვსკიმ, — თქვენს მიერ წარმოდგენილი მასალა მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ ამბობთ, მოდით, ჯერ დავუშვათ დაავადება, ნუ შევუშლით ხელს ამ დაავადების გავრცელებას და მერე ვიფიქროთ მის მკურნალობაზეო...

ცნობილია, რომ აშშ-მა და მექსიკამ უკვე განაცხადეს კატეგორიული უარი კომისიის რეკომენდაციების შესრულებაზე.

საქართველოს ხელისუფლებამ ანტინარკოტიკული კამპანია დაიწყო, (მთავარი პროკურორის მოადგილის დავით საყვარელიძის სიტყვებით, „ნარკომანიის დამარცხება უნდათ“ და დააფინანსებენ სარეაბილიტაციო ცენტრებს) რომლის ფარგლებშიც, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა პროექტის განხორციელება იგეგმება, ამავდროულად კი, „მარიხუანის“ ლეგალიზაციაზე იწყებ აზრის გამოკითხვა. რას ნიშნავს ეს? შემთხვევით, ხომ არ წააგავს კარლიკოვსკის გამოთქმული შესაძლო გარემოების ქართულ ვარიანტს?



**ბუნებრივია, იბადება კითხვა, აბა, რატომ გახდა „მარიხუანას“ ლეგალიზება-აკრძალვის თემა ასე აქტუალური იმ პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, რომელიც საქართველოშია, მითუფრო, რომ ხელისუფლებისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს საზოგადოების აზრს?**

მარიხუანას ლეგალიზების მომხრეთა არგუმენტი ამგვარია, მარიხუანას ისედაც ეწევიან და მოწევენ, რადგან საქართველოს ბევრ რეგიონში თავისით მოდის, პოლიცია კი, ამით ფულს აკეთებსო; თუ დანაშაულს არ ჩავიდენ, რას მოვწევ და ჩემს ორგანიზმს რას ვავნებ, ვისი რა საქმეაო და ა.შ

ამ თემაზე კომენტარი საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს ვთხოვე, მათ შორის ასაკოვან, ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობილ პირს, რომელიც წლებია ევროპაში იმყოფება.

**გ. მ:** — „მოდით, პირდაპირ დავარქვათ თავისი სახელი ყველაფერს. საქართველო არ არის ის ქვეყანა, სადაც მარიხუანას ლეგალიზება შეიძლება. რაც „პადპოლნადაა“, ყველაფრის ლეგალიზება შეიძლება, გარდა ამისა. რატომ — ტრადიციების ქვეყანაა და თუ ქართველობაზე ხელისაღება არ გინდა, ვერ გადაახტები. ისედაც ხომ ყველა ყველაფერს აკეთებს და ყველასთვის „იასნია“, მაგრამ კანონით დაშვება, სხვა რამეა.

**აბა, მე გკითხავთ, პრისტიტუცია რომ ლეგალიზებული გახდეს, ანუ კანონმა დაარეგულიროს თუ დაიცვას, რაც გინდათ ის მოიაზრეთ, იმაზე მეტი „პრასტიტუტკა“ გაჩნდება თუ არა იმ საროსკიპოებში, რაც ისედაც გამოფენილია? — არა.**

ახლა მარიხუანაზე ვთქვათ, თვით სიტყვა „მომხმარებელში“ გასაცალკევებელია რამდენიმე კატეგორია, რადგან, გარეშე თვალისთვის, მასში გადის ისიც, ვინც „პა პრაზდნიკამ“ მოწევს, ვინც „ქეშია“, ვინც პროსტო „რადი კაიფა“ ეწევა ხოლმე, ვინც ცნობისმოყვარეობისთვის ან „სამარიაჟოდ“ და ა.შ აი, ამ „ცნობისმოყვარეობისგან“ და „მარიაჟობიდან“ უნდა დაიწყოს „ბაზარი“ — ყველა „ქეში“ და „წამალზე შემჯდარი“ აქედან ჩნდება, აბა, მამამ კი არ გააკეთა!

კი, პიროვნება თავისუფალი უნდა იყოს თავის არჩევანში, მაგრამ ეგრე არაა, რომ შენ რაშიც გინდა, ყველაფერში თავისუფალი იყო. „მასე თუ მიდგა საქმე და ნარკომანობა ავადმყოფობადაც გამოაცხადე, მაშინ რა გინდა ტო, იმ ჩიკოტილოებისგან, ისიც ავათაა რა, ევასება ხალხის დახოცვა. აბა, მონადირეს ჰკითხე, რა კაიფია ნადირობა, ეგრეა ისიც, ოღონდ ორფეხა „ნადირზე“ ისწორებს, რა!...



მარიხუანა კი არა, არცერთი სახის ნარკოტიკული საშუალების ლეგალიზება არ შეიძლება, თუ არ გაქვს მომზადებული ბაზა, რომელიც ჯერ ტვინში უნდა ედოს ყველა ადამიანს და მერე სახელმწიფოებრივად უნდა იყოს გამართული.



მოწევით რა, მომიწევია და მოვწევ. აკრძალული იყო, მაგრამ პირველად რომ მოვწიე 13 წლის ვიყავი. „კალიკები“ რომ ჩავყლაპე, მაშინაც მაგხელა ვიყავი; „წამალი რომ „გავიჩხირე“ 15 წლის ვიყავი, მახსოვს, თემურა მღებრიშვილმა გვარბენინა ბიჭები გაჩხერილში, მერე, ხან დათო კაჭარავა დაგვდევდა, ხან სუხიტაშვილი...

ავადმყოფი? — დაავადმყოფებული კიდევ ჰო, შეიძლება დავარქვა, ისიც, „ხათრით“. მაიცა რა, ჩონჩხად ქცეული სამჯერ ისეთი „ლომკიდან“ ვარ ამომხტარი „სუხოიზე“... მაიცა, კაი მაგარი „ჩხერო მასტი“, თქვებურად „ავადმყოფი“ რომ, ჯვარი წერია და უცბად გასროკონ, კამერაში რას იზამს? მოკვდება? — ტუდა ემუ დაროგა — ეგეც პიროვნების თავისუფლება, მისი არჩევანია, ძალით ხომ არავინ გაუჩხირა, შეეშვი რა!

მარიხუანას „ლომკა“ როგორ არა აქვს, მაგრამ ისეთი გამოხატული არა, როგორც „წამალს“. განსხვავება დიდია და სხვა მხრივ მურტალი, მარიხუანას შემთხვევაში „ლომკა“ ტვინიდან მოდის და არა სხეულიდან. ტვინს ეჩვენება რომ „საკვები“ მოაკლდა, თავის „რამაზე“ ვერაა, არადა, რეალურად სხვა რამე ხდება, ტვინი ხმება, მართლა სჭირდება საკვები, მაგრამ არა ის, რამაც გაახმო. „წამალი“ შინაგან ორგანოებს შლის, ტკივილი მოაქვს და ტვინი რომ ფიქრობს სადამდე შევტოპეო, ყველა ძვალი, სახსარი თუ სისხლძარღვი „ეუბნება“, რას ამბობ შე ჩემა, არ დამღუპოო და ისიც აგრძელებს „ვინუჟდენში“ — აი, თქვენი ავადმყოფი!

**ნარკოლოგიური სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ექიმი:** — „კანონმდებლობაზე ვერაფერს გეტყვით, მე ვარ ექიმი-ნარკოლოგი და გეტყვით ჩემს აზრს, რომ ყველა სახის წამალდამოკიდებულება, ნარკომანია, არის ბიო-ფსიქო-სოციალური დაავადება. ეს არის მრავალკომპონენტიანი დაავადება და ამიტომ არის გამუდმებული დავა იმის შესახებ, უნდა დაისაჯოს თუ არა ნარკომანი, არის თუ არა დამნაშავე, თუ არის, რატომ არის და ა.შ სხვა დაავადებებისგან განსხვავებით, ნარკომანია, ბიოლოგიური ფაქტორებზე მეტად, დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებთან. მოდით, ვიკითხოთ, როგორ ხდება ადამიანი-ნარკომანის დაბადება, ის ხომ ასეთად არ გაუჩენია დედას. მე არ გადავალ იმ საწყისებში, როგორ გასინჯა მოზარდმა, მაგალითად, პირველად, ე.წ „პლანი“, მეორედ, მესედ და ა. შ რა ამოძრავებდა, რითი იყო გამოწვეული „გასინჯვის“ ფაქტორი და ა. შ ვთქვათ ის, რომ ნარკოტიკის შეძენას ფული უნდა და როდესაც „ეს ფული“ აღარ არის, ოჯახშიც აღარაფერია ხელსგასაყოლებელი, დანაშაულის ჩადენის სუნი დგება... ვინ დაარქვა მარიხუანას მსუბუქი ნარკოტიკი, ხომ ვერ მეტყვით? გარდა ამისა, მარიხუანას გაჩუქებთ ვინმე? — ერთ ღრმა ნაფაზსაც არავინ დაგარტყმევინებთ, თუ „პატივსაცემი“ ახლობელი არ ხართ, ან „წილის“ ფული არ გაქვთ გადახდილი...

ცალსახად ვაცხადებ, რომ ყოვლად დაუშვებელია მარიხუანას ლეგალიზაცია, მაგრამ კანონის სიმკაცრე ან მხოლოდ სამედიცინო დახმარების სრულყოფა ან გაფართოვება კი არაა საჭირო, (სარეაბილიტაციო ცენტრების გახსნას ვგულისხმობ) არამედ სახელმწიფოს მხრიდან სოციალური გარემოს შექმნა. ვუმკურნალებ, გამოვიყვან პაციენტს მდგომარეობიდან და ვუშვებ ისევ იმ გარემოში, საიდანაც ჩემთან მოხვდა, რა გამოვიდა? შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ ძალიან ბევრი შემთხვევა სწორედ სოციალურ გარემოზე მოდის, სხვა გარემოში, დიდი ალბათობაა, რომ ის ადამიანები არ გამხდარიყვნენ ნარკოდამოკიდებულები. მქონია შემთხვევაც, როცა პაციენტის დედამ მითხრა, კიდევ კარგი, ჩემი შვილი დაიჭირეს, თორემ მომიკვდებოდაო... თუმცა, შემდგომი ისტორიაც ვიცი, როდესაც ციხიდან გამოვიდა, ორი-სამი წლის შემდეგ ისევ დაიწყო...

ფაქტია, რაც არის, შედეგის მომტანი კი არა, უარესია, ჰუმანურობის მხრივ კი, ლეგალიზებას სჯობს, სავალდებულო მკურნალობა იყოს კანონით სავალდებულო და არა ცალკეული ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი საშუალებების შეფარული პიარი.

**მერაბ შათირიშვილი:** — „რამდენიმე პიროვნებას, ასე ვთქვათ, ამ დროით და ამ პოლიტიკური ფონით კმაყოფილს რომ მოწონს მარიხუანა და ამით ერთობა, არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში უნდა მოხდეს მაგ „მწვანე ბალახის“ ლეგალიზაცია. ფსიქიატრებმა ზედმიწევნით იციან, მარიხუანას მოწევისგან რამდენი ფსიქიურად დაავადებული ადამიანია საქართველოში, — ეს იმ შემთხვევაში, როცა იკრძალება; წარმოიდგინეთ, დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში რა უბედურებას მოუტანს ქვეყანას, მომავალ თაობებს.

**პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში ამაზე საუბარი და მისი დაშვების პრეცედენტიც მოდის ხელისუფლებიდან. ეს არის ამ ხელისუფლების სკამის გამაგრებისთვის გაკეთებული პიარი; მარიახუნას ლეგალიზაცია ნიშნავს იმას, რომ მიშა სააკაშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა, რომ ახალგაზრდების ხმები მიიღოს ამ ხერხით,**

რომ მასზე იყვნენ დამოკიდებულები, რომ მან მართოს ისინი. ამას აკეთებს არჩევნებისთვის, რაც არის კიდევ ერთი უდიდესი დანაშაული ქართველი ერის მიმართ, რადგან, ამ შემთხვევაში, უკვე საუბარია ერის გენოფონდზე, ერის მომავალზე. საქართველოს ნაციონალური ხელისუფლება მზადაა ყოველმხრივ გაანადგუროს ქართული გენი, ქართული გონი, ქართული ტრადიციები.

თქვენი გაზეთის საშუალებით ხმამაღლა მოვუწოდებ ყველა დედას, ყველა მამას, ყველას, რომ ახლავე ამოიღონ ხმა, თორემ სახლში რომ მიუვათ გონებაგაჩერებული, მთელი ცხოვრება სამკურნალოდ გადადებული შვილები, უკვე გვიანი იქნება.

მოვუწოდებ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და ვთხოვ, რომ ხმა აიმაღლოს მარიხუანის ლეგალიზების წინააღმდეგ, დაარისხოს ზარები!“

**მაია ჭელიძე**

# როგორ ვიკვებოთ თუ გული გვაწუხებს, ან კუჭი გვტკივა

ქრონიკული დაავადების გამწვავება, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, უკავშირდება საკვებისა და კვების რეჟიმის ცვლილებას. ასეთ დროს ადამიანები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, თუ რითი იკვებებიან და გამწვავებული დაავადების დაამებას სხვადასხვა სახის პრეპარატებით ცდილობენ; ავიწყდებათ, რომ ზოგჯერ სპეციალისტთა რეკომენდაციების მიხედვით კვებაც საკმარისია, ქრონიკულმა დაავადებამ „თავი რომ არ შეგვახსენოს“.

როგორ უნდა ვიკვებოთ დაავადების გამწვავებას რომ გადავურჩეთ და რა უნდა მოვიმოქმედოთ მაშინ, თუ ქრონიკული პროცესი, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, მაინც გამწვავდა?

## რაში გვჭირდება დიეტა?

ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ ყოველდღიურად მასში 50-მდე შეუცვლელი კომპონენტი მოხვდეს, მათ შორის: ამინომჟავები, ვიტამინთა უმრავლესობა, მინერალური ნივთიერებანი, პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები, ცილები, ნახშირწყლები და სხვა. ორგანიზმი მხოლოდ ასეთი კვებისას ახერხებს ნივთიერებათა ცვლის პროცესის ნორმალურ წარმართვასა და მთლიანობაში – სრულფასოვან მუშაობას.

როგორც გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიების, ისე კუჭის წყლულით დაავადებულთათვის დიეტა მოიცავს სამკურნალო კვების ძირითად პრინციპებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პაციენტის რაციონი.

## როცა გული გვაწუხებს

**ათეროსკლეროზისა და გულსისხლძარღვთა დაავადებებისას** დიეტის ძირითადი პრინციპები გულისხმობს ორგანიზმის ხარისხიანი სასმელი წყლით (რათა გაუმჯობესდეს სისხლისა და ლიმფის ფუნქცინორება), კალიუმითა და კალციუმის იონებით მდიდარი პროდუქტებით (ეს ორი ელემენტი აუცილებელია გულის კუნთის ნორმალური მუშაობისთვის) ყოველდღიურ შევსებას.

კალციუმის იონების მეშვეობით, უჯრედგარე და უჯრედშიდა არეებში სითხის ნაწილდება, რაც საბოლოოდ განაპირობებს კიდეც არტერიული წნევის მაჩვენებელს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მაგნიუმით მდიდარი პროდუქტები, რადგან მაგნიუმი გულის ნორმალური რიტმის შენარჩუნებას ემსახურება.

დიეტის ერთ-ერთი პრინციპი გულისხმობს სუფრის მარილის შეზღუდვას.

აუცილებელია საკვების ენერგეტიკული ღირებულების შემცირება ცხიმებისა და ნახშირწყლების ხარჯზე; პაციენტებმა უარი უნდა თქვან იმ ნივთიერებათა მიღებაზეც, რომლებიც გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებზე გამღიზიანებლად მოქმედებენ.

### პაციენტის დღეღამური რაციონი ასეთია:

ცილები – 90 გრამი (55-60 პროცენტი ცხოველური წარმოშობის უნდა იყოს);

ცხიმები – 70 გრამი (25-30 პროცენტი მცენარეული);

ნახშირწლები – 350-400 გრამი;

მთლიანად დღეღამური რაციონი არ უნდა აჭარბებდეს 2500-2600 კკალორიას.

### ნებადართული პროდუქტი და კერძი:

წინა დღეს გამომცხვარი პური, ნებისმიერი სახის ვეგეტარიანული წვნიანი, უცხიმო ხორცი, თევზი და ქათამი, რძე და მისი პროდუქტები, განსაკუთრებით ხაჭო, სხვადასხვა სახის ბურღულეული, მოხარშული მაკარონის ნაწარმი, ბოსტნეული მოხარშული სახით, რბილი, მწიფე ხილი და კენკრა, თაფლი, მურაბა.

**გამორიცხულია:**

ახალი პური, ნამცხვრეულობა, პარკოსნების წვნიანი, ხორცის, თევზისა და ქათმის ბულიონი, ცხიმიანი ხორცი, ძეხვეული, მარილიანი თევზი და ყველი, მარინადი და დამწნილებული პროდუქტები, უხეში უჯრედისის შემცველი ხილი, შოკოლადი, მაგარი ჩაი, ყავა და კაკაო.

## როცა კუჭი გვტკივა



**კუჭისა და თორმეტოგა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების პროფილაქტიკურმა** დიეტამ უნდა უზრუნველყოს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მექანიკური, ქიმიური და თერმული დაზოგვა. მომატებული მჟავიანობისას იზღუდება კუჭის სეკრეციის ძლიერ აღმგზნები საჭმელები, აგრეთვე ის ნივთერებები, რომლებიც იწვევს კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას, ხანგრძლივად ყოვნდება კუჭში და რთულად მოინელება.

საკვები უნდა იყოს ძირითადად გახეხილი, მოხარშული წყალსა და ორთქლზე. ზომიერად უნდა შეიზღუდოს სუფრის მარილი, ძლიერ ცივი ან ცხელი საკვები კი საერთოდ უნდა აიკრძალოს.

### მომატებული მჟავიანობისას რეკომენდებული მენიუ ასეთია:

რძე – 4-5 ჭიქა, ნაღები, კარაქი, ახალი ხაჭო, არაჟანი, შვრიის ან მანანის თხიერი ფაფა, ბურღულეულის ლორწოვანი სუფები, წვნიანი მცენარეული ზეთით, თეთრი ორცხობილა, თეთრი პური, ბოსტნეულისა და ხილის წვენი, თოხლოდ მოხარშული კვერცხი ან მისი სუფლე, ორთქლზე მოხარშული ხორცისა და თევზის კატლეტები, გუფთა.

ბოსტნეული უნდა მოიხარშოს და პაცინეტმა პიურეს ან ორთქლის პუდინგის სახით მიიღოს.

ტკბილეულობიდან დასაშვებია: ნაღების კრემი, კისელი, ჟელე, გახეხილი ხილის კომპოტი.

**დაქვეითებული მჟავიანობისას** საკვები შერეულია – მენიუდან უნდა ამოიღოთ კუჭის ლორწოვანის გამღიზიანებელი პროდუქტი და დაემატოს კუჭის წვენის გამოყოფის მასტიმულებელი პროდუქტები.

**მენიუ ასეთია:**

დასაშვებია რძე, ხაჭო, არაჟანი, კარაქი, თოხლოდ მოხარშული კვერცხი, ბულიონი, გაწურული წვნიანი, წიწიბურას, ბრინჯის, მანანის ბურღულის ფაფა, მოხარშული მჭლე ხორცი და თევზი, მოხარშული და გახეხილი ბოსტნეული, ტკბილეულობიდან – ნაყინი, კისელი, კომპოტი, გახეხილი ახალი ხილი, გამხმარი თეთრი პური და ორცხობილა, სასმელებიდან – ჩაი, ყავა, კაკაო, კეფირი, ბოსტნეულისა და ხილის წვენი.

ორივე შემთხვევაში გასათვალისწინებელია: იზღუდება სუფრის მარილი 8 გრამამდე, სასურველია A და C, B ჯგუფის ვიტამინების სმა. დღე-ღამეში დასაშვებია 1,5 ლიტრამდე სითხის მიღება, კვების რეჟიმი უნდა იყოს დღეში 5-6-ჯერ, მცირე ულუფებით, ამასთან საკვები კარგად უნდა დაიღეჭოს.

## თუ დაავადება მაინც გამწვავდა

ქრონიკული დაავადების გამწვავებისას სამკურნალო კვების ძირითადი პრინციპები შეუცვლელი რჩება, არ იცვლება იმ პროდუქტთა ჩამონათვალიც, რომელიც უნდა გამოირიცხოს მენიუდან, უბრალოდ, პაციენტის კონკრეტული მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება რამდენადმე გადაიხედოს და შეიცვალოს სადილების მომზადების კულინარიული დამუშავების წესები, გამოირიცხოს შინაურ პირობებში დაკონსერვებული საკვები და სხვა.

გამწვავებისას ყველაზე ხშირად, სწრაფი ეფექტის მისაღებად, აუცილებელი ხდება იმ ვიტამინების სააფთიაქო ფორმებით დამატება, რომელთა მიღებაც პროფილაქტიკური კვებისას საკვების გზით არის რეკომენდებული; გარდა ამისა, ნებისმიერი ქრონიკული დაავადების გამწვავებისას აბსოლუტურად იკრძალება ალკოჰოლური სასმელები.

ინდივიდუალური მიდგომაა ასევე საჭირო ისეთ პაციენტებისადმი, რომელთაც ორი ან მეტი ქრონიკული დაავადება აწუხებთ და ამასთან მხოლოდ ერთი აქვს გამწვავებული – ასეთ დროს დიეტას, კონკრეტული მდგომარეობის გათვალისწინებით, მისი მკურნალი ექიმი ან ექიმთა ჯგუფი ადგენს.

## როდის დავიწყოთ პროფილაქტიკური მიზნით დიეტა?

პროფილაქტიკური მიზნით სამკურნალო კვება ქრონიკულად მოავადეებმა სასურველია, უკვე თებერვლის ბოლოდან დაიწყონ და დაახლოებით მარტის ბოლომდე ასეთი რეკომენდაციების მიხედვით იკვებონ. არც ხანგრძლივი დიეტაა სასურველი, რადგან ერთფეროვანი საკვები და გარკვეული შეზღუდვები არასასურველ გავლენას ახდენს თავად ქრონიკულად მიმდინარე პროცესზე და შესაბამისად, უარყოფითად მოქმედებს, ადამიანის როგორც ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ისე მის ფსიქოემოციურ სფეროზეც.

# რჩევები ჰიპერტონიით დაავადებულებს

ჰიპერტონიის გამომწვევი მიზეზის მიუხედავად, ნებისმიერ პაციენტს უნდა ახსოვდეს: მას შეუძლია ჯანმრთელობას ფასდაუდებელი დახმარება თავადვე აღმოუჩინოს. საამისოდ რამდენიმე წესის დაცვაა საჭირო.



**წესი 1. რეგულარულად აკონტროლეთ არტერიული წნევა**

ასაკისა და ყოველდღიური რეჟიმის მიუხედავად, ჰიპერტონიით დაავადებულმა ყოველდღიურად უნდა გაიკონტროლოს წნევა დღეში 2-ჯერ – დილით და საღამოს.

**წესი 2. დაიცავით რაციონალური კვების პრინციპები**

ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კვების რეჟიმს. სასურველია საკვების მიღება დღეში 4-5-ჯერ ერთსა და იმავე დროს, ამასთან ოპტიმალური ინტერვალი საუზმესა და ვახშამს შორის არ უნდა აღემატებოდეს 10 საათს.

შეზღუდეთ სუფრის მარილის მიღება დღეში 5 გრამამდე, სამაგიეროდ 5-6 გრამამდე გაზარდეთ კალიუმის მარილებით მდიდარი პროდუქტების წილი მენიუში – ყველაზე მეტად მათ შეიცავს ლობიო, ბარდა, ზღვის კომბოსტო, შავი ქლიავი, ქიშმიში, კარტოფილი, თევზეული, მწვანე ხახვი, ყურძენი, გარგარი, ატამი. კალიუმის მარილებით განსაკუთრებით მდიდარია კენკროვან მცენარეთა ნაყოფი: შავი მოცხარი, მარწყვი, ხენდრო, მოცვი, ქაცვი და სხვა.

სასურველია, მენიუდან საერთოდ გამორიცხოთ ან შეზღუდოთ ცხარე საკვები, სანელებლები, მწნილეულობა, ცხოველური ცხიმებით მდიდარი საკვები, დაკონსერვებული პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი.

უპირატესობა მიანიჭეთ წყალსა და ორთქლზე დამზადებულ სადილებს.

შეზღუდვები ვრცელდება დღე-ღამეში მიღებულ სითხეზეც, განსაკუთრებით კი – გაზიან და მინერალურ სასმელებზე. დღე-ღამეში მიღებული საერთო სითხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1-1,5 ლიტრს.

**წესი 3. თავი ანებეთ მავნე ჩვევებს**

ეს თამბაქოსა და ალკოჰოლს ეხება. სიგარეტის კვამლში არსებული ნიკოტინი აღიზიანებს ნერვულ სისტემას და ზრდის გულზე დატვირთვას, ავიწროებს სისხლძარღვებს და ამით ხელს უწყობს არტერიული წნევის მატებას. ალკოჰოლის გავლენით კი, ადამიანი კარგავს თვითშეგრძნებაზე კონტროლს, თრობის დროს წნევის მომატება გაცილებით საშიშია.

**წესი 4. გაზარდეთ ფიზიკური აქტივობა**

დასაშვები ფიზიკური დატვირთვის დონე მკურნალ ექიმთან ერთად განსაზღვრეთ და გახსოვდეთ – სწორად შერჩეული დატვირთვის პირობებში ვარჯიშის შემდეგ პულსი არ უნდა აღემატებოდეს 120-140-ს წუთში; ვარჯიში არ უნდა იწვევდეს სულისხუთვას, გაძლიერებულ ოფლდენას, ზოგად სისუსტეს, ტკივილს გულმკერდის არეში. ამ სიმპტომების გაჩენისას შეწყვიტეთ ვარჯიში, აუცილებლად მიმართეთ ექიმს და შეცვალეთ დატვირთვის სახე.

**წესი 5. მოიცილეთ ჭარბი წონა**

გახსოვდეთ, საშუალო ასაკის ადამიანი 1 საათის განმავლობაში სწრაფი სიარულისას წვავს 300 კკალორიას, მშვიდი სიარულისას – 200-ს, ცურვისას – 670- ს, ველოსიპედით სიარულით – 490-ს, ძილში 60 კკალორია იხარჯება, შინ საქმიანობით კი – 180 კკალორია. ჭარბი წონის მოსაცილებლად კი აუცილებელია დღე-ღამეში 1800-1200 კკალორიის მოცილება.

**წესი 6. დაისვენეთ სრულფასოვნად**

სრულფასოვანი დასვენება მოიცავს დღე-ღამეში 8-9 საათი ძილს. დაუმეგობრდით არასპეციფიკურ საძილე საშუალებებს: ძილის წინ სუფთა ჰაერზე სეირნობა, თბილი აბაზანა დაძინების წინ, საღამოთი უარის თქმა ვახშამსა და ტელევიზორის ყურებაზე.

**წესი 7. გაუმკლავდით სტრესულ სიტუაციებს**

თავი არიდეთ გადაღლას, განსაკუთრებით – ქრონიკულს, ერთმანეთს მოუნაცვლეთ გონებრივი და ფიზიკური შრომა. თუ უსიამოვნო, ამაღელვებელ სიტუაციაში აღმოჩნდით, ღრმად ჩაისუნთქეთ, შეყოვნდით, ვიდრე მრისხანებას, უკმაყოფილებას გამოთქვამდეთ, ეცადეთ შეცვალოთ საუბრის თემა, ნუ მიიღებთ იმ გადაწყვეტილებას, რომლის მოსალოდნელი შედეგებიც წინასწარ არ გექნებათ განსაზღვრული.

**წესი 8. ექიმის ყველა რჩევა მკაცრად დაიცავით**

მეტად მნიშვნელოვანია ექიმის ყველა რეკომენდაციის დაცვა.

ნუ გამოიჩენთ ინიციატივას და ნუ შეცვლით თვითნებურად ექიმის დანიშნულებას, ნუ შეწყვეტთ წამლების სმას იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავს გაცილებით უკეთ იგრძნობთ, აუცილებელია მკურნალობის კურსის დასრულება.

დაუშვებელია ყოველგვარი თვითმკურნალობა და ნათესავის ან ნაცნობ-მეგობრების რჩევით, ერთი მედიკამენტის მეორით შეცვლა.

**არტერიული წნევის გაზომვისას გაითვალისწინეთ:**

– გაზომვამდე 10-15 წუთით ადრე უნდა დაისვენოთ და დამშვიდდეთ, ფიზიკური დატვირთვა და ემოციური სტრესი ამახინჯებს გაზომვის შედეგებს;

– გაზომვისას უნდა იჯდეთ ან იწვეთ ისე, რომ მუცლის ღრუს არ აწვებოდეთ, რადგან ეს წნევის მატებას გამოიწვევს;

– გადავსებული შარდის ბუშტი ხელოვნურად ზრდის არტერიულ წნევას;

– წნევის მაჩვენებლის მატებას განაპირობებს უძილობა და ხშირი ყაბზობა;

– წნევა იზრდება ცივ ამინდშიც, ამიტომ უკეთესია, იგი ოთახის ტემპერატურის პირობებში (20-25 გრადუსი) გაიზომოთ;

– გაზომვამდე 2 საათით ადრე კოფეინის შემცველი სასმელების (ყავა, ჩაი, კოკა-კოლა) დალევა ასევე ზრდის წნევის მაჩვენებელს;

– გაზომვის პროცესში მოძრაობა ან ლაპარაკი შესაძლოა, მცდარი შედეგის მიზეზი გახდეს;

– წნევა განმეორებით უნდა გაიზომოს წინა გაზომვიდან არანაკლებ 5-10 წუთის შემდეგ, რათა ორგანიზმში ნორმალური სისხლის მიმოქცევა აღდგეს;

– დაუშვებელია წნევის გაზომვა ტანსაცმლიან ხელზე.

**გვერდი მოამზადა**
**ზვიად ლონლაძემ**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ruseTis armia siriaSi SehyavT

**სირიაში რუსეთის ანტიტერორისტული ძალების არსებობის შესახებ ინფორმაციამ ახალი კითხვები გააჩინა — რამდენად შეუწყობს რუსეთი ხელს, ირიბად თუ პირდაპირ, სირიაში საპროტესტო გამოსვლების სასტიკ ჩახშობას. ამ თემას ეძღვნება გავლენიანი ამერიკული გამოცემის Fox News-ის სარედაქციო წერილი.**



რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მათი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სანავთობო ტანკერი ,,იმანი“ ათი დღის წინ შევიდა სირიის პორტ ტარტუსში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების იმ გემების დასახმარებლად, რომლებიც ადენის ყურეში ანტიმეკობრული მისიის შესრულებაში მონაწილეობენ, აგრეთვე ,,არამშვიდ რეგიონში რუსეთის ყოფნის საჩვენებლად და რუსეთის მოქალაქეთა შესაძლო ევაკუაციის მიზნით“. ამ განცხადებას შავი ზღვის ფლოტის ხელმძღვანელობა ავრცელებს.

თავდაცვის სამინიტრო არ ამხელს, რამდენი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება გემზე, თუმცა რუსეთის მედია სირიაში რუსეთის სამხედრო გააქტიურებაზე ალაპარაკდა.

რუსეთი სირიის პრეზიდენნტ ბაშარ ასადის ერთგული მოკავშირეა. რუსეთის ახლანდელი პოზიცია აღიზიანებს გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ, ბოლო მოეღოს ძალადობას სირიაში.

უშიშროების საბჭოს ინკოგნიტო წარმომადგენელმა **ABC News**-ს განუცხადა, რომ სირიაში რუსეთის სამხედროების ჩასვლა არის საინფორმაციო ,,ბომბი“, რასაც უეჭველად სერიოზული შედეგები მოჰყვება.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ხმელთაშუა ზღვის პორტ ტარტუსში შევიდა ტანკერი, რომელზეც რუსეთის საზღვაო ფეხოსანთა შემადგენლობის კონტრტერორისტული ქვედანაყოფი იმყოფება.

**ABC News**-ი იუწყება აგრეთვე, რომ კრემლთან დაკავშირებულმა საინფორმაციო სააგენტო ÐÈÀ Íîâîñòè-მ ტანკერის შესახებ ცნობა მხოლოდ თავის არაბულენოვან საიტზე განათავსა.

რუსეთის საელჩოს წარმომადგენლები კომენტარს თავს არიდებენ, თუმცა საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა წინა კვირას სახელმწიფო სათათბიროში შეხვედრისას განაცხადა, რომ რუსეთი სირიაში საბრძოლო ქვედანაყოფების გაგზავნას არ აპირებდა. ,,სირიასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებთან კონფრონტაცია... საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა აუცილებელი არ არის... მიმაჩნია, რომ ეს რუსეთის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება“, — განაცხადა ლავროვმა.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი უარყოფს ინფორმაციას სირიაში რუსეთის სპეცდანიშნულების დანაყოფების არსებობის შესახებ, თუმცა აცხადებს, რომ სამხედრო და ტექნიკური მრჩევლები ქვეყანაში მუშაობენ.

დღესდღეობით, პორტი ტარტუსი რუსეთის ერთადერთი სამხედრო-საზღვაო ბაზაა პოსტსაბჭოთა სივრცის გარეთ. იანვარში პორტში შევიდა რუსეტის სამხედრო-საზღვაო ძალების გემების შენაერთი, რაც მოსკოვის მიერ ასადის მხარდაჭერად შეფასდა.

**Fox News**
**inosmi.ru**

## saqarTvelos ombudsmeni partiis wevrebisa da Jurnalistebis uflebebis darRvevis faqtebs swavlobs

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურის მიერ პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის შესწავლისას პოლიტიკური პარტიებისა და ჟურნალისტების უფლებების შესაძლო დარღვევების საქმეების შესწავლა.



როგორც ომბუდსმენი აცხადებს, 13-14 მარტს მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, კონტროლის პალატამ ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, საგარეჯოში, გურჯაანში, ლანჩხუთში, ჩოხატაურსა და საქართველოს სხვა ქალაქებში გამოიძახა პოლიტიკური პარტიების წევრები და მათ განმარტებები მოსთხოვა ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესში საეჭვო გარიგებების შესახებ. ითქვა, რომ ამ პროცესის მიმდინარეობისას იზღუდებოდა ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის უფლება, ხოლო პარტიის წევრთა ადვოკატებს მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ.

,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის წარმოება პოლიტიკური პარტიების წევრთა და ჟურნალისტთა უფლებების შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით... საქმის ყოველმხრივ შესასწავლად, სახალხო დამცველის უფლებამოსილი პირები განმარტებებს იღებენ იმ მოქალაქეებისგან, რომლებიც კონტროლის პალატის უფლებამოსილმა პირებმა დაჰკითხეს“, — ვკითხულობთ ომბუდსმენის აპარატის განცხადებაში.

იმავდროულად, ომბუდსმენმა მიმართა მონიტორინგის სამსახურს სრული ინფორმაციის მისაღებად, რის გამო და რა სახის ადმინისტრაციულ საქმის წარმოებას ეწევა კონტროლის პალატა. რასაკვირველია, ომბუდსმენს აინტერესებს, რის საფუძველზე გამოიძახეს დასახელებული პირები განმარტებების მისაცემად და რა სტატუსით, ამასთან, უზრუნველყოფილი იყო თუ არა მათი უფლება, განმარტებების მიცემისას ჰყოლოდათ ადვოკატი და იყო თუ არა უზრუნველყოფილი აგრეთვე საჯაროობა სხდომის მიმდინარეობისას.

მას შემდეგ, რაც საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი ყველა გარემოებას გამოიძიებს, საზოგადოებრიობას წარედგინება დამატებითი ინფორმაცია.

შეგახსენებთ, რომ კონტროლის პალატამ ქართველი მილიარდერის ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივ მოძრაობას კორუფციულ გარიგებაში დასდო ბრალი.

**euro-ombudsman.org**

## saqarTveloSi, kerZod _ borCaloSi azerbaijanis sazogadoebrivi parlamenti iqmneba

**აზერბაიჯანელებით დასახლებულ ბორჩალოს რეგიონში (ქვემო ქართლში), საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები ქმნიან საზოგადოებრივ პარლამენტს. ამის შესახებ აცხადებს საქართველოს თურქთა კონფედერაციის პრეზიდენტი დაშგინ გულმამედოვი.**



1-ლი მარტიდან მოყოლებული, კონფედერაციის ინიციატივით გაიმართა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა რამდენიმე შეხვედრა, რომლებზეც ბორჩალოში საზოგადოებრივი პარლამენტის შექმნის იდეა განიხილეს. გულმამედოვის თქმით, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ეროვნულ ასამბლეას, დიდი ერთობის ორგანიზაციას, საქართველოს თურქ ქალთა კომიტეტსა და ბორჩალოს ახალგაზრდა თურქთა კავშირს შორის გამართული მოლაპარაკებებისას შეთანხმდნენ, უახლოეს მომავალში შექმნან ბორჩალოს საზოგადოებრივი პარლამენტი.

საამისოდ, ხელი მოეწერება ბორჩალოს საზოგადოებრივი პარლამენტის საგანგებო ქარტიას. ნებისმიერ მსურველს, ბორჩალოში მოქმედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციასა თუ არასამთავრობო ორგანიზაციას შეეძლება, პარლამენტში თითო ადამიანი წარადგინოს, — აღნიშნავს გულმამედოვი.

საზოგადოებრივი პარლამენტი მოახდენს ბორჩალოს ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინაციას, რასაც მათი პოლიტიკური კონსოლიდაცია მოჰყვება.

**echokavkaza.com**

## eraySi afeTqebebs xalxis sicocxle ewireba



ერაყის რამდენიმე ქალაქი აფეთქებების სერიამ მოიცვა — დაღუპულია დაახლოებით ოცი ადამიანი, ხოლო ასზე მეტი დაჭრილია.

ქალაქებში — კირკუკსა და კერბელაში აფეთქდა დანაღმული ავტომანქანები, რომლებიც პოლიციისა და ადმინისტრაციული შენობების სიახლოვეს იყო დატოვებული.

ტერაქტები მოხდა ბაღდადსა და ქალაქ ლატიფიაშიც, რომელიც ერაყის დედაქალაქის სამხრეთით მდებარეობს.

ტერაქტები ძირითადად შიიტურ კვარტალებში მოხდა. პასუხისმგებლობის შესახებ განცხადება ჯერჯერობით არავის გაუკეთებია, მაგრამ აშკარაა ტენდენცია — ბოლო თვეების განმავლობაში ერაყში ,,ალ-ყაიდასთან“ დაკავშირებული სუნიტი ექსტრემისტები გააქტიურდნენ.

**svobodanews.ru**

## dRes NDI sazogadoebrivi kvlevis Sedegebs gamoaqveynebs

**ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიულია ინსტიტუტი (NDI), რომელსაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აფინანსებს, აპირებს საზოგადოებრივი კვლევის შედეგების გამოქვეყნებას. ჟურნალისტებთან საუბრისას NDI-ის საქართველოს ოფისის წარმომადგენელი ლუის ნავარო აცხადებს, რომ ეს არის NDI-ის პირველი სოციოლოგიური გამოკითხვა მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა (უკანასკნელი კვლევა სექტემბერში ჩაატარეს).**

ამ ინსტიტუტმა ახლახან საქართველოში საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. კვლევის მეორე ნაწილი ეხება საშინაო პოლიტიკას და მისი შედეგების სრულად გამოქვეყნებას არ აპირებენ. კერძოდ, გასაიდუმლოებულია და საზოგადოებას არ გაუმხელენ საქართველოს პოლიტიკური პარტიების რეიტინგს. ამერიკული ორგანიზაცია გამოკითხვის შედეგებს ინდივიდუალურად, დახურულ კარს მიღმა აცნობებს პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც საკუთარი შეხედულებისამებრ გამოქვეყნებენ მას. ჟურნალისტებისთვის ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

პოლიტიკური პარტიების რეიტინგულობის კვლევის შედეგების პრეზენტაცია, სავარაუდოდ, დღეისთვის იგეგმება. იგი 4-დან 17-მარტამდე მიმდინარეობდა საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და რუსთავი. მასში სულ 3 ათასამდე რესპონდენტი მონაწილეობდა.

**მიმოხილვა**
**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

მოგზაურობა სამშობლოში

# mitovebuli engadi

## ატენის ხეობა

ჯერ მხოლოდ დილაა, მაგრამ უკვე ისე ცხელა, სადაცაა მიწას ალმური მოედება. ტანა სანახევროდ დამშრალა და ზოზინით გადადის ქვებზე, თუმცა იმის უნარი მაინც შერჩენია, რომ ჭალაში მოხეტიალე სიო ააგრილოს. „ნივიდან“ გადმოტანილი ტელეტექნიკა და სხვა რამ ხაბაკ-ხუბაკი გულმოდგინედ გვაქვს დახარისხებული და ჭიშკართან დალაგებული. ოპერატორი სოზარ გულბანი შტატივს ეწვალება. მე, როგორც ყოველი მგზავრობის წინ, ფიქრებში ვარ გართული — თითქოს ცოცხალი გიორგი სააკაძე უნდა ვნახო და არა მისი ადგილის დედა — ფელი.

— ნუ ღელავ, ბატონო გელა, — მამშვიდებს გერონტი კაჯილაშვილი. რომელიც დავით ვანიშვილთან ერთად, ჩვენი პატრონი და მეგზურია, — ჩემმა მძღოლმა დაგვიანება არ იცის.

რაოდენ საოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, მაინც არ არის „ნივა“ ის მანქანა, რომელიც ყველგან მივა. ამიტომაა, რომ ახლა გერონტის სამხიდიანი „ურალის“ იმედად ვართ.

„ურალი“ მართლაც დათქმულ დროზე მოდის. შეიქნა ერთი თავპატიჟი, ვინ დავსვათ კაბინაში. ყველას ძარაზე გვინდა ასვლა.

— არაფერი გამოგვივა, — ამბობს დათო ვანიშვილი, — თავს ნუ ვიტყუებთ. — პირველი ის მიბობღავს ზევით და რიგრიგობით მას მივყვებით. გარემოს მთელი სისავსით აღქმა თუ გსურს, ან ცხენზე უნდა იჯდე, ან მანქანის ძარაზე.

სულ მალე უკან გვრჩება ატენის ორივე ტაძარი, ციხესიმაგრე და „საცივე“— კლდეში გამოკვეთილი ბუნებრივი მაცივრები, რომლებშიც ოდესღაც ამ კუთხის ფეოდალები სახელგანთქმულ ატენურ ღვინოებს ინახავდნენ.

წინ და უკან ვიყურებით განუწყვეტლივ, არ გვინდა, კარგი ხედები გადაუღებელი დაგვრჩეს. ფერდობებზე და ჭალაში სულ ხეხილის ბაღები და მცირე-მცირე ზვრებია. ეტყობა, ვახუშტი ბატონიშვილის აღწერის შემდეგ, ბევრი არაფერი შეცვლილა: **„არს ვენახოვან-ხილიანი, ხოლო მდინარე კალმახიანი“.**

— იმ ქვას ხედავთ? — მეკითხება გერონტი და დანახვისის მთის დასავლეთ ფერდობის შუაწელზე მიმანიშნებს. სოზარ გულბანს ტელეკამერა მონადირესავით „ჩახმახზე“ აქვს შეყენებული.

— ეგ ქვა და ლოდი კი არა, მოწყვეტილი კლდეა.

— ეს ჩვენთვისაა კლდე, თორემ ჯეფირისთვის ქვა იყო...

— ჯეფირი ვინღაა?

— როსტომ მეფის დროს ცხოვრობდა, დაახლოებით 370 წლის წინათ. ვახუშტიც იხსენებს. დევგმირი ყოფილა, მისი ცალი ფეხის პაიჭში, თურმე, ერთი კოდი ფქვილი ჩადიოდა. ეგ ლოდი სახნისად უნდა გამოეყენებინა, რომ არხი გაეყვანა, მაგრამ გარიგებაში პირი უშლია სოფელს. ჯეფირსაც საქმე შუა გზაზე მიუტოვებია და გაბრაზებულს ლოდ-სახნისი გაღმა, დანახვისის მთაზე მოუსროლია.

ვახუშტის მართლაც აქვს ნახსენები ეს დევგმირი, ოღონდ ლეგენდას არ ჰყვება და მოკლედ ამბობს, რომ ატენის ხეობის სათავეებში **„არს საფლავი ჯაფირისა, რომლისა სიგრძე ხუთი ადლი და ცხოვრობდა როსტომ მეფისასა“.**







ხანდისის სტელა, ბობნევის ეკლესია და ფეტვისხევის ვერძის ქანდაკება

— სად არის ჯეფირის საფლავი? — ვეკითხები ამ გახსენებაზე მასპინძლებს.

— ამავე ხეობაშია, ბატონო გელა, წერეთში, — მეუბნება დავით ვანიშვილი — არა, ცოტა მოშორებით კია, მაგრამ სანამ სააკაძეების სოფელში მივიდოდეთ, წერეთშიც შევიაროთ, დრო გვეყოფა, გრძელი დღეა.

მაგრამ წერეთამდე კიდევ ორგან ვჩერდებით; ჯერ — ბობნევში, მერე— ბოშურში.

**ბობნევის იოანე მახარებლის ეკლესია ბოშურამდეა და ზედ გზას აკრავს მარჯვნიდან. ეს არის მცირე დარბაზული ტიპის ტაძარი, რომელსაც კოშკებსაც უწოდებენ ადგილობრივები. როგორც ტაძრის წარწერა იუწყება, იგი 1683 წელს აუგია თბილისის მიტროპოლიტს, იოსებ ტფილელს (სააკაძეს), რომელიც ცნობილი პოემის „დიდმოურავიანის“ ავტორია.**

ტაძრის ინტერიერი მთლიანად მოხატულია და საკმაოდ კარგადაც, მაგრამ ტურისტებს უმოწყალოდ დაუკაწრავთ. ცენტრალურ ადგილზე თავად იოსებ ტფილელის ფრესკაა.

ტფილელის მიერ ამ ადგილზე ტაძრის აშენება შემთხვევითი არ არის. ეს სააკაძეთა კუთვნილი სოფელი იყო, ხოლო მათი თავდაპირველი სამოსახლო მამულები, ფელთან ერთად, ყოფილა კიკანათბერი, რომელიც ბობნევიდან ჩრდილოეთით, ერთი პატარა ხევის სათავეშია. ბობნევის ეკლესიის კოშკების ეკლესიასაც რომ უწოდებენ, სწორედ კიკანათბერის დანგრეული კოშკების გამოძახილია.

ბობნევიდან მანქანა მკვეთრ აღმართებს შეუდგა. ბობნევთან შედარებით ზღვის დონიდან ჯერ 300 მეტრით მაღლა ავიწიეთ, როცა ზემო ბოშურში ავედით და ერთი ამდენიც — მერე, როცა **ფეტვისხევს** ავაკითხეთ. სოფლის ეკლესია **„მარიამწმინდა“** ტყეში დგას და IX-X საუკუნეებით თარიღდება. ეს არის გეგმარებით სამეკლესიანთან მიახლოვებული საყდარი, რომლისთვისაც მოგვიანებით, სამკვეთლოს გაგრძელებაზე, მცირე სამლოცველო მიუშენებიათ აღმოსავლეთიდან. **ტაძრის ფართობი 180 კვ. მეტრია და ასე თუ ისე, ჯერჯერობით მტკიცედ დგას. განსაკუთრებით თვალშისაცემია სახურავის სამხრეთ კეხზე შემოდგმული ვერძის ქანდაკება. გარდა ამისა, ჯერ არსად შემხვედრია სადიაკვნოსა და სამკვეთლოს ოთახების სწორკუთხა შეღრმავებები საკურთხევლის მიმართულებით — მარცხნივ და მარჯვნივ.** ტაძრის კანკელის თავზე შემორჩენილი წარწერა გვეუბნება, რომ **XV საუკუნეში ეს მიწები და ეკლესია ზაზა ფანასკერტელის ძის ზაქარიას მამულში შესულა.**

... ფეტვისხევიდან და ბოშურიდან უკან გამობრუნებული. მანქანა მკვეთრად უხვევს მარცხნივ, აღმოსავლეთისაკენ.

— საით მივდივართ?

— წერეთისკენ! ხომ დავთქვით, რომ ჯეფირის საფლავს ვნახავდით.

მე და გერონტი კაჯილაშვილი მანქანის ღმუილში ძლივს ვაგონებთ ხმას ერთმანეთს. როგორც ზღვაში, ისე მიცურავს „ურალი“ ბალახიან ველზე, უკან ღრმა ნაკვალევი რჩება. მანქანის ძარიდან გადმოხტომისას, მოულოდნელად იმდენ ხანს ვიფრინე მიწამდე, რომ დაშვებისას მუხლი ვიტკინე — თურმე, კაცის სიმაღლე ბალახია... მე ჩემი გაჭირვება მყოფნის, სოზარს კი სიცილისაგან ლამის კამერა გაუვარდეს ხელიდან. დიდად არ ვიმჩნევ, ვდგები და მივდივარ, მაგრამ ახლა სქელი ნისლები გვეხვევა. მოულოდნელად ეკლესიის ნანგრევებთან აღმოვჩნდით, მისგან ასიოდ მეტრში წვეტიანი ლოდებით შემოსაზღვრული ალაგია.

— ეს არის ჯეფირის საფლავი, — გვიხსნის „ურალის“ მძღოლი, რომელიც ამ ადგილების კარგი მცოდნეა.

მეგზურები ირჯებიან, დოქით ღვინო და ხემსი მოაქვთ, ჭიქები მანდ იქნებაო — ამბობენ.

მითიური საფლავის გვერდით, რამდენიმე ცარიელ ბოთლთან ერთად, მართლაც დგას სამი ჭიქა. მე ჯერ თვალით, შემდეგ ნაბიჯებით ვზომავ საფლავის სიგრძეს. 3 მეტრზე მეტია...

— აი, მაგ სიმაღლე ყოფილა ჯეფირი, — ღიმილით მეუბნება დათო ვანიშვილი და სავსე ჭიქას მაწვდის. არ ვიცი, რა ვთქვა. მოდი და, ნუ ამღერდები, სიხარულით ნუ აცრემლდები. ერთი ფშავური სადღეგრძელო მახსენდება: — ვინც იყო და აღარ არის, ვინც გმირი იყო და სახელი დატოვა, იმ პიროფლიანების ხსოვნა იყოს!

ჩვენი მეგზურები და მასპინძლები მეუბნებიან, რომ აქ ნამყოფმა გიორგი ლეონიძემ ჯეფირს ასეთი სტრიქონები მიუძღვნა:

**„ამ დევკაცს ძუძუ ვინ მოაწოვა,**
**რომ სამარეც კი აქვს ახოვანი,**
**აურჩევია ნავსაყუდელად**
**ტყე ულრანი და ბალახოვანი“.**

მკითხველს, როელიც ჯეფირის საფლავის ნახვას მოიწადინებს, უნდა ავუხსნა, რომ გოგლას ნახსენები „ტყე ულრანი“ ოდნავ მოშორებითაა ჯეფირის საფლავიდან.

მუხლი აღარ მტკივა, ნისლიც გარღვეულა და ვხედავ: დიდი და ხასხასა მწვანე ველი, უთვალავი ფერისა და სახის ყვავილი, აქა-იქ ტყიდან ამოპარული ხეები, შორს მაღალი კოშკი... „ძველი აღთქმის“ წიგნებში ორნაირი სახელი აქვს ასეთ წმინდა და ყვავილოვან ადგილს: ენგადი და არდეთი.

... მაგრამ **ორივე წერეთი — დიდი თუ პატარა**, თავიანთი ნაეკლესიარით, დალეწილი კოშკებით და ნასახლარებით უწინარესად წერეთლების უძველესი მამული იყო და მათი ერთი შტო XIV საუკუნეში აქედან უნდა იყოს ზემო იმერეთში გადასული. ლევან ასათიანის დაკვირვებით, წერეთში დარჩენილი გვარის წარმომადგენელი იყო ის **ქველი წერეთელი**, რომელსაც ფეშანგი, არჩილი, ბესიკი და იოსებ ტფილელი ახსენებენ. წერეთლებისა და სააკაძეების თრიალეთური მამულები გვერდიგვერდ იყო, მაგრამ ქველი, ბედის უკუღმართობით, გიორგი სააკაძის მოწინააღმდეგე შეიქნა თეიმურაზ I-ის მეფობის ჟამს. იოსებ ტფილელი „დიდმოურავიანში“ ასე ალაპარაკებს გიორგი სააკაძეს ქველი წერეთლის შესახებ:

**„ახლოს მომმართა სამბრძოლად,**
**იყო კარგისა ბედისა,**
**ორი ისარი გულსა ვჰკარ,**
**ხსენება შექნა დედისა,**
**მამაცი იყო, გულსრული,**
**საომრად შემომხედისა,**
**ისივ გაბრუნდა, შეტყორცა**
**რა ნახა ზედიზედისა“.**

თითქოს ამ დაპირისპირების კვალზე ვიდგეთ — წერეთლების წერეთიდნ სააკაძეების **ფელში** მივდივართ — ტანის შენაკად თხინალის სათავეებიდან თეძმის შენაკად ვიცხის სათავეებში უნდა გადავიდეთ, რის გამოც სოფელ **ხანდისის** გავლა გვიხდება. ხანდისში ძველი ეკლესიიდან აღარაფერია შემორჩენილი, მაგრამ ჩვენს მუზეუმში დაცულია –VI-ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული აქაური სტელა.

ხანდისიდან სამხრეთით მივდივართ. რაზმითის წყალგამყოფ ქედზე ქო-

წერეთი: ჯეფირის საფლავი და ერთ-ერთი შემორჩენილი კოშკი








შინით კვალავს ახალ გზას „ურალი“. შუაგული თრიალეთია. ისევ ენგადი, ისევ ის სილამაზე, ფერები იცვლება მხოლოდ, აქა-იქ მსხვილი ყაყაჩოების ცეცხლია. ის-ის არის მთას კეხზე მოვექეცით, რომ მძღოლის ყვირილი გვესმის:

— ყველანი ჩახტით!

ერთმანეთს ვეხმარებით ძარიდან გადახტომაში. თავქვეზე მანქანას მუხრუჭები ველარ აკავებს, თავისით მიცურავს ბალახზე, უკან მივდევთ, მაგრამ რას ვუშველით. მძღოლი გამოცდილი აღმოჩნდა, მანქანა მაინც შეაჩერა და გადარჩენილები **ვიცხის ხეობაში** დავეშვით, იმ ვიცხის ხეობაში, სადაც ადრე საყავრიდან გადმოვედით და ნათლისმცემლის ეკლესია გადავიღეთ. ახლა ნათლისმცემლიდან დასავლეთით ვიმყოფებით და თანაც მეორე ნაპირზე, იქიდან აქეთ 8 კილომეტრიანი ვიწრო ბილიკი მოდის მხოლოდ.

მალე ნასოფლარიც გამოჩნდა:

ერთი დანგრეული ფერმა, ასე თუ ისე გადარჩენილი ხის აივნიანი სახლი და ხატ-სალოცავის ნაშთი... ახლა საითღა წავიდეთ?...

ბედად მწყემსი დაგვეყუდა წინ. ცალ ხელში ცული და სახრე უკავია, ცალში — ხმელა პური.

— რას ეძებთ?

— ფელი ეს არის?

— ეს არის, მაგრამ ფელი დიდია, ამ არე-მარეს სულ ფელი ჰქვია.

— სააკაძეების სოფელია, ხომ?

— ჰო, მაგრამ სად ცხოვრობდნენ, არ ვიცი. აქაური არა ვარ.

— ვინმე აქაური მიგვასწავლო, იქნებ...

— აქ აღარავინ ცხოვრობს, წავიდა ის დრო.. ისე, აქედან 2-3 კილომეტრში დიდი ტყეა. იმ ტყეში, გამიგონია, ერთი დიდი სალოცავიაო. მგონი, მაგათი სალოცავი უნდა იყოს...

— სააკაძეების?

— ჰო, ეგრე გამიგია. მაგრამ ეს მონასტერი კი არა, რომელიც გაღმა მოჩანს, ეს დედათა მონასტერი ყოფილა, ის სხვაა. მამათა მონასტერია.

თან მიგვყავს.

მანქანა დასავლეთისკენ მილოღავს ტყეში, რომელსაც ერთი პიტალო მთა გადმოცქერის.

რას უნდა ნიშნავდეს სახელწოდება ფელი?! — ფიქრებმა წამიღეს. — იქნებ იგი სასუფევლისა და სოფლის ფუძესიტყვაა და სწორედ ენგადის სინონიმია. კარგი ადგილი კი აურჩევიათ სააკაძეებს. სამი მხრიდან მთით დაცულ ვეება ტერიტორიაზე ტყეც არის, მინდორიც, მდინარეც... ნეტავ როდის დასახლდნენ აქ? **სააკაძეთა გვარი თამარის ეპოქიდან ჩნდება პოლიტიკურ ასპარეზზე. პირველი სააკაძე ჯანზურაბის სახელით არის ცნობილი, მერე თემურ-ლენგის შემოსევების დროს, ვინმე დონა სააკაძე ჩანს ბაგრატ V-ის გვერდით. მეფესთან ერთად ტყვეობაში მიჰყავს იგი თემურ-ლენგს.** შესაძლოა, XII საუკუნეშივე მოვიდნენ ან მოიყვანეს აქ სააკაძეები ბაღვაშთაგან უმკვიდროდ დარჩენილი თრიალეთის ხეობის დასაცავად. (ამ თემას ადრეც შევეხე, როცა თეძმის ხეობაში ვმოგზაურობდით — იხ. „აქ კელაპტარი არასდროს ქრება“ — „საერთო გაზეთი“, 2012 წ. №4 და ახლა აღარ დავუბრუნდები).

ამ ფიქრებიდან მანქანის რყევასა და ღმუილს გამოვყავარ.

— მეტს ველარ ვივლით ტყეში! — აცხადებს კაბინიდან კიბეზე გადმოსული მძღოლი. მანქანა ლაფშია ჩამჯდარი.

ვჯიუტობთ, ხმელ ტოტებსა და ქვებს ვეზიდებით, საბურავებს ძირში ვუყრით. ის-ის არის „ურალი“ ამოვათრიეთ და გზა უნდა განვაგრძოთ, რომ სოზარ გულბანი იძახის: — სადღა მივდივართ, თურმე, მოვსულვართ და ვერ გაგვიგია (აი, რას ნიშნავს ოპერატორის თვალი!). ტყის სიღრმიდან ტაძრის კონტურები გვიჭვრეტენ. **დიდი რუხი ლოდებით ნაგები დარბაზული ეკლესიაა. მანამდე, უფრო აქეთ, გალავნისა და სხვა ნაგებობების ნაშთებს ამოუყვიათ მიწიდან თავი, ზედ ხავსი გადასდით. ტაძარს გარშემო ვუვლით, ქვათა წყობა სიმეტრიულია, მშენებელი ხაზების თარაზულობის დაცვას ცდილა და გამოსვლია კიდეც, ოღონდ ქვები მხოლოდ ზედაპირულად არის დამუშავებული და ისიც რამდენადმე უხეშად. კედლების სისქე ერთ მეტრს აღწევს. ტაძარი საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ კამარასთან ერთად ქვათა წყობის ბოლო ორი რიგიც მორღვევია. სიგანეში 6,5 მეტრია, სიგრძეში –12, შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. ინტერიერში სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებს მარტივი კაპიტელებით დაგვირგვინებული პილასტრები ამაგრებს. ზუსტ ნახევარწრიულ აფსიდში საკურთხევლის ქვაა, სარკმლები აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ მხარეს აქვს. საკურთხეველში, რომლის წინ ხეა ამოსული, ორი ცალი „წვიმის ქვა“ — სხვადასხვა ზომის ქვის ბირთვი დევს. ტაძარი თითქმის უცნობია, არადა, იგი გიორგი სააკაძის სახელსა და მოდგმას უკავშირდება.**

ენგადში მოგზაურობა დასრულდა...

**ბელა კოქავშვილი**

ავტორის ფოტოები

ფელის წმინდა გიორგის ეკლესია



ჩემო საყვარელო თანამემამულენო! არ ვიცი და ვერც გამიგია, მე მეჩვენება თუ მართლაც ასეა, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, თავი ჩვენ თვითონ დავიბეჩავეთ თუ დაგვაბეჩავეს! ერთი კი ცხადია, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ფრიგიდულები და ინდიფერენტულები გავხდით, როგორც ჩვენს ირგვლივ მყოფებისადმი, ასევე ჩვენს მიმართ მოვლენებისადმი, რაც ძალიან ცუდი და გულდასაწყვეტია.

სწორედ ჩვენმა ასეთმა ინდიფერენტულობამ ხათუნა გოგორიშვილს და მის მსგავს დეპუტატებს, მისცა იმის საშუალება, რომ თავიანთი მრავალასეულლარიანი პენსიები მცირედ მოსჩვენებოდათ და 760 ლარამდე აეყვანათ.

2005 წელს პარლამენტში პენსიის საკითხი რომ იხილებოდა, გოგორიშვილი სამჯერ გამოვიდა სესიაზე და 760 ლარიც კი იცოტავა და მას თავისთვის კიდევ უფრო მეტი უნდოდა, იმ დროს, როდესაც ჩვენი მოსახლეობის პენსია 34 ლარი იყო. მას და მისთანებს, ამომჩეველთა რიდი და შიში კი

## მკითხველები გვწერენ

2. ასწიეთ გაზეთები და ნახეთ მათივე ხელით შევსებული დეკლარაციები, სადაც ნაჩვენებია მათი ქონებები და, თვითონ და მათი ცოლ-შვილი რა ფასიანი მანქანებით დაჰქრიან, თვითეულ მათგანს რამდენი ბინები აქვთ თბილისში, კიევში, მოსკოვში და რა თანხები აქვთ ბანკებსა და ოჯახებში? იმ დროს, როდესაც ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ნაგვის ყუთებში პურის ნატეხებს ეძებენ და შიმშისაგან სულს ღაფავენ. ხალხო, გვჭირდება ჩვენ ასეთი დეპუტატები?

3. აიღეთ მათ მიერ დაწერილი ანტიხალხური კანონები და ნახეთ, რა უწერიათ კანონებში (რადგან მათ თითქმის ყველას კერძო ბიზნესები აქვთ) მაგალითად, უწერიათ: დამქირავებელს უფლება აქვს ისე დაითხოვოს დაქირავებული, რომ მას, განთავისუფლების მიზეზიც არ უთხრას. ე.ი. გააგდოს მონა. მერე და ეს მონები ვინ არიან? ესენი არიან, ვინც მთელი ცხოვრება პატიოსნად და მუხლჩაუხრელად შრომობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, მეურნეობებში, დაწესებულებებში და სოციალიზმს აშენებდნენ, არც სახელმწიფოს და არც ხალხს არაფერს რომ არ ჰპარავდნენ. ისინი იქიდან, ვერაგი შევარდნაძის ხელშეწყობით ერთეულმა უძღებმა შვილებმა ცარიელ-ტარიელი რომ გამოყარეს და მათი შვილები დღეს დარჩნენ მონებად. ისინი იმ სოციალიზმს აშენებდნენ, რომელსაც დღევანდელი ჩვენი ხელისუფლება, როგორც მათ მიერ შექმნილ დოვლათს, ისე იყენებს. ითვისებს, ჰყიდის, ჩუქნის, ანგრევს და ა.შ. მათ მიერ დაწერილი ერთი კანონი ჟღერს: საკითხი შეიძლება იხილებოდეს ექვსი თვის განმავლობაში? (რა საკითხი უნდა იყოს ისეთი, ერთ თვეში ვერ განიხილონ?) და თუ, დაინტერესებული პირი, პასუხს არ მიიღებს, (ექვსი თვის შემდეგაც კი) ეს იმას ნიშნავს, რომ უარი ეთქვაო. შეიძლება ასეთ ნაცოდვილარს, კანონი ერქვას? სირცხვილი არ არის, ჩვენი პარლამენტი ასეთ უღლეურ და ჩლუნგ კანონებს იღებდეს?! თუმცა რატომ უნდა გაგვიკვირდეს? რა ხათუნა გოგორიშვილისნაირი პარლამენტარითაც არის დანაგვიანებული ჩვენი პარლამენტი, (დიდი ნაწილი), კანონებსაც ისეთს იღებენ.

19.09.11 ხელში ჩამივარდა, გათახსირებული შევარდნაძის მიერ 2002 წლის 11 მაისს გამოცემული №594 განკარგულება, სადაც სწერს: „ელმავალმშენებლის“ დირექტორის წინადადების საფუძველზე. აბა დაუკვირდით: „ელმავალმშენებლის“ დირექტორის წინადადების საფუძველზე, ნება დაერთოს ქონების მართვის სამინისტროს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტის 75 პროცენტი (სახელმწიფოს საკუთრებაში კანონით იყო არა 75 პროცენტი, არამედ 51 პროცენტი — შევარდნაძემ აქაც ითაღლითა, რომ იძახის 75 პროცენტიო) სიმბოლურ ფასად — 150 ათას დოლარად გაიყიდოსო“ და ასეთნაირად აჩუქა ზურაბ ცინცაძეს. 2594 აუქციონერი კი მან ფეხებზე დაიკიდა, დატოვა უკაპიკოდ და რამოდენიმე ასეულ მილიონ დოლარად ღირებული ქარხანა, ვიმეორებ, აჩუქა ზურაბ ცინცაძეს, ესე იგი ცინცაძეს რომ დაეწერა 100 ლარად მომეცითო, შევარდნაძეც დასწერდა — მიეცეს 100 ლარადო. ის ხელი არ უნდა მოაჭრა შევარდნაძეს, რომელი ხელმოწერითაც გამოსცა ეს ვერაგული თუ მავნებლური განკარგულება! რა უფლება ჰქონდა გათახსირებულ შევარდნაძეს ქარხნის ღირებულების ის 10 პროცენტი, რომელიც კანონით იქ მომუშავე 4594 აქციონერს უფასოდ ეკუთვნოდა, ცინცაძესთვის ეჩუქებინა! ქარხნის ხელში ჩაგდების შემდეგ ისე გამოყარა ქარხნიდან, ცინცაძემ პენსიაზე რამდენიმე ასეული ის მუშაკი, ვინც კი „ელმავალმშენებელი“ ქარხანა ააშენა, რომ მათთვის ერთი თეთრიც არ მიუცია. ამჟამად ცინცაძე შევარდნაძის ხელშეწყობით მილიონერია, ხოლო ვინც ელმავალმშენებელი ქარხანა ააშენა, ყველა მათხოვარი.

4. პარლამენტარები კანონებს თავიანთ თავზე ირგებენ. მაგალითად, კანონები მათი ხელფასებისა და პენსიის შესახებ. მათ 760-მანეთიანი პენსიები მაშინ დაინიშნეს, როდესაც ხალხს პენსიები, 34 ლარები ჰქონდა. ხალხო, გვჭირდება ჩვენ ასეთი ღორი დეპუტატები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ?! დეპუტატი საკუთარ თავზე კი არა ხალხზე უნდა ზრუნავდეს ეგენი კი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ.

5. ჩვენს პარლამენტარებს 4500 და 10-ათასიანი ხელფასები აქვთ. ხოლო მასწავლებლებს და ექიმებს დღესაც კი 250-350 ლარზე მეტი ხელფასები არ აქვთ. მათი, როგორც პენსიის კანონები, ასევე ხელფასების, არის ანტიხალხური. მით უმეტეს, პარლამენტის სხდომებს რომ ვუყურებ ხოლმე, ყოველთვის 20-25 პროცენტი სხდომებს არ ესწრებიან და ძლივს აგროვებენ. ისინი ამ კანონით მთელ მოსახლეობას არარაობად გვთვლიან და აბუჩად გვიგდებენ. უფრო მეტიც, მათ მოსახლეობასთან შედარებით, თავიანთთვის 23-ჯერ უფრო მეტი პენსიები და პედაგოგებთან და ექიმებთან შედარებით, 33 უფრო მეტი ხელფასების დანიშვნით დაგვიმტკიცეს, რომ უმაღლესი ხარისხის არისტოკრატები ყოფილან და მათთვის ჭამასმა, ჩაცმა-დახურვა, დასვენება და დროსტარებაც კი განსაკუთრებული ყოფილა საჭირო.

# d r oa movi TxovoT Cveni kanonier i u f l ebebi

არა, უბრალო პატივისცემა მაინც რომ ჰქონოდათ, ისინი ხალხს, ფეხებზე ვერ დაიკიდებდნენ, ამდენს ვერ გაბედავდნენ და 760 ვერ დაინიშნავდნენ. მათ იციან ჩვენი სულერთია ხალხის ბუნება, ამიტომ ისინი ყველაფერს თავისთვის იმკიან და ჩვენი ხალხის კეთილ ბუნებას ბოროტად იყენებენ.

ამ უსამართლობის აღმოსაფხვრელად 2005 წლის 5 დეკემბერს, მოვამზადე წერილი პარლამენტისადმი და ჩემს ახლო ნაცნობებს წერილის მეტი წონისათვის ხელმოწერები ვთხოვე. წაკითხვის შემდეგ ყველამ უარი მითხრა და არცერთმა მათგანმა, ხელი არ მომიწერა მოტივით: ამ წერილზე ხელი რომ მოვაწეროთ, ხალხი გაიგებს და ინტრიგანად მომნათლავენო. აი, ჩვენი ხალხის მენტალიტეტი, კანონის დაცვას თუ მოითხოვ, ხალხი ინტრიგანად მოგნათლავს, ამიტომაც ჩვენი ხელისუფალნი ყველა კანონს თვითონ, თავიანთ თავზე ირგებენ.

ვინც კარგად დაუკვირდება, მიხვდება, რომ ჩვენ არც ასეთი დეპუტატები და არც პარლამენტი, არ გვჭირდება და რატომ:

1. ჩვენი დეპუტატების გარკვეული ნაწილი პარლამენტში, მისულია მხოლოდ თავიანთი არმადნაშოვნი ქონების დასაცავად, ვიღაცების „დასაკრიშად“ და დიდი ხელფასების მისაღებად. მაგალითად, თაღლითი მაია კერვალიშვილი, ყოფილი დეპუტატი, კერვალიშვილის სიძე, თაღლითი ვახტანგ რჩეულიშვილი საქართველოს 80 მილონერთა შორის, 100 მილიონით ის, 41-ე ადგილზეა — იხილეთ „ქართული გაზეთი“. თაღლითებმა, მაია კერვალიშვილმა და ვახტანგ რჩეულიშვილმა, თაღლითობით: ჩვენი მოსახლეობის მოტყუებით, რამოდენიმე ასეული მილიონი, დოლარი იშოვეს, ხოლო ბესო ჯუღელს, პარლამენტში ჩამოსძახეს: შენი მინისტრობის პერიოდში, ორი ქარხანა, კუპონებით ჩაიგდე ხელში, იმ კუპონებით მაშინ, ორ კილო ხორცსაც კი ვერ იყიდდიო. ხალხო, გვჭირდება ჩვენ ასეთი დეპუტატები? დეპუტატი უნდა იყოს: უმწიკლო, სპეტაკი, პატიოსანი და უბრალო ადამიანებს რომ გაუჭირდებათ, ისინი, უნდა ეხმარებოდნენ, ისენი კი თვითონ თაღლითობენ.

პარლამენტის კედლებიდანაც ხომ გვამცნეს: მილიარდერიც კი, მათთვის მდაბიო ყოფილა. ჩვენი ხალხი თავის სიმაღლეზე რომ იდგეს და ამ ღორებს პირში წყალდაგუბებულები არ შეჰყურებდეს, ისინი ამ თავხედობას ვერ გაბედავდნენ.

ხელისუფლებაში რომ გაიძახიან: რა ვქნათ, საქართველო ღარიბი ქვეყანაა და ამიტომ საარსებო პენსიებს და ნორმალურ ხელფასებს ყველას ვერ ვაძლევთო, ის უნდა ქნათ, ჩვენო უძღებო დეპუტატებო რომ, რადგან ქვეყანა ღარიბია, ის ზოგიერთებისთვის კი არ უნდა იყოს ღარიბი და თქვენთვის ძალიან მდიდარი... ქვეყნის სიღარიბე და სიმდიდრე ყველასათვის თანაბრად უნდა იგრძნობოდეს.

**ავთანდილ ქურხული**

# სიამის ტყუპებს უნიკალური ოპერაცია გაუკეთეს



სამი წლის წინ ინტერნეტსივრცე წარმატებულ ოპერაციაზე იუწყებოდა. კამერუნში, სოფელ ბებენკი ტანგოში, დაბადებული სიამის ტყუპები ერთმანეთისგან განაცალკევეს.

პატარებს ერთი მუცელი ჰქონდათ და ორი ფეხი. მთელი კამერუნი სრულ შოკში იყო უცნაური ტყუპების გამო. როცა პატარები დაიბადნენ, ექიმები და ექთნები ბლოკიდან შეშინებული გაიქცნენ...

მალე, გოგონების დაბადების შესახებ, საუდის არაბეთის მეფემ შეიტყო და თანხმობა განაცხადა, ბავშვების ოპერაცია დაეფინანსებინა. საუდის არაბეთის ექიმებმა სასწაული მოახდინეს – ტყუპებს ახლა უკვე თავიანთი მუცელი აქვთ.

თუმცა მას შემდეგ სამი წელიწადი გავიდა, ბავშვებს კვლავ აქვთ დაუძლეველი ფიზიკური პრობლემები. მათ ცალ-ცალი ფეხი აქვთ. ამისთვის კიდევ ერთხელ უნდა წაიყვანონ ისინი საუდის არაბეთში. შემდეგ კიდევ ერთი რთული გამოცდა ცხოვრებაში – მათ სიარული უნდა ისწავლონ.

ბებენკი ტანგოში სოფლის მეურნეობას მისდევენ. ეს სოფელი მთელ კამერუნს ამარაგებს ბოსტნეულით. ბავშვების სიამის ტყუპებად დაბადებას სოფლელები „ეშმაკის ხრიკებს“ აბრალებენ და დამნაშავედ ბავშვების მამა მიაჩნიათ, რომელსაც 13 შვილი ჰყავს ორი ცოლისგან. სხვები ფიქრობენ, რომ გოგონები სოფლის დასასჯელად არიან მოვლენილნი იმის გამო, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ ადგილობრივი ლიდერი დაამხეს და მერე მოკლეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბავშვების დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე ქრისტიანულ სოფელში საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ისლამური ცენტრი გახსნა. ისლამი სიამის ტყუპების მშობლებმა ერთ-ერთმა პირველებმა მიიღეს. მათი მამა ნგონგ ჯეიმს აკუმბუ ახლა აბდალად იწოდება, დედას – იმერენციას დღეს აიშა ჰქვია, მათი ხუთი შვილი ისლამურ სკოლაში სწავლობს.

კუმ ედვინმა, რომელიც სოფელში მასწავლებლად მუშაობს, სულ ახლახან მიიღო ისლამი. „სანამ მუსულმანური ცენტრი გაიხსნებოდა, უმუშევარი ვიყავი, ბევრს ვსვამდი და მყავდა უამრავი ქალი, როცა ყური მოვკარი, რომ აქ მუსულმანური სკოლა იხსნებოდა, სამ თვეში შევისწავლე ისლამი, ახლა მე აღარ ვსვამ, ვეძებ „საცოლეს“, – ამბობს კუმ ედვინი.

ტყუპების დაბადება კი კვლავ წყევლად მიაჩნიათ. მათი ფიზიკური მდგომარეობის გამო თანასოფლელები პატარებს თვალსაც ვერ უსწორებდნენ. დაბადებიდანვე იქცნენ ტყუპები სოფლის თვალსაჩინოებად. ისინი დღესაც თამაშობენ მნიშვნელოვან როლს სოფლის მაცხოვრებელთა ყოველდღიურობაში.

# 2050 წელს ჰაერის უკმარისობის გამო 3,6 მილიონი ადამიანი დაიღუპება

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამო შეიძლება დაიღუპოს დედამიწის მოსახლეობის მეოთხედი ნაწილი. ადამიანების გარდაცვალების მიზეზი ჰაერის უკმარისობა გახდება, მეორე მიზეზად უხარისხო წყალი დასახელდა, მაგრამ მთავარი მაინც უკიდურესი სანიტარული დაბინძურება გახდება. მტვრის რაოდენობის გაზრდა ქალაქებში გამოიწვევს მომაკვდინებელ დაავადებებს სასუნთქ გზებში. თუ საწინააღმდეგოს არაფერს მოვიმოქმედებთ, ასეთი ტიპის დაავადებები ყოველწლიურად 3,6 მლნ. ადამიანს შეიწირავს მსოფლიოში“, – პროგნოზირებენ სპეციალისტები.



მათი მონაცემებით, დღეისთვის ყველაზე მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა ჩინეთსა და ინდოეთშია, მაგრამ არის ქვეყნები, რომლებიც კრიტიკულ ზღვარს უახლოვდებიან. საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ ჟანგბადის ნაკლებობაზე, არამედ წყლისაზეც, ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ აფრიკის და აზიის ქვეყნებს ექნებათო.

2050 წლისათვის წყლის მოხმარება მაქსიმალურად გაიზრდება ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის, რადგან დედამიწის მოსახლეობა ერთიორად იქნება გაზრდილი. ამის გამო ბუნებრივი წიაღისეულის მფლობელი ქვეყნები წყალს მაქსიმალურად გამოიყენებენ, რადგან გაიზრდება სითბური გაზის შემცველობა ატმოსფეროში (როგორც ამბობენ, 1,5-ჯერ), რაც, ცხადია, ჰაერის ხარისხის გაუარესებას გამოიწვევს.

„წყლის უკმარისობის პრობლემა ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ჩვენ უნდა ვეცადოთ წყლისა და ჰაერის პრობლემა გადავჭრათ, ამის გარეშე ვერ ვიარსებებთ“, – განაცხადა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ანხელ ჰურიამ.



# მართლა უახლოვდება თუ არა დედამიწას ასტეროიდი?

ასტეროიდი 2012 ეგ 5 დედამიწასა და მთვარეს შორის 2 აპრილს მოხვდება, – იუწყება ნასა-ს საგანგებო საინფორმაციო სამსახური, რომელიც უთვალთვალებს დედამიწის გარშემო კოსმოსურ ობიექტებს.

ეს ასტეროიდი 16 მარტს შეამჩნიეს. მისი დიამეტრი დაახლოებით, 40-დან 90 მეტრამდეა. მოძრაობის სიჩქარე – 8,2 კმ. საათში. დედამიწასა და მთვარესთან სიახლოვე 0,7 მთვარის ორბიტის ტოლია. ასეთია 2012 ეგ 5-ის მოძრაობის ტრაექტორია. რა შედეგებს მოიტანს ასტეროიდთან შეხვედრა, მეცნიერებისთვის, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა სპეციალისტები კატასტროფულ შედეგებს, ცხადია, არ წინასწარმეტყველებენ.

ეს კოსმოსური ობიექტი მიეკუთვნება „აპოლოს“ ასტეროიდულ კლასს, რომლებიც ყველაზე მეტად უახლოვდებიან დედამიწას.

2 აპრილს 2012 EG 5 – სა და დედამიწას შორის 200 000 კმ იქნება და უფრო ადვილი იქნება ახალი ობიექტის გრავიტაციული მოქმედების განსაზღვრა.

ევროპის კოსმოსური სააგენტოს ცნობით, ზემოქმედება, რომელიც შესამჩნევი იქნება ორი კვირის განმავლობაში, სწორედ ამ ასტეროიდის მოახლოების შედეგი იქნება. იგი თებერვლის თვიდან მოძრაობს დედამიწისა და მთვარის მიმართულებით.

რამდენიმე დღის წინ პატარა ასტეროიდი 2012 EN 5, რომლის დიამეტრი სულ რაღაც 20 მეტრი იყო, 1,4 დისტანციით მიუახლოვდა მთვარეს და დედამიწას, მისი სიჩქარე 10 კმ-სთ-ში იყო. მავნე ზემოქმედება არ დაფიქსირებულა.

# ქალბატონმა, რომელიც 300 ორგაზმს განიცდის დღეში, ბოლოს და ბოლოს იპოვა პარტნიორი



43 წლის ამერიკელი მიშელ ტომპსონი ცნობილია იმით, რომ მას შეუძლია დღეში ორგაზმი 300-ჯერ განიცადოს. ის დიდხანს ეძებდა პარტნიორს, რომელიც ერთადერთი იქნებოდა და დაამტკიცებდა თავის მამაკაცურ შესაძლობებს სექსში.

მიშელ ტომპსონის „რეკორდი“ მედიცინაში ავადმყოფობად მიიჩნევა. ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათია და ჯერ კიდევ შეუსწავლელ ფენომენად ითვლება, როგორც მუდმივად აღგზნებულ მდგომარეობაში ყოფნა.

მიშელი საკონდიტრო ფაბრიკის ყოფილი თანამშრომელია, მან დატოვა სამსახური იმის გამო, რომ არ შეეძლო, ეცქირა მუდმივად ვიბრირებადი მექანიზმებისთვის. მიშელ ტომპსონისკენ მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთების ყურადღება არის მიპყრობილი. დიდი ხანი არ არის, რაც ცნობილი გახდა, რომ მან იპოვა „ქალური ბედნიერება“, მიშელ ტომპსონის რჩეული ახალგაზრდა ენდრიუ კაპი გახდა. ენდრიუ მიშელზე 23 წლით პატარაა, სამაგიეროდ, მათ შეუძლიათ სექსით დღეში 10-12-ჯერ დაკავდნენ.

მიშელი ამბობს, რომ ამ შეხვედრამ სრულიად შეცვალა მისი ცხოვრება. „ახლა მე სიამოვნებას ვიღებ ჩემი ორგაზმებისაგან და აღარ მსურს შევაკავო ის“.

მუდმივი აღგზნებადობის სინდრომი ათ წელზე ნაკლებია, რაც აღმოაჩინეს და მედიცინის დღემდე არ იცის, რა შეიძლება იყოს ამ ანომალიის მიზეზი. ზოგიერთი ფიქრობს, რომ მიზეზი სასქესო ორგანოებში სისხლის ჭარბი მიმოქცევაა. სხვების აზრით, მუდმივი აგზნებადობა ისეთი სამედიცინო პრეპარატების ჭარბად მიღების ბრალია, რომელშიც ტრაზადონი შედის.

# ქეით მიდლტონი უშვილოა?



30 წლის კემბრიჯის ჰერცოგინია კვლავ მოხვდა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. მიუხედავად მისი დიდი სურვილისა, გამხდარიყო დედა და ეჩუქებინა შთამომავალი ტახტის მემკვიდრისთვის, იგი არ დაორსულდა. შეიძლება ეს იყოს იმის მიზეზი, რომ გავრცელდა ცნობები, თითქოს, ქეით მიდლტონი ბავშვის აყვანას აპირებდა. ჯერ კიდევ შარშან გამოქვეყნდა ინგლისის მთავარ გაზეთში ცნობა იმის შესახებ, რომ მილდტონი უნაყოფო ყოფილა. ოჯახთან დაახლოებული პირები აღნიშნავენ, რომ ბავშვობაში ქეითს მუდმივად ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, რამაც გამოიწვია კიდეც ასეთი შედეგები. „მას ძალიან გაუჭირდება ბავშვის გაჩენა, მისთვის ეს, თითქმის, შეუძლებელია", — წერენ ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები.

როგორც ჩანს, ეს ცნობები სინამდვილეს შეესაბამება. ამიტომაც ცოლ-ქმარს — ქეითსა და უილიამს, არ სურთ დრო ტყუილად დაკარგონ, მათ უკვე გადაწყვიტეს, ბავშვი უპატრონო მოზარდთა თავშესაფრიდან გამოიყვანონ და იშვილონ.

ოჯახის ახლობელი ამბობს, რომ „ქეთრინს სურს ეს გააკეთოს თავისი კეთილი გულით. ის კარგად გრძნობს პასუხისმგებლობას, რაც მის წინაშეა. საქველმოქმედო საქმიანობამ, რაც მან უილიამთან ერთად დაიწყო, ქეთრინი აიძულა, სხვა თვალით შეეხედა სამყაროსთვის, რომ ყველა ადამიანი ამქვეყნად „ობოლია".

თუმცა არის პრობლემა — კანონით სამეფო ოჯახს ბავშვის აყვანის უფლება არ აქვს. ბრიტანელ მონარქებს შორის უპატრონო ბავშვების შვილად აყვანის არც ერთი ფაქტი არ არსებობს. თავის დინასტიის ისტორიაშიც ასეთი ფაქტები ძალზე იშვიათია. ცნობილია მხედართმთავარი და რომის იმპერიის პირველი იმპერატორი გაიუს იულიუს ცეზარი იყო პირველი, რომელმაც ნათესავი იშვილა — ის ამ მომენტში გაიუს ოქტავიუსის სახელს ატარებდა.

თავის დროზე უმემკვიდრეობის გამო სასტიკად იტანჯებოდა ნაპოლეონიც. მისი ათწლიანი ქორწინება ჟოზეფინა დე ბოგარნესთან უნაყოფო აღმოჩნდა. პირველი შვილი — ვაჟი ფრანგ იმპერატორს საყვარელმა ელეონორა დენიუელმა გაუჩინა. ამ ამბით აღფრთოვანებულმა ნაპოლეონმა წამოიძახა: „ბოლოს და ბოლოს მეყოლა მემკვიდრე" და მაშინვე გადაწყვიტა, ბავშვი კანონიერად ეღიარებინა. ელეონორა დენიუელი უბედნიერესი იყო. მას უყვარდა ნაპოლეონი. თუმცა ბონაპარტმა ბოლომდე მაინც ვერ მოახერხა, მიეცა ახალშობილისთვის მემკვიდრეობის უფლება. კანონი მკაცრი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ქეიტი და უილიამსი თანამედროვე მონარქები არიან, ჯერ კიდევ უცნობია, შეძლებენ თუ არა დაარღვიონ ტრადიცია.

ბუკინგემის სასახლეში ამბობენ, რომ „ჯერ ქეითმა საკუთარი ბავშვი უნდა გააჩინოს — მემკვიდრე, შემდეგ შეუძლია, ვინც სურს ის იშვილოს".

# 2012 წლის რიცხობრივი მაგია

თუ რა მოხდება ამა თუ იმ წელს, ამისთვის საჭიროა წლის ნუმეროლოგია. არც 2012 არის გამონაკლისი.

ერთი შეხედვით, რიცხობრივი გამოსახულება — 2012 ელემენტარული რიცხობრივი შეკრებით 5-ს უდრის, რაც ნიშნავს, რომ ამ წელიწადს ცვლილებები გველის, როგორც გლობალური, ისე პირადი თვალსაზრისით. ამიტომ ყველაზე ძნელი ამ წელიწადს სწორედ ამ ცვლილებების გადატანა იქნება, თუმცა ნუ შეხედავთ ყველაფერს ისე, თითქოს მხოლოდ ცუდი უნდა მოხდეს. მთავარია — გავიგოთ, რომ ყველა ცვლილება გველოდება წლის 5 რიცხვებში და ეს ცვლილებები შემოქმედებითი და პოზიტიური იქნება. მხოლოდ მის შედეგებს არა მაშინვე, არამედ მოგვიანებით გაიგებთ. ასე, რომ თუკი რაიმე არ გამოგივათ, ნუ განაწყენდებით და ყურებს ნუ ჩამოყრით, შეხედეთ მომავალს იმედით, 2012-ში ჩვენ გველოდება მრავალრიცხოვანი დღესასწაულები და გართობა.



ყველაზე კარგია ამ წელიწადს მოგზაურობა. უმჯობესი იქნება თუ უცხო ქვეყანაში იმოგზაურებთ. ყველაზე სასიამოვნო ინფორმაციებს ელოდეთ შვებულებების დროს.

2012 წლის მაგიური თარიღები 07.07.07 და 11.11.11-ია, თუმცა სრულად ნუ დაეყრდნობით ამ რიცხვებს, რადგან „ჯადოქრები" თქვენ თვითონ ხართ და წარმატებებს მიაღწევთ მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდებით საკუთარ შესაძლებლობებში.

მაგრამ რატომ არ არის 12.12.12 იღბლიანი თარიღი ამ წელიწადს და რატომ არ უნდა ველოდეთ მაქსიმალურ სიკეთეს ამ თარიღიდან?

01.02.12, 10.02.12 და 02.10.12 — ეს სამი კომბინაცია განსაკუთრებული მაგიური დატვირთვის თარიღებია. ამ დღეებში კარგია თქვენი გული და ხელი შესთავაზოთ იმას, ვისთანაც კონტაქტი და თანხმობა გსურთ. ეს დღეები კარგია პრობლემების გადაჭრის, დიალოგის, საკამათო სიტუაციების განსამუხტავად. მოსალოდნელია, ამ თარიღებში დაალაგოთ კონფლიქტური ურთიერთობები ისეთ ადამიანებთან, რომლებთანაც არც კი გეგონათ, თუ ოდესმე მორიგდებოდით. ამ დღეებში განსაკუთრებით გაგიაქტიურდებათ ინტუიცია. თქვენ დაინახავთ ნამდვილ დამოკიდებულებას თქვენს მიმართ გარშემომყოფების მხრიდან. ამიტომაც არ გაგიჭირდებათ არჩევანის გაკეთება. ადამიანები, რომლებსაც სამეგობროდ ამ დღეებში ამოირჩევთ, თქვენი ერთგულნი იქნებიან, თქვენ შეძლებთ ამოიცნოთ მათი მიზნები და ინტერესები.

ეს დღეები წარმატებული იქნება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თქვენ შეძლებთ იმის გაკეთებას, რასაც ვერასდროს წარმოიდგენდით. ამიტომ ამ დღეებში კარგად დაგეგმეთ ის, რისი გაკეთებაც დიდი ხანია გინდოდათ.

# მაუგლი – ბავშვები

ამ თემაზე ამას წინათაც გვქონდა საუბარი, მაგრამ მკითხველთა აქტიური ინტერესის გამო კვლავ ვაგრძელებთ საუბარს. ისტორია მაუგლიზე რადიარდ კიპლინგმა მოგვითხრო. თუმცა უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ დაკარგული ბავშვები, არამედ მშობლებთან მაცხოვრებელიც შეიძლება იყოს ცხოველური ბუნების მატარებელი. ზოგიერთ ბავშვს განმარტოება უყვარს, თავს კარგად გრძნობს იზოლირებულ ოთახში და არ სურს იქიდან გამოსვლა. მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია. აღრიცხულია მსგავსი შემთხვევების მხოლოდ 200.

„მაუგლის სინდრომით" დაავადებულს ახასიათებს მეტყველების დარღვევა, ხშირ შემთხვევაში, ლაპარაკს საერთოდ ვერ ახერხებენ, განსაკუთრებით უჭირთ სუფრასთან ჯდომა და თეფშზე ჭამა და დანა-ჩანგლის ან კოვზის ხმარება, ეშინიათ ადამიანების, ყოველივე ამის გამო მათ აქვთ მყარი იმუნიტეტი, ვიდრე მათ ირგვლივ მყოფ ადამიანებს.



ფრანგი-მაუგლი, ასე უწოდებდნენ ბავშვს, რომელიც საფრანგეთში, შამპანის პროვინციაში იპოვეს 1731 წელს. ტყეში 9-10 წლის გოგონა იპოვეს, რომელიც თავიდან შავკანიანი ეგონათ, ისეთი ჭუჭყიანი იყო. გოგონას, რომელსაც შემდეგ მემი ლე ბლანკი უწოდეს, საერთოდ არ გასჭირვებია ფრანგული ენის შესწავლა. მან ენა ისედაც იცოდა და თვითონვე მოჰყვა, როგორ მოიტაცეს, როცა 7 წლის იყო. ტყეში ცხოვრების პერიოდის სხვა დეტალები გოგონამ ვერ გაიხსენა.

## მაუგლი ავეირონიდან

მე-18 საუკუნის ბოლოს სამხრეთ საფრანგეთის ტყეებში შეამჩნიეს, დაახლოებით, 12 წლის ბიჭუნა, რომელსაც უწოდეს ვიქტორი ავეირონიდან. ის იყო, თითქმის, ყველაზე ცნობილი ბიჭი-მაუგლი. მისი ისტორია მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა ფილმით „ველური ბავშვი". მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველი იყო მისი წარმოშობის ისტორია, მიიჩნევა, რომ ვიქტორმა მთელი ბავშვობა ტყეში გაატარა 1797 წლამდე, ანუ იმ დრომდე, როცა ის იპოვეს... მას შემდეგ ვიქტორი რამდენჯერმე გაუჩინარდა, ბოლოს თვითონვე გამოჩნდა 1800 წელს. მას შემდეგ ბიჭი მსოფლიოს ფილოსოფოსებისა და მეცნიერების დაკვირვების ობიექტი გახდა, თუმცა ბევრი ვერაფერი შეიტყვეს, რადგან ვიქტორს ფსიქიური განუვითარება აღენიშნებოდა.

## ლობო, გოგონა-მგელი ეშმაკის მდინარიდან

1845 წელს გამოუცნობი არსება შეამჩნიეს, რომელიც ოთხ ფეხზე დარბოდა, მგლებთან ერთად თავს ესხმოდა თხების ჯოგს მექსიკაში, სან ფელიპეს სიახლოვეს. დანახვიდან ერთი წლის შემდეგ კვლავ შეამჩნიეს, როცა მშიერი მიირთმევდა მოკლულ თხას. სოფლის მაცხოვრებლებმა გოგონას ძებნა აქტიურად დაიწყეს და მალე დაიჭირეს კიდევაც, როგორც ამბობდნენ, გოგონა ღამღამობით დადიოდა, თურმე, დედალ მგლებთან ერთად, ხოლო დღისით გამოჩენას ერიდებოდა. გოგონა დაიჭირეს, მაგრამ მგლები არ სცილდებოდნენ იმ ადგილს, სადაც სავარაუდოდ, გოგონა ეგულებოდათ. განსაკუთრებით ღამით აქტიურობდნენ. ბოლოს და ბოლოს, გოგონა-მგელმა შეძლო თავი დაეღწია ადამიანთა გარემოცვისთვის. ის აღარავის უნახავს 1862 წლამდე, როცა ის შემთხვევით შეამჩნიეს მდინარესთან ახლოს ორ პატარა ლეკვთან ერთად. მან მაშინვე მოჰკიდა ხელი თავის ლეკვებს და ტყეში გაიქცა. მას შემდეგ იგი არავის უნახავს.



# კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 1. ვ. ძავთარაძის ქარის ფილმში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". 2. სამეფო, სადაც სახლობდა ... 3. ... 4. ... 5. ... 6. ... 7. ... 13. ... 14. ... 15. ... 16. ... 17. ... 18. რ. ჩხეიძის მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა". 19. ... 24. ... 25. ... 26. ... 27. ...

ვერტიკალურად: 4. ... 20 ... 8. ... 9. ... 10. ... 11. ... 12. ... 16. ... 19. ... 20. ... 21. ... 22. ... 23. ... 26. ... 28. ... 29. ... 30. ... 31. ... 32. ...

# იაპონური კროსვორდი

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 5 | 5 | | 6 | 7 | | | | | | | | |
| | | | | | | | | 2 | 3 | 5 | 1 | 1 | 7 | 8 | 2 | 1 | | | | |
| | | | | | 2 | | | 1 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 2 | 5 | 5 | | | | |
| | 1 | 2 | 2 | 4 | 3 | 6 | 6 | 1 | 2 | 6 | 4 | 2 | 3 | 3 | 7 | 2 | 11 | 9 | 7 | 4 |
| 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 13 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 12 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 17 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 2 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 2 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 1 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |













## თავსატეხი

ჰორიზონტალურად: აქოლე, ბეჯრი, ჯურია, თარხა, ირიბა, ნიბია, ოტიტი, პაქტი, ტოლიო, ქვაბი, ლეკვი, გაჩა, შიფრი, ჩეკია, ცაცია, ჯაჯლი.

ვერტიკალურად: აგაბი, აგდია, აშიში, აძება, გაუვე დოლქბი, ზალბი, თოლები, იანგი ლურჯა, მალუა, ონორე, პუშტუ ტოგო, რონდო, ტაბლა, ფინია, ჩინია, ზვრის ჯალიბა, პიკეტი.

## სამიდან ერთი

შვეულად: 1. მელუზა, მუხუდო, მარიხა. 2. მელანია, პუნკტი, ხარიხი. 3. მეთოდი, ლუმბაგო, ბარიგა. 4. წუმპე, ლეკვი, შეიდი. 5. გოშია, მარტი, თარგი. 6. კოხტა, მუხტი, ნატრი. 11. ტრიოლეტი, ქრონიკა, ეროვნული. 12. მარშალი, ლეიკოზი, კორეკტი. 13. კუბიკი, ლაღატი, ჩიბუხი. 14. კიტრი, პანელი, ლარიკა. 15. ბელუგა, ნაგანი, ტერიერი. 16 ხოხობი, ბობერი, თიხანი.

თარაზულად: 3. ხუმარობა, ბალიგანი, ხარიყანი. 7. გელათი, გუნდა, გუგული. 8. ხანიკელი, სოლოლოკი, რაკეშიკი. 9. მოხელე, ბურანი, ჭიდილი. 10. ეროვნული, პრიოლი, სტენოზი. 13. კაბანი, კოლონა, კლუბი. 17. კრაბუნა, სტილეტი, კლიტონი. 18. მარაგი, ხანუმა, რეზუსი. 19. კორპუსი, ბარიოკი, მერქანი. 20. შოფერი, მოხელე, სასანი. 21. პროტეზი, ხრაკილელი, ტაკილი.

## შიფრვორდი

ა-3, ბ-, გ-, დ-, ე-29, ვ-, ზ-, თ-, ი-9, კ-17, ლ-, მ-, ნ-, ო-25, პ, ჟ, რ-24

ს-2, ტ-, უ-28, ფ-, ქ-, ღ-, ყ-, შ-, ჩ-, ც-, ძ-, წ-, ჭ-, ხ-, ჯ-33, ჰ-

# `svaneTis TeTri qedidan nawyveti `laCrisaRsareba~

მწერალი აკაკი გელოვანი უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედი, დახელოვნებული და ერუდირებული მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე იყო. მან მოღვაწეობა დაიწყო 1938 წლიდან და მას შემდეგ მისი ლექსები, მოთხრობები, რომანები, მხატვრული ესეები, ლიტერატურული წერილები, მხატვრული ნარკვევები, ეპიგრამები, საბავშვო ლექსები და ზღაპრები, თარგმანები სისტემატიურად ქვეყნდებოდა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, ასევე საზღვარგარეთ გამოდიოდა წიგნებად.

ქართველი მკითხველი ყოველთვის დიდი სიყვარულითა და ინტერესით ხვდებოდა მის ისტორიულ-ბიოგრაფიულ რომანებს: „სვეტი ნათლისა“, „დაფერფლილი დიდება“, „შოპენის გული“, ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი რომანი „სვანეთის თეთრი ქუდი“. რომელშიც მწერალმა ასახა სვანთა შეუპოვარი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ხალდეს ამბოხება მეფის მოხელეებისა და ადგილობრივ მებატონეთა წინააღმდეგ.

ქართული კულტურის ფრიად მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს მისი ისეთი ნაშრომები, როგორიცაა „მითოლოგიური ლექსიკონი“, რომელსაც უნდა დარქმეოდა „მითოლოგიური ენციკლოპედია“. ასეთ წიგნებს ინსტიტუტები ადგენენ, მან კი მარტომ შეადგინა. ამ ნაშრომის VI ტომი — რუსეთში დასაბეჭდად გაატანა ერთ პიროვნებას, რომლის კვალი დღემდე არ ჩანს.

საქართველოში ყველა საღად მოაზროვნე ადამიანის სამაგიდო წიგნადაა ქცეული „სიბრძნის სიმფონია“, „მარად ცოცხალი ხელოვნება“.

აგრეთვე, რელიგიურ ტერმინთა ლექსიკოსი, „რწმენა, ღმერთები და ადამიანები“, „ჰუჯაბი“ — თამარ მეფის აშენებული XII საუკუნის ეკლესია მარნეულის რ-ნში, რომელიც ჩვენია და ითვისებს „ვატიკანი“. იგი ავტორია ათზე მეტი აქტუალური, მხატვრული ხასიათის ბროშურებისა, მისი სცენარის მიხედვით გადაღებულია დოკუმენტური ფილმი „ძველი და ახალი სვანეთი“, რომელიც სვანეთის დიდებაა და არა ისეთი“ სამარცხვინო, როგორიცაა ამ ბოლო დროს გადაღებული ფილმები სვანეთზე...



აკაკი გელოვანის მხატვრული თარგმანები ურთულეს ჟანრში: აპოლონიოს როდისელი, ანდრეას გრიფიუსი, გოეთე, იბსენი, ლაქსნესი, ლეო ტაქსილი, გეორგ ვეერთი, შტეფან ცვაიგი, ჰანს ქრისტიან ანდერსენი, გუსტავ შვაბი, ჰაინე, ფრიდჰ ჰილდერლინი, ლესინგი, მიცკევიჩი, ერიჰ-მარია რემარკი, ბიურგერი, ბრენტანო, პარადისოსის „ბალთაზარ კოსა“, „ორი დიდი გერმანული ეპოსი „თქმულება ნიბლუნგებზე“ (პროზაულ-პოეტური ტექსტი) და ვუდრუნი — რჩეული გერმანული ბალადების წიგნი (100 „ბალადა“), ანდრეას გრიფუსის „ქეთევან ქართველი“, რომელიც საუკუნეების მანძილზე არავის უნახავს, რომ ეთარგმნა, გარდა აკაკი გელოვანისა, მის თარგმნაზე ოცნებობდა თურმე ივანე ჯავახიშვილი. გრიფიუსის სანუკვარი გმირი ქალის და ჩვენი ერის თეთრი მანდილის — „ქეთევანის“ თარგმნის პატივი წილად მე მხვდაო, წერს შესავალში აკაკი.

ჩვენი ერის სადიდებელი ეს ორი წიგნი მარტო რომ ეთარგმნა და სხვა არაფერი, მარტო ამიტომ ეკუთვნის დიდი პატივი და სიყვარული აკაკი გელოვანს. ის ყველგან და ყოველთვის ჩვენი ერის სიმტკიცის კედლებს აგებდა, გონებამახვილი და სატირული ენით ამომწურავ პასუხებს სცემდა, ჩვენი ერის სიმტკიცის კედლებს აგებდა, გონებამახვილი და სატირული ენით ამომწურავ პასუხებს სცემდა ჩვენი ერის მოშურნეებსა და მტრებს.

უამრავი პოლემიკური წერილები აქვს სხვადასხვა ავტორთა ანტიქართული გამოხტომების წინააღმდეგ. ლირიკა რჩება მის სანუკვარ ჟანრად და აქ მძლავრად გაისმის ხოტბა მისი მშობლიური და სათაყვანებელი სვანეთისა, რომელსაც განადგურება ელის ჰესის მშენებლობისგან.

ავთო მარგიანის ლექსი დაბეჭდეს ახლახან წიგნში „სვანეთის ისტორიის ფურცლები“, რომელიც სავსეა შეცდომებითა და მოპარული ტექსტებით. თქვენ, სვანებო: როზეტა გუჯეჯიანო, ნატო ასათიანო, ერეკლე საღლიანო (ვინც სვანეთზე გადაცემა გააკეთე და აკაკი არც გიხსენებია) გერონტი გასვიანო, ზვიად და სოსო კვიციანებო, არა გრცხვენიათ? ღმერთის არ გერიდებათ? — არ თქვათ, არ ვიცოდითო, არ იცოდით? — როგორ უღალატეთ ამ ლექსების დამწერს.

მარტო ლექსი კი არა, ტექსტებიცაა მოპარული. ვიღაც ნარო კოლხელს გადაუწერია „სვანეთის თეთრი ქუდიდან“, უწერია აგრეთვე სვანეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელზე: „ეცერელი ბუშები“ — ამას ეცერელები არ შეგარჩენენ იცოდეთ“...

**ელისო გელოვანი**

# msaxiobTa saxli quTaisSi

*სახლი წმინდა ნინოს ქუჩაზე-იტალიურ ეზოში მე-20საუკუნის ქუთაისის თეატრალური ცხოვრების მოგონებას ინახავს. სახლი ქუთაისის ცენტრში ბულვარის წინ წმინდა ნინოსა და ფალიაშვილის ქუჩების კვეთაზეა. იქვეა სადაც ოპერის თეატრი, თოჯინების თეატრი და მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი.მსახიობთა სახლი გარედან ადვილი საცნობია, მასზე 1938 წელია ამოტვიფრული. ეს ის თარიღია, როდესაც ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი გაიხსნა. მსახიობები მთელი საქართველოდან შეკრიბეს და აქ, ამ სახლში დააბინავეს. ქუთაისში მოღვაწეობის წლებში აქ ცხოვრობდა ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდა იპოლიტე ხვიჩიაც.*

**ვაჟა ოყრეშიძე:** ქუთაისის მესხიშვილის თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი: მაშინ ეს სახლი სამი ოჯახისთვის აშენდა, მაგრამ შემდეგ ოთახებად დაჰყვეს და თითოეულ ოთახში მსახიობები შეასახლეს-ბარნაბა კოკელაძე, შალვა ხონელი, შალვა ქარცივაძე. რეჟისორი გრიშა სულიაშვილი, თავის მეუღლესთან მსახიობ სოფიკო ვაჩნაძესთან ერთად. აქვე ცხოვრობდნენ საქართველოს სახალხო არტისტები მარგო ვაჭარაძე, შოთა პირველი, თიკო ღვინიაშვილი...

**— იპოლიტე ხვიჩიას შესახებ რას იყვით?**

— აქ იპოლიტე ცხოვრობდა მის მეუღლესთან თამარ ჯობაძესთან ერთად, მათი თანაცხოვრება 7-8 წელი გრძელდებოდა 1948-50-იან წლებამდე. თამარ ჯობაძე ქართულ კინოში შემორჩენილია „იმერულ ესკიზებში“ მათხოვარი ქალის როლით, „ფუჩეჩი-ფუჩეჩი“ რომ ამბობს. როდესაც იპოლიტე ამ ეზოში ცხოვრობდა, მე მაშინ ბავშვი ვიყავი, იპოლიტეს ბავშვები ძალიან უყვარდა, ძალიან გვანებივრებდა. ჩემი ოჯახი ამ ეზოში მოგვიანებით გადმოვიდა, როცა ერთ-ერთი ოთახი გათავისუფლდა-მამაჩემი სერგო ოყრეშიძე რეჟისორი იყო, დედა — ნუცა ქაჯაია-მსახიობი. მესხიშვილის თეატრის შემდეგ ის თოჯინების თეატრში მუშაობდა...აქვე ცხოვრობდნენ თეატრის სხვა თანამშრომლები — გრიმიორი, მუსიკოსები, ერთდერთი ოჯახი, რომელიც განსხვავებული პროფესიის ადამიანს ეკუთვნოდა, იყო ლევან გაბრიაძის. ის იყო ქალაქკომის მდივანი და თავიდანვე ისიც აქ შემოასახლეს, ეს ბინა ახლაც გაბრიაძეებს ეკუთვნით.ლევანის ვაჟი გახლავთ სახელოვანი რეზო გაბრიაძე, რეჟისორი და დრამატურგი, რომელიც ამ ეზოში გაიზარდა.

ბადრი კოკელაძე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გუდარ კოკელაძის ვაჟი

ამ ეზოს მთავარი დამახასიათებელი შტრიხი იყო ის, რომ აქ ერთი პროფესიის ადამიანები ცხოვრობდნენ, ერთი ჭკუის ხალხი იყო, დილით რეპეტიციებზე ერთად მიდიოდნენ, საღამოსაც სპექტაკლის შემდეგ ერთად ბრუნდებოდნენ. ამ ეზოში სახლის კარები არ იკეტებოდა, ყველანი ერთი ოჯახივით იყვნენ, სტუმარი რომ მოვიდოდა, ყველას სტუმარი იყო. საღამოობით ჩაის სმა და ლოტოს თამაში იმართებოდა, რა თქმა უნდა, სასაუბრო თემა მუდამ თეატრი იყო. ზაფხულობით, გასტროლებზე რომ ჩამოდიოდნენ თეატრები, მსახიობებს ოჯახებში ანაწილებდნენ, ანუ ამათ კიდევ ემატებოდა თბილისელი კოლეგები. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა ამბები ტრიალებდა აქ. ეს იყო მხიარულების, იუმორის, ხუმრობის და სიმღერის ეპიცენტრი.

მამაჩემს, გუდარ კოკელაძეს მთელი ცხოვრება იუმორში და ხალისში აქვს გატარებული, მას მხარს უბამდა დედაჩემიც — ქალბატონი მერი, გერმანისტი ქალია. ახლა გუდარი ცოცხალი აღარაა, მერი კი ავადაა. ერთხელ მამაჩემს ასეთი ამბავი დაემართა, რომელსაც შემდეგ ანეკდოტად ყვებოდნენ; მაშინ სასტუმრო „ქუთაისთან“ ქუთაისლების შეკრების ადგილი იყო, იქ მისულ გუდარს უთხრეს: საქეიფოდ მივდივართო. გუდარს უთქვამს: გამომყევით, სპექტაკლი მაქვს, დასაწყისშივე მომკლავენ და მერე თქვენს გვერდით ვარო. ერთმოქმედებიანი სპექტაკლი იყო, მსახიობმა გიორგი [ჟორა] ლასხიშვილმა გაიგო, რომ გუდარი საქეიფოდ წასვლას აპირებდა, შევიდა სცენაზე, წაიხმალავა ცოტა, მოკლა ყველა, შემდეგ „დახოცილები“ ყველა სცენიდან გაიყვანა, გარდა გუდარისა. სპექტაკლი გრძელდება, გუდარი მიხვდა, რომ ჟორა მის გაყვანას არ აპირებს და ჩუმად ეძახის, ჟორა, გამიყვანე სცენიდან, მელოდებიანო, მაგრამ უშედეგოდ. გუდარმა გადაწყვიტა, თავისი თავისთვის თვითონ ეშველა და დაიწყო ფორთხვა. საათნახევრიან სპექტაკლში საათი და ოცი წუთი იფორთხა, ბოლოს მიეჭრა ჟორა: აჰ, ეს ვერაგი ისევ ცოცხალი ყოფილაო, „ჩასცა“ ისევ მახვილი და შეათრია სცენის შუაგულში. გუდარმა ველარ მოითმინა, წამოხტა და გავარდა სცენიდან...მაშინ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი აკაკი ვასაძე იყო, დაიბარა ორივე.

— ლასხიშვილო, რატომ არ გაიყვანე კოკელაძე სცენიდან?

— ბატონო, ხელი მტკიოდა და ვერ გავიყვანეო.

— კოკელაძე, როდის იყო, მკვდარი თავისით გარბოდა?

ორივეს თითო თვის ხელფასი დაუქვითეს.

როცა გოგი ქავთარაძე იყო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სპექტაკლები მეტი სიხშირით იდგმებოდა. გოგის უსაყვედურეს კიდეც — რა არის, ხაჭაპურებივით რომ აცხობ ამ სპექტაკლებსო. ბატონ გოგის უთქვამს: მსახიობები დასაქმებული მყავს და ამ სპექტაკლებიდან ორი ხომ მაინც გამოვაო... ერთი სპექტაკლი ჰქონდათ, რომელშიც ნაძვის ხეების იმიტაციას აკეთებდნენ. გუდარი რეპეტიციაზე ნაბახუსევი მივიდა და ვერ ადის კუნძზე, რომ ნაძვის ხე განასახიეროს,ამის ნაცვლად ჩაიცუცქა: ადი გუდარი ზემოთ, რას შვები?-ეუბნება, თურმე, გოგი.

— რა იყო, გადაჭრილი ნაძვი არ გინახავთო? - უპასუხნია გუდარს.

**ვაჟა ოყრეშიძე:** მთელი ჩვენი ცხოვრება თეატრი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრში მასიურ სცენებში მათამაშებდნენ, შემდეგ მოწაფე-თანამშრომლად ჩამრიცხეს. თეატრალურ ინსტიტუტში არ მიმიღეს, რიტმიკაში ჩავიჭერი, არადა, ქუთაისის ფოლკლორულ ანსამბლში ცნობილ ქორეოგრაფებთან ვცეკვავდი, სოლისტი ვიყავი და როგორ ვერ ავუწყვე მათ მუსიკას ფეხი, არ ვიცი. პედაგოგიური სასწავლებელი დავამთავრე, მაგრამ თეატრს ერთი დღითაც არ მოვშორებივარ. აქ ჩემი პედაგოგი და აღმზრდელი აკაკი ვასაძე იყო. ამაზე უკეთესი პედაგოგი თეატრალურ ინსტიტუტშიც არ იყო. აკაკი ვასაძე ქუთაისში 1958-დან 1967წლამდე მოღვაწეობდა, დაუვიწყარი იყო მისი „კოლხეთის ცისკარი“ ,სადაც იპოლიტე თამაშობდა დახუნდარას როლს, ეს იყო განუმეორებელი დახუნდარა, ერემო სვანაძე იყო ხაჟომიას და ნიკო წიკლაური მექის როლში. ეს სამეული ბრწყინვალე სანახაობას ქმნიდა.

ვასაძემ დადგა „მოკვეთილი“ — ესეც ბრწყინვალე სპექტაკლი იყო, „რიჩარდი“ დადგეს, სადაც რიჩარდის როლი თვითონ აკაკი ვასაძემ შეასრულა. რეჟისორულად კარგი ნამუშევარი იყო, მაგრამ თვითონ აკაკი იყო უკმაყოფილო თავისი თავით: — „ მე შევცდი, რიჩარდი ათი წლით ადრე უნდა მეთამაშა, მე მაგისთვის უკვე დავბერდიო''. არა და რა იყო, მაშინ 50 წლისაც არ იყო. ჩემი პირველი სერიოზული როლი აკაკი ვასაძემ მათამაშა. მან აღადგინა „ანზორი“ ახმეტელისეული დადგმა და მათამაშა „ახმა“, რომელსაც მაშინ თვითონ თამაშობდა. აკაკი ვასაძის წლებს ვიგონებ, როგორც ქუთაისის თეატრისათვის ყველაზე საუკეთესო პერიოდს -საუკეთესო სპექტაკლებს დგამდა, აკადემიურს. ასევე განუმეორებელია გოგი ქავთარაძის ხელმძღვანელობის პერიოდი. შემოქმედებითი მუშაობა ძალიან მაღალ დონეზე იყო და შედეგიც მივიღეთ-მაშინ ყველაზე დიდი აღიარება მოსკოვში საგასტროლოდ წასვლა იყო. იქ შეხვედრა მოგვიწყვეს ცენტრალურ კომიტეტში და გვითხრეს: ჩვენ, მოსკოვში, რესპუბლიკის მეორე ქალაქის თეატრები არ ჩამოგვყავს, მხოლოდ დედაქალაქის თეატრები და ისიც ორი სპექტაკლით. მართლაც ასე იყო. რუსთაველის თეატრი აქ მხოლოდ ორი სპექტაკლი ჩამოდის და თქვენ ექვსი სპექტაკლით ჩამოგიყვანეთ, ეს კი ამ კაცის — გოგი ქავთარაძის დამსახურებააო — ეს იყო 1981 წელს.



დავუბრუნდეთ ისევ ამ ეზოს-იმ დროს მოდაში იყო ჩაის სმა, თიკო ღვინიაშვილის ოთახში იკრიბებოდნენ, მიდიოდა ჩაის სმა და ლოტოსა და ნარდის თამაში, სპექტაკლების განხილვა, იყო ხუმრობა, მსახიობებს ტოლს არ უდებდნენ მათი მეუღლეებიც...ოინი მოუწყვეს მსახიობ მარგო ვაჭარაძეს, მას თურმე ხშირად თავბრუ ეხვეოდა, როცა ოთახიდან გამოვიდა, ყველა სურათი თავდაყირა დაუკიდეს, საწყალს ეგონა ცუდად ვარო და ქალბატონ მერის მიაკითხა გუდარის მეუღლეს: უთხრა კედელზე ყველა სურათი უკუღმა ჰკიდიაო, დაამშვიდეს, ალბათ, მოგეჩვენაო, სანამ ის ოთახში უკან დაბრუნდა, ოინბაზებმა სურათებისათვის თავდაპირველი მდგომარეობის დაბრუნება მოასწრეს. მარგო გაოგნებული იყო, — იხსენებს ვაჟა ოყრეშიძის მეუღლე ქალბატონი ნუნუ.

იტალიურ ეზოში აივანიც საერთო იყო, წყალიცა და საპირფარეშოც. ონავარი ბავშვები დილით სახურავზე აძვრებოდნენ და კარებს შიგნიდან კეტავდნენ. როდესაც ცოცხალ რიგში ყველა მეზობელი აღმოჩნდებოდა, მერე იწყებდნენ გარკვევას, აბა, იქ ვინ არისო, ამ სიცილსა და მხიარულებაში იპოლიტეც ერია. მისი ერთი გავლაც საკმარისი იყო, რომ უკვე ყველა სიცილით კვდებოდა, — ამბობს ბატონი ვაჟა. ასეთი გვახსოვს ჩვენც, მხიარული...



ამ ეზოში თავისი ბავშობა გაატარა რეზო გაბრიაძემ, როგორც ბატონი ვაჟა ამბობს, ისიც „კაი მაკვარანცხი“ ვინმე ყოფილა: გრიმიორი, რომელიც ამ ეზოში ცხოვრობდა ფეხბურთის საოცარი გულშემატკივარი იყო. რეზომ მისი ოთახიდან რადიოს ხაზი გამოიყვანა შოთა პირველის ოთახში და იქედან დაიწყო ფეხბურთის მატჩის კომენტარის გადმოცემა. ვითომ თბილისის „დინამო“ რომელიღაც ძლიერ გუნდს ეთამაშებოდა. გალაკტიონი, ჩვენი გრიმიორი დაიხმარა. გალაკტიონმა ბავშვები შეგვიყვანა ოთახში და გვითხრა: მე რომ გეტყვით, თქვენ „გოლ“ დაიყვირეთო. მართლაც ასე ვქენით „7:0 “ დინამოს. პატარა ოთახში ჩვენს ყიჟინას ექო ჰქონდა-დამაჯერებელი რეპორტაჟი გამოგვივიდა, მეორე ოთახში უფროსები გაფაციცებით უსმენდნენ რეზოს გადმოცემულ მატჩს. მაშინ რეზო სკოლის მოსწავლე იყო,სკოლის დამთავრების შემდეგ აქედან წავიდა, სწავლა უკრაინაში გააგრძელა. მან ისე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი,მამამისისგან ფული არ მიუღია — „მე მინდა ჩემი შრომით მივაღწიო მიზანს და არა მამაჩემის ფულით და დახმარებითო“ — ამბობდა რეზო, ღამით მუშად მუშაობდა და დღისით სწავლობდა, თავისით მიაღწია ყველაფერს.

ძველი მეზობლებიდან წმინდა ნინოს 21-ში, მაშინდელ 1905 ქლის რევოლოციის 23-ში მხოლოდ კოკელაძეებისა და ოყრეშიძეების ოჯახები შემორჩნენ. გუდარის ვაჟმა ბატონმა ბადრიმ მსახიობობას მშენებლის პროფესია არჩია მისი ქალიშვილი თამთა კოკელაძე კი ჟურნალისტია. მამის ტრადიციას ვაჟა ოყრეშიძის ვაჟი აგრძელებს. ლაშა ოყრეშიძე მსახიობია. ის ცნობილია კინოფილმიდან „ანთიმოზ ივერიელი“ — ანთიმოზის როლში.

**ირინა მაკარიძე**

**ქუთაისი**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**— განვქორწინდი მეუღლესთან. იმ ეტაპზე ჩვენს შორის ქონებრივი დავა არ ყოფილა. ახლა წარმოიშვა ეს დავა. რა ვადაში შემიძლია სასამართლოში სარჩელის შეტანა?**

— განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

* * *

**— გარდამეცვალა ვაჟი. რძალმა იმშობიარა ჩემი შვილის გარდაცვალებიდან მეათე თვეს, ამტკიცებს, რომ ის ჩვენი შვილიშვილია. რაც არ გვჯერა. როგორ მოვიქცეთ?**

— მედიცინაში ცდომილება ხშირად ხდება, სწორედ ეს გაითვალისწინა კანონმდებელმა, როცა სამოქალაქო კოდექსის 1188-ე მუხლით გვითხრა შემდეგი: „მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს ათი თვისა“.

თუ ეჭვი გეპარებათ იმაში, რომ ბავშვი არ არის თქვენი შვილიშვილი, შეგიძლიათ, მოითხოვოთ ექსპერტიზის ჩატარება.

ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ექსპერტიზის ჩატარებამდე, რომ აღნიშნული წარმოადგენს ფრიად დელიკატურ საკითხს. თუ ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ახალშობილი თქვენი ბიოლოგიური შვილიშვილია, თქვენ დამშვიდდებით, მაგრამ რძალს გულს ძალიან ატკენთ და მისგან მომავალში უარყოფით დამოკიდებულებას უნდა ელოდეთ თქვენს მიმართ.

* * *

**— ჩემი მეზობელი საშინლად ექცევა თავის არასრულწლოვან შვილებს. კერძოდ, ცემს ბავშვებს, არ უშვებს სკოლაში. რით შეგვიძლია, მათ დავეხმაროთ?**

— სამოქალაქო კოდექსის 1198-1 მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის უფლებას დაცვაზე. კერძოდ:

I ნაწილი: არასრულწლოვანს აქვს უფლება მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, მშობელთა (ერთ-ერთი მშობლის) მიერ ბავშვის აღზრდასთან, განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, 14 წლის ასაკიდან კი სასამართლოს.

II ნაწილი: ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა, არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებულნი არიან, ამის შესახებ შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულწლოვნის ფაქტიური ადგილსამყოფელის მიხედვით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე ვალდებულნი არიან, გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.



აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ შეგიძლიათ აცნობოთ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს იმის შესახებ, რომ თქვენი მეზობელი არასრულწლოვანი შვილების მიმართ თავის უფლებამოსილებას იყენებს ბოროტად.

* * *

**— შვილად ავიყვანე გოგონა. რა თქმა უნდა, არსებობს საშიშროება, რომ მას ვინმე გაუმხელს მისი შვილად აყვანის ფაქტს. სამოქალაქო კანონმდებლობის რომელი ნორმა მიცავს ამ შემთხვევაში?**

— თქვენ ნაშვილების კანონიერი მშობელი ხართ და გიცავთ, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

ვფიქრობ, თქვენთვის საინტერესო იქნება სამოქალაქო კოდექსის 1263-ე მუხლის, კერძოდ:

I. ნაწილი: შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება, მშვილებლის თანხმობის გარეშე, აკრძალულია, სანამ შვილად აყვანილს არ შეუსრულდება 18 წელი.

II. ნაწილი: შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება აკრძალულია, შვილად აყვანილის თანხმობის გარეშე, თუ მას უკვე შეუსრულდა 18 წელი.

III ნაწილი: შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება ბიოლოგიური მშობლის (გამშვილებლის) შესახებ აკრძალულია ბიოლოგიური მშობლის (მშობლების) თანხმობის გარეშე.

IV ნაწილი: პირი, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული თანხმობის გარეშე გაამჟღავნებს შვილად აყვანის ფაქტს, პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

ასევე, წარმოგიდგენთ სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის შინაარსს მთლიანად:

I ნაწილი: შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე, — ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე.

II ნაწილი: იგივე ქმედება:

ა) იმის მიერ, ვინც ვალდებულია დაიცვას შვილად აყვანის ფაქტი, როგორც სამსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება;

ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, —

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

* * *

***— რა მიეკუთვნება უძრავ ნივთებს?***

— სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის მიხედვით, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი, მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე, შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

* * *

***— რა ჩაითვლება მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად?***

— ვადის გადაცილებად ითვლება, თუ:

ა) შემსრულებლისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება;

ბ) შესრულების ვადის დადგომიდან, კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც, იგი არ ასრულებს ვალდებულებას.

ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

* * *

***— რომელ სააგენტოში შევიტანო სარჩელი განქორწინების შესახებ?***

— განქორწინების რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

# socialuri dazRveva germaniis federaciuli respublikaSi

### სოციალური დაზღვევის სივრცე

გერმანიაში სოციალური დაზღვევით მოცულია ყველა, ვინც დაქირავებით მუშაობს (მათ შორის წარმოებაში მყოფი მოსწავლეები), ზოგიერთი კატეგორიის თვითდასაქმებულები, პირები, ვინც უვლიან 3 წლამდე ბავშვებს, პირები ვინც ეწევიან ალტერნატიულ სამხედრო სამსახურს, უმუშევრები და უსასყიდლოდ მომუშავეები.

დაზღვევის განსაკუთრებული სისტემები არსებობს თვითდასაქმებულთა გარკვეული ჯგუფებისთვის, მაღაროელთათვის, საზოგადოებრივი სექტორის მუშაკთათვის და ფერმერებისთვის.

### დაფინანსების წყაროები

გერმანიაში დაზღვეულ პირს სოციალური დაზღვევის ფონდში ყოველთვიური შემოსავლის 9,95 პროცენტი შეაქვს, მინიმალური ასათვლელი თანხა 400 ევროს შეადგენს, შენატანი მოცულობა მცირდება 401 ევროდან 800 ევრომდე. მაქსიმალურ წლიური თანხა, რომლიდანაც ილება შენატანები შეადგენს 66 ათასი ევრო, მაღაროელთათვის, მეზღვაურთათვისა და რკინიგზელთათვის 81600 ევრო. თვითდასაქმებულებს შეაქვთ 19,9 პროცენტი თვიური შემოსავლიდან მინიმუმ 79,6 ევროდან, მაქსიმუმ 1094,5 ევრომდე.



დამსაქმებელი სოციალური დაზღვევის ფონდში იხდის სახელფასო უწყისის თანხის 9,95 პროცენტს, 15 პროცენტს იხდის მათთვის, ვისი ხელფასიც თვეში 400 ევროზე ნაკლებია და 16,45 პროცენტს იხდის მაღაროელთათვის, მეზღვაურთათვის და რკინიგზელთათვის. დაუზღვეველთა მაგივრად შენატანი მთავრობას შეაქვს.

### პენსიის დანიშვნის პირობები

გერმანიაში ასაკის მიხედვით პენსია ენიშნება 65 წლის ადამიანს, თუ მისი შენატანების სტაჟი მინიმუმ 5 წელს მაინც შეადგენს ის პირები, ვინც 1964 წლის შემდეგ დაიბადნენ საპენსიო ასაკი 67 წელს უდრის, მათთვის, ვინც ადრეა დაბადებული, საპენსიო ასაკი 65 წლიდან 67 წლამდე ეტაპობრივად ამაღლდება 2012-2029 წლებში, სრული პენსიისთვის საჭირო შრომითი სტაჟი გაიზრდება 45 წლამდე.

განსაკუთრებული პირობები გათვალისწინებულია უმუშევართათვის, ნაწილობრივ დასაქმებულთათვის, დასაქმებული ქალებისთვის, მიწისქვეშ მომუშავე მაღაროელთათვის და სხვა ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთათვის პენსიაში ვადამდე გასვლის შემთხვევაში არის განსაკუთრებული შკალა, რომლის დროსაც სრული პენსიის გაცემა ხდება. პირი შენატანებს იხდიდა მინიმუმ 35 წლის განმავლობაში და მისმა ასაკმა 63 წელს მიაღწია.

### ასაკის მიხედვით პენსიის მოცულობა

გერმანიის დასავლეთ ნაწილში ასაკის მიხედვით პენსიის საშუალო მოცულობა 1120 ევროს, ხოლო გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში 1010 ევროს შეადგენს. ხარჯები ამ პენსიაზე, ისევე, როგორც ყველა სხვა სახეობის სავალდებულო სოციალური დაზღვევაზე თანასწორად იყოფა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. მაგალითად, უმუშევრობის შემწეობის ფონდში 3,25 პროცენტი იხდის, როგორც დასაქმებული თავის ხელფასიდან, ასევე დამსახურებული საწარმოს ხელფასის ფონდიდან. უმუშევრობის შემწეობის მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ დაზღვეული გადადის სახელმწიფო სოციალურ შემწეობაზე, ხოლო დასაქმებული და დამსაქმებელი წყვეტენ შენატანს.

### ინვალიდთა შემწეობის მოცულობა

პირს ინვალიდობის შემწეობა ენიშნება შრომისუნარიანობის 50-პროცენტიანი დაკარგვისას და თუ იგი სათანადო ფონდში შენატანებს 35 წლის განმავლობაში ახორციელებდა. არის შკალა, რომელიც ითვალისწინებს ინვალიდობის ხარისხს, შემწეობის მიმღების ასაკს და ფონდში განხორციელებული შენატანების სტაჟს. ინვალიდობის შემწეობის მოცულობა იანგარიშება პირის საშუალო წლიური შემოსავლიდან, თუ რა თქმა უნდა, იგი დაზღვეული იყო. მაღაროელებს, მეზღვაურებსა და რკინიგზელებს განსაკუთრებული სქემები გააჩნიათ. თუ ადამიანი 60 წლის მიღწევამდე დაინვალიდდა, ეს ითვალისწინება მისთვის შემწეობის მოცულობის განსაზღვრისას. ამ შემთხვევაში შემწეობის მოცულობა მცირდება 0,003 პროცენტით ყოველ თვეზე საპენსიო ასაკის დადგომამდე. 65 წლის მიღწევისას ინვალიდობის შემწეობა სრულად გადადის ასაკის მიხედვით პენსიაში, რომელიც არ შეიძლება იყოს ინვალიდობის შემწეობაზე მცირე. ყოველწლიურად ინფლაციის გათვალისწინებით ხდება შემწეობების ინდექსაცია.

### შემწეობის მოცულობა მარჩენალის დაკარგვისას

გერმანიაში მარჩენალის დაკარგვისას შემწეობა ინიშნება, თუ გარდაცვალების მომენტისთვის მარჩენალს გააჩნდა შენატანების 5-წლიანი სტაჟი მაინც. მარჩენალის დაკარგვაზე შემწეობის მიღება შეუძლიათ მათაც, ვინც ამ პირთან სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფებოდა. მშობლის დაკარგვისას შვილებს შემწეობის მიღება შეუძლიათ 27 წლის ასაკამდე, თუ არიან ინვალიდები, სტუდენტები, გადიან პროფესიულ მომზადებას ან იმყოფებიან ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში. მარჩენალის დაკარგვისას შემწეობის მოცულობა ეფუძნება გარდაცვლილის ინდივიდუალურ შემოსავალს. პირველი სამი თვის განმავლობაში ხდება მისი სრული მოცულობით გაცემა, შემდგომ მცირე საქვრივო პენსიის მიმღებთათვის იგი შეადგენს 55 პროცენტს, ხოლო საკუთარი დიდი პენსიის მქონეთათვის, 25 პროცენტს. მაღაროელთათვის, მეზღვაურთა და რკინიგზელთათვის განსაკუთრებული დებულებები მოქმედებს.

მარჩენალის დაკარგვის შემწეობის მოცულობა, როგორც წესი, გარდაცვლილის შემოსავლის 40 პროცენტს შეადგენს თუ მისი სუფთა შემოსავალი 718 ევროს აღემატებოდა. გათვალისწინებულია დამატებები ბავშვების სარჩენად, ობლის პენსია გარდაცვლილის შემოსავლის 40 პროცენტს უდრის თუ მისი შემოსავლები თვეში 478 ევროს არ აღემატებოდა.

**დავით არაბიძე**

**განათლების ეროვნული კავშირის მდივანი**

# მამაკაცებს ავი ქალები მოსწონთ?

პირველ რიგში, უნდა დაივიწყოთ, რომ თქვენ ყველაზე კარგი ხართ, არაა საჭირო იმის მტკიცება, რომ თქვენ იდეალური მეორე ნახევარი ხართ. თქვენ არა ხართ ნახევარი!

ერთი სიტყვით, მამაკაცთა 93 პროცენტი თვლის, რომ ქალის დაფასებას იწყებენ მაშინ, როცა ის სულ უფრო და უფრო იშვიათად რეკავს და როცა შეხვედრას სთხოვთ, სულ უფრო მეტად იკავებს თავს. ასეთ შემთხვევაშიც კი ის მოულოდნელად კარგავს კონტროლს და საოცრად სექსუალური ხდება. გადის დრო და ის (ქალი) სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებულია მამაკაცზე.



თავისი სენსაციური დაკვირვების და დასკვნების შესახებ ამერიკელი მკვლევარი შერი არგოვი ჰყვება, თუ როგორ უნდა მოიქცეს ქალი, რომ მუდმივად მამაკაცის ყურადღებას იმსახურებდეს. უნდა შეასრულოთ 100 პრინციპი, — ამბობს შერი არგოვი. თანამედროვე მამაკაცი ძველისგან მკვეთრად განსხვავდება, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ის კვლავ რჩება მონადირედ და ქალს უყურებს, როგორც სანადირო ობიექტს.

პრინციპში, ნუ გამოიჩენთ თავს მაინცდამაინც დამოუკიდებლობით, ეს განიზიდავს მამაკაცს, მაგრამ თუკი არის თქვენში ისეთი რამ, რისი მიღებაც მას არ შეუძლია, ის პირდაპირ ჭკუიდან იშლება, სანამ საწადელს არ მიაღწევს და სასურველს არ მოიპოვებს.

მას შემდეგ, რაც ქალი დაიწყებს მიბაძვას და შედარებას მამაკაცის ყოფილ ქალთან, მისი ,,ფასი“ მცირდება.

და კიდევ, რაც ყველაზე მთავარია — ქალბატონები სამყაროს მშვენიერებანი არიან. არ ღირს მამაკაცებზე ნერვიულობა, ვინც ვერ ხედავს — ბრმაა, ხოლო ბრმა ყოველთვის უფსკრულში იჩეხება.

# 21 მარტი — ასტროლოგიისთვის განსაკუთრებული დღე

19-20-21 მარტი, მონაცვლეობით, ყოველ წელიწადს ასტროლოგიის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად იზეიმება მეცნიერების, მათემატიკოსების, ასტროლოგების, ენთუზიაზისტების მიერ. ამ დღეს იწყება ახალი ასტროლოგიური წელიწადი. დაახლოებით, 10 წლის წინ აღმოსავლელმა ასტროლოგებმა მსოფლიოს შესთავაზეს ახალი ასტროლოგიური წლის დასაწყისი — 21 — მარტი ასტროლოგიის საერთაშორისო დღედ გამოეცხადებინათ. ამ დღეს მზე ვერძის ზოდიაქში შედის. ასტროლოგია ბერძნული სიტყვაა — **Astro** — ვარსკვლავი, **Logos** — აზრი, მეცნიერება, და შეისწავლის ვარსკვლავების ზემოქმედებას დედამიწაზე და ადამიანზე. ასტროლოგია უძველესი მეცნიერებაა და იგი ასტრალურ კულტურებთან, ასტრალურ მითოლოგიასთან არის დაკავშირებული. ამ მეცნიერებამ ფართოდ იპოვა განვითარება რომის იმპერიაში. პირველი ჰოროსკოპები ჩვ.წ.აღ-მდე I ს-ის მიჯნაზე გამოჩნდა. თანამედროვეობაში ასტროლოგია განსაკუთრებულ როლს თამაშობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ასტროლოგია ითვლება ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორად ბიზნესმენებისა და პოლიტიკოსებისთვის. ისინი უკვე ნაბიჯს არ დგამენ ვარსკვლავების ,,გარეშე“, ასეთია ფსიქოლოგების შეხედულება. საქმე ის არის, რომ მსოფლიოში ბევრი ფსევდოასტროლოგია, მათ შორის, კანტიკუნტად არის ნამდვილი სპეციალისტი, მაგრამ ვარსკვლავებს ვერ მოატყუებ, მათ იციან, ვის ,,გაუღიმონ“.



# ჯინსი და ჯემპრი — დეპრესიის პირველი ნიშანია



ბრიტანელი ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა პირდაპირ მოქმედებს ჩვენი ტანსაცმლის კარადის შემადგენლობაზე და ჩაცმის სტილზე. პრობლემების დროს ჩვენ, უბრალოდ, არ გვსურს კარგად ჩავიცვათ, თუმცა დეპრესიიდან გამოსასვლელად ტანსაცმელი ერთ-ერთ მთავარ და წამყვან როლს თამაშობს. ქალბატონებს, რომლებიც მიზეზების გამო ხშირად ცუდ ხასიათზე არიან, ვურჩევთ, ჩაიცვან ნათელი, კაშკაშა ფერის ტანისამოსი.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — ბევრ დროს დაუთმობთ დისკუსიას. ეს კვირა თქვენგან სრულ მობილიზებასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს. მოსალოდნელია შეხვედრა თქვენთვის საინტერესო პიროვნებასთან.

**კურო** — მიზანდასახულობა თქვენი მთავარი კოზირი იქნება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ოჯახურ ვახშამზე, გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, თავის მართლება მოგიწევთ.

**ტყუპები** — ფრთხილად იყავით, უადგილო ადგილას წუწუნით კარიერას საფრთხეს ნუ შეუქმნით. შესაძლოა, მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის წყალობითაც, თქვენ წინაშე ახალი პერსპექტივა გადაიშლება.

**კირჩხიბი** — პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები გელით. უარი თქვით ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც დიდი ხანია, სიამოვნებას აღარ განიჭებთ და ახალი რომანი გააბით.

**ლომი** — საუკეთესო კვირაა შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად და დიპლომატიური შესაძლებლობების გამოსავლენად. ძვირად ღირებული ნივთების შეძენისას თავშეკავება გმართებთ.

**ქალწული** — წარმატება გელით ყველა იმ საქმეში, რაც შემოქმედებით მოღვაწეობასთან, ლიტერატურასა ან ვაჭრობასთან იქნება დაკავშირებული.

**სასწორი** — სასიყვარულო ურთიერთობები გაგირთულდებათ და შეიძლება, ინტრიგაშიც გაეხვითო. პარტნიორს ეჭვიანობის საფუძველს ნუ მისცემთ. გამოიჩინეთ წინდახედულობა და ემოციებს არ აჰყვეთ.

**მორიელი** — თქვენს ცხოვრებაში წარმატებული პერიოდი დადგა, წინ სიურპრიზებით სავსე კვირა გელით. ეცადეთ, მაქსიმალურად იაქტიუროთ და ცხოვრება უკეთესობისაკენ შეცვალოთ.

**მშვილდოსანი** — დროა, იმიჯის შეცვლაზე იზრუნოთ და ახალი ტანისამოსი შეიძინოთ. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი საყვარელ ადამიანს დაუთმეთ. უქმე დღეებში ქალაქგარეთ წადით და დაისვენეთ.

**თხის რქა** — ეს კვირა იდეალურია კარიერაში წინსვლისთვის. საშუალება მოგეცემათ, ახალი, მაღალანაზღაურებადი სამსახური იშოვოთ. კარგი კვირაა შოპინგებისათვის და გარდერობის გაასახლებლად.

**მერწყული** — სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არაა. თუ რაიმე შეიცვლება, მხოლოდ სასიკეთოდ კვირის მეორე ნახევარი საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ და მას სიურპრიზი მოუწყვეთ.

**თევზები** — ამ კვირაში თავგადასავლებს, ფულს და საჩუქრებს ელოდეთ. ახალი ნაცნობობა ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ურთიერთობაში ნადაიზრდება, ამიტომ შეეცადეთ, ეს კვირა მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენოთ.

## ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:

სკანვორდი

1. ტუკანი. 2. პლაფონი. 3. პინგვინი. 4. ფელიცია. 5. აეროსტატი. 6. ნაკრძალი. 7. გალიერა. 8. ვენერა. 9. ძირმაგარა. 10. ანატომია. 11. ვერე. 12. სიმდიდრე. 13. არაი. 14. ლოძი. 15. დიკლო. 16. სატინი. 17. აგარა. 18. ავიამზიდი. 19. სატევარი. 20. კარტოთეკა. 21. ვარტა. 22. რაკვერე. 23. გოდერძი 25. ბუღა. 26. ბამპერი. 26. ბუთი. 27. მაზანდა. 28. მანე. 29. კომანდოსი. 30. ზიდი. 31. სინი. 32. პლაგიატი. 33. კავკასია. 34. ოვალი. 35. აჟურული. 36. აგონია. 37. აბუსალათინი. 38. ტეფალი. 39. აბასთუმანი. 40. რიჰანა. 41. რეცეპტი. 42. ბუხჰალტერია. 43. ერთი. 44. რაფინადი. 45. სეფე. 46. ბარკალი. 47. ალთე. 48. კოპიტი. 49. პიტი. 50. ნავთლუღი. 51. ბარისახო. 52. ეთილი. 53. ფანტელი. 54. თეო. 55. პატე. 56. ნავარდი. 57. ბრაილი. 58. ოლეინა. 59. ვარდი. 60. მულინე. 61. მიასთენია. 62. ალხი. 63. ლავი. 64. ავი. 65. ოღროჩოღრო. 66. ოია. 67. იასპი. 68. გუმანი. 69. კოლინა.

სკანვორდი

1.ბაჰრეინი. 2. თალგამი. 3. თელავივი. 4. ლივერპული. 5. მთიულური. 6. დილეტანტი. 7. ხალთა. 8. მოსავალი. 9. ძუძუმტე. 10. მარე. 11. ვერცხლი. 12. ხორბალი. 13. ამორძალები. 14. ვინძლო. 15. ტრირი. 16. სიხარული. 17. ტიბალტი. 18. სტილერი. 19. მანიპულაცია. 20. ინოკენტი. 21. ეგზემა. 22. კოკი. 23. კვადრილიონი. 24. ნამდვილი. 25. პო. 26. პელაგია. 27. ფილადელფია. 28. ბუტკო. 29. უიტნი. 30. ტერაფლუ. 31. ემალი. 32. აბესალომი. 33. მელოდია. 34. ბერეტი. 35. ბაუნტი. 36. საქსები. 37. სიბარიტი. 38. ჩაქუჩი. 39. ტაჯმაჰალი. 40. ბარიტი. 41. უცენზურო. 42. იქედნე. 43. სექსტა. 44. ბასრი. 45. ფუჯიცუ. 46. ბუკეტი. 47. კრატერი. 48. სარდინია. 49. ბუნაგი. 50. იამაიკა. 51. კრაზი. 52. რამზესი. 53. კიტრა. 54. ზანგი. 55. ტრელაჟი. 56. ილუზია. 57. ზეზი. 58. ბლაგვი. 59. ბაზი. 60. ზეზვა. 61. გიზი. 62. ვიზავი. 63. ირიგაცია.

კროსვორდი

შვეულად: 1. ხორეშანი. 2. მიქოიანი. 3. სულიკო. 4. ბიორკი. 5. თუნუქი. 6. ოდალისკა. 7. იდასი. 13. რქოვანა., 14. მსახურთუხუცესი. 15. განრიგი. 16. ფეშხუმი. 17. ზეწარი. 18. ოხროხინე. 19. შარლატანი. 24. ვალჰალა. 25. პრემია. 26. ბურკა. 27. ლუვრი.

თარაზულად: 4. ბიათოლინი. 8. ოჩიაური. 9. ანგარა. 10. ბეტონიერი. 11. ქვინი. 12. სანატორიუმი. 16. ფიზიოლოგია. 19. შანა. 20. შეწირვა. 21. ნეკროლოგი. 22. მჯიღი. 23. გუსტავი. 26. ბალეარი. 28. ურნალი. 29. მონე. 30. იკაროსი. 31. სომალი. 32. ალხი.